



REMISSIA

Sustainable Development Center

აღნიშნული დოკუმენტი მომზადდა „აისეტის კვლევით ინსტიტუტთან (ISET-PI)“ და „კლიმატი 4 მოქმედებისთვის (Climate4Action)“-სთან თანამშრომლობით

ფინანსური მობილიზაციის სტრატეგია ტექნოლოგიების სამოქმედო გეგმებისთვის

ვერსია 1.0

„საქართველოს კლიმატ-ტექნოლოგიების საჭიროებების შეფასების განახლება და პრიორიტეტული ტექნოლოგიების შემოტანისა და გავრცელების საგზაო რუკის მომზადება“

2023 წლის აგვისტო

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია მდგრადი განვითარების ცენტრის - "რემისიას" მიერ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ეკონომიკის საერთაშორისო სკოლასთან (ISET) პარტნიორობით, პროექტის „საქართველოს კლიმატ-ტექნოლოგიების საჭიროებების შეფასების განახლება და პრიორიტეტული ტექნოლოგიების შემოტანისა და გავრცელების საგზაო რუკის მომზადება“ ფარგლებში, „კლიმატის მწვანე ფონდის“ დაფინანსებით.

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი

მარინა შვანგირაძე- მდგრადი განვითარების ცენტრი რემისია

ავტორები:

ნინო მაქაცარია- კლიმატი 4 მოქმედებისთვის

გიორგი პაპავა- ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი

ანა ბურდული- ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი

2023 წელი

თბილისი, საქართველო

სარჩევი

აბრევიატურები.....	6
განმარტებითი ლექსიკონი	10
1. შესავალი.....	11
1.1. კლიმატის ცვლილების საერთაშორისო კონტექსტი.....	11
1.2. კლიმატის დაფინანსების გლობალური ლანდშაფტი.....	12
1.3. ფინანსური ინსტრუმენტები	15
1.4. მიდგომა და მეთოდოლოგია.....	23
2. დაფინანსების მდგომარეობა საქართველოში	24
2.1. კლიმატ-ტექნოლოგიების დასაფინანსებლად საქართველოს მთავრობის (ცენტრალური და ადგილობრივი) მიერ გამოყენებული დაფინანსების წყაროები და ფინანსური ინსტრუმენტები.....	24
2.1.1. ხელმისაწვდომი დაფინანსების ზოგადი მიმოხილვა	24
2.1.2 საქართველოს მთავრობის მიერ გამოყენებული ფინანსური ინსტრუმენტები.....	33
2.1.3. პოლიტიკის გარემოსთან დაკავშირებული ბარიერები შერჩეულ ტექნოლოგიებში ინვესტირებისთვის.....	35
2.2. დონორების მიერ კლიმატ-ტექნოლოგიების დასაფინანსებლად გამოყენებული წყაროები და ფინანსური ინსტრუმენტები	40
2.2.1. ხელმისაწვდომი დაფინანსების ზოგადი მიმოხილვა	41
2.2.1.1. საქართველოს კლიმატის დაფინანსების არქიტექტურის ძირითადი სუბიექტები კლიმატის დაფინანსების წყაროების მიხედვით.....	42
2.2.1.2. მულტილათერალური და ბილათერალური წყაროების მიერ საქართველოში გამოყენებული ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები.....	45
2.2.1.3. კლიმატ-ტექნოლოგიების დაფინანსება კლიმატის დაფინანსების წყაროების მიხედვით	49
2.2.1.4. კლიმატის დაფინანსების ბილათერალური წყაროები საქართველოში.....	50
2.2.1.5. კლიმატის დაფინანსების მულტილათერალური წყაროები საქართველოში.....	55

2.2.1.6. კლიმატის დაფინანსება საერთაშორისო კერძო სექტორის მიერ	70
2.2.2. შერჩეული ტექნოლოგიების დანერგვისთვის საერთაშორისო დაფინანსების მობილიზების ბარიერები და შესაძლებლობები	73
2.3. საქართველოში ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოყენებული დაფინანსების წყაროები და ფინანსური ინსტრუმენტები	75
2.3.1. ხელმისაწვდომი დაფინანსების ზოგადი მიმოხილვა	75
2.3.2. ძირითადი ბარიერები ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტებისთვის კლიმატის დაფინანსებაში	85
2.4. კერძო სექტორის დაფინანსება.....	87
2.4.1. ხელმისაწვდომი დაფინანსების ზოგადი მიმოხილვა შერჩეული სექტორებისა და ტექნოლოგიების მიხედვით	87
2.4.1.1. ენერგეტიკის სექტორი	87
2.4.1.2. ტრანსპორტის სექტორი	88
2.4.1.3. შენობების სექტორი	90
2.4.1.4. სოფლის მეურნეობის სექტორი	91
2.4.2. შერჩეულ სექტორებში/ტექნოლოგიებში ინვესტირების ბარიერები	92
2.4.2.1. ენერგეტიკის სექტორი	94
2.4.2.2. ტრანსპორტის სექტორი	99
2.4.2.3. შენობების სექტორი	100
2.4.2.4. სოფლის მეურნეობის სექტორი	103
3. ფინანსური/ბიზნეს მოდელები შერჩეული კონცეფციისთვის	106
3.1. ფინანსური ინსტრუმენტების შერჩევის კრიტერიუმები	106
3.2. პრიორიტეტული ტექნოლოგიების დაფინანსებისთვის შერჩეული კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტების და ბაზრის ძირითადი მოთამაშეების მიმოხილვა	108
3.2.1. ელექტრო ავტომობილები	108
3.2.2. ბიოსაწვავის წარმოება (ბიოდიზელი, ბიოგაზი).....	110
3.2.3. საჯარო შენობების ენერგოეფექტური რეაბილიტაცია	112

3.2.4. კერძო სექტორის მხარდაჭერა ლანდშაფტების მდგრად მართვასა და მწვანე აგროტურიზმის განვითარებაში.....	115
4. დასკვნითი შენიშვნები და რეკომენდაციები.....	118
ბიბლიოგრაფია	120
დანართები	123
დანართი 1. ამონარიდი კლიმატის მწვანე ფონდის ინსტრუმენტების მატრიციდან.....	123
დანართი 2. ცენტრალური აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში კლიმატის დაფინანსების მომწოდებელი სუბიექტები და ფინანსური ინსტრუმენტები	126
დანართი 3. “აწარმოე საქართველოში”-სა და სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელებული მხარდაჭერის პროგრამები.....	127
დანართი 4. ტექსტური უჯრები 3, 4, 7, 8	140
დანართი 5. საქართველოში განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიების კერძო დაფინანსების წყაროები	157

აბრევიატურები

ADB	აზიის განვითარების ბანკი/ Asian Development Bank
აო/AE	აკრედიტებული ორგანიზაცია/ Accredited Entity
AF	ადაპტაციის ფონდი/ Adaptation Fund
AFD	საფრანგეთის განვითარების სააგენტო/ French Development Agency
ALOFU	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და მიწათსარგებლობა/ Agriculture, Forestry and Land-use
BMU	გერმანიის გარემოს დაცვის, ბუნების დაცვისა და ბირთვული უსაფრთხოების ფედერალური სამინისტრო/ Federal Ministry of the Environment, Nature Conservation and Nuclear Safety of Germany
BMZ	გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტრო/ Federal Ministry of Economic Cooperation and Development of Germany
სბ/ BOG	საქართველოს ბანკი
BSTDB	Black Sea Trade and Development Bank/ შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი
CBA	ხარჯ-სარგებლის ანალიზი/ Cost-Benefit Analysis
CDM	სუფთა განვითარების მექანიზმი/ Clean development mechanism
CDO	უზრუნველყოფილი სავალო ვალდებულება/ Collateralized Debt Obligation
CEB	ევროპის საბჭოს განვითარების ბანკი/ Council of Europe Development Bank
CEEP	კავკასიის ენერგოეფექტურობის პროგრამა/ Caucasus Energy Efficiency Program
CfD	ფასთა სხვაობის ხელშეკრულება/ Contract For Difference
CLO	უზრუნველყოფილი სასესხო ვალდებულება/ Collateralized Loan Obligation
COP	მხარეთა კონფერენცია/ Conference of the Parties
CPIER-ები	კლიმატის სახელმწიფო ხარჯები და ინსტიტუციური მიმოხილვები/ Climate Public Expenditure and Institutional Reviews
CSP	მზის კონცენტრირებული ენერგია/ Concentrated Solar Power
DANIDA	დანის საერთაშორისო განვითარების სააგენტო/ Danish International Development Agency
DiMMA	მერძეულობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის პროგრამა/ Dairy Modernization and Market Access
DSCR	ვალის მომსახურების დაფარვის კოეფიციენტი/ Debt Service Coverage Ratio
E5P	აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობისა და გარემოს დაცვის პარტნიორობა/ Eastern Europe Energy Efficiency and Environment Partnership
eAIMS	საგარეო დახმარებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მართვის ელექტრონულ სისტემა/ electronic Aid Information Management System
EBRD	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი/ European Bank for Reconstruction and Development
ECA	საექსპორტო საკრედიტო სააგენტო/ Export Credit Agency
აო/ EE	აღმასრულებელი ორგანიზაცია/ Executive Entity
EECGEO	ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო/ Energy Efficiency Centre Georgia
EFSD	მდგრადი განვითარების ევროპული ფონდი / European Fund for Sustainable Development
EG	აწარმოე საქართველოში/ Enterprise Georgia
EIB	ევროპის საინვესტიციო ბანკი/ European Investment Bank

ESCO-ები	ენერგომომსახურების კომპანიები
ESG	გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის/ Environmental, Social, and Governance
ESMS	გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემა/ Environmental and Social Management System
EU	ევროპის კავშირი/ European Union
FAO	სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია/ Food and Agriculture Organization
FCDO	საგარეო, თანამეგობრობისა და განვითარების ოფისი/ Foreign, Commonwealth and Development Office
FINTECC	კლიმატის ცვლილების ფინანსებისა და ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრი/ Finance and Technology Transfer Centre for Climate Change
GCF	კლიმატის მწვანე ფონდი/ Green Climate Fund
GCPF	კლიმატის გლობალური საპარტნიორო ფონდი/ Global Climate Partnership Fund
GEDF	საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი/ Georgian Energy Development Fund
GEEREF	ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის გლობალური ფონდი/ Global Energy Efficiency and Renewable Energy Fund
GEF	გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი/ Global Environment Facility
GEFF	მწვანე ეკონომიკის დაფინანსების პროგრამა/ Green Economy Financing Facility
GEL	ქართული ლარი/ Georgian Lari
GFA	საქართველოს ფერმერთა ასოციაცია/ Georgian Farmers' Association
GGF	მწვანე ზრდის ფონდი/ Green for Growth Fund
GHG	სათბურის გაზი/ Greenhouse Gas
GIZ	გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება/ Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit
სემეკი	საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია/ Georgian National Energy and Water Supply Regulatory Commission
GRDF	საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდი/ Georgia Regional Development Fund
GREFF	მწვანე ეკონომიკის დაფინანსების პროგრამა/ Green Economy Financing Facility
ჰესი	ჰიდროელექტროსადგური/ Hydro Power Plant
IFAD	სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი/ International Fund for Agricultural Development
IFC	საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია/ International Finance Corporation
IFI-ები	საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები/ International Financial Institutions
INDC	ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილი/ Intended Nationally Determined Contribution
IRR	შიდა უკუგების მაჩვენებელი/ Internal Rate of Return
ISC	ინფრასტრუქტურის მდგრადობის საბჭო/ Infrastructure Sustainability Council
JI	ერთობლივი განხორციელება UNFCCC-ის მოლაპარაკებებზე/ Joint implementation at UNFCCC negotiations
KfW	გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი/ German Reconstruction Credit Bank

აფი/LFI-ები	ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტები/ Local Financial Institutions
შპს/ LLC	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება/ Limited Liability Company
M&E	მონიტორინგი და შეფასება/ Monitoring and Evaluation
გმბ-ები	განვითარების მულტილათერალური ბანკები/ Multilateral Development Banks
მგფ/MDF	მუნიციპალური განვითარების ფონდი/ Municipal Development Fund
ემგს/ MOESD	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო/ Ministry of Economy and Sustainable Development
NAMA	ეროვნულად მისაღები შემარბილებელი ქმედება/ Nationally Appropriate Mitigation Action
სებ/NBG	საქართველოს ეროვნული ბანკი/ National Bank of Georgia
ეგწ/NDC	ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი/ Nationally Determined Contribution
NEEAP	ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმა/ Natianl Energy Efficiency Action Plan
NEFCO	სკანდინავიური გარემოს საფინანსო კორპორაცია/ Nordic Environment Finance Corporation
NIB	სკანდინავიური საინვესტიციო ბანკი/ Nordic Investment Bank
NPV	წმინდა მიმდინარე ღირებულება/ Net Present Value
OECD	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია/ Organization for Economic Co-operation and Development
OECD DAC	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მხარდაჭერის კომისია/ Organization for Economic Co-operation and Development Assistance Committee
PPA	ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულება/ Power Purchase Agreement
PPP	საჯარო-კერძო-პარტნიორობა/ Public-Private-Partnership
სგს/RDA	სოფლის განვითარების სააგენტო/ Rural Development Agency
SCCF	კლიმატის ცვლილების სპეციალური ფონდი/ Special Climate Change Fund
SDC	შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო/ Swiss Agency for Development and Cooperation
SIDA	შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო/ Swedish International Development Agency
SME(s)	მცირე და საშუალო საწარმოები/ Small and medium-sized enterprises
SPV	სპეციალური დანიშნულების მექანიზმი/ Special Purpose Vehicle
SQIL	ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში/ Safety and Quaility Investment in Livestock
TAP	ტექნოლოგიების სამოქმედო გეგმა/ Technology Action Plan
TCfD	კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების საკითხებზე მომუშავე ჯგუფი/ Task Force on Climate-Related Financial Disclosures
TNA	ტექნოლოგიების საჭიროებების შეფასება/ Technology Needs Assessment
UK	გაერთიანებული სამეფო/ United Kingdom
UNDP	გაეროს განვითარების პროგრამა/ United Nations Development Program
UNEP	გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა/ United Nations Environment Programme
UNFCCC	გაეროს ჩარჩო კონვენცია კლიმატის ცვლილების შესახებ/ United Nations Framework Convention on Climate Change
USAID	შერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო/ United States Agency for International Development

USD	აშშ დოლარი/ United States Dollar
WACC	კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება/ Weighted Average Cost of Capital

განმარტებითი ლექსიკონი

დაფინანსების ალტერნატიული წყაროები	ამ დოკუმენტის მიზნებისთვის, დაფინანსების ალტერნატიული წყაროები განისაზღვრება, როგორც ფინანსების არხები, რომლებიც გაჩნდა კლიმატის დაფინანსების ტრადიციული არქიტექტურის მიღმა, როგორიცაა, მაგალითად, ზემოქმედების ფონდები, რომლებიც საქართველოში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ პროექტებს აფინანსებს.
შერეული ფინანსები	ამ ანგარიშის მიზნებისთვის, შერეული ფინანსები არის საჯარო ფინანსების სტრატეგიული გამოყენება კერძო სექტორის კაპიტალის მობილიზებისთვის მდგრად განვითარებასა და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიებების მიმართულებით.
კლიმატის დაფინანსება	გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია (UNFCCC) „კლიმატის დაფინანსებას“ განმარტავს, როგორც „საჯარო, კერძო და ალტერნატიული წყაროებიდან მიღებული ადგილობრივი, ეროვნული ან ტრანსნაციონალური დაფინანსება, რომელიც მიმართულია კლიმატის ცვლილებას შერბილებისა და ადაპტაციის ქმედებების ხელშესაწყობად.
შელავათიანი ფინანსები	შელავათიანი ფინანსები არის ბაზარზე არსებულ პირობებთან შედარებით უფრო შეღავათიანი ფინანსები. ასეთი შეღავათიანი პირობები შეიძლება მოიცავდეს საბაზროზე დაბალ საპროცენტო განაკვეთებს, გახანგრძლივებულ სამელავათო პერიოდებს ან ორივეს ერთად.
კონვენცია	გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია
ფინანსური სუბიექტები	ამ დოკუმენტის მიზნებისთვის, ფინანსური სუბიექტები გულისხმობს საქართველოში მოქმედ ადგილობრივ ფინანსურ ინსტიტუტებს (ბანკები), დონორ საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს და აქტივების მენეჯერებს
მწვანე ობლიგაციები	მწვანე ობლიგაციები არის ფიქსირებული შემოსავლის ინსტრუმენტები, რომლებიც შექმნილია კონკრეტულად კლიმატთან ან გარემოსთან დაკავშირებული პროექტების დასაფინანსებლად
ფინანსური მექანიზმი UNFCCC-ის მიღმა	ფინანსური მექანიზმი UNFCCC-ის მიღმა მოიცავს კლიმატის დაფინანსების წყაროებს, რომლებიც უშუალოდ არ ექვემდებარება კონვენციის მხარეთა კონფერენციის (UNFCCC COP) მითითებებს
UNFCCC-ის ფინანსური მექანიზმი	კლიმატის დაფინანსების ხელშეწყობისთვის, UNFCCC-მ ჩამოაყალიბა ფინანსური მექანიზმი განვითარებადი ქვეყნების მხარეებისთვის ფინანსური რესურსების უზრუნველსაყოფად. ფინანსური მექანიზმი ასევე ემსახურება კიოტოს ოქმს და პარიზის შეთანხმებას.

1. შესავალი

1.1. კლიმატის ცვლილების საერთაშორისო კონტექსტი

კლიმატის ცვლილებასთან და მის თანმდევ მავნე ზემოქმედებასთან საბრძოლველად გაერთიანებულმა მსოფლიო ლიდერებმა 2015 წლის 12 დეკემბერს მიაღწიეს პარიზის შეთანხმებას, რომელიც მოგვიანებით აღიარებული იქნა "კლიმატთან დაკავშირებულ ყველაზე მნიშვნელოვან გლობალურ შეთანხმებად ისტორიაში". დოკუმენტის ხელმოწერით, თითქმის ორასმა ქვეყანამ აიღო საკუთარი სათბურის გაზების ემისიების შემცირების ვალდებულება, რაც მიზნად ისახავს ამ საუკუნეში გლობალური ტემპერატურის ზრდის 2 გრადუს ცელსიუსზე დაბლა შენარჩუნებას (ამავდროულად, მცდელობას, რომ ეს ზრდა კიდევ უფრო მეტად - 1.5 გრადუსამდე შემცირდეს).¹ შეთანხმებამ დაადგინა, რომ ქვეყნები დროთა განმავლობაში გააძლიერებენ თავიანთ ეროვნულ ვალდებულებებს, და ასევე უზრუნველყოფენ გზები განვითარებული ქვეყნებისთვის, რომ დაეხმარონ განვითარებად ქვეყნებს კლიმატის ცვლილების შერბილების და კლიმატის ცვლილების ზემოქმედებასთან ადაპტაციის მცდელობებში.²

პარიზის შეთანხმებით დასახული მიზნების მისაღწევად საჭიროა მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსები. ფინანსები მოხმარდება მიმდინარე აქტივობების (ადაპტაცია) უზრუნველყოფას და გაძლიერებას, ასევე ახალი ტექნოლოგიებისა და განვითარების მიმართულებების (შერბილება) შემუშავებას.³ მნიშვნელოვანი საკითხია კლიმატთან დაკავშირებული ქმედებების ფინანსური ტვირთის სამართლიანი განაწილება განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის. და რადგან დღევანდელი კლიმატის ცვლილება დიდწილად განვითარებული ქვეყნების ემისიებმა გამოიწვია, ისინი მზად არიან იკისრონ წამყვანი როლი მის წინააღმდეგ ბრძოლაში.⁴ უფრო კონკრეტულად, მათ მიზნად დასახეს წელიწადში ერთობლივად 100 მილიარდი დოლარის მობილიზება 2025 წლამდე.⁵ კლიმატის დაფინანსება მნიშვნელოვანი კატალიზატორია საქართველოს კლიმატ-ტექნოლოგიების საჭიროებების დასანერგად აუცილებელი დაფინანსების უზრუნველყოფისთვის, კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შერბილებისა და მასთან ადაპტაციის მიზნით.

ამ ანგარიშის მიზნებისთვის, კლიმატის დაფინანსების განმარტება: „გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია (UNFCCC) კლიმატის დაფინანსებას განმარტავს, როგორც „საჯარო, კერძო და ალტერნატიული წყაროებიდან მიღებული ადგილობრივი, ეროვნული ან ტრანსნაციონალური დაფინანსება, რომელიც მიმართულია კლიმატის ცვლილებას შერბილებისა და ადაპტაციის ქმედებების ხელშესაწყობად“.

¹ <https://www.cfr.org/timeline/un-climate-talks>

² <https://www.un.org/en/climatechange/paris-agreement>

³ კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის ღონისძიებების დაფინანსება განვითარებად ქვეყნებში. გაერო

⁴ ჩულ ჯუ კიმი (2017). კლიმატის ცვლილების შერბილების და ადაპტაციის დაფინანსება აზიასა და წყნარი ოკეანის რეგიონში, გახსნილი შენიშვნები.

⁵ რას ვაკეთებთ 100 მილიარდი დოლარის მიზნის შემდეგ? პროცედურული ვარიანტები კლიმატის დაფინანსების ამბიციის გასაძლიერებლად COP26-ზე

კლიმატის დაფინანსების მობილიზება საკმაოდ რთულია განვითარებადი ქვეყნებისთვის. ამ ქვეყნების მიერ რამდენიმე მექანიზმი გამოიყენება კლიმატის დაფინანსების გასაადვილებლად:

- **კლიმატთან დაკავშირებული საჯარო ხარჯები და ინსტიტუციური მიმოხილვები (CPEIR)** - ქვეყნის სახელმწიფო ხარჯების და კლიმატის ცვლილებასთან მათი შესაბამისობის სისტემატური ანალიზი.
- **ეროვნული კლიმატის ფონდები** - მექანიზმი, რომელიც მხარს უჭერს ქვეყნებს მიმართონ ფინანსური რესურსები კლიმატის ცვლილების პროგრამებისკენ.
- **ეროვნულად მისაღები შემარბილებელი ქმედებები (NAMA) და ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილი (INDC)** – NAMA არის მექანიზმი, რომელიც გამოიყენება კლიმატის ცვლილების შერბილების ქმედებების სტიმულირებისთვის მდგრადი განვითარების ეროვნული სტრატეგიების კონტექსტში. INDC-ი არის არასავალდებულო ეროვნული გეგმა სათბურის გაზების ემისიების შემცირებისთვის და კლიმატის ზემოქმედებასთან ადაპტაციისთვის. ეს ორივე მექანიზმი ემსახურება ინვესტორების ინფორმირებას ქვეყნის საჭიროებების შესახებ, კლიმატის დაფინანსების თვალსაზრისით.
- **მწვანე ეროვნული განვითარების ბანკები და ცენტრალური ბანკები** – ფოკუსის გადატანა პრიორიტეტული ცვლილებების პროგრამებზე სამ ასპექტთან დაკავშირებით: მონეტარული პოლიტიკა, საბანკო ზედამხედველობა და გადახდის სისტემები.⁶

1.2. კლიმატის დაფინანსების გლობალური ლანდშაფტი


კლიმატის დაფინანსების გლობალური ლანდშაფტის შესახებ⁷ „კლიმატის პოლიტიკის ინიციატივის“ (2021) მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ კლიმატის დაფინანსება უწყვეტად იზრდებოდა ბოლო ათწლეულის განმავლობაში და 2019-2020 წლებში 632 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია.⁸ თუმცა, ზრდის ტემპმა 2017 წლიდან შენელება დაიწყო. კლიმატთან დაკავშირებული გლობალური ინვესტიციების 75 პროცენტი კონცენტრირებული იყო აღმოსავლეთ აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონზე, დასავლეთ ევროპაზე და ჩრდილოეთ ამერიკაზე, მაშინ, როცა ცენტრალური აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონისკენ მიმართულმა ინვესტიციებმა მხოლოდ 33 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა (კლიმატის გლობალური დაფინანსების 5 პროცენტი), საიდანაც დაახლოებით 39 პროცენტი დაფინანსდა კერძო წყაროებიდან და 61 პროცენტი საჯარო წყაროებიდან. გლობალურ დონეზე, საჯარო და კერძო წყაროების წვლილი თითქმის თანაბარია - საჯარო წყაროები შეადგენს 51 პროცენტს, ხოლო კერძო წყაროები დარჩენილ 49 პროცენტს (ნახაზი 1).

⁶ ილარია (2015). კლიმატის დაფინანსება აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში: ტენდენციები და ინოვაციური მიდგომები

⁷ ლანდშაფტი მოიცავს საწყის ინვესტიციას პროდუქტიულ აქტივებში პროექტის დონეზე, ახალი ფულადი სახსრების მოსაპოვებლად, რომლებიც ორიენტირებულია კლიმატის სპეციფიკის შედეგებზე - მეორადი ტრანზაქციების გამოკლებით, რომლებიც მოიცავს ფულის ხელიდან ხელში გადასვლას, მაგრამ არა ფიზიკურ ზემოქმედებას.

⁸ 2019 და 2020 წლების მაჩვენებლების საშუალო არითმეტიკული.

ნახაზი 1. კლიმატის ფინანსების რეგიონული განაწილება, საჯარო და კერძო (როგორც განსაზღვრულია ცხრილში 1) წყაროების მიხედვით (მლრდ აშშ დოლარი, 2019-2020 წლების საშუალო)



წყარო: კლიმატის პოლიტიკის ინიციატივა (2021). კლიმატის დაფინანსების გლობალური ლანდშაფტი. ნახაზი 23. კლიმატის დაფინანსების დანიშნულების რეგიონი, საჯარო და კერძო წყაროების მიხედვით (მლრდ აშშ დოლარი, 2019-2020 წლების საშუალო)

გამოყენების თვალსაზრისით, კლიმატის დაფინანსება შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ჯგუფად: შერბილება და ადაპტაცია. 2019-2020 წლებში კლიმატის გლობალური დაფინანსების უმეტესი ნაწილი მიმართული იყო შერბილებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე, ხოლო ადაპტაცია შეადგენდა მხოლოდ 7%-ს. ადაპტაციისთვის განკუთვნილი აღრიცხული დაფინანსების ყველაზე დიდი წილი უზრუნველყოფილი იყო საჯარო სექტორის მიერ (

ცხრილი 1).⁹ თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ადაპტაციაში კერძო ინვესტიციების თვალყურის მიდევნება ზოგადად რთულია კონფიდენციალურობის საკითხების, კონტექსტის და ზემოქმედების საყოველთაოდ მიღებული მეტრიკის არარსებობის გათვალისწინებით. ნებისმიერ შემთხვევაში, მკვეთრი განსხვავება ადაპტაციისა და შერბილების აქტივობებისკენ მიმართულ ფინანსურ ნაკადებს შორის შეიძლება აიხსნას იმით, რომ კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის დადებითი ეფექტი შეიძლება უფრო ცალკეული ხასიათის, მწელი დასათვლელი იყოს და ნელა ვლინდებოდეს. შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ ბაზარზე ახალი პროდუქტების გამოჩენის ძლიერი ნიშნებია, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ქმედებების უკუგების დონე აფერხებს კერძო სექტორის ინვესტიციებს. ამ შემთხვევაში,

⁹ კლიმატის პოლიტიკის ინიციატივა (2021). კლიმატის დაფინანსების გლობალური ლანდშაფტი.

საშეღავათო მხარდაჭერა ან სახელმწიფო სუბსიდირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, იმისთვის, რომ ადაპტაციაში ინვესტიციები მიმზიდველი გახდეს და შემცირდეს გლობალური სხვაობა ადაპტაციისა და შერბილების დაფინანსებას შორის.¹⁰

ცხრილი 1. ადაპტაციისა და შერბილების დაფინანსება საჯარო და კერძო წყაროების მიხედვით

წელი	1-ლი დონის წყარო ¹¹	მე-2 დონის წყარო ¹²	გამოყენება		
			ადაპტაცია	შერბილება	ჯვარედინი
2019- 2020 წლების საშუალო	კერძო ¹³	კომერციული საფინანსო ინსტიტუტი			
		კორპორაცია			
		კაპიტალი ¹⁴			
		შინამეურნეობები/ ფიზიკური პირები			
		ინსტიტუციური ინვესტორები			
	საჯარო ¹⁵	განვითარების ბილათერალური საფინანსო ინსტიტუტი			
		საექსპორტო საკრედიტო სააგენტო (ECA) ¹⁶			
		მთავრობა			
		კლიმატის მულტილათერალური ფონდები			
		განვითარების მულტილათერალური საფინანსო ინსტიტუტი			

¹⁰ ლევა ჩ.დ. (2022). კლიმატის შერბილებისა და ადაპტაციის დაფინანსება.

¹¹ წყაროს 1-ლი დონე აღნიშნავს დაფინანსების მომწოდებელი ინსტიტუტი მიეკუთვნება საჯარო თუ კერძო კატეგორიას.

¹² წყაროს მე-2 დონე 2 განსაზღვრავს ფინანსების მომწოდებელი ინსტიტუტის სპეციფიკურ ტიპს.

¹³ კერძო სუბიექტები მოიცავს კერძო კომპანიებს (მათ შორის საფინანსო ინსტიტუტებს, კერძო საკუთრებაში არსებულ სპეციალური დანიშნულების მექანიზმებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს) და ა.შ.

¹⁴ კერძო კაპიტალი, ვენჩურული/სარისკო კაპიტალი და ინფრასტრუქტურის ფონდები.

¹⁵ საჯარო სუბიექტები მოიცავს საჯარო საკუთრებაში არსებულ სუბიექტებს და საჯარო ადმინისტრაციებს, მაგალითად საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა ორმხრივი ან მრავალმხრივი სააგენტოები, როგორიცაა DANIDA ან UNEP; ეროვნული ან სუბეროვნული სამთავრობო ორგანოები, დარგობრივი სამინისტროები, მუნიციპალიტეტები და ა.შ.

¹⁶ კერძო ან კვაზი-სახელმწიფო ინსტიტუტი, რომელიც შუამავლის როლს ასრულებს ქვეყნების მთავრობებს და [ექსპორტიორებს](#) შორის, ექსპორტის სადაზღვევო გადაწყვეტების, დაფინანსების გარანტიების გასაცემად.

ფინანსური მობილიზაციის სტრატეგია

		განვითარების ეროვნული საფინანსო ინსტიტუტი			
		საჯარო ფონდი			
		სახელმწიფო საწარმო			
		სახელმწიფო საკუთრებაში არსებული განვითარების საფინანსო ინსტიტუტი			

	100 მილიარდ დოლარზე მეტი
	10 მილიარდიდან 100 მილიარდ დოლარამდე
	0-დან 10 მილიარდ დოლარამდე

წყარო: კლიმატის პოლიტიკის ინიციატივის (2021) მონაცემებზე დაყრდნობით ავტორების მიერ შემუშავებული ცხრილი.

კლიმატის პოლიტიკის ინიციატივის (2021) თანახმად, დასავლეთ ევროპის, ჩრდილოეთ ამერიკისა და ოკეანის განვითარებულ რეგიონებში მწვანე პროექტები ძირითადად კერძო წყაროებით ფინანსდებოდა, ხოლო სხვა რეგიონებში საჯარო სექტორი წარმოადგენდა დაფინანსების ძირითადი წყაროს. საჯარო კაპიტალი მდგრადი ინვესტიციების მთავარი მამოძრავებელი ძალაა ფართო გლობალურ ჭრილში. თუმცა, არსებობს კონსენსუსი, რომ საინვესტიციო დანაკლისის შევსება ვერ მოხერხდება მხოლოდ საჯარო სექტორის მიერ. კერძო კაპიტალის ძირითადი პოტენციური წყაროა ინსტიტუციური ინვესტორების (მათ შორის საპენსიო ფონდები, სხვა ფონდები, და ა.შ.) განკარგულებაში არსებული სახსრები. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ფლობენ ფინანსური რესურსების მნიშვნელოვან წილს, ინსტიტუციური ინვესტორების წილი კლიმატის მთლიან კერძო დაფინანსებაში 1%-ზე ნაკლები დარჩა 2019-2020 წლებში. ეს აიხსნება რამდენიმე ფაქტორით, როგორიცაა მათი დაბალი რისკმზაოზა („რისკის მადა“), უპირატესობის მინიჭება უფრო დიდი მასშტაბის პროექტებისთვის და პოლიტიკის სტიმულის ნაკლებობა. საინტერესოა, რომ არსებობს მნიშვნელოვანი გამოუყენებელი პოტენციალი შერეული ფინანსების სახით¹⁷, აღნიშნული დაბრკოლებების გადალახვისა და ფართომასშტაბიანი ინვესტიციების მობილიზებისთვის.¹⁸

1.3. ფინანსური ინსტრუმენტები

მზარდია იმ ფინანსური ინსტრუმენტების რაოდენობა, რომლებიც გამოიყენება კლიმატის დაფინანსების მობილიზების მიზნით. OECD-ს (2021)¹⁹ კატეგორიზებული აქვს რისკის აცილების (de-risking) ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს საჯარო სახსრების პირდაპირ ან არაპირდაპირ (მაგ. პროექტის მხარდაჭერა) გამოყენებას პროექტების დასაფინანსებლად, შესაბამისი პირობითი ვალდებულებების აღებით, საჭიროების შემთხვევაში. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ჩამოთვლილი და აღწერილია

¹⁷ საჯარო ან ფილანტროპი ინვესტორების მიერ გაცემული შეღავათიანი (საბაზროზე დაბალი ფასი) კაპიტალის გამოყენება მდგრადი განვითარებისთვის კერძო სექტორის ინვესტიციების მოსაზიდად.

¹⁸ კლიმატის პოლიტიკის ინიციატივა (2021). კლიმატის დაფინანსების გლობალური ლანდშაფტი.

¹⁹ რისკის აცილების ინსტიტუციური ინვესტიციები მწვანე ინფრასტრუქტურაში: 2021 წლის პროგრესის შეფასების განახლება. OECD (2021).

რისკის აცილების რიგი ძირითადი ინსტრუმენტები, რომლებიც პრაქტიკაში გამოიყენება G20-ის ქვეყნებში.

ცხრილი 2. კლიმატის დაფინანსების მობილიზებისთვის რისკების შემცირების ინსტრუმენტები

დასახელება	აღწერა
თანაინვესტირება (პროექტის კაპიტალი)	საჯარო სუბიექტ(ებ)ი ²⁰ უზრუნველყოფენ კაპიტალს კერძო ინვესტორ(ებ)თან ერთად უშუალოდ პროექტის დონეზე. საჯარო სუბიექტ(ებ)ის კაპიტალის წილი შეიძლება იყოს კერძო ინვესტორ(ებ)ის წილის თანაბარი ან უფრო ნაკლები.
თანაინვესტირება (კაპიტალის საინვესტიციო ფონდი)	საჯარო სუბიექტ(ებ)ი ახდენენ არასაბირჟო ფონდის თანაკაპიტალიზაციას კერძო ინვესტორ(ებ)თან ერთად (როგორც შეზღუდული პარტნიორი). ფონდი უზრუნველყოფს კაპიტალს პროექტებისთვის.
თანაინვესტიცია (სასესხო ფონდი)	საჯარო სუბიექტ(ებ)ი ახდენენ არასაბირჟო ფონდის თანაკაპიტალიზაციას კერძო ინვესტორ(ებ)თან ერთად (როგორც შეზღუდული პარტნიორი). ფონდი გამოყოფს სესხებს პროექტებისთვის.
თანადაფინანსება	სესხის უზრუნველყოფა საჯარო სუბიექტ(ებ)ის მიერ კერძო ფინანსების სხვა მომწოდებლებთან ერთად, უშუალოდ პროექტის დონეზე.
ქვაკუთხედი წილი (ფონდის დონე)	საჯარო სუბიექტის მიერ ფონდში ინვესტიცია, რომლის წილიც კაპიტალში უმრავლესობას შეადგენს, სადემონსტრაციო ეფექტის მისაღწევად და სხვა ინვესტირების მისაზიდად.
სუბორდინირებული კაპიტალი (ფონდის დონე)	“მეზანინის” (mezzanine) ან უმცროსი დაფინანსება, რომელიც უზრუნველყოფილია საჯარო სუბიექტის მიერ ფონდისთვის, კერძო ინვესტირებისთვის პოტენციური ზარალის მინიმიზაციის მიზნით.
სუბორდინირებული სესხი	უმცროსი სესხის უზრუნველყოფა საჯარო სუბიექტის მიერ.
წამყვანი ინვესტიცია CDO-ებში	საჯარო სუბიექტ(ებ)ის მიერ ინვესტირება უზრუნველყოფილ სავალო ვალდებულებაში (CDO) ან უზრუნველყოფილ სასესხო ვალდებულებაში (CLO), უმრავლესობის წილით სეკურიტიზებულ სესხში ან ინფრასტრუქტურულ პროექტებზე გაცემულ სხვა ვალში.
სესხი	საჯარო სუბიექტის მიერ ვალის გაცემა.
სესხის გარანტია	საჯარო სუბიექტის გარანტია, რომ გადაიხდის ნებისმიერ გადასახდელ თანხას (სრულად ან ნაწილობრივ) სესხზე, მესაკუთრის მიერ გადაუხდელობის შემთხვევაში.

²⁰ გათვალისწინებულია საჯარო სუბიექტების შვიდი ტიპი: მთავრობები და სახელმწიფო ორგანოები, განვითარების მრავალმხრივი ბანკები, განვითარების ორმხრივი და შიდა ბანკები, საჯარო მწვანე საინვესტიციო ბანკები, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სუბიექტები, საექსპორტო საკრედიტო სააგენტოები და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები.

აქციონერთა სესხი	საჯარო სუბიექტის მიერ გაცემული სესხი არსებული აქციონერის პირობებში.
საჯარო საწყისი კაპიტალი ან გრანტები	შელავათიანი ფინანსების გამოყოფა საჯარო სახსრების გამოყენებით.
საშემოსავლო გარანტია	საჯარო სუბიექტის გარანტია, რომ გადაიხადოს ძირითადი პროდუქტის საფასური, რათა უზრუნველყოს შემოსავლების შემოდიდება პროექტისთვის.
დამცავი გარანტია	საჯარო სუბიექტის გარანტია, რომ შეიძინოს ნებისმიერი აუთვისებელი ნაწილი (ვალი ან კაპიტალი).
საკრედიტო მექანიზმი	საჯარო სუბიექტის მიერ უზრუნველყოფილი მბრუნავი საკრედიტო ხაზი.
ლიკვიდურობის მექანიზმი	საჯარო სუბიექტის მიერ უზრუნველყოფილი მექანიზმი, რომელიც მსესხებელს საშუალებას აძლევს გამოიტანოს იგი ფულადი შემონადენის დეფიციტის შემთხვევაში.
საინვესტიციო დაზღვევა	საინვესტიციო ზარალის შემთხვევაში ანაზღაურების გარანტია საჯარო სუბიექტის მხრიდან.
პოლიტიკური რისკის დაზღვევა	გარანტია საჯარო სუბიექტის მიერ ანაზღაურებაზე, პოლიტიკური რისკების შემთხვევაში, როგორცაა ვალუტის არაკონვერტირებადობა, ექსპროპრიაცია და ა.შ.
საგადასახადო კრედიტი	კომპენსაცია დაბალი დაბეგვრადი შემოსავლისთვის, რომელსაც მთავრობა უზრუნველყოფს ინფრასტრუქტურაში ინვესტირების სტიმულის სახით.

წყარო: OECD (2021). რისკის აცილების ინსტიტუციური ინვესტიციები მწვანე ინფრასტრუქტურაში: 2021 წლის პროგრესის შეფასების განახლება. ცხრილი 1. რისკის აცილების ინსტრუმენტების ტიპოლოგია.

ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, კლიმატის მწვანე ფონდი (2013)²¹ განსაზღვრავს რამდენიმე სხვა ინსტრუმენტს/მოდელს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ქმედებების დასაფინანსებლად, რომლებიც თავად ფონდმა უნდა გამოიყენოს (დანართი 1). საინტერესოა, რომ ფონდის დაფინანსების 84% გაიცემა სესხებით (42%) და გრანტებით (42%), დანარჩენი კი არის კაპიტალი (9%), შედეგებზე დაფუძნებული გადახდა (5%) და გარანტიები (2%).²²

კლიმატის დაფინანსების გლობალური ლანდშაფტის მიხედვით, საბაზრო განაკვეთის ვალი იყო ყველაზე მეტად გამოყენებული ინსტრუმენტი კლიმატის დაფინანსებაში 2019-2020 წლებში, მოიცავდა რა მთლიანი დაფინანსების 53%-ს (337 მილიარდი აშშ დოლარი). ვალი იყო ინსტრუმენტების ყველაზე გავრცელებული კატეგორია, რომელიც შეადგენდა მთლიანი ფინანსური ნაკადების 61%-ს (384 მილიარდი აშშ დოლარი). კაპიტალის ინვესტიციებმა და გრანტებმა შეადგინა კლიმატის მთლიანი დაფინანსების 33% და 6%, შესაბამისად. მსგავსი ტენდენციები შეინიშნება ცენტრალური აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში, სადაც პროექტის დონის საბაზრო განაკვეთის ვალი ყველაზე დიდი ფინანსური ინსტრუმენტი იყო 2019-2020 წლებში. რეგიონში საჯარო წყაროები ძირითადად

²¹ ბიზნეს მოდელის ჩარჩო: ფინანსური ინსტრუმენტები. კლიმატის მწვანე ფონდი (2013).

²² კერძო სექტორის დაფინანსება. კლიმატის მწვანე ფონდი (2022).

გაიცემოდა გრანტების, პროექტის იაფი სესხისა და პროექტის დონის საბაზრო განაკვეთის სესხის მეშვეობით (დანართი 2).

მეორეს მხრივ, OECD-ის მიერ ჩატარებულმა მონაცემთა ბაზის მასშტაბურმა ანალიზმა (2021)²³, რომელიც ფოკუსირებული იყო საჯარო სექტორის ინსტიტუციურ ინვესტიციებზე პროექტის დონის ინტერვენციით 328 პროექტში G20-ის 30 იურისდიქციაში 2010-2021 წლებში, აჩვენა, რომ შუალედური არასაბირჟო საპროექტო კაპიტალი²⁴ იყო ყველაზე გავრცელებული არხი. ეს ბუნებრივია, რადგან ინსტიტუციური ინვესტიორები უფრო მეტად იყენებენ კაპიტალს, ვიდრე სავალდებულო ინსტრუმენტებს. ანალიზი ასევე აჩვენებს, რომ განვითარების საფინანსო ინსტიტუტები უფრო მეტად ორიენტირებული არიან კაპიტალის პირდაპირ უზრუნველყოფაზე სესხების ან ფინანსების კაპიტალიზაციის გზით. მწვანე საინვესტიციო ბანკები²⁵ ორიენტირებული არიან ბაზრის შექმნაზე და უფრო მრავალფეროვანი გადაწყვეტების გამოყენებაზე ბაზრის საჭიროებების პასუხად. რაც შეეხება მთავრობებს, ისინი იყენებენ ინსტრუმენტების ფართო სპექტრს, დაწყებული სესხებით და დამთავრებული საგადასახადო კრედიტებით.

აღსანიშნავია, რომ დაფინანსების ინსტრუმენტები განსხვავდება სექტორების მიხედვით. მაგალითად, კლიმატის პოლიტიკის ინიციატივის (2021) თანახმად, განახლებადი ენერგია ძირითადად ფინანსდება კერძო წყაროებიდან, რაც აჩვენებს სექტორის მზარდ კომერციულ მიმზიდველობას და კონკურენტუნარიანობას. ანგარიშმა გამოავლინა, რომ მზის ფოტოვოლტური სადგურების და ქარის ენერგოპროექტებმა (როგორც სახმელეთო, ასევე ოფშორული)²⁶ 2019-2020 წლებში მოიზიდა განახლებად ენერგიაში ინვესტიციების 91%. სხვა ტექნოლოგიები კი, როგორიცაა ბიოენერგია, ჰიდროენერგია, მზის თერმული (მათ შორის CSP) ენერგია და გეოთერმული ენერგია, იკავებენ გაცილებით მცირე წილებს. OECD-ის (2021) ზემოთ აღნიშნული მონაცემთა ბაზის მიხედვით, ქარის ენერგიასთან დაკავშირებულმა პროექტებმა მოიზიდა ინვესტიციების უდიდესი წილი, რასაც მოჰყვება განახლებადი ენერგიის სხვა წყაროები. განახლებადი ენერგიის დომინირება გასაკვირი არ არის, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ სექტორში არსებული რისკები უკვე კარგად დოკუმენტირებულია. გარდა ამისა, მზის და ქარის პროექტებს ხშირად აქვთ ინვესტიციების გაფართოების პოტენციალი და ამ სექტორებს დიდი ყურადღება ექცევა პოლიტიკის შემუშავებელთა მხრიდან. ცხრილი 3- ში ჩამოთვლილია ყველაზე ხშირად გამოყენებული ფინანსური ინსტრუმენტები სექტორების მიხედვით, ხოლო

²³ რისკის აცილების ინსტიტუციური ინვესტიციები მწვანე ინფრასტრუქტურაში: 2021 წლის პროგრესის შეფასების განახლება. OECD (2021).

²⁴ შუალედური არასაბირჟო კაპიტალი არის ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის სავაჭროდ გატანილი ოფიციალურ ბირჟაზე, რადგან ის არ აკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნებს, და რომელის შეძენა ხდება არა უშუალოდ, არამედ შუამავლების მეშვეობით, როგორიცაა ერთობლივი ფონდები.

²⁵ მწვანე განვითარების ბანკი არის საჯაროდ კაპიტალიზებული სუბიექტი, რომელიც შექმნილია მკაფიო მიზნით, ხელი შეუწყოს კერძო ინვესტიციებს მწვანე ინფრასტრუქტურაში. OECD-ის 2016 წლის მონაცემებით, იმ დროისთვის შექმნილი იყო თორმეტზე მეტი მწვანე ინვესტირების ბანკი. ეს მოიცავს ხუთ სუბიექტს, რომლებიც ჩამოყალიბდა ეროვნულ დონეზე ავსტრალიაში, იაპონიაში, მალაიზიაში, შვეიცარიაში და გაერთიანებულ სამეფოში. https://read.oecd-ilibrary.org/finance-and-investment/green-investment-banks_9789264245129-en#page1

²⁶ სახმელეთო ქარის ენერგია გულისხმობს ტურბინებს, რომლებიც განლაგებულია ხმელეთზე და ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად იყენებს ქარს. ოფშორული ქარის ენერგია არის, როდესაც ღია წყალზე (როგორც წესი, ოკეანეზე) არსებული ქარი გამოიყენება ელექტროენერგიის გენერაციისთვის.

ცხრილი 4 ასახავს სხვადასხვა ქვესექტორებში სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენების შემთხვევებს.

**ცხრილი 3. ყველაზე ხშირად გამოყენებული ფინანსური ინსტრუმენტები
სექტორების მიხედვით**

სექტორი	ინსტრუმენტი
ქარის ენერგია	თანაინვესტირება (ფონდის დონე)
მზის ენერგია	თანაინვესტირება (ფონდის დონე)
ბიომასა და ნარჩენები	ქვაკუთხედი წილი (ფონდის დონე)
ენერგოეფექტურობა	ქვაკუთხედი წილი (ფონდის დონე)
ჰიდროენერგია	თანაინვესტირება (ფონდის დონე)
მზის / ქარის ენერგია	წამყვანი ინვესტიცია CDO-ში
საზოგადოებრივი ტრანსპორტი	სესხი
წყალი	თანაინვესტირება (ფონდის დონე)
გარემოს აღდგენა	თანაინვესტირება (პროექტის დონე)
გეოთერმული ენერგია	სესხის გარანტია
ნარჩენების მართვა	სესხი/ლიკვიდურობის მექანიზმი

წყარო: ავტორების მიერ, OECD-ის კვლევაზე (2021 წ.) „რისკის აცილების ინსტიტუციური ინვესტიციები მწვანე ინფრასტრუქტურაში: 2021 წლის პროგრესის შეფასების განახლება“ დაყრდნობით მომზადებული ცხრილი.

ცხრილი 4. სხვადასხვა ქვე-სექტორებში გამოყენებული ფინანსური ინსტრუმენტები

	ქარის ენერგია		მზის ენერგია			ბიომასა და ნარჩენები	ენერგო- ეფექტურობა	ჰიდრო- ენერგია	საზ. ტრანსპორტი	წყალი		გარემოს აღდგენა	გეოთერმული	ნარჩენების მართვა	წყარო				
	ოფშორული	სახმელეთო	CSP ²⁷	ფვ/ PV ²⁸	სახურავის	CHP ²⁹	ელ. ენერგიის გენერაცია	აბალი აქტივი	განახლება	დიდი	მცირე	მეტრო	წყლის დისტრიბუცია	წყლის ხარისხის უზრუნვე.		წყალი	ჩვეულებრივი	ნარჩენები	
თანაინვესტირება (ფონდის დონე)	X	X	X	X	X	X	X	X	X	X		X	X						გმბ ³⁰ , გბ ³¹ , მიბ ³² , მთავრობა, ესს ³³ , სსს ³⁴ ,
სესხი	X	X	X	X		X	X				X	X	X			X		X	გმბ, გბ, მიბ, მთავრობა, ესს
დამცავი გარანტია		X		X										X					გმბ, მთავრობა
სუბორდინირებუ ლი სესხი						X													გმბ, გბ, მიბ
ქვაკუთხედი წილი (ფონდის დონე)		X		X		X	X	X	X									გმბ, მიბ, მთავრობა	

²⁷ კონცენტრირებული მზის ენერგია

²⁸ ფოტოვოლტური

²⁹ კომბინირებული სითბო და ელექტროენერგია

³⁰ განვითარების მრავალმხრივი ბანკი

³¹ განვითარების ბანკი

³² მწვანე ინვესტირების ბანკი

³³ ექსპორტის საკრედიტო სააგენტო

³⁴ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სუბიექტი

ფინანსური მობილიზაციის სტრატეგია

თანადაფინანსება	X	X															მიზ
თანაინვესტირება (პროექტის დონე)	X	X	X			X	X		X			X			X		გბ, მიზ, მთავრობა
საკრედიტო მექანიზმი		X															მიზ
სესხის გარანტია	X	X	X	X		X				X	X					X	ესს, მთავრობა, სსს
აკუმულაცია და გაერთიანება (Warehousing and Pooling)		X															მთავრობა
საშემოსავლო გარანტია	X	X	X	X													მთავრობა
წინასწარი შესყიდვის (Offtake) ხელშეკრულებები		X		X													მთავრობა
სუბორდინირებუ ლი კაპიტალი (ფონდის დონე)		X															გმზ, გბ, მთავრობა
საჯარო საწყისი კაპიტალი ან გრანტები		X	X	X		X			X								მთავრობა
სინდიკაციის პლატფორმა																	მთავრობა
საგადასახადო კრედიტები				X													მთავრობა

ფინანსური მობილიზაციის სტრატეგია

აქციონერთა სესხი							X											მიზ
წამყვანი ინვესტიცია CDO-ში																		-
ლიკვიდურობის მექანიზმი																X		-
საინვესტიციო დაზღვევა		X		X														-
პოლიტიკური რისკის დაზღვევა		X																-

წყარო: ავტორთა მიერ, OECD-ის კვლევაზე (2021 წ.) „რისკის აცილების ინსტიტუციური ინვესტიციები მწვანე ინფრასტრუქტურაში: 2021 წლის პროგრესის შეფასების განახლება“ დაყრდნობით მომზადებული ცხრილი.

1.4. მიდგომა და მეთოდოლოგია

ამ თავის მოსამზადებლად გამოყენებული მეთოდოლოგია მოიცავს სამაგიდო მიმოხილვას, ბენჩმარკინგის, დაინტერესებული მხარეების ჩართულობას და მონაცემთა ვალიდაციას/უკუკავშირის შეგროვებას. სამაგიდო მიმოხილვისას გაანალიზდა დაახლოებით 40 ლიტერატურული წყარო კლიმატის დაფინანსების შესახებ (იხილეთ: **ბიბლიოგრაფია**). გარდა ამისა, შეფასდა სტრატეგიები, მანდატები, ხელმისაწვდომი ფინანსური ინსტრუმენტები და პროექტების პორტფელების საჯაროდ გამჟღავნებული ინფორმაცია კლიმატის დაფინანსების არქიტექტურის ძირითადი გლობალური და ადგილობრივი სუბიექტების შესახებ, რომელიც შესაბამისი იყო საქართველოს ტექნოლოგიების საჭიროებების შეფასების (TNA) დაფინანსების თვალსაზრისით. საქართველოში კლიმატის დაფინანსების არქიტექტურის არსებული მდგომარეობის გასაგებად და TNA-ს პრიორიტეტული ქმედებებისთვის კლიმატის დაფინანსების გაზრდის შესაძლებლობების გამოსავლენად, ჩვენ პირველ რიგში შევაფასეთ კლიმატის დაფინანსების გლობალური არქიტექტურა, მიღებული გამოცდილების გამოსავლენად. შემდეგ განხორციელდა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა განვითარების მულტილათერალური ბანკების, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების, ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტების, საქართველოში მოქმედი საჯარო ფონდების, შესაბამისი სამთავრობო ინსტიტუტების, ასევე კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან. საქართველოს კლიმატ-დაფინანსების ფინანსური არქიტექტურის მახასიათებლების ამ ყოვლისმომცველმა ანალიზმა უზრუნველყო შესაბამისი ცოდნა ფინანსური მობილიზაციის სტრატეგიის რეკომენდაციების შესამუშავებლად.

2. დაფინანსების მდგომარეობა საქართველოში

2.1. კლიმატ-ტექნოლოგიების დასაფინანსებლად საქართველოს მთავრობის (ცენტრალური და ადგილობრივი) მიერ გამოყენებული დაფინანსების წყაროები და ფინანსური ინსტრუმენტები

2.1.1. ხელმისაწვდომი დაფინანსების ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს განსაზღვრული აქვს სათბურის გაზების ემისიების შემცირებისა და კლიმატის ცვლილების ზემოქმედებასთან ადაპტაციის სამიზნე მაჩვენებლები. ამ მიზნების მისაღწევად, მთავრობამ განაახლა ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი (NDC) 2021-2030 წლებისთვის, რომელიც მოიცავს როგორც შერბილების, ასევე ადაპტაციის ღონისძიებებს. თუმცა, მათ განსახორციელებლად აუცილებელია შესაბამისი კლიმატ-დაფინანსების ჩარჩოს ჩამოყალიბება. განვითარების პარტნიორების მხარდაჭერით, საქართველოს მთავრობამ შეაფასა კლიმატ-დაფინანსების მოთხოვნები და განსაზღვრა, რომ 8 მილიარდი ლარია საჭირო შერბილების უპირობო ქმედებების დასაფინანსებლად, ასევე დამატებით 5 მილიარდი ლარი - პირობიანი ქმედებების დასაფინანსებლად. შერბილების უპირობო ღონისძიებების დაფინანსების დანაკლისი ენერგეტიკის, ტრანსპორტის, შენობების და სოფლის მეურნეობის სექტორებში შეადგენს 206 მილიონ ლარს, ხოლო დანაკლისის უმეტესი ნაწილი (96%) ენერგეტიკის სექტორშია. უფრო მეტი სიცხადისთვის, ქვემოთ მოყვანილ ცხრილში 5- ში ნაჩვენებია თითოეული სექტორისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი და დაფინანსების დანაკლისი, რომელიც უნდა აღმოიფხვრას. ადაპტაციის ღონისძიებებისთვის, დანაკლისი შეფასებულია 4.8-6.4 მლნ ლარით.

ცხრილი 5. შერბილების უპირობო ღონისძიებებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი დაფინანსების წყაროსა და დაფინანსების დეფიციტის მიხედვით

სექტორი	სახელმწიფო ხარჯები (ლარი)	კერძო ინვესტიცია (ლარი)	საერთაშორისო სესხები და გრანტები (ლარი)	დეფიციტი (ლარი)	მთლიანი ბიუჯეტი (ლარი)
ენერგეტიკა	109,692,000	4,699,880,000	662,310,000	199,200,000	5,671,082,000
ტრანსპორტი	120,000		1,771,213,840	2,523,600	1,773,857,440
შენობები	2,623,896		164,157,840	1,429,560	168,211,296
სოფლის მეურნეობა			498,000	2,995,800	3,493,800

წყარო: NDC-ის დაფინანსების სტრატეგია და საინვესტიციო გეგმა (2022)

* აშშ დოლარი/ლარის დღიური ოფიციალური გაცვლითი კურსების საშუალო 2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 30 აგვისტომდე პერიოდში 2.60 იყო.

NDC-ის დაფინანსების სტრატეგიისა და საინვესტიციო გეგმის მიხედვით (2022), ეროვნული და მუნიციპალური მთავრობები, სახელმწიფო საწარმოები და საერთაშორისო განვითარების ფინანსური ინსტიტუტები არიან საქართველოში კლიმატის ცვლილების საპასუხო მოქმედების ძირითადი დამფინანსებლები და, სავარაუდოდ, შეინარჩუნებენ ამ მნიშვნელოვან როლს მომავალში. არსებობს კლიმატის ქმედებათა დაფინანსების სხვადასხვა არხები, მათ შორის: i) კერძო დაფინანსების არხები, ii) შიდა ბიუჯეტი, შიდა სახსრები და წახალისების მექანიზმები, ასევე, iii) საერთაშორისო ბილათერალური და მულტილათერალური თანამშრომლობა და ინვესტიციები, კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მიმართული ძალისხმევით. რამდენიმე სახელმწიფო ფონდი მიმართავს ეროვნულ და საერთაშორისო ფინანსებს მდგრადი განვითარების პროექტებისკენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ფონდებს არ გააჩნიათ მწვანე საინვესტიციო პორტფელი, მათი ზოგიერთი აქტივობა ხელს უწყობს კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის მცდელობებს: *საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი (GEDF)* ფუნქციონირებს როგორც ერთობლივი საწარმო, საჯარო-კერძო პარტნიორობის (PPP) ხელშეკრულებებით, და აფინანსებს განახლებადი ენერგიის პროექტების განვითარების საწყის ხარჯებს; *მუნიციპალური განვითარების ფონდი (მგფ)*, რომლის უპირველესი მიზანია საქართველოს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან, დონორი სააგენტოებისგან და ცენტრალური/ადგილობრივი ხელისუფლებისგან ფინანსური რესურსების მობილიზება რეგიონულ და მუნიციპალურ ინფრასტრუქტურასა და სერვისებში ინვესტირებისთვის; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მართავს დაქვემდებარებული *სს საპარტნიორო ფონდი, რომელიც* უმთავრესად აგრობიზნესზე, ენერგეტიკასა და უძრავ ქონებაზეა ფოკუსირებული; *საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდი (GRDF)* ინვესტიციებს ძირითადად ახორციელებს სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის სექტორებში თბილისის გარეთ. და ბოლოს, *საქართველოს თანაინვესტირების ფონდი* მუშაობს სხვადასხვა სფეროებში, მათ შორის ენერგეტიკის (ფოკუსირებულია ჰიდროპროექტებზე), ინფრასტრუქტურის, უძრავი ქონებისა და სოფლის მეურნეობის სფეროებში.

საქართველოში კლიმატთან დაკავშირებული პროექტების დაფინანსება, უპირველეს ყოვლისა, ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რასაც კოორდინაციას უწევს ფინანსთა სამინისტრო. ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემა (E-Budget) გამოიყენება საბიუჯეტო ხარჯების კატეგორიზაციისთვის ეკონომიკური, ფუნქციური და პროგრამული კლასიფიკაციების მიხედვით. თუმცა, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტში, ისე ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში, კლიმატის ცვლილების სპეციფიკური კომპონენტის არარსებობა ხელს უშლის საქართველოში კლიმატთან დაკავშირებული ხარჯების გამოყოფას და თვალყურის მიდევნებას.³⁵

³⁵ EU/UNDP (2022). NDC-ის დაფინანსების სტრატეგიისა და საინვესტიციო გეგმის საბოლოო დოკუმენტი. ტექნიკური ანგარიში. საქართველო

საქართველოს ცენტრალური მთავრობის 2023 წლის ბიუჯეტის საინფორმაციო დოკუმენტის მიხედვით, საბიუჯეტო რესურსებიდან 20.3 მლნ ლარი გამოეყოფა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (ემგს) ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისთვის, რომელიც, სხვა აქტივობებთან ერთად, მიმართულია აგრეთვე მწვანე ეკონომიკის განვითარებაზე (პროგრამული კოდი 24 01). 2023 წლისთვის, საქართველოს ცენტრალური მთავრობის ბიუჯეტში (პროგრამული კოდი 24 13) ასევე გამოყოფილია 4 მილიონი ლარი ტექნიკური დახმარების პროექტზე, „საქართველოს ენერგეტიკის სექტორის რეფორმის პროგრამის“ განხორციელების ხელშესაწყობად. პროექტის ფარგლებში, ემგს-ს დახმარება გაეწევა ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის სფეროში საკანონმდებლო ბაზის დანერგვაში. ღირებულებაში ასევე შედის შენობების გარემონტება ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნებით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

საქართველომ მიიღო დაფინანსება აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობისა და გარემოს დაცვის პარტნიორობისგან (E5P) და ევროპის საბჭოს განვითარების ბანკისგან (CEB) თბილისის 25 საჯარო სკოლის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციისა და ენერგოეფექტურობის გაზრდის ღონისძიებების პროექტისთვის. ამ მიზნით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 34.1 მლნ ლარი გამოეყოფა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს 2023-2026 წლებში (ცხრილი 7). ახლახან, საქართველომ ხელი მოაწერა 6.5 მილიონი ევროს ღირებულების NEFCO-ს ახალ პროექტს, რომელიც მხარს უჭერს ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებას ქვეყნის მაღალმთიანი რეგიონების 15 საჯარო სკოლაში.³⁶ ამ მთლიანი ინვესტიციიდან NEFCO-ს სესხით დაფინანსება შეადგენს 3.9 მლნ ევროს, ხოლო E5P გრანტით დაფინანსება შეადგენს 2.6 მლნ ევროს. აღნიშნული პროექტისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2023-2026 წლებში 19.5 მლნ ლარი გამოიყოფა. EBRD-ისა და KfW-ის მიერ დაფინანსებული პროექტისთვის „მწვანე ინვესტიციები შენობებში“, ამავე პერიოდისთვის ბიუჯეტიდან 183.5 მლნ ლარი გამოიყოფა.

გარდა ამისა, მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს „ბათუმის ავტობუსის“ პროექტს, რომელიც ფინანსდება E5P-ის გრანტით და EBRD-ის სესხით. პროექტი ითვალისწინებს ბათუმის მუნიციპალიტეტის ავტოპარკის გაფართოებას დიზელზე მომუშავე და ელექტრო ავტობუსებით (ამ უკანასკნელის 10 ერთეული). როგორც ცხრილი 6 აჩვენებს, ამ პროექტისთვის სახელმწიფო ბიუჯეტმა ბოლო ორი წლის განმავლობაში სულ 23.1 მლნ ლარის კაპიტალური ხარჯი გამოყო და 2023 წელს დამატებით 0.5 მლნ ლარის დახარჯვა იგეგმება. პროექტი ასევე ითვალისწინებს ტექნიკურ მხარდაჭერას „მწვანე ქალაქების სამოქმედო გეგმის“ მომზადებაში ქალაქ ბათუმის დასახმარებლად. E5P-ის გრანტით ასევე თანადაფინანსდა „თბილისის ავტობუსის“ პროექტი, რომლისთვისაც

³⁶ <https://e5p.eu/georgia/projects>.

იხილეთ ასევე: <https://georgiatoday.ge/energy-efficiency-modernizations-in-public-buildings-improve-learning-environments-support-energy-transition-in-georgia/>

საქართველომ მიიღო სუვერენული სესხი EBRD-ისგან, ახალი, თანამედროვე, შეკუმშულ ბუნებრივ აირზე (CNG) მომუშავე დაბალსართულიანი ავტობუსების შესაძენად, რაც ხელს შეუწყობს ჰაერის დაბინძურების მნიშვნელოვან შემცირებას. 2023 და 2024 წლებისთვის, ამ პროექტზე ცენტრალური მთავრობის ბიუჯეტიდან 35 და 499 მლნ ლარია გამოყოფილი, შესაბამისად. 2022 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ხელი მოაწერა სასესხო და საგრანტო ხელშეკრულებებს KfW-თან „მდგრადი ურბანული მობილობის პროექტისთვის“, რომელიც მიზნად ისახავს ურბანული ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის განვითარების, მათ შორის თბილისში გონიერი სატრანსპორტო სისტემის და სატრანზიტო დერეფნების შექმნის დაფინანსებას. პროექტმა უნდა გააუმჯობესოს ეკოლოგიური პირობები დედაქალაქში. ამ მიზნით, 243.5 მლნ ლარია გათვალისწინებული ბიუჯეტში 2023-2026 წლებისთვის.

ცხრილი 6. საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შერჩეული პროგრამები

კოდი	პროგრამა	განმახორციელებელი	2023 წ. პროექტი (ლარი)	2024 წ. პროგნოზი (ლარი)	2025 წ. პროგნოზი (ლარი)	2026 წ. პროგნოზი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
25 07 01 02	„თბილისის საჯარო სკოლების რეაბილიტაციისა და ენერგოეფექტურობის გაზრდის პროექტი“ (CEB, E5P)	მგვ	20,300.0	13,300	500.00		71,154.6
25 07 01 04 01	„მწვანე ინვესტიციები შენობებში“ (EBRD, KfW)	მგვ	2,000.0	60,500.0	60,500.0	60,500.0	183,500.0
25 07 01 04 02	„ენერგოეფექტურობის ღია პროგრამა (საჯარო შენობებში ენერგოეფექტურობის პროგრამა)“ (EBRD, KfW)	მგვ	1,500.0	52,500.0	52,500.0	52,500.0	159,000.0
25 07 01 05	„საქართველოს მთიან რეგიონებში საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება“ (E5P, NEFCO)	მგვ	500.0	10,000.0	9,000.0	0.0	19,500.0
55 13 02	„ბათუმის ავტობუსის პროექტი“ (E5P, EBRD)	მგვ	500.0	0.0	0.0	0.0	23,592.7
55 13 06	„თბილისის ავტობუსის	ფინანსთა	35,000.0	499,000.0	0.0	0.0	813,508.8

	პროექტი“ (II ფაზა) (EBRD)	სამინისტრო					
55 13 07	„მდგრადი ურბანული მობილობა“ (KfW)	ფინანსთა სამინისტრო	34,000.0	98,131.3	76,167.0	35,253.4	243,551.7

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

* აშშ დოლარი/ლარის დღიური ოფიციალური გაცვლითი კურსების საშუალო 2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 30 აგვისტომდე პერიოდში 2.60 იყო.

გარდა ცენტრალური ხელისუფლების რესურსებისა, შედარებით დიდი მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო დოკუმენტების მიმოხილვა ცხადყოფს, რომ თბილისისა და რუსთავის მუნიციპალიტეტების ერთ-ერთ პრიორიტეტულ პროგრამად რჩება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწყობა-განახლება. თბილისში იგეგმება მუნიციპალური ავტოპარკის ეტაპობრივი ჩანაცვლება ელექტრო და ჰიბრიდული ტრანსპორტით; ქალაქში მოეწყობა ახალი საცალფეხო ქუჩები და ველობილიკები; გარდა ამისა, გაუმჯობესდება საგზაო ინფრასტრუქტურა და მოძრაობის მართვის სისტემა. ამ მიზნით, 2023 წელს მუნიციპალური ბიუჯეტიდან ტრანსპორტის განვითარების ქვეპროგრამისთვის გამოყოფილია 24.9 მლნ ლარი, რომელიც სხვა აქტივობებთან ერთად, ასევე მოიცავს ელექტრო ტრანსპორტის დასამუხტი მოწყობილობების დამონტაჟებას მთელს ქალაქში, ასევე „საგზაო მოძრაობის კონტროლის ინტეგრირებული სისტემის“ გაუმჯობესებასა და განახლებას (ცხრილი 7). 86.1 მილიონი ლარი ეთმობა ქვეპროგრამას, რომელიც მიმართულია თბილისში საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე, აღდგენასა და მოვლაზე. რუსთავის მუნიციპალიტეტი 2023 წელს 27.2 მლნ ლარს გამოყოფს ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის, სადაც აქცენტი კეთდება ქალაქის ეკოლოგიურ პრობლემებზეც. ამ პროგრამის ფარგლებში განახლდა საქალაქო ავტობუსები, რამაც შეამცირა ქალაქის დაბინძურება მავნე გაზებით. გარდა ამისა, რუსთავის მუნიციპალიტეტი 2023 წელს 5.8 მლნ ლარს გამოყოფს საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამისთვის, რომელიც გზებისა და ტროტუარების შეკეთებას მოიცავს. ბათუმის 2023 წლის მუნიციპალური ბიუჯეტის მიხედვით, 2.2 მლნ ლარის დახარჯვა იგეგმება გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მოვლაზე. ბათუმის მუნიციპალიტეტი 2023 წელს ასევე საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა-რეაბილიტაციისთვის გამოყოფს 11.6 მლნ ლარს, რომლის ნაწილიც ეთმობა KfW-ის მხარდაჭერილი პროექტის - ბათუმის საბავშვო ბაღების რეკონსტრუქცია ენერგოეფექტურობის სტანდარტების შესაბამისად - თანადაფინანსებას.

ცხრილი 7. 2023 წლის მუნიციპალური ბიუჯეტები

ათასი ლარი

მუნიციპალიტეტი	კოდი	პროგრამა	2021 წ. ფაქტ.	2022 წ. გეგმა	2023 წ. პროექტი
ქალაქი თბილისი	01 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა	45,260.3	63,766.4	86,113.5
	01 02	ტრანსპორტის განვითარება	10,441.0	10,643.3	24,927.0
ქალაქი რუსთავი	02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება			27, 260.0
	02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება			5, 814.1
ქალაქი ბათუმი	02 01 01; 02 01 04	გზების, ქუჩების, და ტროტუარების მოვლა	1287.8	3,168.9	2,185.9
	04 01 02 - 04 01 03	საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა და რეაბილიტაცია	497	11,746.2	11,561.3

წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე

* აშშ დოლარი/ლარის დღიური ოფიციალური გაცვლითი კურსების საშუალო 2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 30 აგვისტომდე პერიოდში 2.60 იყო.

საქართველოს კლიმატის ცვლილების 2021-2023 წლების სტრატეგიის 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით, სასესხო და საგრანტო რესურსები, 1.8 მილიარდი ლარის საერთო ოდენობით, დაფინანსების დეფიციტის გარეშე, გამოყოფილია თბილისის „მწვანე სატრანსპორტო პოლიტიკის გეგმაში“ გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად, რომელიც ასევე მოიცავს ქუჩების რეაბილიტაციას მულტიმოდალური გეგმარების პრინციპების შესაბამისად (ცხრილი 8). ამ აქტივობის შედეგად, სამოქმედო გეგმის მიხედვით, თბილისში უძრავო ტრანსპორტით (ველოსიპედით და ფეხით) გადაადგილების პროცენტული წილი 2030 წლისთვის 35%-მდე უნდა გაიზარდოს (2016 წლის 27.15%-იანი საბაზისო მაჩვენებლიდან). საქართველოში ბიოდიზელის წარმოების ხელშეწყობასა და წახალისებისთვის მხოლოდ ადმინისტრაციული ხარჯებია გამოყოფილი. აღნიშნული აქტივობა ითვალისწინებს ბიოდიზელის წარმოებისა და გაყიდვების მონაცემების შეგროვებას, ასევე ტენდენციების მონიტორინგს ნახშირორჟანგის ემისიების შემცირების თვალსაზრისით. ქარის, მზის და ჰიდრო ენერგიის წარმოების ტექნიკურ და პროცედურულ მხარდაჭერასთან დაკავშირებული აქტივობები ძირითადად ფინანსდება კერძო სექტორის ინვესტიციებით, სს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდთან პარტნიორობით.

ცხრილი 8. საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიის 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის შერჩეული აქტივობები

აქტივობა/შედეგები	პასუხისმგებელი და პარტნიორი უწყებები	დაფინანსების წყარო			
		სახელმწიფო	სხვა	ორგანიზაცია	დეფიციტი
ქარის ენერგიიდან ელექტროენერგიის გამომუშავების ტექნიკური და პროცედურული მხარდაჭერის სამუშაოები. შედეგად, მოსალოდნელია, რომ 2024 წლამდე ქარის 9 ელექტროსადგური (ქესი) აშენდება.	პასუხისმგებელი უწყება: ემგს. პარტნიორი უწყებები: GEDF; კომპანიები, რომლებიც მართავენ ამ აქტივობის განხორციელებისთვის შესაბამის ენერგო სადგურებს		2,178,000,000.0 ლარი (ინვესტიცია)	იმერეთის ქესი – შპს „უსასრულო ენერგია“; რიკოთი-ფონას ქესი – შპს „ტაბა“; თბილისის ქესი – სს „კავკასიის ქარის კომპანია“; კასპის ქესი – სს „კავკასიის ქარის კომპანია“; სამგორის ქესი – შპს „ვენტო“; ზესტაფონის ქესი – შპს „ზესტაფონის ქარის ელექტროსადგური“; 1 ნიგოზას ქესზე გარემოსდაცვითი დასკვნა ამ დრომდე არ არის მიღებული (სტატუსი: 24.02.2021 წ.) 2 ნიგოზას ქესი – სს „ჩალიკ ჯორჯია ვინდი“; რუისის ქესი – შპს „რუისის ქარის ელექტროსადგური“; დირბულას ქესი – შპს „სინთე“.	დაფინანსების დეფიციტი არ არის
მზის ენერგიიდან ელექტროენერგიის გამომუშავების ტექნიკური და პროცედურული მხარდაჭერის სამუშაოები. შედეგად, მოსალოდნელია, რომ 2024 წლამდე მზის 7 ელექტროსადგური აშენდება.	პასუხისმგებელი უწყება: ემგს. პარტნიორი უწყებები: GEDF; კომპანიები, რომლებიც მართავენ ამ აქტივობის განხორციელებისთვის		209,880,000.0 ლარი (ინვესტიცია)	უდაბნოს მზის სადგური - შპს „საქართველოს მზის კომპანია“; გარდაბნის მზის სადგური - EBRD; მარნეულის მზის სადგური - შპს „ნიუ ჯენერეიშენი“; საგარეჯოს მზის სადგური - სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“	დაფინანსების დეფიციტი არ არის

	შესაბამის ენერგო სადგურებს				
ჰიდროელექტროსადგურების ტექნიკური და პროცედურული მხარდაჭერის სამუშაოები. შედეგად, მოსალოდნელია, რომ 2024 წლამდე აშენდება 10 ჰიდროელექტროსადგური (ჰესი).	პასუხისმგებელი უწყება: ემგს. პარტნიორი უწყებები: GEDF; კომპანიები, რომლებიც მართავენ ამ აქტივობის განხორციელებისთვის შესაბამის ენერგო სადგურებს		1,980,000,000.0 ლარი (ინვესტიცია)	კირნათი ჰესი - შპს „აჭარ ენერჯი 2007“; ხობი ჰესი - შპს „ქართლი საინვესტიციო ჯგუფი ენერგია“; მტკვარი ჰესი - შპს „მტკვარი ჰესი“; მესტიაჭალა 1 ჰესი - სს „სვანეთი ჰიდრო“; სტორი 1 ჰესი - შპს „გოტა 21“; სამყურიწყალი 2 ჰესი - შპს „ფერი“; მეტეხი 1 ჰესი - შპს „ფაზისი ენერჯი და იენუგენი“; ღები ჰესი - შპს „ფაზისი ენერჯი და იენუგენი“; ჭიორა ჰესი - შპს „ჭიორა ჰესი“; ზოტი ჰესების კასკადი - სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის კომპანია“.	დაფინანსების დეფიციტი არ არის
თბილისის მწვანე სატრანსპორტო პოლიტიკის გეგმაში გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის თბილისის ავტობუსის რეფორმა; მეტროს მოდერნიზაცია; საბაგიროს მშენებლობა; გონიერი სატრანსპორტო სისტემის დანერგვა; ზონალურ-საათობრივი პარკირების დანერგვა; და მულტიმოდალური გეგმარების პრინციპების	პასუხისმგებელი უწყება: თბილისის მერია. პარტნიორი უწყებები: შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ შპს „თბილისის მიკროავტობუსი“ თბილისის პარკინგი		1,762,200,000.0 ლარი (სესხი, გრანტი)	EBRD, ADB, KfW, AFD	დაფინანსების დეფიციტი არ არის

შესაბამისად ქუჩების რეაბილიტაცია. ამ უკანასკნელი აქტივობის კუთხით, მოსალოდნელია მინიმუმ ერთი ქუჩის რეაბილიტაცია მულტიმოდალური გეგმარების პრინციპების შესაბამისად 2023 წლის მეოთხე კვარტლისთვის.					
ბიოდიზელის წარმოების ხელშეწყობა; ბიოდიზელის წარმოებისა და რეალიზაციის შესახებ მონაცემების შეგროვება; ტენდენციების მონიტორინგი ნახშირორჟანგის ემისიების შემცირების კუთხით. ამ აქტივობის შედეგად მოსალოდნელია ბიოდიზელის წარმოებისა და რეალიზაციის მონაცემთა ბაზის შექმნა.	პასუხისმგებელი უწყება: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. პარტნიორი უწყებები: შპს „ბიოდიზელ ჯორჯია“; საქართველოს ბიომასის ასოციაცია	ადმინისტრაციული ხარჯები			

წყარო: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

* აშშ დოლარი/ლარის დღიური ოფიციალური გაცვლითი კურსების საშუალო 2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 30 აგვისტომდე პერიოდში 2.60 იყო.

2.1.2 საქართველოს მთავრობის მიერ გამოყენებული ფინანსური ინსტრუმენტები

საქართველოში არსებობს ინსტიტუტები, რომლებიც მუშაობენ ბიზნესების/ბიზნეს პროექტების დაფინანსებაზე და დაინტერესებულ განმცხადებლებს სთავაზობენ მხარდაჭერის სხვადასხვა ინსტრუმენტებს. მათ შორისაა “აწარმოე საქართველოში” და სოფლის განვითარების სააგენტო (სგს/RDA). “აწარმოე საქართველოსა” და სგს-ს გარდა, საქართველოში არსებობს რამდენიმე სახელმწიფო ფონდი, რომლებიც გამოყოფენ ეროვნულ და საერთაშორისო ფინანსებს მდგრადი განვითარების პროექტებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ამ ფონდებს არ გააჩნიათ მწვანე საინვესტიციო პორტფელი, მათ წვლილი შეაქვთ კლიმატის ცვლილების შერბილებასა და ადაპტაციაში. ქვეთავში 2.1.1. შეჯამებულია აღნიშნული ფონდების მუშაობის სფერო, ქვემოთ კი, მოცემულია “აწარმოე საქართველოში”-ს და სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამების ფარგლებში შეთავაზებული მხარდაჭერის მოდელებისა და „მწვანე ფოკუსის“ მიმოხილვა.

ამ კვლევაში, “აწარმოე საქართველოში”-სა და სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამები სამ კატეგორიადაა დაყოფილი, მათ მიერ მწვანე დაფინანსებისთვის შეთავაზებული შესაძლებლობების მიხედვით. პირდაპირი „მწვანე ფოკუსის“ მქონე პროგრამებია ის მხარდაჭერის სქემები, რომლებიც ცალსახად განსაზღვრავენ, რომ მხოლოდ მწვანე პროექტებზე/ტექნოლოგიებზე არიან გათვლილი. ასეთი სქემების მაგალითია სოფლის განვითარების სააგენტოს სქემა - „მწვანე გრანტების“ კომპონენტი, რომელიც უზრუნველყოფს ხარჯების გაზიარების გრანტებს მზის ენერგიაზე მომუშავე მარტივი ტიპის წყლის გამაცხელებლებისთვის და მზის ენერგიაზე მომუშავე ჰაერის გამათბობლებისთვის, ვაკუუმური ტიპის წყლის გამაცხელებლებისთვის, შენობების თბოიზოლაციისა და სრული თბოიზოლაციისთვის. ასევე არსებობს პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფენ მწვანე დაფინანსების არაპირდაპირ შესაძლებლობას. მიუხედავად იმისა, რომ მხარდაჭერის ამ უკანასკნელ სქემებს არ აქვთ პირდაპირ მწვანე აქცენტი, პოტენციურად შესაძლებელია მათი გამოყენება მწვანე პროექტების დასაფინანსებლად. მაგალითად, “აწარმოე საქართველოში”-ს ბიზნესის განვითარების მიმართულების ფარგლებში არსებობს გარკვეული პრიორიტეტული დარგები, რომლებიც შეიძლება ირიბად მოიცავდეს მწვანე პროექტებს (მაგ. სამშენებლო მასალები, სახმელეთო ტრანსპორტის თანმხლები სერვისების აქტივობები და ა.შ.). და ბოლოს, არსებობს პროგრამები, რომლებიც ნაკლებად შესაბამისია მწვანე პროექტებისთვის, როგორცაა, მაგალითად, მხარდაჭერის სქემები, რომლებიც ორიენტირებულია ნიშურ ეკონომიკურ სასოფლო-სამეურნეო აქტივობებზე (მაგ. მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ერთიანი საწარმოო უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა სგს-ს ფარგლებში). თუმცა, ასეთი მხარდაჭერის სქემების პირობებშიც კი შეიძლება აღმოჩნდეს მწვანე კომპონენტის მქონე პროექტების დაფინანსების შესაძლებლობა.

გარდა მწვანე აქცენტისა, “აწარმოე საქართველოში”-ს და სოფლის განვითარების სააგენტოს დაფინანსების სქემები შეიძლება დაიყოს მათ მიერ

გამოყენებული მხარდაჭერის მოდელების მიხედვით. ამ პროგრამებში დანერგილია მხარდაჭერის სხვადასხვა მექანიზმი, როგორიცაა პრივატიზაცია, ხარჯების განაწილების გრანტი (მაგ., როდესაც გრანტის გაცემის წინაპირობაა განმცხადებლის ფინანსური წვლილი), საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება, საკრედიტო გარანტია, საჭირო საშუალებების სუბსიდირება (მაგ. გარკვეული სასოფლო-სამეურნეო აქტივობების განსახორციელებლად საჭირო საქონლის ღირებულების სუბსიდირება) და ტექნიკური დახმარება. დანართში 3 მოცემულია “აწარმოე საქართველოში”-ს და სოფლის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერის პროგრამების მიმოხილვა, მათი მხარდაჭერის სქემების, და შესაძლებლობების მიხედვით, რომლებსაც ისინი სთავაზობენ მწვანე დაფინანსებისთვის, და აღწერილია ამ მხარდაჭერის პროგრამების რამდენიმე შერჩეული საილუსტრაციო მაგალითი.³⁷

³⁷ მნიშვნელოვანია, რომ დანართი 3 მიმოიხილავს სგს-ს როგორც მიმდინარე, ასევე შეჩერებულ პროგრამებს. შეჩერებული პროგრამები არის ისეთი მხარდაჭერის სქემები, რომლებიც დროებით შეჩერებულია, განაცხადების მიღება დახურულია, მაგრამ შესაძლოა მალე განახლდეს.

2.1.3. პოლიტიკის გარემოსთან დაკავშირებული ბარიერები შერჩეულ ტექნოლოგიებში ინვესტირებისთვის

ენერგეტიკის სექტორი

საქართველოს ენერგეტიკის სექტორი 1997 წლიდან რეგულირდება „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომელიც მხარს უჭერს განახლებადი და სუფთა ალტერნატიული რესურსების უპირატეს გამოყენებას. 2006 წელს საქართველომ დაამტკიცა „საქართველოს ენერგეტიკულ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები“, სადაც აქცენტი კეთდება ადგილობრივი განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენებაზე და ქარის, მზის და გეოთერმული ენერგიის განვითარებაზე.

საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში პირველი წამახალისებელი მექანიზმი იყო 2008 წელს სახელმწიფოსა და ინვესტორებს შორის ელექტროსადგურების მშენებლობის შესახებ მემორანდუმის გაფორმება და გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების (PPA) ხელმოწერა. 2017 წელს, პოტენციური ფისკალური რისკების თავიდან აცილების მიზნით, სახელმწიფომ შეაჩერა გარანტირებული სიმძლავრის ხელშეკრულების პროცესი და 2018 წელს შეიმუშავა საჯარო-კერძო პარტნიორობის (PPP) კანონი, რითაც შექმნა ახალი ჩარჩო ენერგეტიკული პროექტების განვითარებისთვის. პარალელურად, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ახალი ჩარჩო პროექტებისთვის, რომლებიც არ აკმაყოფილებდნენ PPP-ის კრიტერიუმებს. ეს ცვლილებები მიზნად ისახავდა სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი განახლებადი ენერგიის სადგურების მშენებლობის ხელშეწყობას მინიმალური ფინანსური რისკებით. თუმცა, აღნიშნულმა სქემამ დიდი სარგებელი ვერ მოიტანა.

საქართველომ, საერთაშორისო ხელშეკრულებებით, განახლებადი ენერგიის აქტიური ხელშეწყობის ვალდებულება აიღო. 2014 წელს „ასოცირების შეთანხმების“ ხელმოწერით³⁸ ქვეყანამ პირობა დადო, გააძლიეროს თანამშრომლობა ენერგეტიკის სფეროში. გარდა ამისა, 2017 წელს საქართველო გახდა „ენერგეტიკული გაერთიანების“ წევრი და აიღო თავისი პოლიტიკის ევროპულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის ვალდებულება. საქართველომ ასევე დაისახა მდგრადი განვითარების მიზნები და მიიღო შესაბამისი ეროვნული დოკუმენტი.³⁹

საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებასთან ერთად, საქართველო აქტიურად ცდილობს აღებული ვალდებულებების ხელშეწყობას და რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილების განხორციელებას განახლებადი ენერგიის სექტორში.

2016 წელს შემოღებული იქნა „ნეტო აღრიცხვა“, მომხმარებლის საკუთრებაში არსებული განახლებადი ენერგიის მიკროელექტროსადგურების განვითარების

³⁸ ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის (ასოცირების შეთანხმება).

³⁹ ხელმისაწვდომია: <https://sdg.gov.ge/text-page/34>

წახალისების მიზნით. 2019 წელს რეგულაცია შეიცვალა და შესაძლებელი გახდა მომხმარებელთა ჯგუფების ერთობლივი თანამონაწილეობა, ხოლო 2020 წელს მაქსიმალური დასაშვები დადგმული სიმძლავრე 100 კვტ-დან 500 კვტ-მდე გაიზარდა. ასევე, გაუქმდა მოთხოვნა, რომ მიკროელექტროსადგურები ფიზიკურად განთავსებული უნდა ყოფილიყო ელექტროენერგიის მოხმარების ადგილზე, რითაც გაფართოვდა ენერგიის წყაროს მდებარეობის გეოგრაფიული არეალი და მეტი შესაძლებლობები შექმნა დაინტერესებული მხარეებისთვის.

განახლებადი ენერგიის წყაროების ქსელში ინტეგრირება, რაც გულისხმობს ქარისა და მზის ენერგიის გამომუშავების სისტემების მიერთებას, სხვა განახლებად წყაროებთან ერთად, ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. შესაბამისად, არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება 2014 წლის 17 აპრილს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) მიერ დამტკიცებულ N10 დადგენილებას „ქსელის წესების“ დამტკიცების შესახებ, ასევე საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ 2015 წელს დამტკიცებულ „საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიან გეგმას“. ეს უკანასკნელი, წარმოადგენს გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ შემუშავებულ სტრატეგიულ დოკუმენტს და არის გარკვეული პერიოდისთვის გათვლილი პროგრამა, რომელიც შეიქმნა ეროვნული გადამცემი სისტემის ინფრასტრუქტურის გასაძლიერებლად. აღნიშნულ გეგმაში ცვლილებები ყოველწლიურად შედის და დღეის მდგომარეობით ის 2022-2032 წლებს მოიცავს. დოკუმენტი ასახავს განახლებადი რესურსების ინტეგრაციის მიმდინარე პრობლემებს და პასუხობს მომავალ გამოწვევებსა და განხორციელების შესაძლებლობებს.

2019 წელს, საერთაშორისო ვალდებულებების შესასრულებლად⁴⁰ და განახლებადი ენერგიის წყაროების ხელშესაწყობად, ქვეყანამ დანერგა ენერგეტიკული ბაზრის ლიბერალიზაციის პოლიტიკა, დაამტკიცა კანონი „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ - ენერგეტიკის სექტორის რეგულირებისთვის და 2020 წელს გამოსცა დადგენილება „ელექტროენერგიის ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“. ამ კანონების შემოღების მიზანი იყო ახალი კონკურენტული ბაზრის განვითარების ხელშეწყობა, ენერგეტიკული ბაზრის გამჭვირვალობის გაზრდით და დაინტერესებული ინვესტორებისთვის მონაცემებთან წვდომის და საქმიანობის უკეთ დაგეგმვის შესაძლებლობის მიცემით. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ხელს უწყობს ბაზრის ეფექტურ ფუნქციონირებას და განახლებების ოპტიმალურ გამოყენებას.

საქართველომ 2019 წელს მიიღო პირველი „განახლებადი ენერგიის ეროვნული სამოქმედო გეგმა“ და კანონი „განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“. გეგმა მიზნად ისახავდა განახლებებისა და სუფთა ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობას, ხოლო კანონმა შექმნა მარეგულირებელი ჩარჩო განახლებადი წყაროებიდან ენერგიის გამომუშავების ხელშესაწყობად. კანონი ითვალისწინებს ახალი სამოქმედო გეგმის

⁴⁰ ხელმისაწვდომია: https://mof.ge/images/File/2020-biujeti/sxvadasxva/FRS_2019_I%20submission.pdf

შემუშავებას ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, საქართველოს მთავრობისთვის წარსადგენად. კანონი „განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ ქმნის სამართლებრივ საფუძველს განახლებადი ენერგიის წარმოების ხელშეწყობის მექანიზმების, ე.წ. მხარდაჭერის სქემებისთვის. ასეთი ინსტრუმენტები ფართოდ გამოიყენება საერთაშორისო დონეზე. მაგალითად, ასეთ მექანიზმებად განიხილება ე.წ. „პრემიალური ტარიფის“, „მწვანე სერტიფიკატის“, „ფასთა სხვაობის ხელშეკრულებების“ და „სპეციალური მწვანე ტარიფის“ შემოღება, რომლებიც ფართოდ გამოიყენება საერთაშორისო პრაქტიკაში.

აღნიშნული კანონის ფარგლებში, საქართველოს მთავრობამ 2020 წლის 2 ივლისის N403 დადგენილებით დაამტკიცა მხარდაჭერის ახალი სქემა, რომელიც მიზნად ისახავდა კერძო ინვესტორების მიერ საქართველოში 5 მეგავატზე მეტი დადგმული სიმძლავრის განახლებადი ენერგიის ელექტროსადგურების მშენებლობასა და ოპერირებას. ის შემუშავდა, როგორც ფასთა სხვაობის ხელშეკრულების (CfD) მაგალითი და მოიცავდა მხარდაჭერის პერიოდს და პრემიალურ განაკვეთს. თუმცა, ბაზრის არ გახსნის გამო, სქემა არ განხორციელდა. კერძო სექტორის წინასწარი შეფასებით, ეს წამახალისებელი სქემა არასაკმარისად იქნა მიჩნეული ქვეყანაში მწვანე ენერგიის სფეროში ინვესტიციების ხელშეწყობისთვის. ამიტომ, პრემიერ-მინისტრმა 2022 წლის დეკემბერში დააანონსა ცვლილებები კანონში, ახალი წამახალისებელი მექანიზმის შემოსაღებად, რომელიც დაფუძნებულია ფასთა სხვაობის ხელშეკრულების (CfD) მოდელზე, როგორიცაა PPA-ები, რათა ხელი შეუწყოს 1,500 მეგავატამდე სიმძლავრის ელექტროსადგურის მშენებლობას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2021 წელს სემეკმა მიიღო დადგენილება N58 – „განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერგიის წარმოშობის სერტიფიკატის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, განახლებადი რესურსებიდან ენერგიის წარმოების ხელშეწყობის მიზნით. სერტიფიკატი მომხმარებელს ინფორმაციას მიაწვდის განახლებადი წყაროებიდან წარმოებული ენერგიის წილისა და რაოდენობის შესახებ. ეს შეიძლება გახდეს ზოგიერთი საწარმოს ევროპულ ბაზარზე შესვლისა და გარკვეული ფინანსური სარგებლის მიღების საფუძველი. ერთის მხრივ, აღნიშნული სავარაუდოდ წახალისებს მწარმოებელს გაზარდოს განახლებადი წყაროებიდან წარმოებული ელექტროენერგიის რაოდენობა, მწვანე მწარმოებლის რეპუტაციის მოსაპოვებლად. მეორეს მხრივ, კომერციული სექტორი წახალისდება, მეტად გამოიყენოს განახლებადი ენერგია, პოტენციური სარგებლის გამო, მწვანე ენერგიაზე მოთხოვნის პარალელურად. გარდა ამისა, მწვანე სერტიფიკატის ფლობა ელექტროენერგიის მწარმოებელს პირდაპირი დამატებითი ფინანსური სარგებლის მიღების საშუალებას აძლევს. სემეკის მიერ დამტკიცებული წესების საფუძველზე, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ელექტროენერგიის წარმოშობის სერტიფიკატების გაცემას 2023 წლიდან დაიწყებს. 2023 წლიდან, ელექტროენერგიის წარმოშობის სერტიფიკატის აღება სავალდებულო იქნება განახლებადი ენერგიის ყველა მწარმოებლისთვის.

ამჟამად, მიმდინარეობს მუშაობა განახლებადი ენერგიის გრძელვადიანი (2030) სამოქმედო გეგმის შესაქმნელად. ეს გეგმა იქნება ენერგეტიკისა და კლიმატის ინტეგრირებული გეგმის ნაწილი, რომლის შემუშავებაც ხორციელდება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.

შენობები

ტექნოლოგიების სამოქმედო გეგმის დოკუმენტმა გამოავლინა სხვადასხვა სექტორში შერჩეული ტექნოლოგიების დანერგვასთან დაკავშირებული ბარიერები. შერჩეული ტექნოლოგიების დანერგვის ძირითადი ბარიერები უკავშირდება კერძო სექტორისთვის არახელსაყრელ მარეგულირებელ, ფინანსურ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით პირობებს. კვლევა მიუთითებს, რომ ელექტროენერგიის დაბალი ტარიფები, საწყისი კაპიტალის მაღალი ხარჯები, უკუგების ხანგრძლივი პერიოდი და ეფექტური, დაბალი საპროცენტო განაკვეთების და გრძელვადიანი დაფინანსების ვარიანტების არარსებობა კიდევ უფრო აფერხებს ამ სფეროში ტექნოლოგიების განვითარებას. გარდა ამისა, არასათანადო საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩო წარმოადგენს მნიშვნელოვან დაბრკოლებას შენობების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებისთვის. ყოვლისმომცველი რეგულაციებისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმების არარსებობა იწვევს ამ სექტორში მოქმედი კომპანიების არასრულყოფილ მუშაობას. შენობებში ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებისთვის გამოვლენილი სხვა ბარიერებია არასაკმარისი ტექნიკური შესაძლებლობები და კვალიფიციური ადამიანური რესურსების სიმცირე. ენერგოეფექტური ტექნოლოგიების სიღრმისეული ცოდნით აღჭურვილი პროფესიონალების ნაკლებობა აფერხებს კომპანიებს, დააკმაყოფილონ სტანდარტები და მიაღწიონ სასურველ შედეგებს. გარდა ამისა, ნიადაგის ლურსმნებით გამაგრების (კლიმატის ცვლილებისადმი მოწყვლად ადგილებში მიწის სტრუქტურის გამაგრების ადაპტაციური ტექნოლოგია) ახალი და სპეციალიზებული აღჭურვილობის ნაკლებობამ შეიძლება შეაფერხოს მეწყერსაშიში დამცავი ღონისძიებების გატარება, მით უფრო რომ, მაღალი მეწყერსაშიშროების ტერიტორიები ჯერ არ არის საფუძვლიანად შესწავლილი, რაც დამატებითი გამოწვევაა. და ბოლოს, ინფორმირებულობისა და ცნობიერების ნაკლებობა ენერგოეფექტური შენობების დადებითი ფინანსური ეფექტების შესახებ კიდევ უფრო მეტად უშლის ხელს შენობების ენერგოეფექტურობის ღონისძიებების გატარებას საქართველოში.

ტრანსპორტის სექტორი

სამაგიდო კვლევამ აჩვენა, რომ პოლიტიკის გაუმჯობესება და ხელშემწყობი გარემოს შექმნა საქართველოში ავტობუსების სწრაფი ტრანზიტის სისტემის მხარდასაჭერად, ასევე მარეგულირებელი ჩარჩოს გაძლიერება, წარმოადგენს პრიორიტეტულ ნაბიჯებს. ამჟამად საქართველოს არ გააჩნია ცენტრალური

ხელისუფლების განსაზღვრული პოლიტიკა, სტრატეგია და სახელმძღვანელო მითითებები მუნიციპალური დონის ურბანულ ტრანსპორტთან დაკავშირებით.⁴¹

ძლიერი მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავება ასევე აუცილებელია ელექტრო ტრანსპორტის ხელშესაწყობად და არასათანადო საკანონმდებლო სტრუქტურასთან დაკავშირებული ბარიერების დასაძლევად. დაინტერესებული მხარეები ხაზს უსვამენ ელექტრო ავტომობილების დასაძლევტი ინფრასტრუქტურის დაყენების გამოწვევებს. პრობლემურია შესაბამისი სამთავრობო უწყებებიდან ავტოსადგომებზე დასაძლევტი სადგურების დამონტაჟებაზე ნებართვების მიღების პროცესი. გარდა ამისა, შეღავათები ხელმისაწვდომია მხოლოდ საჯარო სარგებლობის დასაძლევტი პუნქტების დაყენებისთვის, რაც ზღუდავს კერძო პუნქტების მონტაჟის წახალისებას.

რაც შეეხება ბიოდიზელის წარმოებას, აქ კერძო სექტორი მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას არახელსაყრელი საგადასახადო სისტემის გამო. კერძოდ, მინერალურ დიზელში 10% მინარევის სახით ბიოდიზელის დამატება საგადასახადო მიზნებისთვის კლასიფიცირდება როგორც საწვავის წარმოება და ექვემდებარება დამატებით დაბეგვრას. აღნიშნული საგადასახადო საკითხების მოგვარება აუცილებელია ქვეყანაში ბიოდიზელის წარმოების ზრდის ხელშეწყობისთვის.

სოფლის მეურნეობის სექტორი

ტექნოლოგიების სამოქმედო გეგმის დოკუმენტის თანახმად, სოფლის მეურნეობის სექტორის სამივე სამიზნე ტექნოლოგიისთვის გამოწვევაა არასრულფასოვანი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა. გარდა ამისა, სახელმწიფო სტრუქტურებში მკაფიოდ განსაზღვრული პასუხისმგებლობის არარსებობა და არსებული კანონმდებლობის აღსრულების სირთულე ქმნის გაურკვევლობას და არაეფექტურობას განხორციელების პროცესში.

მიწის რესურსებზე ფერმერების წვდომას აფერხებს მიწის პრობლემური რეგისტრაცია და სამოვრების იჯარით გაცემა. გარდა ამისა, სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების არასრული რეგისტრაცია და სამოვრების არაფორმალური გამოყენება ართულებს რესურსების ეფექტურ მართვისა და ოპტიმიზაციას. ეს დასკვნები ასევე დასტურდება დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებით, რაც განხილულია თავში 2.4.2.2.

რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო ნარჩენების სასუქად გამოყენებას, გამოწვევები მოიცავს სასოფლო-სამეურნეო ნარჩენების მართვის სპეციალური მარეგულირებელი ჩარჩოს არარსებობას და აღსრულების არასათანადო მექანიზმებს. არ არსებობს ჯარიმები ფერმერებისთვის, რომლებიც არასწორად

⁴¹ რემისია (2023). საქართველოს კლიმატ-ტექნოლოგიების საჭიროებების შეფასება. ტექნოლოგიების სამოქმედო გეგმა.

მართავენ ნაკელს და აბინძურებენ გარემოს, ასევე არ არსებობს სტიმულირების მექანიზმები ფერმერებისთვის, რომლებიც სწორად მართავენ ნაკელს.

სასოფლო-სამეურნეო მიწების კონსერვაციული მეთოდებით დამუშავებისთვის ასევე არ არსებობს მხარდამჭერი სამართლებრივი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობდა კოოპერატივების საქმიანობას. კოოპერატივების შექმნა და ფუნქციონირება როგორც წესი სტიმულირებულია სახელმწიფო ან დონორი პროგრამებით, რაც ართულებს პროცესს. ხელშემშლელ ფაქტორებად გამოიკვეთა ასევე რეგისტრაციის, და წესდებაში ცვლილებების შეტანის სირთულეები.

2.2. დონორების მიერ კლიმატ-ტექნოლოგიების დასაფინანსებლად გამოყენებული წყაროები და ფინანსური ინსტრუმენტები

კლიმატის საერთაშორისო დაფინანსება მნიშვნელოვანი დასაყრდენია საქართველოში კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის ტექნოლოგიების დაფინანსებისთვის. კლიმატის საფინანსო ნაკადების აღრიცხვამ აჩვენა, რომ კლიმატის საერთაშორისო დაფინანსება საქართველოში ძირითადად საჯარო არხებით ხორციელდება, კერძოდ, ბილათერალური და მულტილათერალური ფინანსური მექანიზმებით/ინსტიტუტებით, მათ შორის კლიმატის მულტილათერალური ფონდებიდან, როგორიცაა ადაპტაციის ფონდი (AF), კლიმატის მწვანე ფონდი. (GCF) და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი (GEF). საერთაშორისო კერძო სექტორის დაფინანსება საქართველოში ძირითადად მოედინება სპეციალური გლობალური და რეგიონული საინვესტიციო მექანიზმებით, რომლებიც ეფუძნება საჯარო-კერძო პარტნიორობას და შერეული ფინანსური სტრუქტურების კაპიტალიზაციას ახდენს.

ამ ბილათერალური და მულტილათერალური სუბიექტებისგან მობილიზებული კლიმატის მთლიანი დაფინანსება მზარდია, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის საკმარისი ქვეყნის NDC-ის საჭიროებების უზრუნველსაყოფად, კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის პრიორიტეტული ტექნოლოგიების დაფინანსების საჭიროების ჩათვლით (წყარო: OECD, ორწლიური ანგარიშები, NDC-ის დაფინანსების სტრატეგია და საინვესტიციო გეგმა).

საქართველოში კლიმატის დაფინანსების მულტილათერალური წყაროები ძირითადად მოემართება განვითარების მულტილათერალური ბანკებისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მეშვეობით, ჯამში სულ 7 ინსტიტუტია აქტიური კლიმატთან დაკავშირებულ დაფინანსებაში საქართველოში. საოპერაციო მოდელის ლიტერატურულმა მიმოხილვამ გამოავლინა, რომ გმბ-ებს ესაჭიროებათ გარე საგრანტო რესურსები ან შეღავათიანი დაფინანსება, რომ შეამცირონ მათი ფინანსების ღირებულება და გააფართოონ მულტილათერალური შეღავათიანი კლიმატის დაფინანსება. ამ მიზნით, ეს გმბ-ები ასევე ფინანსდება დაფინანსების ბილათერალური წყაროებიდან, ისევე როგორც კლიმატის მულტილათერალური ფონდებიდან, როგორიცაა GEF, AF და GCF-ი. დაინტერესებულ მხარეებთან

განხილვამ აჩვენა, რომ დაფინანსების ხელმისაწვდომობის უწყვეტობა და მასშტაბი ხშირად დამოკიდებულია დონორთა დაფინანსებაზე და მათ მანდატებზე პრიორიტეტული სექტორებისა და ქვეყნების თვალსაზრისით. *აქედან გამომდინარე, საქართველოს შეუძლია იკისროს უფრო ძლიერი წამყვანი როლი ბილატერალური და მულტილათერალური დახმარების კოორდინაციაში „ტექნოლოგიების საჭიროებების შეფასების“ პრიორიტეტული სექტორებისთვის, მათ შორის დონორთა ბაზის დივერსიფიკაციისა და არსებული დონორებისგან პრიორიტეტული კლიმატ-ტექნოლოგიებისთვის დაფინანსების გაზრდის გზით.*


2.2.1. ხელმისაწვდომი დაფინანსების ზოგადი მიმოხილვა

საქართველოში არსებული კლიმატის ფინანსური ნაკადების მიმოხილვის მიხედვით, კლიმატის საერთაშორისო საჯარო დაფინანსება (როგორც ბილატერალური, ასევე მულტილათერალური) შეადგენდა საქართველოში კლიმატის ფინანსური ნაკადების უმეტეს ნაწილს (NDC-ის დაფინანსების სტრატეგია და საინვესტიციო გეგმა, საგარეო დახმარებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მართვის ელექტრონული სისტემა (eAIMS), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მხარდაჭერის კომისია (OECD DAC)). ამ კუთხით, ქვეყანამ გამოიყენა [კლიმატის დაფინანსების გლობალური არქიტექტურა](#), როგორც ნიმუში კლიმატის საჯარო დაფინანსების მექანიზმების მულტილათერალური და ბილატერალური წყაროების გამოსავლენად. კლიმატის დაფინანსების გლობალური არქიტექტურის ამ გაგების დახმარებით, იდენტიფიცირებული იქნა, ბილატერალური და მულტილათერალური დაფინანსების რომელი გლობალური არხებია ხელმისაწვდომი საქართველოში, ისევე როგორც ფინანსურ ინსტრუმენტები, რომლებიც ამჟამად გამოიყენება საქართველოში ამ წყაროებიდან და მათზე ხელმისაწვდომობის მოთხოვნები. ამ ოპერაციისგან მიღებული ღირებული გაკვეთილი იყო ასევე ის, რომ კლიმატის დაფინანსების ფრაგმენტირებული გლობალური ლანდშაფტის ქვეყნის საჭიროებებზე მორგება მოითხოვს სპეციალიზებულ ცოდნას და გამოცდილებას, რადგან დაფინანსების წყაროებისა და დონორების უმეტესობას განსხვავებული მიზნები და წვდომის მოთხოვნები აქვს. მნიშვნელოვანია, საქართველო საკმარისად კარგად არ იცნობს კლიმატის დაფინანსების არქიტექტურას (წყარო: [UNFCCC](#)⁴²) და ცოდნის ეს ნაკლებობა იწვევს კლიმატ-ტექნოლოგიების საჭიროებების დაფინანსების შესაძლებლობების ხელიდან გაშვებას.

ქვემოთ მოყვანილი ნახაზი 2 ასახავს საქართველოში მოქმედ კლიმატის დაფინანსების გლობალური არქიტექტურის სუბიექტებს და საჯარო და კერძო ფინანსურ არხებს, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება ამჟამად საქართველოში კლიმატის დაფინანსება. კლიმატის დაფინანსების კერძო წყაროები ძირითადად შეფასდა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, რადგან საქართველოს ჯერ არ გააჩნია კლიმატის კერძო დაფინანსების აღრიცხვის სისტემა.

⁴² ქვეყანა საჭიროებს ინფორმირებულობის ამაღლებას ტექნოლოგიების გადაცემის დაფინანსების წყაროების შესახებ და ინსტიტუტების აკრედიტაციას ფინანსურ დახმარებაზე წვდომის მისაღებად.

ნახაზი 2. კლიმატის დაფინანსების დონორთა არქიტექტურა⁴³ საქართველოში



2.2.1.1. საქართველოს კლიმატის დაფინანსების არქიტექტურის ძირითადი სუბიექტები კლიმატის დაფინანსების წყაროების მიხედვით

კლიმატის დაფინანსების ბილატერალური წყაროები: რამდენიმე განვითარებული ქვეყანა/„კონტრიბუტორი“ უზრუნველყოფს საქართველოსთვის კლიმატის დაფინანსებას განვითარების ბილატერალური საფინანსო ინსტიტუტების მეშვეობით. საქართველომ 2010-2019 წლებში ჯამში 5.17 მილიარდი ლარის ოდენობის კლიმატის ბილატერალური დაფინანსება მიიღო. ყველაზე დიდი კონტრიბუტორი გერმანიაა, რომელსაც მოსდევს ევროკომისია. შემდეგი ხუთი უდიდესი კონტრიბუტორია საფრანგეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, შვეიცარია, ავსტრია და შვედეთი. სხვა ქვეყნებში შედის ქვეყნები, რომლებიც უზრუნველყოფენ უფრო მცირე მასშტაბის დაფინანსებას, როგორცაა დანია, ნორვეგია, იაპონია, პოლონეთი, ფინეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, საბერძნეთი, კორეა, იტალია და ესპანეთი (წყარო: OECD DAC, NDC-ის დაფინანსების სტრატეგია და საინვესტიციო გეგმა). კლიმატის დაფინანსების გლობალურ არქიტექტურასთან შედარებამ გამოავლინა, რომ კანადას და გაერთიანებულ სამეფოს, რომლებიც გლობალურად კლიმატის ბილატერალური დაფინანსების წამყვანი პროვაიდერები არიან, საქართველოში არ აქვთ კლიმატის დაფინანსების ისტორია. შესაბამისად, არსებობს პოტენციალი, ამ ქვეყნებთან და მათ ბილატერალურ ინსტიტუტებთან (FCDO გაერთიანებული სამეფოსთვის და Global Affairs Canada) თანამშრომლობის შესაძლებლობების განსახილველად კლიმატის დაფინანსებასთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაში, თუ მათი ODA

⁴³ საქართველოში კლიმატის დაფინანსების ეს არქიტექტურა არ მოიცავს ადგილობრივ საჯარო სექტორის მიმღებებს, რომელიც განხილულია წინა თავში და კლასიფიცირებულია ფინანსური სექტორის მიხედვით.

(განვითარების ოფიციალური დახმარება) გასცემს თანხმობას საქართველოსთვის მხარდაჭერის გამოსაყოფად. გარდა ამისა, საქართველოში კლიმატ-ტექნოლოგიების დაფინანსების შესწავლამ აჩვენა, რომ კლიმატ-ტექნოლოგიების დაფინანსების ძირითადი ბილატერალური პროვაიდერები არიან ევროკომისია, გერმანია, შვედეთი, შტატები და უფრო მცირე მასშტაბით, დანია, შვედეთი და შვეიცარია. ყველა შემთხვევაში, ასეთი მხარდაჭერა იყო გაფანტული და ენერგეტიკის სექტორისკენ მიმართული, მცირე მასშტაბის დაფინანსებით.

კლიმატის დაფინანსების მულტილატერალური წყაროები: საქართველოში კლიმატის მულტილატერალური დაფინანსების არხები მოიცავს როგორც UNFCCC-ის ფინანსურ მექანიზმს, ისევე UNFCCC-ის ფინანსური მექანიზმის მიღმა სხვა მექანიზმებს.

UNFCCC-ის ფინანსური მექანიზმის ფარგლებში არსებული მულტილატერალური არხები მოიცავს კლიმატის მულტილატერალურ ფონდებს, როგორიცაა „კლიმატის მწვანე ფონდი“, „გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი“ და „ადაპტაციის ფონდი“; ასევე ბაზარზე დაფუძნებულ მექანიზმებს, როგორიცაა იყო „სუფთა განვითარების მექანიზმი“ (CDM) წარსულში და „ემისიებით ვაჭრობა“ (პარიზის შეთანხმების 6.2 და 6.4 მუხლები). ბილატერალურ მხარდაჭერასთან შედარებით, კლიმატის მულტილატერალური ფონდების მიერ მხარდაჭერილი პროექტები/პროგრამები, როგორც წესი, გაცილებით დიდია დაფინანსების მოცულობისა და დაფინანსების პერიოდის თვალსაზრისით, ასევე უფრო შეღავათიანია გმბ-ების დაფინანსებასთან შედარებით. დღეისათვის, კლიმატის მულტილატერალური ფონდებიდან დაფინანსება საქართველოში შემედინება საერთაშორისო განმახორციელებელი სუბიექტების მეშვეობით.

მულტილატერალური არხები UNFCCC-ის ფინანსური მექანიზმის მიღმა მოიცავს კლიმატის დაფინანსების წყაროებს, რომლებიც უშუალოდ არ ექვემდებარება UNFCCC-ის მხარეთა კონფერენციის (COP) მითითებებს⁴⁴. ამ წყაროებიდან მნიშვნელოვანი მოცულობის კლიმატის დაფინანსება გამოიყოფა, სადაც განვითარების მულტილატერალური ბანკები (გმბ-ები) მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საქართველოში კლიმატის მულტილატერალური დაფინანსების უზრუნველყოფაში. 2010-2020 წლებში, ჯამში მათ 28.36 მილიარდი ლარის ოდენობის დაფინანსება უზრუნველყვეს. მობილიზებული თანხების მოცულობის თვალსაზრისით, საქართველოში კლიმატის დაფინანსების მომწოდებელი ძირითადი გმბ-ებია:

- ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)
- აზიის განვითარების ბანკი (ADB)
- მსოფლიო ბანკის ჯგუფი
- ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)

⁴⁴ კონვენციის 11.5 მუხლი ადგენს, რომ განვითარებული ქვეყნების მხარეებს შეუძლიათ ასევე უზრუნველყონ, და განვითარებადმა ქვეყნებმა მიიღონ, კონვენციის განხორციელებასთან დაკავშირებული ფინანსური რესურსები ბილატერალური, რეგიონული და სხვა მულტილატერალური არხებით.

გარდა ამისა, ევროპის საბჭო (CEB) და რამდენიმე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი - როგორცაა შავი ზღვის ვაჭრობის და განვითარების ბანკი (BSTDB), სკანდინავიური საინვესტიციო ბანკი (NIB), სკანდინავიური გარემოს საფინანსო კორპორაცია (NEFCO) აქტიურები არიან კლიმატის დაფინანსების ადგილობრივ არქიტექტურაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს ინსტიტუტები საკუთარ თავს განვითარების საფინანსო ინსტიტუტებს და/ან საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს უწოდებენ, ისინი მოქმედებენ საინვესტიციო და განვითარების დაფინანსების გადაკვეთაზე და წარმოადგენენ გმბ სისტემის ნაწილს (მაგ., მიუხედავად იმისა, რომ ისინი შეიძლება თავს არ თვლიდნენ გმბ-ებად, ისინი იზიარებენ გმბ-ების ზოგიერთ მახასიათებელს და ურთიერთქმედებენ გმბ-ების გლობალურ ქსელებთან, რათა თავიანთი ფინანსური ნაკადები ერთობლივად თანხვედრაში მოიყვანონ კლიმატის ცვლილების შესახებ 2015 წლის პარიზის შეთანხმებასთან). აქედან გამომდინარე, საქართველოსთვის კლიმატის დაფინანსების ადგილობრივი არქიტექტურის ჩამოყალიბების მიზნებისთვის, ეს ინსტიტუტები მოიაზრება გმბ-ებში.

უკვე აღინიშნა, რომ გმბ-ები საჭიროებენ გარე საგრანტო რესურსებს ან შეღავათიან დაფინანსებას, რათა შეამცირონ მათი სახსრების ღირებულება და გააფართოონ კლიმატის მულტილატერალური შეღავათიანი დაფინანსება. ამ მიზნით, ის გმბ-ები ასევე ფინანსდება დაფინანსების ბილატერალური წყაროებით, ასევე კლიმატის მულტილატერალური ფონდებით, როგორცაა GEF, AF და GCF-ი.

საქართველოში მოქმედი სხვა მრავალდონორიანი სპეციალური ფონდები მოიცავს აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობისა და გარემოს დაცვის საპარტნიორო ფონდს (E5P) და ევროპის მდგრადი განვითარების ფონდს (EFSD).

გაეროს სააგენტოები: კლიმატის დაფინანსება ასევე მიედინება გაეროს სააგენტოებით, როგორცაა FAO, UNDP და IFAD-ი, რომელთაგანაც ყველა მოქმედებს საქართველოში. როგორც ზემოთ ნახაზ 2-ზეა ნაჩვენები, გმბ-ების მსგავსად, გაეროს სააგენტოები ახორციელებენ დაფინანსებას როგორც ბილატერალური დონორების, ასევე კლიმატის მულტილატერალური ფონდების საშუალებით. ყველა ზემოთ აღნიშნული გაეროს სააგენტო GEF-ის, AF-ის და GCF-ის განმახორციელებელ ორგანოს წარმოადგენს საქართველოში. ისინი ასევე ასრულებენ ადმინისტრატორის და/ან შუამავლის როლს კლიმატის დაფინანსებაში⁴⁵.

საერთაშორისო კერძო სექტორის დაფინანსება: კლიმატის საერთაშორისო კერძო სექტორის დაფინანსება საქართველოში ძირითადად მოედინება სპეციალური გლობალური და რეგიონული საინვესტიციო მექანიზმებით, რომლებიც ჩამოყალიბებულია საჯარო-კერძო პარტნიორობით, როგორც რისკების

⁴⁵ მაგალითად, სოფლის მეურნეობისა და განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD) ადმინისტრირებას უწევს „მცირემიწიანი სოფლის მეურნეობის ადაპტაციის პროგრამას“ (ASAP+) - კლიმატის დაფინანსების მექანიზმს, რომელიც მოიაზრება ყველაზე დიდ ფონდად (500 მილიონი აშშ დოლარი) მცირე მწარმოებლებისთვის კლიმატის დაფინანსების მისაწოდებლად. მისი ბილატერალური დონორები ჯერჯერობით მოიცავს გერმანიას (BMZ) და ავსტრიას, ასევე ყატარს და ირლანდიის მთავრობას.

გაზიარების მექანიზმი და შერეული ფინანსური სტრუქტურების კაპიტალიზაციას ახდენს. ესენია მწვანე ზრდის ფონდი (GGF), კლიმატის გლობალური საპარტნიორო ფონდი და ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის გლობალური ფონდი (GEEREF). ამ სუბიექტების უმეტესობა დაფინანსებას ახორციელებს ადგილობრივი ფინანსური შუამავლების, ძირითადად, პირველი დონის (Tier-1) ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტების მეშვეობით, თუმცა GEEREF-ს აქვს მანდატი და უზრუნველყო კაპიტალის დაფინანსება კავკასიის სუფთა ენერგიის ფონდისთვის, რომელიც პირველად ახორციელებდა ფონდის მართვას.

ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტები: როგორც ნახაზი 2-დან ჩანს, საქართველოში კლიმატის ბილატერალური და მულტილატერალური დაფინანსება ძირითადად საერთაშორისო განმახორციელებელი სააგენტოების გავლით ხდება, ეროვნული სუბიექტები ნაკლებად არიან წარმოდგენილი საქართველოს კლიმატის დაფინანსების არქიტექტურაში. მხოლოდ „თიბისი ბანკს“ აქვს „კლიმატის მწვანე ფონდის“ აკრედიტაცია, თუმცა, მას ჯერ არ დაუწყია GCF-ისგან კლიმატის დაფინანსების გატარება. თიბისი ბანკს, ისევე როგორც სხვა პირველი დონის ბანკებს, როგორცაა სს საქართველოს ბანკი, სს ლიბერთი ბანკი, სს ბაზის ბანკი და სს პროკრედიტ ბანკი, აქვთ მწვანე დაფინანსების გამოცდილება და პოტენციალი ჩაერთონ კლიმატის ფინანსურ არქიტექტურაში, რათა მოიპოვონ დაფინანსების ბერკეტი პრიორიტეტული ტექნოლოგიებისთვის. საქართველოში კლიმატის დაფინანსების მობილიზების მიზნით ადგილობრივი ფინანსური სექტორის წარმომადგენლების გამოყენების თვალსაზრისით, განვითარების მულტილატერალური ბანკებისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან მიღებული გამოცდილება ცხადყოფს, რომ ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები შეიძლება გამოყენებულ იქნას საქართველოში დაფინანსების ბერკეტად, განსაკუთრებით შერბილებისა და ადაპტაციის კლიმატ-ტექნოლოგიების მცირე პროექტებისთვის, რომელთა გაერთიანებაც იქნება საჭირო ერთი ჰოლდინგის სტრუქტურაში.

2.2.1.2. მულტილატერალური და ბილატერალური წყაროების მიერ საქართველოში გამოყენებული ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

კლიმატის დაფინანსების ბილატერალური და მულტილატერალური პროვაიდერების მიერ საქართველოში ძირითადად გამოყენებული საჯარო დაფინანსების ინსტრუმენტები, უმეტესად, ქვემოთ ჩამოთვლილ ოთხ ძირითად კატეგორიას მიეკუთვნება (ცხრილი 9).

ცხრილი 9. მულტილატერალური და ბილატერალური წყაროების მიერ საქართველოში გამოყენებული ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

ინსტრუმენტი	მულტილატერალური და ბილატერალური კლიმატის დაფინანსების არქიტექტურის სტატუს-კვო
სესხი	ბილატერალური და მულტილატერალური წყაროებიდან კლიმატის დაფინანსების უმეტესი ნაწილი მოწოდებულია სესხის სახით, რომელიც 2010-2022 წლებში გაწეული კლიმატის მთლიანი საჯარო ბილატერალური დაფინანსების 59%-ს და მთლიანი საჯარო მულტილატერალური

	დაფინანსების 97%-ს შეადგენს (წყარო: NDC-ის დაფინანსების სტრატეგია და საინვესტიციო გეგმა, OECD DAC). კლიმატის დაფინანსების არქიტექტურაში დონორების მიერ შემოთავაზებული ფინანსური ინსტრუმენტების ჩვენი სამაგიდო მიმოხილვა აჩვენებს, რომ კლიმატის საჯარო დაფინანსებაში სასესხო ინვესტიციას შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე სახე, როგორიცაა პირდაპირი სესხი/თანაინვესტირება, მწვანე საკრედიტო ხაზები ფინანსური შუამავლებისთვის და ინვესტიციები გაერთიანების მექანიზმებში, როგორიცაა მწვანე ობლიგაციები. ბილატერალური და მულტილატერალური სააგენტოების მიერ გაცემული შეღავათიანი და უშეღავათო სესხების წილი განსხვავებულია. საქართველოში შეღავათიანი სესხის ძირითადი წყაროა ბილატერალური სააგენტოები (კლიმატის მთლიანი დაფინანსებიდან 75% შეღავათიანი კლიმატის დაფინანსება იყო) და კლიმატის მულტილატერალური ფონდები. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვერ დავადგინეთ გზ-ების მიერ გაცემული შეღავათიანი სესხების პროცენტული მაჩვენებელი, საქართველოში ძირითად გზ-ებთან და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებებთან ჩართულობით გამოვლინდა, რომ ქვეყანაში კერძო სექტორის სუბიექტებისთვის (მათ შორის ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტებისთვის, მწვანე საკრედიტო ხაზებით) სესხების უმეტესობა საბაზრო პირობებში იყო გაცემული - მინიმალური შეღავათიანობის პრინციპის საფუძველზე.⁴⁶ კლიმატის დაფინანსების მულტილატერალურ წყაროებს შორის ასეთი განსხვავება განპირობებულია მანდატითა და საოპერაციო მოდელით. შეღავათიანობის დონე დიდწილად დამოკიდებულია ამ სუბიექტების „დაფინანსების საკუთარ ხარჯზე“. ამ კონტექსტში, კლიმატის მულტილატერალურ ფონდებს, რომლებიც ფუნქციონირებენ წვერი ქვეყნების მიერ გადახდილი შენატანების ან შევსების ხარჯზე, მეტად შეუძლიათ შეღავათიანი სესხების გაცემა. ბილატერალურ ინსტიტუტებს, რომლებიც დიდწილად ბიუჯეტის ასიგნებებით ფინანსდებიან, ასევე გააჩნიათ მეტი შეღავათების გაწევის უნარი. თუმცა, გზ-ები საჭიროებენ გარე საგრანტო რესურსებს ან შეღავათიან დაფინანსებას, რათა შეამცირონ მათი სახსრების ღირებულება და გასცენ მულტილატერალური შეღავათიანი სესხები.
გრანტი	გრანტი მეორე ყველაზე მეტად გამოყენებული ფინანსური ინსტრუმენტია საქართველოში კლიმატის საჯარო დაფინანსების არქიტექტურაში. კლიმატის დაფინანსების არქიტექტურის წილობრივი შეფასება აჩვენებს, რომ კლიმატის მულტილატერალური ფონდები და ბილატერალური სააგენტოები უფრო მეტ თანხებს გასცემდნენ გრანტების სახით, ვიდრე გზ-ები. ეს განპირობებულია მათი მანდატით და საოპერაციო მოდელით, რომელიც გადახდილ შენატანებსა და საბიუჯეტო ასიგნებებს ეყრდნობა. (წყარო: OECD 2022). საგრანტო ინსტრუმენტი ძირითადად გამოყენებული იყო სადემონსტრაციო/საპილოტე, შესაძლებლობების განვითარების, ტექნიკური დახმარებისა და ცნობიერების ამაღლების აქტივობებისთვის.

⁴⁶ მინიმალური შეღავათიანობის პრინციპი გულისხმობს, რომ შეღავათი, რომელიც ჩართულია დაფინანსების პაკეტში, არ უნდა იყოს იმაზე მეტი, ვიდრე საჭიროა განზრახული ინვესტიციის სტიმულირებისთვის („მინიმალური შეღავათიანობის“ პრინციპი) და კერძო დაფინანსების ბერკეტის მაქსიმალურად გამოყენებისთვის.

	აქტივობები, რომლებიც ხასიათდება პირდაპირი ფინანსური უკუგების სიმცირით ან არარსებობით, მაგრამ მაღალი მოსალოდნელი ეკონომიკური ან სოციალური შედეგებით, ხშირად იღებს საგრანტო დაფინანსებას. ლიტერატურის მიმოხილვა ცხადყოფს, რომ კლიმატ-ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვისთვის საჭიროა საგრანტო დაფინანსება. დაინტერესებულ მხარეებთან განხილვები და საქართველოში წარმოდგენილი გმმ-ებიდან და გაეროს სააგენტოებიდან მიღებული ადგილობრივი გამოცდილება ადასტურებს, რომ საგრანტო დაფინანსება ფულის დაბრუნების („ქეშბექის“) ან თანაინვესტირების სახით, როგორც ფინანსური წახალისება, წარმატებული იყო საქართველოში ახალი/გამოუცდელი ტექნოლოგიების ბაზარზე ათვისების ხელშეწყობისთვის.
კაპიტალი	კაპიტალი შეადგენდა საქართველოში ბილატერალური და მულტილატერალური წყაროებიდან მიღებული კლიმატის მთლიანი დაფინანსების [3%-ზე] ნაკლებს. კლიმატის აქტივობებში კაპიტალის ინვესტიციებს შეიძლება ჰქონდეს კომპანიებში და პროექტების დაფინანსების სპეციალური დანიშნულების მექანიზმებში (SPV) პირდაპირი ინვესტიციების სახე, ან ფონდებისა და კოლექტიური საინვესტიციო მექანიზმების მეშვეობით განხორციელებული ინვესტიციების სახე.
სხვა: რისკის აცილების ინსტრუმენტები	სხვა ინსტრუმენტებში შედის რისკის აცილების ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა გარანტიები და დაზღვევა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ჯერ არ გამოიყენება კლიმატის დაფინანსებაში (მათ შორის, პრიორიტეტული ტექნოლოგიებისთვის) კერძო სექტორის მონაწილეობისთვის რისკის აცილების გარანტიები და დაზღვევა, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებში ჩართულმა რამდენიმე ადგილობრივმა საფინანსო ინსტიტუტმა და ზოგმა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტმა, ხაზი გაუსვა რისკის გაზიარების ინსტრუმენტების, მაგალითად გარანტიების, პოტენციალს, კლიმატ-ტექნოლოგიების დაფინანსებაში ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტების მონაწილეობის სტიმულირებისთვის. ერთ-ერთმა ადგილობრივმა საფინანსო ინსტიტუტმა ასევე გაგვიზიარა მცირე და საშუალო ბიზნესის რეგიონული საგარანტიო მექანიზმიდან მიღებული გამოცდილება, და ხაზი გაუსვა საგარანტიო ინსტრუმენტის მნიშვნელობას ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების გასაზრდელად, ნაწილობრივი საკრედიტო გარანტიების უზრუნველყოფით, პროექტის პირობების გაუმჯობესების მიზნით. თუმცა, ასევე აღინიშნა, რომ პროგრამულ საგარანტიო ინსტრუმენტს შეიძლება მკაცრი მოთხოვნები ჰქონდეს და პროექტების მიერ კრიტერიუმების დაკმაყოფილება შეიძლება რთული აღმოჩნდეს. აქედან გამომდინარე, ადგილობრივი ბაზრის საჭიროებებზე მორგებული საგარანტიო მექანიზმის შემუშავება შეიძლება კრიტიკული მნიშვნელობის იყოს საქართველოში კლიმატის დაფინანსების ტექნოლოგიების ათვისებისთვის.

ქვემოთ მოყვანილი ნახაზი 3 ასევე ასახავს ძირითად ფინანსურ არხებს, რომლითა გავლითაც მიედინება საქართველოში კლიმატის ბილატერალური და მულტილატერალური დაფინანსება ან აქვს ასეთი პოტენციალი.⁴⁷

ნახაზი 3. ფინანსური არხები, რომლითა საშუალებითაც ხდება კლიმატის ბილატერალური და მულტილატერალური დაფინანსების მიწოდება ან აქვს ასეთი დაფინანსების მიწოდების პოტენციალი საქართველოში კლიმატ-ტექნოლოგიებისთვის

Financial Channels From Multilateral and Bilateral Sources		UNFCCC Climate Funds			Other UN Funds			Multilateral Development Banks				Main Bilateral Agencies active in Georgia		
Financial Instruments	Financial Channels through which climate funding is and has a potential to be delivered in Georgia from targeted providers	GCF	AF	GEF	UNDP	IFAD	FAO	EBRD	ADB	EIB	WB/IFC	EU Commission	Germany (KfW others)	United States (USAID)
Debt	Green or Sustainable Bonds (Corporate)	2	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	1	1	2	1	N/A	2	N/A
	Direct Lending	2	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	1	1	1	1	N/A	1	N/A
	On-lending (through FIs)	1	N/A	N/A	N/A	2	N/A	1	2	1	2	N/A	1	N/A
Equity	Direct Equity Investments	2	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	1	2	2	2	N/A	1	N/A
	Through Equity Funds	2	N/A	2	N/A	N/A	N/A	2	2	1	2	N/A	2	N/A
Risk Mitigation	Grants	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	N/A	1	1
	Technical assistance	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	N/A	2	1
	Concessional Loans	1	N/A	1	N/A	1	N/A	1	1	1	2	N/A	1	N/A
	Guarantees/insurance	2	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	2	2	2	2	N/A	N/A	N/A
	Fund seeding (inc. junior equity)	2	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	2	2	2	2	N/A	N/A	N/A
	Currency swaps	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	2	2	2	2	N/A	N/A	N/A
	Securitisation	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	2	2	2	2	N/A	N/A	N/A
	Pooling/aggregation	2	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	2	2	2	2	N/A	N/A	N/A

შენიშვნა: 1: ხელმისაწვდომია საქართველოში კლიმატის დაფინანსებისთვის; 2: აქვს საქართველოში დაფინანსების პოტენციალი გლობალური გამოცდილების გათვალისწინებით; N/A: არ არის შესაბამისი

საერთაშორისო და ადგილობრივ ფინანსურ დაინტერესებულ მხარეებთან ჩართულობის ძირითადი მიგნებები აჩვენებს, რომ დღემდე ყველაზე წარმატებული ბიზნეს მოდელებია კომბინირებული ფინანსური ინსტრუმენტების სტრუქტურები, რომლებიც კაპიტალიზებას ახდენს სასესხო და საგრანტო ინსტრუმენტებზე საქართველოში. ადგილობრივ საფინანსო ინსტიტუტებთან ჩართულობამ და საერთაშორისო ლიტერატურის მიმოხილვამ გამოავლინა, რომ კლიმატ-ტექნოლოგიებისთვის დაფინანსების მოპოვება რთულია დამატებითი გაურკვევლობისა და ასეთ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული რისკების, და მოთმინებისა და იაფი კაპიტალის ნაკლებობისა გამო. შესაბამისად, კლიმატ-ტექნოლოგიების ათვისების ხელშეწყობისთვის გრძელვადიანი შეღავათიანი დაფინანსების საჭიროება ხაზგასმული იყო ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტების მიერ, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების დროს. საერთაშორისო ლიტერატურის მიმოხილვა ადასტურებს, რომ კლიმატ-ტექნოლოგიებისთვის ყველაზე ხშირად გამოყენებული საჯარო ფინანსური ინსტრუმენტებია შეღავათიანი ფინანსები და გრანტები, თუმცა, შერევის მიდგომა და შეღავათიანი ფინანსები ბაზრისა და ტექნოლოგიის სპეციფიკაზეა

⁴⁷ მონაცემები შედგენილია მაღალი დონის სამაგიდო მიმოხილვის საფუძველზე, თუმცა დიაგრამები ელოდება ვერიფიკაციას ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან.

დამოკიდებული, შესაბამისად, შერჩეული ბიზნეს მოდელი გათვლილი უნდა იყოს ტექნოლოგიების სპეციფიკურ ბარიერებზე (წყარო: [UNFCCC](#)).

2.2.1.3. კლიმატ-ტექნოლოგიების დაფინანსება კლიმატის დაფინანსების წყაროების მიხედვით

ცხრილში ქვემოთ მოცემულია საქართველოში პრიორიტეტული ტექნოლოგიებისთვის ხელმისაწვდომი და გამოყენებული დაფინანსება კლიმატის დაფინანსების წყაროების მიხედვით. ცხრილი შედგენილია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ დამტკიცებული პროექტების სწრაფი მიმოხილვის, ტექნოლოგიების საჭიროებების შეფასებაში ჩართულ ექსპერტებთან კონსულტაციის, და ასევე ფინანსურ ინსტიტუტებთან და გაეროს სააგენტოებთან განხილვების საფუძველზე.

ცხრილი 10. საქართველოში პრიორიტეტული ტექნოლოგიებისთვის ხელმისაწვდომი და გამოყენებული ფინანსური არხები, დაფინანსების მომწოდებელი წყაროების მიხედვით

სექტორი	პრიორიტეტული ტექნოლოგიები	ბილათერალური ფინანსური ინსტიტუტები	მულტილათერალური კლიმატის ფონდები (UNFCCC)	კლიმატის დაფინანსების მულტილათერალური წყაროები (არა-UNFCCC)	გაეროს სააგენტოები	საერთაშორისო კერძო სექტორის თანხები	ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტები
ენერგია	ქესებისა და ჰიდრომაკუმულირებელი ჰესებს ერთობლიობა	2	2	2	არ/შ	2	1
	მოდინების ჰესებისა და მწვანე წყალბადის ერთობლიობა	2	2	2	2 ⁴⁸	2	1
	მზის ფოტოვოლტური (PV) ელექტროსადგურებისა და ენერგიის დამაგროვებელი ბატარეების ერთობლიობა	2	2	2	2	2	1
შენობები	შენობების თერმული გარსის თბოიზოლაცია	1	2	1	არ/შ	1	1
	მაღალეფექტური გათბობა-გაგრილების სისტემები (წყლის	2	2	1	არ/შ	არ/შ	1

⁴⁸ გაეროს სააგენტოებს (მაგ. UNDP) აქვთ განახლებადი ენერგია + წყალბადის ტექნოლოგიებისთვის კვლევების დაფინანსებისა და ტექნიკური დახმარების გამოცდილება. თუმცა, ზუსტი პრიორიტეტული ტექნოლოგია არ არის აღნიშნული.

	ელექტრო თბური ტუმბო)						
	ნიადაგის ლურსმნებით გამაგრება მეწყრისაგან დაცვის მიზნით	2	1	2	1	არ/შ	არ/შ
სოფლის მეურნეობა	მიწის დამუშავების კონსერვაციული მეთოდები	1	1	1	1	არ/შ ⁴⁹	1
	მაღალპროდუქტიული პირუტყვის მოშენება	1	1	1	1	არ/შ	1
	სასოფლო-სამეურნეო ნარჩენების სასუქად გამოყენება	არ/შ	1	2	1	არ/შ	2
ტრანსპორტი	ელექტრო საგზაო ტრანსპორტის და ინფრასტრუქტურის გაძლიერება	1	1	1	არ/შ	არ/შ	1
	საზოგადოებრივი საგზაო ტრანსპორტის განვითარება	1	1	1	2	არ/შ	1
	ზოდიზელის წარმოების გაზრდა	2	2	1	არ/შ	2	2

შენიშვნა: 1: ხელმისაწვდომია საქართველოში კლიმატის დაფინანსებისთვის; 2: აქვს საქართველოში დაფინანსების პოტენციური გლობალური გამოცდილების გათვალისწინებით; არ/შ: არ არის შესაბამისი

2.2.1.4. კლიმატის დაფინანსების ბილატერალური წყაროები საქართველოში

საქართველოში კლიმატის დაფინანსების ბილატერალური წყაროები შემოედინება 19 ქვეყნიდან, რომლებიც კლიმატის დაფინანსებას ახორციელებენ თავიანთი ბილატერალური განვითარების დახმარების ინსტიტუტების მეშვეობით. 2010-2019 წლებში მთლიანობაში საქართველომ 5.17 მილიარდი ლარი მიიღო კლიმატის

ბილატერალური დაფინანსების განმარტება ამ ანგარიშის მიზნებისთვის: ბილატერალური დახმარება გულისხმობს ოფიციალური (სახელმწიფო) წყაროებიდან პირდაპირ მიმღებ ქვეყანაში გადაცემას.

ბილატერალური დაფინანსების სახით, საიდანაც გერმანიის მიერ მოწოდებული დაფინანსება შეადგენს 50%-ზე მეტს, ევროკომისია, საფრანგეთი, შეერთებული შტატები, შვეიცარია, ავსტრია და შვედეთი არიან ასევე ძირითადი კონტრიბუტორები საქართველოში კლიმატის დაფინანსებაში (წყარო: საქართველოს NDC-ის დაფინანსების სტრატეგია და საინვესტიციო გეგმა, OECD DAC, [საქართველოს მეოთხე ეროვნული შეტყობინება](#)). დღეისთვის არ არსებობს ერთიანი სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს ქვეყანას აღრიცხოს ინვესტიციების მოცულობა კლიმატის ტექნოლოგიებში, გარდა პროექტების ან სექტორების მიხედვით მოწოდებული ინფორმაციისა. თუმცა, პროექტმა შეძლო ამ

⁴⁹ საქართველოში არსებული კერძო სექტორის ფინანსები ორიენტირებულია ენერგეტიკისა და რესურსების ეფექტურობის სექტორებზე, ამიტომ არ არის შეფასებული

ბილატერალური ინსტიტუტების ფინანსური ინსტრუმენტების და სექტორული მონაცემების იდენტიფიცირება და კლიმატ-ტექნოლოგიების დაფინანსებაზე ორიენტირებული შერჩეული პროექტების მოკვლევა, გამოყენებული ძირითადი ბიზნეს მოდელების გასაგებად. სია არ არის ამომწურავი და ორიენტირებულია ძირითად ბილატერალურ მომწოდებლებზე კლიმატის დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხების მოცულობის მიხედვით.

ცხრილი 11. კლიმატის დაფინანსების ბილატერალური წყაროები და ხელმისაწვდომი ფინანსური ინსტრუმენტები

განვითარების მხარდაჭერის კომისიის (DAC) ქვეყანა	განმახორციელებელი უწყება(ები)	TNA ტექნოლოგიებთან დაკავშირებული სექტორული გამოცდილება ⁵⁰	ხელმისაწვდომი ფინანსური ინსტრუმენტები	კლიმატ-ტექნოლოგიების დაფინანსების გამოცდილება საქართველოში (კი, არა, არ არის შესაბამისი) ⁵¹
გერმანია	გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW), გერმანიის გარემოს დაცვის, ბუნების დაცვისა და ბირთვული უსაფრთხოების ფედერალური სამინისტრო (BMU), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტრო (BMZ)	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და სხვა მიწათსარგებლობა; ენერგია; ტრანსპორტი; მრეწველობა	გრანტი სესხი კაპიტალი	კი
ევროკავშირი	ევროკომისია	სოფლის მეურნეობა; ენერგია; ტრანსპორტი	გრანტები	კი
საფრანგეთი	საფრანგეთის განვითარების სააგენტო (AFA),	სოფლის მეურნეობა; ენერგია	გრანტები შეღავათიანი სესხები	არა

⁵⁰ პრიორიტეტული ტექნოლოგიების მიზნებისთვის, შესაბამისი სექტორებია ენერგეტიკა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა და შენიშენი.

⁵¹ ამ ანგარიშის მიზნებისთვის, „გამოცდილება“ (track record) მოიცავს როგორც პირდაპირ ინვესტიციებს, ასევე ტექნიკურ საკონსულტაციო მომსახურებას, საქართველოში კლიმატ-ტექნოლოგიების ათვისებასთან დაკავშირებით. გამოცდილება ფასდება, როგორც ზოგადი გამოცდილება/მოდერნიზაციის ისტორია კლიმატ-ტექნოლოგიებში ყველა სექტორში და არა პრიორიტეტული ტექნოლოგიებისთვის, რადგან ასეთი მონაცემების ხილვადობა შეზღუდულია საქართველოში.

	ეკონომიკის ფინანსთა და მრეწველობის სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საფრანგეთის განვითარების სააგენტო (AFD)	ტრანსპორტი		
შეერთებული შტატები	შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID)	სოფლის მეურნეობა; ენერგია; ტრანსპორტი	გრანტები	კი
შვეიცარია	შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SDC)	არ/შ პრიორიტეტული TNA სექტორებისთვის მაგრამ ადრეული გაფრთხილების სექტორისთვის	გრანტები	კი
ავსტრია	ავსტრიის განვითარების სააგენტო (ADA), მდგრადობისა და ტურიზმის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და სხვა მიწათსარგებლო ბა; ენერგია	გრანტები, კაპიტალი	არა
შვედეთი	შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო (SIDA)	არ/შ პრიორიტეტული TNA სექტორებისთვის მაგრამ ადრეული გაფრთხილების სექტორისთვის	გრანტები	კი
დანია	საგარეო საქმეთა სამინისტრო	სოფლის მეურნეობა ენერგია	გრანტები	კი

წყარო: საქართველოს კლიმატის ცვლილების სტრატეგია, საქართველოს მეოთხე ეროვნული შეტყობინება კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციისადმი, GCF, USAID.

ძირითადი მიგნებები

ზემოთ მოყვანილი ცხრილის საფუძველზე, საქართველოში კლიმატ-ტექნოლოგიების ადგილობრივი ბილატერალური დაფინანსების შესახებ იკვეთება შემდეგი:

- ცხრილი 11-ში მოყვანილ ძირითად ბილატერალურ კონტრიბუტორებს აქვთ პოტენციალი, უზრუნველყონ შეღავათიანი სესხები, გრანტი და თუნდაც კაპიტალის დაფინანსება პრიორიტეტული კლიმატ-ტექნოლოგიებისთვის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, შენობებისა და სოფლის მეურნეობა/სატყეო მეურნეობა/სხვა მიწათსარგებლობის სექტორებში მათი სპეციფიკური გამოცდილების გათვალისწინებით.⁵² თუმცა, ამჟამად, მხოლოდ გერმანია, ევროკომისია, ამერიკის შეერთებული შტატები და უფრო მცირე მასშტაბით, დანია, შვედეთი და შვეიცარია მონაწილეობენ კლიმატ-ტექნოლოგიების დაფინანსებაში.
- ბილატერალური მხარდაჭერა იყო გაფანტული და მიმართული იყო ენერგეტიკული ტექნოლოგიებისკენ. ასევე მცირეა დაფინანსების მოცულობა - 5-15 მილიონი ევროს ფარგლებში პირდაპირ ქვეყნიდან ქვეყანაზე ბილატერალური წყაროებიდან (წყარო: საქართველოს კლიმატის ცვლილების სტრატეგია, საქართველოს მეოთხე ეროვნული შეტყობინება კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციისადმი) შესაბამისად, საქართველოსთვის არსებობს პოტენციალი კლიმატ-ტექნოლოგიებისთვის ძირითადი კონტრიბუტორებისგან დაფინანსების გასაზრდელად.
- ბიზნეს მოდელების თვალსაზრისით, ბილატერალური უწყებები გამოყოფენ შეღავათიან სესხს და საგრანტო ინსტრუმენტს საქართველოში კლიმატის დაფინანსების უზრუნველსაყოფად. იმის გათვალისწინებით, რომ კლიმატ-ტექნოლოგიები ფინანსურ და არაფინანსურ ბარიერებს აწყდება (და უფრო მცირეა მასშტაბით), ბიზნეს მოდელები კაპიტალიზებას ახდენენ მრავალკომპონენტიანი დაფინანსების სტრატეგიების მქონე პროგრამულ მიდგომებზე, როგორც საინვესტიციო, ასევე პოლიტიკასთან, შესაძლებლობებთან და ცოდნასთან დაკავშირებული ბარიერების აღმოსაფხვრელად, რომლებიც სპეციფიკურია სამიზნე ტექნოლოგიების მიხედვით. საგრანტო ინსტრუმენტები, რომლებიც დაფინანსების ნაკლებობის აღმოფხვრას ისახავს მიზნად, ფორმირებულია ისე, რომ მოიპოვოს თანადაფინანსების ბერკეტი საჯარო და კერძო სექტორის სხვა სუბიექტებისგან.

⁵² სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და სხვა მიწათსარგებლობა (AFOLU)

ტექსტური უჯრა 2: კლიმატის დაფინანსების მომწოდებელი ბილათერალური წყაროების მიერ კლიმატ-ტექნოლოგიების ათვისების ხელშესაწყობად გამოყენებული ბიზნეს მოდელებისა და ფინანსური ინსტრუმენტების საილუსტრაციოდ შერჩეული პროექტები.

ევროკავშირი: E5P-ის დაფინანსებით, საქართველოში საჯარო შენობების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება და განახლებადი და ალტერნატიული ენერგიის გამოყენება. E5P-ი არის €352 მილიონიანი ფონდი, რომელიც მიზნად ისახავს მუნიციპალური ინვესტიციების წახალისებას ენერგოეფექტურობისა და გარემოსდაცვით პროექტებში აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში. E5P-ი ბერკეტად იყენებს ფინანსურ კონტრიბუციებს **ევროკავშირიდან** და 24 ქვეყნისგან შემდგარი ჯგუფისგან, უზრუნველყოფს გრანტებს მუნიციპალური სექტორის პროექტების მხარდასაჭერად და ითვალისწინებს საგრანტო ინსტრუმენტის ბერკეტულ პოტენციალს დამატებითი საინვესტიციო მოცულობის მობილიზებისთვის. დღეისათვის სამიზნეა 1:5 თანაფარდობის მობილიზაცია.

ამერიკის შეერთებული შტატები: USAID-ი ამჟამად ახორციელებს „საქართველოს ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამას“, რომელიც ხორციელდება Deloitte Consulting LLP-ის მიერ. პროგრამა ხელს შეუწყობს პოლიტიკის რეფორმებს და კერძო სექტორის ინვესტიციებს, რათა დაეხმაროს საქართველოს ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განახლებაში და ელექტროენერგიის გამომუშავების ახალი სიმძლავრეების განვითარებაში. USAID-ს მრავალკომპონენტიანი პროგრამის სტრუქტურა აქვს და საგრანტო ინსტრუმენტს იყენებს ტექნიკური დახმარების გაწევისა და პოლიტიკის, შესაძლებლობებისა და საინვესტიციო გამოწვევების აღმოსაფხვრელად. სამაგიდო მიმოხილვა აჩვენებს, რომ USAID-ი ითვალისწინებს საგრანტო ინსტრუმენტის ბერკეტულ პოტენციალს მისი საგრანტო ინსტრუმენტებისთვის კერძო სექტორის თანაინვესტიციების მობილიზებისთვის.

გერმანია: GIZ-ი ხელს უწყობს ენერგოეფექტური და ალტერნატიული საწვავის განვითარებას სატყეო სექტორში მისი ტრანსფორმაციული რეფორმის პროექტის ფარგლებში. პროგრამას მრავალკომპონენტიანი პროგრამის სტრუქტურა აქვს, რომელიც იყენებს საჯარო და კერძო სექტორის სუბიექტებისგან საგრანტო და სასესხო დაფინანსების ბერკეტს, პოლიტიკის, შესაძლებლობების/ცოდნისა და საინვესტიციო დეფიციტის აღმოსაფხვრელად. სხვა დონორების მსგავსად, GIZ-იც ითვალისწინებს საგრანტო ინსტრუმენტის ბერკეტულ პოტენციალს მობილიზებული თანადაფინანსების თვალსაზრისით. აღნიშნული პროექტი თანადაფინანსებულია GCF-ის მიერ.

დანია: 5.15 მილიონი ევრო საქართველოში საჯარო შენობების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებისა და განახლებადი და ალტერნატიული ენერგიის გამოყენებისთვის. განმახორციელებელი ორგანოა MDF-ი, პროექტი ფინანსდება NEFCO-ს მიერ მოწოდებული სასესხო და საგრანტო ინსტრუმენტით

(სესხი), E5P-ი ქვეყნისთვის უზრუნველყოფს 1.87 მილიონი ევროს ოდენობის გრანტს, ხოლო დანიის მთავრობა 0.44 მილიონის გრანტს.

ამ კუთხით, საქართველოს შეუძლია გამოიყენოს ბილატერალური დონორების პოტენციალი, კლიმატ-ტექნოლოგიების როგორც დაფინანსების, ისე თანადაფინანსების კატალიზებისთვის სხვა დონორებისგან, როგორცაა განვითარების მულტილატერალური ბანკები და მულტილატერალური კლიმატის ფონდები, დანიის მიერ დაფინანსებული ენერგოეფექტურობის პროექტის მაგალითის მსგავსად.

2.2.1.5. კლიმატის დაფინანსების მულტილატერალური წყაროები საქართველოში

საქართველოში კლიმატის დაფინანსების მულტილატერალური წყაროები მოიცავს მულტილატერალურ კლიმატის ფონდებს UNFCCC-ის ფინანსური მექანიზმის ფარგლებში და განვითარების მულტილატერალური ბანკების. ეს ქვეთავი პირველ რიგში განიხილავს საქართველოში კლიმატის მულტილატერალურ დაფინანსებასთან დაკავშირებულ მიგნებებს, შემდეგ კი UNFCCC-ის მექანიზმის ფარგლებში არსებულ თითოეულ მულტილატერალურ კლიმატის ფონდის და ასევე UNFCCC-ის ფინანსური მექანიზმების მიღმა ჩამოყალიბებულ კლიმატის დაფინანსების მულტილატერალურ წყაროებს.

მულტილატერალური დაფინანსების განმარტება ამ ანგარიშის მიზნებისთვის:
მულტილატერალური დაფინანსება არის დაფინანსება, რომელიც უზრუნველყოფილია კონკრეტული მიზნების მისაღწევად შექმნილი მულტილატერალური სუბიექტების მიერ, რომელთა დაფინანსებაც უზრუნველყოფილია სხვადასხვა ქვეყნის კონტრიბუციით და რომლებიც იმართება კონტრიბუტორი ქვეყნებით დომინირებული მმართველობითი სტრუქტურების მეშვეობით.

ძირითადი მიგნებები შეჯამებულია ქვემოთ:

- კლიმატის დაფინანსების მულტილატერალური წყაროები საქართველოში კლიმატის დაფინანსების ყველაზე დიდი წყაროა. მათ აქვს პოტენციალი უზრუნველყონ მეტად საჭირო შერეული ფინანსური ინსტრუმენტები კლიმატ-ტექნოლოგიებში ინვესტიციების რისკების შესამცირებლად. სესხის, გრანტის, კაპიტალის და გარანტიის ინსტრუმენტები ხელმისაწვდომია დაფინანსების ამ მულტილატერალური წყაროებიდან და შეიძლება გამოყენებული იქნას კლიმატთან დაკავშირებული ძლიერი ზემოქმედების პროექტების/პროგრამების ინოვაციური სტრუქტურით დაგეგმვისთვის. თუმცა ჯერჯერობით, ძირითადად გრანტები გამოიყენება UNFCCC-ის მექანიზმის ფარგლებში მოქმედი მულტილატერალური

კლიმატის ფონდებიდან და სესხები/გრანტები სხვა მულტილათერალური წყაროებიდან. გარდა ამისა, ამ მულტილათერალური წყაროებიდან ბევრს შეუძლია წამყვანი ინვესტორის ფუნქციის შესრულება რისკების გაერთიანების მექანიზმებში - როგორიცაა მწვანე ობლიგაციები ან კერძო კაპიტალის ფონდები, კლიმატის დაფინანსების დიდი მოცულობის მობილიზებისთვის კლიმატ-ტექნოლოგიების პროექტებში კერძო სექტორის ჩართულობის კატალიზებისთვის.

- საქართველოს გამოცდილება ცხადყოფს, რომ კლიმატის დაფინანსების მულტილათერალური წყაროები ხშირად ფოკუსირებულია კლიმატის დაფინანსების მსხვილ, პროგრამულ მიდგომებზე, რათა გააძლიეროს ქვეყნის ჩართულობა და კლიმატის პროგრამების წარმართვისა და კოორდინაციის უნარი. მაგალითად, კლიმატის მწვანე ფონდის მიერ საქართველოსთვის დამტკიცებული პროექტების 50% არის მრავალქვეყნიანი პროგრამები. ამასთან, პროექტის საშუალო მოცულობა 50 მილიონზე მეტია. ასევე ფართომასშტაბიანია გმბ-ების მიერ უშუალოდ დაფინანსებული პროექტები. ასეთმა მიდგომამ შეიძლება გამოიწვიოს ნაკლები პრიორიტეტის მინიჭება ისეთი შეთავაზებებისთვის, პრიორიტეტულ TNA სექტორებში, რომლებიც მოითხოვს მცირე დაფინანსებას (10 მილიონ აშშ დოლარამდე) საპილოტე პროექტებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ მწვანე საკრედიტო ხაზები ხელმისაწვდომია მცირე პროექტებისთვის, ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტების მეშვეობით, მათ უმეტესად გააჩნიათ წინასწარ განსაზღვრული საინვესტიციო და ტექნიკური დახმარების დასაშვებობის კრიტერიუმები მრავალქვეყნიანი პროგრამების ფარგლებში. ეს ამცირებს საქართველოში პრიორიტეტული ტექნოლოგიებისთვის კლიმატის დაფინანსების მულტილათერალურ წყაროებიდან დაფინანსების შესაძლებლობებს და აჩენს პირდაპირი წვდომის ეროვნული სუბიექტების საჭიროებას, რომელთაც შეუძლიათ უფრო მცირე მასშტაბის და უფრო მიზნობრივი დაფინანსების მოწოდება მულტილათერალური კლიმატის ფონდებიდან. გარდა ამისა, ადგილობრივ საფინანსო ინსტიტუტებთან განხილვებმა აჩვენა, რომ ისინი მიესალმებიან GCF-თან თანამშრომლობას, რადგან აღიქმება, რომ GCF-ის ბიზნეს მოდელი მათ უფრო მაღალი მოქნილობის საშუალებას იძლევა, რომ ადგილობრივი მიმღების (მსესხებლის) საჭიროებებზე მოერგოს განაკვეთები, ვადები და რანჟირება.⁵³ თუმცა, დაშვების სისტემა აღიქმება, როგორც რთული.
- კლიმატის დაფინანსების პროექტების მიმოხილვამ, ისევე როგორც დაინტერესებულ მხარეებთან ჩართულობამ, გამოავლინა, რომ კლიმატის

⁵³ ადგილობრივ საფინანსო ინსტიტუტებთან ჩართულობამ გამოავლინა, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა შეიძლება უზრუნველყონ შეღავათიანი დაფინანსება წყაროდან, მაგრამ სახსრების ღირებულება სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომელსაც ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტები იღებენ, უკვე გაზრდილია, რაც ასახავს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საოპერაციო მარჯას. გარდა ამისა, ბანკები, როგორც ფინანსური შუამავალი, ასევე ამატებენ სტანდარტულ საოპერაციო მარჯებს, რაც კიდევ უფრო ზრდის მსესხებლისთვის სახსრების ღირებულებას. ამ კუთხით, მწვანე სესხები, რომლებიც ამჟამად გაიცემა საქართველოში, საბაზრო ფასისა და საჭიროებს მატერიალურ წახალისებას, როგორიცაა „ქემ-ბექი“. GCF-თან თანამშრომლობით, ადგილობრივ საფინანსო ინსტიტუტებს შეუძლიათ უშუალოდ გაატარონ კლიმატის შეღავათიანი დაფინანსება, რაც საბოლოო მსესხებელს გაუზრდის შეღავათიანობის დონეს.

დაფინანსების მულტილატერალურ წყაროებს (გმბ-ები, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები, მულტილატერალური კლიმატის ფონდები) მკაცრი ფიდუციური მოთხოვნები (გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემა (ESMS), გენდერი) და კლიმატის ზემოქმედების მონიტორინგისა და ანგარიშგების მოთხოვნები აქვთ სესხებზე კლიმატის პროექტებისთვის. თუმცა, მულტილატერალური კლიმატის ფონდებისგან განსხვავებით, როგორცაა კლიმატის მწვანე ფონდი⁵⁴, **განვითარების მულტილატერალურ ბანკებს და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს** წვდომის უფრო მარტივი მოთხოვნები აქვთ (მაგ., აკრედიტაცია ან თანხმობის წერილი (NOL) არ არის საჭირო კერძო სექტორის სუბიექტებისთვის). საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან დაფინანსების მოზიდვას საშუალოდ 3-6 თვე სჭირდება, ხოლო GCF-დან დაფინანსების შეთავაზების დამტკიცების პროცესს შეიძლება 1.3 წელი დასჭირდეს (აკრედიტაციის მისაღებად საჭირო დროის გამოკლებით). გარდა ამისა, დაინტერესებულ მხარეებთან ჩართულობამ გამოავლინა, რომ კლიმატის დაფინანსებაში აქტიური გმბ-ები და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან, თავიანთი მსესხებლებისთვის უზრუნველყოფენ შესაბამის მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩოებს, ინსტრუმენტებსა და კონსულტაციას (პერსონალის წევრები ან კონსულტანტები) კლიმატის პროექტების დასამტკიცებლად და განსახორციელებლად. ჩართული ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტები გმბ-ების და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საინვესტიციო პროცესებს უფრო სწრაფად და ხელმისაწვდომად თვლიდნენ. ზემოთ ახსნილი მარტივი წვდომის მოდელის გარდა, ეს აიხსნება რამდენიმე ფაქტორით, მათ შორის სფი/გმბ საინვესტიციო პროცესის ცოდნა, თანამშრომლობის გრძელვადიანი გამოცდილების გათვალისწინებით, და ბაზრის ცოდნა და სფი/გმბ-ების ადგილობრივი წარმომადგენლობა საქართველოში. რაც ნიშნავს ინვესტიციის უფრო სწრაფ ციკლს და მსესხებლისთვის ხელმისაწვდომობას.

მულტილატერალური არხები UNFCCC-ის ფინანსური მექანიზმის ფარგლებში

მულტილატერალური არხები UNFCCC-ის ფინანსური მექანიზმის ფარგლებში მოიცავს მულტილატერალურ კლიმატის ფონდებს, როგორცაა კლიმატის მწვანე ფონდი, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი, ადაპტაციის ფონდი და კლიმატის ცვლილების სპეციალური ფონდი, რომელიც სპეციალურად შეიქმნა კლიმატის შერბილებისა და ადაპტაციის საჭიროებებისთვის განვითარებად ქვეყნებში, UNFCCC-ის ფინანსური მექანიზმის ფარგლებში. ასეთი ფონდები ანგარიშვალდებული არიან მხარეთა კონფერენციის (COP) წინაშე. ქვემოთ, ცხრილი 12- ში განხილულია თითოეული ამ ფონდის საქმიანობა საქართველოში, ფინანსური ინსტრუმენტის, სექტორის სპეციფიკური

⁵⁴ აქ GCF მოყვანილია მაგალითად, რადგან ადგილობრივ ფინანსურ სუბიექტებს შეუძლიათ სესხის, კაპიტალის, გარანტიის და საგრანტო დაფინანსების გატარება GCF-დან, როცა AF-ი და GEF-ი მხოლოდ გრანტებს იძლევიან.

დაფინანსებისა და კლიმატ-ტექნოლოგიების დაფინანსების გამოცდილების თვალსაზრისით. გარდა ამისა, წვდომის სირთულის გამო საქართველოში ამ მულტილატერალური კლიმატის ფონდების შეზღუდული ცნობადობის გათვალისწინებით, **ტექსტური უჯრა 3, დანართში 4-ში**, ასახავს ბარიერებსა და შესაძლებლობებს UNFCCC-ის ფარგლებში არსებული მულტილატერალური კლიმატის ფონდებიდან დაფინანსებაზე წვდომისთვის.

ცხრილი 12. UNFCCC-ის პროცესის ფარგლებში დაარსებული და საქართველოში მოქმედი მულტილატერალური კლიმატის ფონდები

მულტილატერალური კლიმატის ფონდები UNFCCC-ის ფინანსური მექანიზმის ფარგლებში	TNA ტექნოლოგიებთან დაკავშირებული სექტორული გამოცდილება ⁵⁵	საქართველოში გამოყენებული ფინანსური ინსტრუმენტები	ფინანსური ინსტრუმენტები რომლებიც ხელმისაწვდომია, მაგრამ ჯერ არ არის გამოყენებული საქართველოში	კლიმატ-ტექნოლოგიების დაფინანსების გამოცდილება საქართველოში (კი, არა, არ არის შესაბამისი) ⁵⁶
კლიმატის მწვანე ფონდი (GCF)	- ტყე და მიწათსარგებლობა - შენობები, ქალაქები და ტექნიკა/მოწყობილობები - განახლებადი ენერგია და ხელმისაწვდომობა - დაბალემისიანი ტრანსპორტი - ინფრასტრუქტურა და აშენებული გარემო - ეკოსისტემა და ეკოსისტემური სერვისები	გრანტი, სესხები	კაპიტალი გარანტიები	კი, და პრიორიტეტული TNA ტექნოლოგიებისთვის შესაბამის ყველა სექტორში
ადაპტაციის ფონდი (AF)	- სოფლის მეურნეობა - კატასტროფის რისკის აცილებისა და ადრეული	გრანტი	არ/შ, რადგან AF-ი მუშაობს მხოლოდ საგრანტო ინსტრუმენტით	კი, ძირითადად რძის პროდუქტების სექტორსა და ადრეული გაფრთხილების სისტემებში

⁵⁵ პრიორიტეტული ტექნოლოგიების მიზნებისთვის, შესაბამისი სექტორებია ენერგეტიკა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა/სატყეო მეურნეობა და შენობები.

⁵⁶ ამ ანგარიშის მიზნებისთვის, „გამოცდილება“ (track record) მოიცავს როგორც პირდაპირ ინვესტიციებს, ასევე ტექნიკურ საკონსულტაციო მომსახურებას, საქართველოში კლიმატ-ტექნოლოგიების ათვისებასთან დაკავშირებით. გამოცდილება ფასდება, როგორც ზოგადი გამოცდილება/მოღვაწეობის ისტორია კლიმატ-ტექნოლოგიებში ყველა სექტორში და არა პრიორიტეტული ტექნოლოგიებისთვის, რადგან ასეთი მონაცემების ხილვადობა შეზღუდულია საქართველოში.

	გაფრთხილების სისტემა			
გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი (GEF)	- ენერგია - სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და სხვა მიწათსარგებლო ბა - ტრანსპორტი	გრანტი	არ/შ, რადგან GEF-ი მუშაობს მხოლოდ საგრანტო ინსტრუმენტით	კი, მაგრამ არა შენიშვნებში და ტექნიკა/მოწყობილო ბეზში.

ძირითადი მიგნებები (მულტილათერალური კლიმატის ფონდები):
კლიმატის მულტილათერალური ფონდების მიერ საქართველოში დღემდე დაფინანსებული პროექტების შესწავლით გამოვლინდა შემდეგი:

- UNFCCC-ის მულტილათერალური კლიმატის ფონდებიდან მოზიდული დაფინანსების მოცულობის თვალსაზრისით, კლიმატის მწვანე ფონდი კლიმატის უმსხვილესი მულტილათერალური დაფინანსების წყაროა საქართველოში; შემდეგია GEF-ი, რომელიც ლიდერობს დაფინანსებული პროექტების რაოდენობით (GEF - 19 დაფინანსებული პროექტი საქართველოში, GCF - 4 პროექტი⁵⁷). თუმცა, დღემდე ამ მულტილათერალური კლიმატის ფონდებიდან დაფინანსება უმეტესად ხორციელდება საერთაშორისო განმახორციელებელი სააგენტოების გავლით და ძირითადად პროგრამული მიდგომებით.
- საქართველოში GCF-ის პორტფელის მიმოხილვა ცხადყოფს, რომ ქვეყანას აქვს შესაძლებლობა გაიფართოოს დაფინანსება პირდაპირი წვდომის სუბიექტების მეშვეობით და მოახდინოს GCF-თან გამოსაყენებელი ფინანსური მექანიზმების დივერსიფიკაცია. ეს იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო აკრედიტებული სუბიექტების მეშვეობით საქართველოზე გამოწეული 7 პროექტისთვის დღემდე მხოლოდ გრანტები და სესხები გამოიყენებოდა. ამ 7-დან მხოლოდ ორი არ არის მრავალქვეყნიანი პროგრამა, რომელთა საერთო მოცულობა 60 მილიონი აშშ დოლარია GCF-დან.
- UNFCCC-ის ფინანსური მექანიზმის ფარგლებში დაფუძნებულ მულტილათერალურ კლიმატის ფონდებს მაღალი მოთხოვნები აქვთ ფინანსურ რესურსებზე წვდომისთვის, მათი აკრედიტაციის მოთხოვნებისა და ფიდუციური/ESG მოთხოვნების გათვალისწინებით. ამას მოწმობს საქართველოში დღემდე დაფინანსებული კლიმატ-ტექნოლოგიების მაგალითები, რომლებიც ძირითადად საერთაშორისო განმახორციელებელი სააგენტოების (გაეროს სააგენტოები, გმბ-ები) მეშვეობით ხორციელდებოდა.

⁵⁷ აღსანიშნავია, რომ GEF-ი 1997 წლიდან ახორციელებს დაფინანსებას საქართველოში მისი საერთაშორისო განმახორციელებელი სააგენტოების მეშვეობით, ხოლო GCF-მა საქართველოში დაფინანსება თავისი საერთაშორისო განმახორციელებელი უწყების მეშვეობით 2016 წლიდან დაიწყო. შესაბამისად, განსხვავება დაფინანსებული პროექტების რაოდენობაში განპირობებულია დროის ფაქტორით.

ადგილობრივ ფინანსურ ინსტიტუტებს უჭირთ კლიმატის მულტილატერალურ დაფინანსებაზე წვდომა აკრედიტაციის პროცესის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და კლიმატზე მაღალი ზემოქმედების პროექტების მოსამზადებლად და განსახორციელებლად საჭირო უნარების ნაკლებობის გამო. როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოში მხოლოდ ერთი ადგილობრივი სუბიექტია აკრედიტებული კლიმატის მწვანე ფონდისთვის და აკრედიტაციის პროცესს დაახლოებით 2 წელი დასჭირდა. დონორთა დაფინანსების წესებისა და პროცესების შეზღუდული ცოდნა კიდევ უფრო ამცირებს საქართველოში კლიმატის დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას. ხშირად შეზღუდულია შიდა შესაძლებლობები პოლიტიკის და შესაბამისი სახელმძღვანელო დოკუმენტების ცოდნაში და თუ როგორ შეიძლება მათი გამოყენება შეთავაზებების შესამუშავებლად. გარდა ამისა, საჭიროა თემატური ტექნიკური და შესაძლებლობების ამაღლების მხარდაჭერა პრიორიტეტული კლიმატ-ტექნოლოგიებისთვის და რისკების მართვის უნარების გაძლიერება ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტებისა და აღმასრულებელი სუბიექტებისთვის. ეს მოითხოვს მზადყოფნისა და პროექტის მომზადების გრანტებს, რომლებიც შეიძლება მოპოვებული იქნას როგორც GCF-დან, ასევე AF-დან, რომლებიც უზრუნველყოფენ პირდაპირი წვდომის სქემებს. იხილეთ აგრეთვე ტექსტური უჯრა 3 დანართში 4, რომელიც უფრო დეტალურად განიხილავს თითოეულის ბიზნეს მოდელს და ასახავს ბარიერებსა და შესაძლებლობებს დაფინანსებაზე წვდომისთვის, რომლებიც გამოვლინდა ლიტერატურის მიმოხილვისა და დაინტერესებულ მხარეებთან ჩართულობის საფუძველზე.

- კლიმატის დაფინანსების მულტილატერალური წყაროების საინვესტიციო კრიტერიუმების მიმოხილვამ აჩვენა, რომ პროექტები, რომლებიც ფინანსდება კლიმატის მულტილატერალური ინიციატივებით, ხშირად უნდა შეესაბამებოდეს არა მხოლოდ დონორის დაფინანსების მოთხოვნებს, არამედ ასევე ქვეყნის კლიმატის პროგრამირებასა და მონიტორინგის პროცედურებს, რათა უზრუნველყოს ქვეყნის ჩართულობა (“country ownership”). თუმცა, მეთოდოლოგიურად რთულია ასეთი სისტემის შექმნა და დანერგვა ადგილობრივი სუბიექტის მიერ, მონიტორინგისა და შეფასების შეზღუდული შესაძლებლობების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ყოველთვის არ არის მარტივი კლიმატის ცვლილების გრძელვადიანი პერსპექტივისა და გაურკვევლობის ელემენტის გათვალისწინება ადაპტაციის ღონისძიებების მონიტორინგისა და შეფასებისთვის (OECD, 2015a; Dinshaw et al., 2014). ეს დამატებით საჭიროებს ინსტიტუციური შესაძლებლობებისა და ცოდნის ამაღლებას, თანამშრომლობასა და კოორდინაციას ეროვნული სუბიექტების დონეზე, რომლებსაც სურვილი აქვთ განახორციელონ კლიმატის მაღალი ზემოქმედების პროექტები, და ასევე მთავრობის და ძირითადი დაინტერესებული მხარეების დონეზე.

მულტილათერალური არხები UNFCCC-ის ფინანსური მექანიზმის მიღმა

ამ ანგარიშის მიზნებისთვის, „მულტილათერალური არხები UNFCCC-ის ფინანსური მექანიზმის მიღმა“ მოიცავს განვითარების მულტილათერალურ ბანკებს და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს, რომლებიც იზიარებენ გმბ-ის ვალდებულებებს პარიზის შეთანხმებასთან შესაბამისობაში მოსვლასთან დაკავშირებით (Paris Agreement Alignment)⁵⁸. 2010-2022 წლებში კლიმატის პროექტებისთვის გმბ-ისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მეშვეობით მთლიანობაში 28.36 მილიარდი ლარი დაიხარჯა (წყარო: NDC-ის კლიმატის დაფინანსების სტრატეგია). დაფინანსების ყველაზე დიდი წყაროა EIB-ი (33%), ADB-ი (32%) და EBRD-ი (18%). დანარჩენი 17% უმთავრესად მსოფლიო ბანკის ჯგუფისა და სხვა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ იქნა გაღებული. გარდა ამისა, საქართველო სარგებელს იღებს აღმოსავლეთ ევროპაზე ორიენტირებული მრავალდონორიანი და მრავალქვეყნიანი მულტილათერალური ფონდებიდან - E5P-ი და EFSD-ი.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი 13 შეიცავს ინფორმაციას ძირითადი სუბიექტების შესახებ, ფინანსური ინსტრუმენტის, სექტორის სპეციფიკის და კლიმატ-ტექნოლოგიების დაფინანსების გამოცდილების მიხედვით საქართველოში.

ცხრილი 13. საქართველოში კლიმატის დაფინანსების მულტილათერალური წყაროები UNFCCC-ის მიღმა

კლიმატის დაფინანსების მულტილათერალური წყაროები UNFCCC-ის კლიმატის მექანიზმის მიღმა	TNA ტექნოლოგიებთან დაკავშირებული სექტორული გამოცდილება ⁵⁹	საქართველოში გამოყენებული ფინანსური ინსტრუმენტები	ფინანსური ინსტრუმენტები რომლებიც ხელმისაწვდომია, მაგრამ ჯერ არ არის გამოყენებული საქართველოში	კლიმატ-ტექნოლოგიები დაფინანსების გამოცდილება საქართველოში (კი, არა, არ არის შესაბამისი) ⁶⁰
ADB	- ენერგია - ტრანსპორტი	სესხები გარანტიები ტექნიკური დახმარება	კაპიტალი გრანტები	კი

⁵⁸ რამდენიმე მულტილათერალური და ბილათერალური ინსტიტუტი უსაბამეს საკუთარ სტრატეგიებს პარიზის შეთანხმებას და აინტეგრირებს კლიმატის ცვლილებას საკუთარ ოპერაციებში და შიდა ანგარიშგებაში. მულტილათერალურ და ბილათერალურ ინსტიტუტებს უჭირთ დასაფინანსებელი პროექტების შერჩევა, ხოლო განვითარებადი ქვეყნები აწყდებიან გამოწვევებს ხარისხიანი პროექტებისა და პროგრამების შემუშავებაში - ეს ქმნის შეუსაბამობას მოთხოვნა/მიწოდებას შორის კლიმატის დაფინანსებაში, განსაკუთრებით ადაპტაციის ნაწილში.

⁵⁹ პრიორიტეტული ტექნოლოგიების მიზნებისთვის, შესაბამისი სექტორებია ენერგეტიკა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა/სატყეო მეურნეობა და შენობები.

⁶⁰ ამ ანგარიშის მიზნებისთვის, „გამოცდილება“ (track record) მოიცავს როგორც პირდაპირ ინვესტიციებს, ასევე ტექნიკურ საკონსულტაციო მომსახურებას, საქართველოში კლიმატ-ტექნოლოგიების ათვისებასთან დაკავშირებით. გამოცდილება ფასდება, როგორც ზოგადი გამოცდილება/მოღვაწეობის ისტორია კლიმატ-ტექნოლოგიებში ყველა სექტორში და არა პრიორიტეტული ტექნოლოგიებისთვის, რადგან ასეთი მონაცემების ხილვადობა შეზღუდულია საქართველოში.

	- სოფლის მეურნეობა			
EBRD	- განახლებადი ენერგია - ენერგოეფექტურობა/შენობები - სოფლის მეურნეობა - ტრანსპორტი	სესხები კაპიტალი გრანტები და ტექნიკური დახმარება*, რომელიც შემოთავაზებულია კლიმატის დაფინანსების სპეციალური მექანიზმების მიერ და მიღებულია დონორების საშუალებით.	გარანტიები	კი
EIB ჯგუფი	- ენერგია - ტრანსპორტი	სესხები, საკონსულტაციო მომსახურება გრანტები და სუბსიდიები, რომლებიც გაცემულია ევროკომისიის მეშვეობით	კაპიტალი ⁶¹ გარანტიები	კი
მსოფლიო ბანკის ჯგუფი	- ენერგია - სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და სხვა მიწათსარგებლობა - ტრანსპორტი - შენობები	გრანტები, სესხები, შეღავათიანი სესხები, გარანტიები	კაპიტალი	კი
CEB	- ენერგია	სესხი	სესხები	კი
NEFCO	- ენერგია - ეფექტურობა/მუნიციპალური შენობები	სესხი	სესხი კაპიტალი გრანტები ტექნიკური დახმარება	კი
NIB	- ენერგია	სესხები	არ/შ	კი
EFSD	- ენერგია - ტრანსპორტი	გრანტები	სესხები, კაპიტალი, ტექნიკური	კი

⁶¹ თუმცა, EIB-ის კაპიტალი საქართველოში არაპირდაპირი გზით, GREEF Next-ის გავლით შემოდის.

			დახმარება, გარანტიები	
E5P	- ენერგია - ტრანსპორტი	გრანტები	არ/შ	კი

დანართი 4-ის მე-4 ტექსტურ უჯრაში განხილულია საქართველოში კლიმატის დაფინანსების მსხვილი მასშტაბებით მობილიზებაში აქტიური ძირითადი გმბ-ების, მათ შორის EBRD-ის, ADB-ის, EIB-ის, და მსოფლიო ბანკის ჯგუფის ბიზნეს და საოპერაციო მოდელები. ეს გმბ-ები იდენტიფიცირებულია, როგორც პრიორიტეტული ტექნოლოგიების საჭიროებების დაფინანსების ძირითადი წყაროები საქართველოში. გარდა ამისა, ანგარიში ყურადღებას ამახვილებს E5P-სა და EFSD-ზე - მრავალდონორიან ფონდებზე, რომლებიც მიზნად ისახავს კლიმატზე ზემოქმედებას ენერგოეფექტურობისა და ტრანსპორტის სექტორების მეშვეობით.

ტექსტურ უჯრაში განხილული არ არის CEB-ი, ისევე როგორც სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები, როგორიცაა NIB-ი და NEFCO, რომლებიც ასევე მონაწილეობენ კლიმატის დაფინანსებაში საქართველოში, მაგრამ შეზღუდული მასშტაბით.

ძირითადი მიგნებები:

- აღმოსავლეთ ევროპა და საქართველო სარგებლობენ სპეციალური მრავალდონორიანი ფონდებით, როგორიცაა ESFD-ი და E5P-ი, რომლებიც მიზნად ისახავს კლიმატზე ზემოქმედებას. ESFD-ი აერთიანებს ფინანსების შერევას (არსებული სესხებისა და გრანტების ნაზავი) და სპეციალურ საბიუჯეტო გარანტიას. ეს ფონდი მუშაობს ევროპულ და საერთაშორისო განვითარების ბანკებთან პარტნიორობით საქართველოში პროექტების დასაფინანსებლად. E5P-ი გრანტების მობილიზებას ახდენს დონორებისგან ენერგოეფექტურობისა და ტრანსპორტის პროექტების დასაფინანსებლად. ორივე ამ ფონდს აქვს საქართველოში კლიმატ-ტექნოლოგიების დაფინანსების გამოცდილება და შეიძლება ბერკეტად გამოყენებულ იქნას კლიმატ-ტექნოლოგიების თანადაფინანსებისთვის. თუმცა აღსანიშნავია, რომ ორივე ფონდი მუშაობს მხოლოდ საერთაშორისო განმახორციელებელ სუბიექტებთან (გმბ-ები, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები) პარტნიორობით.
- განვითარების მულტილატერალური ბანკები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საქართველოს კლიმატის დაფინანსების არქიტექტურაში და ერთობლიობაში წარმოადგენენ კლიმატის დაფინანსების უდიდეს წყაროს ქვეყანაში. ისინი თავიანთ ბიზნეს მოდელის იყენებენ მასშტაბური დაფინანსების ბერკეტის თავმოსაყრელად კონტრიბუტორი ქვეყნებიდან, და მრავალ დონორთან პარტნიორობით. აღსანიშნავია, რომ დანართი 4-ის მე-4 ტექსტურ უჯრაში განხილული ყველა გმბ-ი კლიმატის მულტილატერალური ფონდების აკრედიტებულ სუბიექტს წარმოადგენს

UNFCCC-ის მექანიზმის ფარგლებში და აქვს გამოცდილება საქართველოში კლიმატის მეტად საჭირო დაფინანსების მოწოდებაში სპეციალური რეგიონული კლიმატის ცვლილების პროგრამების მეშვეობით. ქვემოთ მოცემული პროგრამები მხარდაჭერილია როგორც კლიმატის მწვანე ფონდის, ასევე ევროპის მდგრადი განვითარების ფონდის (ESFD) მიერ, ესენია:

ტექსტური უჯრა 5	განვითარების მულტილათერალური ბანკების (გმბ) რეგიონული ინიციატივები, რომლებიც მხარდაჭერილია კლიმატის მულტილათერალური ფონდების მიერ
მწვანე ქალაქების პროგრამა (Green Cities Facility)	მწვანე ქალაქების პროგრამა უზრუნველყოფს მუნიციპალური ინვესტიციების გრძელვადიან სუვერენულ და არასუვერენულ დაფინანსებას. იგი ასევე სარგებლობს ტექნიკური თანამშრომლობის დავალებებით ქვეპროექტების მომზადებისა და განხორციელების მხარდასაჭერად. GCF-ის ეს პროექტი 2018 წელს დამტკიცდა და მისი ხანგრძლივობა დაახლოებით 23 წელს შეადგენს. ის მხარდაჭერას უწევს სულ 9 ქვეყანას აღმოსავლეთ ევროპაში, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონსა და აფრიკაში, რომელთაგან საქართველო ერთ-ერთი ბენეფიციარი ქვეყანაა. პროექტი იყენებს შერეული ფინანსების მიდგომას, და მობილიზებული აქვს 63 მილიონი აშშ დოლარის შეღავათიანი სესხი და 21 მილიონი აშშ დოლარის გრანტი GCF-ისგან (წყარო: GCF FP). დაფინანსების შეთავაზების მიხედვით, გამოყენებული ინსტრუმენტები დაკალიბრებული იქნება დაბალნახშირბადიანი და კლიმატისადმი მდგრადი ინფრასტრუქტურის დამატებითი ხარჯების გასათვალისწინებლად, რაც მოიცავს კაპიტალის უფრო მაღალ წინასწარ ხარჯებს, ბაზარზე შესვლის საბაზისო ბარიერებთან შედარებით, რომლებიც წარმოიქმნება კლიმატ-ტექნოლოგიების არასაკმარისი წარმომადგენლობით ადგილობრივ მუნიციპალურ სექტორებში და კლიმატის გარეგანი ეფექტებით (წყარო: GCF FP)
მდგრადი ენერგიის დაფინანსების მექანიზმები (ამჟამად, GEFF-ი):	2016 წელს დამტკიცებული GCF-ის ეს 15 წლიანი პროექტი, რომელსაც EBRD აფინანსებს, მიზნად ასახავს კლიმატთან დაკავშირებული დაფინანსების უზრუნველყოფას კერძო სექტორისთვის სამრეწველო, კომერციულ, საცხოვრებელ, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის სფეროებში მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მიერ კლიმატის

	ცვლილებასთან დაკავშირებული ისეთი პროექტების განსახორციელებლად, რომელიც შეიძლება გაფართოვდეს და გავრცელდეს. პროექტში ჩართულია აღმოსავლეთ ევროპის, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონისა და აფრიკის 10 სახელმწიფოს, მათ შორის საქართველოს კერძო სექტორი. GCF უზრუნველყოფს 1,231 მილიონ ლარს სესხის სახით და 122 მილიონ ლარს გრანტის სახით EBRD-თან ერთად, რომელიც უზრუნველყოფს 1,080 მილიონი ლარის ოდენობის სესხს და 35 მილიონი ლარის ოდენობის გრანტებს 10 ქვეყანაში. წყარო: NDC-ის დაფინანსების სტრატეგია და საინვესტიციო გეგმა
კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული დაფინანსებისა და ტექნოლოგიების გადამცემის ცენტრი (FINTECC):	პროექტი დამტკიცდა 2019 წელს EFSD-ის მიერ 2.18 მილიარდი ლარის ოდენობის მთლიანი ბიუჯეტით. აქედან EFSD-ს წვლილი შეადგენს 58.8 მილიონ ლარს გრანტებისა და ტექნიკური დახმარების სახით. პროექტის მიზანია აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში კლიმატმეგობრული ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებების განსახორციელებლად ფინანსური გარემოს გაუმჯობესების გზით. პროექტი ითვალისწინებს ტექნიკური დახმარების გაწევას, წახალისების მექანიზმების განვითარებას, აგრეთვე ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას, მარკეტინგსა და გავრცელებას. წყარო: NDC-ის დაფინანსების სტრატეგია და საინვესტიციო გეგმა

- კლიმატის დაფინანსების ძირითადი მულტილატერალური წყაროების შესწავლამ გამოავლინა, რომ საქართველოში მოქმედმა ძირითადმა მულტილატერალური განვითარების ბანკებმა (EIB, EBRD, IFC, ADB) პასუხისმგებლობა აიღეს, რომ თავიანთი ფინანსური საქმიანობა შეუსაბამონ პარიზის შეთანხმების პრინციპებსა და მიზნებს. ეს ნიშნავს, რომ მომავალში ოპერაციები და საინვესტიციო აქტივობები შეფასებას/სქრინინგს გაივლის პარიზის შეთანხმებასთან შესაბამისობის თვალსაზრისით და ისინი გაზრდიან კლიმატის ქმედებების დაფინანსების წილს შიდა მიზნების მიხედვით. ეს ქმნის **შესაძლებლობას** გმბ-ებიდან დაფინანსების მოსაზიდად პრიორიტეტული კლიმატ-ტექნოლოგიებისთვის.
- პროექტების/პროგრამების პორტფელის სწრაფი შეფასება ცხადყოფს, რომ სესხი საქართველოში UNFCCC-ის მექანიზმის მიღმა არსებული მულტილატერალური კლიმატის დაფინანსების წყაროების მიერ ყველაზე ფართოდ გამოყენებული ფინანსური ინსტრუმენტი იყო კერძო სექტორის დაფინანსებაში. სესხის ინსტრუმენტი, როგორც წესი, მოიცავს პროექტის პირდაპირ დაფინანსებას, ან ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტების მეშვეობით სესხის გაცემას (მწვანე საკრედიტო ხაზები). ასევე მზარდია საქართველოში მწვანე ობლიგაციებისთვის სავალო ინსტრუმენტის

წარმატებით გამოყენების შემთხვევები, კლიმატის ცვლილების შერბილების და/ან ადაპტაციის ზემოქმედების მიმართულებით.

- საქართველოში წარმოდგენილი გმბ-ები და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები კერძო სექტორისთვის მხარდაჭერის გამოყოფისას დამატებითობის (additionality) და მინიმალური შეღავათიანობის პრინციპით მუშაობენ, რითაც უმიზნებენ კონტრიბუციას, რომელიც არის „ხელმისაწვდომის მიღმა“ ან „არ არის წარმოდგენილი ბაზარზე“ და „არ უნდა შეავიწროოს (crowd out) კერძო სექტორი“. დაინტერესებულ მხარეებთან განხილვამ გამოავლინა, რომ ეს გულისხმობს დაფინანსების უზრუნველყოფას, რომელიც არ არის წარმოდგენილი ბაზარზე (მაგ. მწვანე საკრედიტო ხაზები ტექნოლოგიის დანერგვის ხელშესაწყობად, ადგილობრივ ვალუტაში გაცემული სესხები), რისკის შერბილებასა და/ან რისკის გაზიარებას (მ.შ. გარანტიები, სესხები ადგილობრივ ვალუტაში) და პროექტის გაუმჯობესებულ დაპროექტებას, ასევე ESG-ის სტანდარტებს. შეღავათიანობის პრინციპების შესაბამისად, საქართველოში მოქმედი გმბ-ები და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები ვალს გასცემენ საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით. სესხის ვადა (ხანგრძლივობა) დამოკიდებულია დაფინანსების სუვერენულობაზე - სუვერენული დაფინანსება უფრო ხანგრძლივ ვადიანია (მაგ. 15 წელი), ვიდრე არასუვერენული დაფინანსება.
- საშუალოდ, გმბ-ების ინვესტიციის ზომა აღემატება 10 მილიონ აშშ დოლარს, შესაბამისად, მწვანე საკრედიტო ხაზები ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებისთვის საქართველოში (ძირითადად პირველი დონის ბანკების მეშვეობით) არის ერთ-ერთი ბიზნეს მოდელი, რომელსაც როგორც გმბ-ები, ასევე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები იყენებენ დაფინანსების გასატარებლად მცირე პროექტებში. თუმცა, მწვანე საკრედიტო ხაზების შეფასებამ და დაინტერესებულ მხარეებთან ჩართულობამ აჩვენა, რომ ისინი დიდწილად ფინანსდება მრავალქვეყნიანი პროგრამებით და შეიცავს წინასწარ განსაზღვრულ საინვესტიციო კრიტერიუმებს. სესხის ვადა დამოკიდებულია დაფინანსების სუვერენულობაზე, სუვერენული დაფინანსება უფრო ხანგრძლივია (მაგ. 15 წელი), ვიდრე არასუვერენული დაფინანსება, ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტების ჩათვლით.
- თავად გმბ-ები ასევე მონაწილეობენ კლიმატის დაფინანსების მექანიზმების შემუშავებაში მათი სხვადასხვა საოპერაციო მანდატის ფარგლებში, საკუთარი და დონორთა დაფინანსების შერწყმის გზით. ზოგიერთი ასეთი ინიციატივა რელევანტურია ფინანსური სექტორის სუბიექტებისთვის და იძლევა ღირებულ გამოცდილებას ბიზნეს მოდელის დაპროექტების თვალსაზრისით, რადგან ისინი ითვალისწინებენ როგორც ფინანსურ, ისე არაფინანსურ ბარიერებს, რომლებიც აფერხებენ განვითარებად ბაზრებზე კლიმატის პროექტების ათვისებას. ქვემოთ მოცემულია საილუსტრაციო მაგალითები:

ტექსტური უჯრა 6: გმზ-ების მიერ კლიმატის დაფინანსების მექანიზმების შესამუშავებლად გამოყენებული ბიზნეს მოდელების მაგალითები	
EBRD: მწვანე ეკონომიკის დაფინანსების პროგრამები (GEFF-ები)	▪ პროგრამა თუ პროექტი: პროგრამული მიდგომა, მრავალქვეყნიანი, კლიმატის დაფინანსების მექანიზმი. ▪ დაფინანსების არხი: მწვანე საკრედიტო ხაზი. GEFF-ი უზრუნველყოფს კერძო სექტორის დაფინანსებას პარტნიორი ფინანსური ინსტიტუტების მეშვეობით. ▪ სტრუქტურა: იყენებს შერეული ფინანსების მიდგომას, გრძელვადიანი შეღავათიანი სესხების და საგრანტო დაფინანსების მობილიზებით, დაფინანსების მრავალი ბილატერალური და მულტილათერალური წყაროდან⁶², მათ შორის კლიმატის მწვანე ფონდიდან. გრანტები გამოიყენება როგორც ტექნიკური დახმარება, ასევე მწვანე სამიზნე შესრულებზე მიბმული „ქეშბეკების“ ფორმით, ფინანსური წახალისების უზრუნველსაყოფად საბოლოო მსესხებლებისთვის და მწვანე ტექნოლოგიების სწრაფი ათვისების ხელშესაწყობად⁶³. საქართველოში, მწვანე ეკონომიკის დაფინანსების პროგრამა (GEFF) 54 მილიონ დოლარიანი საკრედიტო ხაზია მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებისთვის, რათა სესხი გასცენ არაკომერციულ (მაცხოვრებლები) და კომერციულ კლიენტებზე, რომლებიც ინვესტიციებს ახორციელებენ ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის პროექტებში. ▪ სამიზნე ბარიერები: მიზნად ისახავს ფინანსური და არაფინანსური დანაკლისების აღმოფხვრას, რომლებიც ხელს უშლის მწვანე ტექნოლოგიების ათვისებას. პროგრამის კომპონენტები მოიცავს სესხის გაცემის საშუალებას და ტექნიკურ დახმარებას (წყარო: EBRD). ▪ კლიმატზე ზემოქმედება: CO₂-ის ემისიის შემცირება

⁶² GEFF-ი მხარდაჭერილია შემდეგი დონორების მიერ: ავსტრია, ბოჰუნციეს საერთაშორისო დეკომისირების მხარდაჭერის ფონდი, BP, კანადა, კლიმატის საინვესტიციო ფონდები, ჩეხეთი, აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობისა და გარემოს დაცვის საპარტნიორო ფონდი, EBRD-ის ადრეულ გარდამავალ ეტაპზე მყოფი ქვეყნების ფონდი, EBRD-ის სამხრეთ და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირული მრავალდონორიანი ანგარიში, ევროკავშირი, ევროპის დასავლეთ ბალკანეთის ერთობლივი ფონდი, გერმანია, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი, კლიმატის მწვანე ფონდი, იაპონია, კოზლოდუის საერთაშორისო დეკომისირების მხარდაჭერის ფონდი, ნორვეგია, სლოვაკეთი, ესპანეთი, შვედეთი, თურქეთი, ტაიპეი ჩინეთი, გაერთიანებული სამეფო. წყარო: EBRD

⁶³ თუმცა, ფულადი სახსრების დაბრუნების („ქეშბეკის“) მხარდაჭერა დასრულდა, რადგან ის ხორციელდებოდა ევროკავშირის დაფინანსებით, რომელიც დასრულდა.

EIB⁶⁴: მწვანე ზრდის ფონდი	▪ პროგრამა თუ პროექტი: პროგრამული მიდგომა, მრავალქვეყნიანი, სპეციალიზებული ზემოქმედების საინვესტიციო ფონდი ▪ დაფინანსების არხი: მწვანე საკრედიტო ხაზი + პირდაპირი ინვესტიციები. GGF-ი ახორციელებს კერძო სექტორის დაფინანსებას ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტების მეშვეობით (მწვანე საკრედიტო ხაზები სესხის გაცემისთვის) და პირდაპირი სესხების გაცემას ენერგოეფექტურობის, განახლებადი ენერგიის და რესურსების ეფექტურობის სექტორებისთვის. ▪ სტრუქტურა: შერეული ფინანსების მიდგომა. GGF-ი ინიცირებული იყო ევროპის საინვესტიციო ბანკისა და KfW-ის განვითარების ბანკის მიერ, როგორც საჯარო-კერძო პარტნიორობა, საჯარო ინსტიტუტების მიერ უზრუნველყოფილი სარისკო კაპიტალის ბერკეტად გამოყენებისთვის, დამატებით კერძო კაპიტალთან ერთად. ▪ სამიზნე ბარიერები: მიზნად ისახავს ფინანსური და არაფინანსური დეფიციტების აღმოფხვრას, როგორცაა შესაძლებლობებისა და ცოდნის ნაკლებობა (ცნობადობის ამაღლების ჩათვლით), მსესხებლებისთვის ხელმისაწვდომია ტექნიკური დახმარება. ▪ კლიმატზე ზემოქმედება: CO2-ის ემისიის შემცირება
---	---

განხილული გმბ-ების უმეტესობა უზრუნველყოფს საკონსულტაციო მხარდაჭერას და ტექნიკურ დახმარებას სექტორისთვის სპეციფიკური საბაზრო წარუმატებლობის აღმოსაფხვრელად, ასევე პროექტის მომზადებისა და საბანკო შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად. ყველა გმბ/სფი-ს ზეგავლენის და ESG მონიტორინგის მკაცრი პირობები აქვს სესხებზე, თუმცა ისინი უზრუნველყოფენ აუცილებელ ინსტრუმენტებსა და გამოცდილებას შესაძლებლობების/ცოდნის ნაკლებობის აღმოსაფხვრელად. EBRD-ს წარმატებული გამოცდილება აქვს საგრანტო ინსტრუმენტების, როგორც კლიმატ-ტექნოლოგიების ათვისების ხელშეწყობი ფინანსური სტიმულის გამოყენებაში (EBRD GEFF, მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის პროგრამა). დაინტერესებულ მხარეებთან განხილვამ აჩვენა, რომ ტექნიკური თანამშრომლობის აქტივობები ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოში კლიმატ-ტექნოლოგიების ათვისების ხელშეწყობაში. შესრულების გარკვეული კრიტერიუმების

⁶⁴ ეს არის EIB-ის ინიციატივა.

დაკმაყოფილების შემთხვევაში (მაგ. ენერგოეფექტურობა, ემისიის შემცირება) ფინანსური წახალისება ფულადი სახსრების დაბრუნებით („ქეშბეკი“) 10-20%-ის ფარგლებში ასევე წარმატებული იყო მსესხებლებისგან სესხების აღების ხელშეწყობაში.

გაეროს სააგენტოები

ქვემოთ განხილულია გაეროს სპეციალიზებული სააგენტოები, რომლებიც ეწევიან საქართველოში კლიმატ-ტექნოლოგიების დაფინანსებას. გაეროს ძირითადი სააგენტოები, მობილიზებული მოცულობის და საქართველოში განსაზღვრულ პრიორიტეტულ ტექნოლოგიებთან შესაბამისობის თვალსაზრისით, არიან IFAD-ი, FAO და UNDP-ი (ცხრილი 14). გაეროს სხვა სააგენტოებს შორისაა UNEP-ი, UNIDO, WFP-ი, რომელთაც არ აქვთ წარმომადგენლობა ქვეყანაში.

თითოეული მათგანის მიერ გამოყენებული ინსტრუმენტები განხილულია ქვემოთ, ხოლო ბიზნეს და საოპერაციო მოდელი, ისევე როგორც გამოცდილება საქართველოში აღწერილია დანართი 4-ის ტექსტურ უჯრაში 7.

ცხრილი 14. გაეროს ძირითადი სააგენტოები საქართველოში

კლიმატის დაფინანსების მულტილათერალური წყაროები UNFCCC-ის კლიმატის მექანიზმის მიღმა	TNA ტექნოლოგიებთან დაკავშირებული სექტორული გამოცდილება ⁶⁵	საქართველოში გამოყენებული ფინანსური ინსტრუმენტები	ფინანსური ინსტრუმენტები რომლებიც ხელმისაწვდომი ა, მაგრამ ჯერ არ არის გამოყენებული საქართველოში	კლიმატ-ტექნოლოგიების დაფინანსების გამოცდილება საქართველოში (კი, არა, არ არის შესაბამისი) ⁶⁶
IFAD	- სოფლის მეურნეობა	სესხები გრანტები	არ/შ, ყველა ხელმისაწვდომი ინსტრუმენტი გამოყენებულია	კი
FAO	- სოფლის მეურნეობა	გრანტები		კი
UNDP	- ენერგია - ტრანსპორტი - ბიომრავალფეროვნება/ სატყეო მეურნეობა	გრანტები		კი

⁶⁵ პრიორიტეტული ტექნოლოგიების მიზნებისთვის, შესაბამისი სექტორებია ენერგეტიკა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა/სატყეო მეურნეობა და შენობები.

⁶⁶ ამ ანგარიშის მიზნებისთვის, „გამოცდილება“ (track record) მოიცავს როგორც პირდაპირ ინვესტიციებს, ასევე ტექნიკურ საკონსულტაციო მომსახურებას, საქართველოში კლიმატ-ტექნოლოგიების ათვისებასთან დაკავშირებით. გამოცდილება ფასდება, როგორც ზოგადი გამოცდილება/მოღვაწეობის ისტორია კლიმატ-ტექნოლოგიებში ყველა სექტორში და არა პრიორიტეტული ტექნოლოგიებისთვის, რადგან ასეთი მონაცემების ხილვადობა შეზღუდულია საქართველოში.

ძირითადი მიგნებები:

- გაეროს სააგენტოები მოქმედებენ მულტილატერალური ჩარჩოს ფარგლებში. როგორც ნახაზი 1-ზეა ასახული, ისინი თანხებს იღებენ ბილატერალური და მულტილატერალური დონორებისგან, მათ შორის მულტილატერალური კლიმატის ფონდებიდან UNFCCC-ის მექანიზმის ფარგლებში (GEF, AF და GCF).
- გაეროს სააგენტოები, თავიანთ საოპერაციო მოდელში, დიდწილად კაპიტალიზებას ახდენენ საგრანტო ინსტრუმენტებზე. საგრანტო ინსტრუმენტები გამოიყენება ქვეყნის ინსტიტუციური და პოლიტიკის შესაძლებლობების გასაძლიერებლად, ცოდნის გასაზრდელად (მათ შორის ცნობიერების ასამაღლებლად) და ადვოკატირების გასაძლიერებლად. გარდა ამისა, საგრანტო ინსტრუმენტები გამოიყენება კლიმატ-ტექნოლოგიებში კერძო სექტორის ჩართულობის ხელშესაწყობად. ამ შემთხვევაში, ჩარევის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, საჭიროა თანაინვესტირება პროექტის ბენეფიციართაგან. თანაინვესტირების პროცენტული წილი დამოკიდებულია ტექნოლოგიის კონკრეტულ სამიზნე ბარიერებზე. IFAD-ი გაეროს ერთადერთი სააგენტოა, რომელიც უზრუნველყოფს სესხებს საქართველოში, რადგან ის არის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი და გაეროს სპეციალიზებული სააგენტო.
- საქართველოში გაეროს სააგენტოების პროექტების მიმოხილვა მიუთითებს, რომ მოწოდებული დაფინანსება არის პროგრამული და მრავალკომპონენტური, და ორიენტირებულია ქვეყნის საჭიროებების შესაბამის სტრატეგიულ მიმართულებებზე. ხშირად, გაეროს სააგენტოების მიერ მიერ მოწოდებული დაფინანსება ერთმანეთის ავსებს.
- გაეროს სააგენტოებთან თანამშრომლობის პოტენციალის გამოყენება შეიძლება საქართველოში მოქმედი GEF-დან და/ან AF-დან დაფინანსების მოსაწოდებლად, რათა მოხდეს დაფინანსების კატალიზება ტექნიკური დახმარების მექანიზმებიდან, რომლებიც ორიენტირებულია კერძო სექტორის ჩართულობაზე პრიორიტეტული კლიმატ-ტექნოლოგიებისთვის.

2.2.1.6. კლიმატის დაფინანსება საერთაშორისო კერძო სექტორის მიერ

საერთაშორისო კერძო სექტორიდან კლიმატის დაფინანსება საქართველოში ძირითადად მოედინება სპეციალური გლობალური და რეგიონული საინვესტიციო მექანიზმებით, რომლებიც ჩამოყალიბებულია საჯარო-კერძო პარტნიორობით, როგორც რისკების გაზიარების მექანიზმი და კაპიტალიზაციას ახდენს შერეული ფინანსების სტრუქტურებზე. ესენია „მწვანე ზრდის ფონდი“ (GGF), „კლიმატის გლობალური საპარტნიორო ფონდი“ და GEEREF Next-ი. ამ სუბიექტების უმეტესობა დაფინანსებას ძირითადად ახორციელებს ადგილობრივი ფინანსური სუბიექტების მეშვეობით, როგორიცაა პირველი დონის ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტები, ხოლო GEEREF Next-ს აქვს მანდატი და უზრუნველყო კაპიტალის დაფინანსება კავკასიის სუფთა ენერგიის ფონდისთვის, რომელიც პირველად

ახორციელებდა ფონდის მართვას. პროექტის პირდაპირი დაფინანსებაც აგრეთვე იყო შეთავაზებული GGF-ის და კლიმატის გლობალური საპარტნიორო ფონდის მიერ.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი 15 შეიცავს ინფორმაციას აღნიშნული ძირითადი სუბიექტების შესახებ, ფინანსური ინსტრუმენტების, სექტორის სპეციფიკის და საქართველოში კლიმატ-ტექნოლოგიების დაფინანსების გამოცდილების მიხედვით.

ცხრილი 15. საქართველოში კლიმატის დაფინანსების ძირითადი საერთაშორისო კერძო სექტორის აქტორები

საერთაშორისო კერძო სექტორის დაფინანსება	TNA ტექნოლოგიებთან დაკავშირებული სექტორული გამოცდილება ⁶⁷	საქართველოში გამოყენებული ფინანსური ინსტრუმენტები	ფინანსური ინსტრუმენტები რომლებიც ხელმისაწვდომია, მაგრამ ჯერ არ არის გამოყენებული საქართველოში	კლიმატ-ტექნოლოგიების დაფინანსების გამოცდილება საქართველოში (კი, არა, არ არის შესაბამისი) ⁶⁸
მწვანე ზრდის ფონდი (GGF)	- განახლებადი ენერგია - ენერგოეფექტურობა - რესურს-ეფექტურობა	სესხები გრანტები ტექნიკური დახმარების სახით		კი
კლიმატის გლობალური საპარტნიორო ფონდი	- განახლებადი ენერგია - ენერგოეფექტურობა	სესხები, გრანტები ტექნიკური დახმარების სახით		კი
GEEREF	- განახლებადი ენერგია - ენერგოეფექტურობა	კაპიტალი		კი, მაგრამ არა პირდაპირ საქართველოში, არამედ საინვესტიციო კომპანიის მეშვეობით

დანართი 4-ის ტექსტური უჯრა 8 განიხილავს GGF-ის, GCPF-ისა და GEEREF-ის ბიზნეს და საოპერაციო მოდელებს, ისევე როგორც გამოცდილებას საქართველოში. ქვემოთ მოცემულია ძირითადი დაკვირვებები.

⁶⁷ პრიორიტეტული ტექნოლოგიების მიზნებისთვის, შესაბამისი სექტორებია ენერგეტიკა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა/სატყეო მეურნეობა და შენობები.

⁶⁸ ამ ანგარიშის მიზნებისთვის, „გამოცდილება“ (track record) მოიცავს როგორც პირდაპირ ინვესტიციებს, ასევე ტექნიკურ საკონსულტაციო მომსახურებას, საქართველოში კლიმატ-ტექნოლოგიების ათვისებასთან დაკავშირებით. გამოცდილება ფასდება, როგორც ზოგადი გამოცდილება/მოღვაწეობის ისტორია კლიმატ-ტექნოლოგიებში ყველა სექტორში და არა პრიორიტეტული ტექნოლოგიებისთვის, რადგან ასეთი მონაცემების ხილვადობა შეზღუდულია საქართველოში. (მეორდება)

ძირითადი მიგნებები:

- საერთაშორისო კერძო სექტორის დაფინანსება საქართველოში ძირითადად მოედინება გლობალური და რეგიონული მექანიზმებით, რომლებიც კაპიტალიზებას ახდენენ საჯარო-კერძო პარტნიორობის მოდელზე, რათა რისკები შეამცირონ კერძო სექტორის მონაწილეობისთვის. ყველა ეს მექანიზმი ძირითადად ინიცირებულია კლიმატის დაფინანსების გლობალური არქიტექტურაში დაფინანსების ბილატერალური და/ან მულტილტერალური წყაროების მიერ (როგორც ეს აღწერილია დანართი 4-ის ტექსტურ უჯრაში 8) კერძო სექტორის დაფინანსების ბერკეტის გამოყენების მიზნით, შერეული დაფინანსების მიდგომაზე კაპიტალიზებით. გარდა ამისა, უფასო ტექნიკური დახმარების მექანიზმი გამოიყენება ზემოთ განსაზღვრული 3 წყაროდან 2-ის მიერ, როგორც მათი ბიზნეს/საოპერაციო მოდელის ნაწილი, საბაზრო გამოწვევების გადასაჭრელად.
- „დამატებითობის“ პრინციპები ჩართულია ამ საინვესტიციო ფონდების ბიზნეს მოდელებში, რესურსები მიეწოდება იმ სფეროებს, რომლებსაც იმ დროისთვის შესაბამისი დაფინანსების ნაკლებობა აქვთ. ზემოთ განხილული დაფინანსების ყველა წყარო ორიენტირებულია ზემოქმედებაზე და მათ ერთ-ერთ სამიზნეს ემისიების შემცირება წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ისინი უზრუნველყოფენ „ემისიების დამატებით შემცირებას, რომელიც სხვაგვარად ვერ განხორციელდებოდა“ (წყარო: GCPF).
- ზემოთ ნახსენები ზემოქმედების ყველა საინვესტიციო არხი ემსახურება ენერგეტიკის სექტორს (განახლებადი ენერგია და ეფექტურობა), თუმცა იყენებს დაფინანსების ინტეგრირებულ მიდგომას - როგორცაა ენერგოეფექტური და განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიების სხვა ინდუსტრიებში (მაგ., სოფლის მეურნეობა, წყალი, შენობები) გამოყენების დაფინანსება. თუმცა არცერთ მათგანს არ აქვს საქართველოს ენერგეტიკაში განსაზღვრული პრიორიტეტული ტექნოლოგიების დაფინანსების გამოცდილება (მაგ. ქარის ელექტროსადგურების და ჰიდრომაკუმულირებელი ჰესების ერთობლიობა, მოდინების ჰესებისა და მწვანე წყალბადის ერთობლიობა, მზის ფოტოვოლტური ელექტროსადგურებისა და ენერგიის დამაგროვებელი ბატარეების ერთობლიობა). დადგმული სიმძლავრის დიაპაზონის თვალსაზრისით, განახლებადი ენერგიის დაფინანსებული პროექტები მცირე სიმძლავრისაა - და არ შეიცავს E&S მოთხოვნების მაღალი რისკის.
- საქართველოში საერთაშორისო კერძო სექტორის მიერ გამოყენებული ფინანსური ინსტრუმენტია მწვანე საკრედიტო ხაზებით ადგილობრივ ფინანსურ ინსტიტუტებზე გატარებული სესხი (უპირატესი, სუბორდინირებული). ასევე შესაძლებელია/უზრუნველყოფილია პირდაპირი დაფინანსება კერძო სექტორისთვის. სესხის საშუალო ვადა 5-7 წელია; თუმცა, უფრო ხანგრძლივადიანი სესხის გაცემა შესაძლებელია (10 წლამდე). GREEF-ი ერთადერთი ინსტიტუტია, რომელიც ახორციელებს კაპიტალის მიწოდებას, თუმცა მას საქართველოში მხოლოდ ერთი პროექტი

აქვს გამოყენებული. ტექნიკური დახმარება უზრუნველყოფილია საბაზრო წარუმატებლობისგან (market failure) დასაცავად და მიეწოდება ფინანსურ ინსტიტუტებს საჭიროების შეფასების საფუძველზე. ამიტომ, დაფინანსება მიზანზე გათვლილია - სესხის პირობები და ტექნიკური დახმარება ინდივიდუალური მსესხებლების საჭიროებებზეა მორგებული.

- საოპერაციო მოდელის თვალსაზრისით, დასახელებული 3 ფონდიდან 2-ს აქვს ადგილობრივი წარმომადგენლობა საქართველოში და მოქნილი საოპერაციო მოდელი, სადაც დამტკიცების პროცესს ნაკლები დრო სჭირდება, ვიდრე გმბ-ების და მულტილატერალური კლიმატის ფონდების შემთხვევაში.

2.2.2. შერჩეული ტექნოლოგიების დანერგვისთვის საერთაშორისო დაფინანსების მობილიზების ბარიერები და შესაძლებლობები

TNA-ს პროექტის განხორციელებისას გამოვლინდა სხვადასხვა ბარიერები, რომლებიც აფერხებს საქართველოში კლიმატის დაფინანსების მიღებას, როგორც საერთაშორისო ისე ადგილობრივ დონეზე. მათ შორისაა ბარიერები, რომლებიც ხელს უშლის საერთაშორისო დონორებს „ადგილობრივ დონეზე წვდომაში“ და „კლიმატ-ტექნოლოგიებში ინვესტირებაში“ საქართველოში. გარდა ამისა, პროექტმა გაითვალისწინა გლობალური გამოცდილება, გამოვლენილი ბარიერების აღმოფხვრისა და პრიორიტეტული ტექნოლოგიებისთვის კლიმატის დაფინანსების გაზრდის შესაძლებლობების იდენტიფიცირებისთვის. ძირითადი დასკვნები შეჯამებულია ქვემოთ:

- საქართველოში კლიმატის ბილატერალური და მულტილატერალური დაფინანსება ძირითადად საერთაშორისო განმახორციელებელი სააგენტოების მეშვეობით გადის, ეროვნული სუბიექტები ნაკლებად არიან წარმოდგენილი საქართველოს კლიმატის დაფინანსების არქიტექტურაში. ქვეყანას სჭირდება პირდაპირი აკრედიტაციის მქონე მეტი ადგილობრივი სუბიექტი (ფინანსური ინსტიტუტები, სხვა), რომლებსაც შეეძლებათ დონორთა დაფინანსების პირდაპირ მოწოდება მულტილატერალური კლიმატის ფონდებიდან, პრიორიტეტული ტექნოლოგიების საჭიროებებისთვის კლიმატის დაფინანსების გასაზრდელად და ადგილობრივი კერძო სექტორის მონაწილეობის ბერკეტის გამოსაყენებლად.
- კლიმატის დაფინანსების უზრუნველყოფა დიდწილად განპირობებულია „რეალური სექტორის“ მოთხოვნით; ეს საჭიროებს ცნობიერების ამაღლების აქტივობებს, ასევე ფინანსურ სტიმულებს, რათა დაჩქარდეს პრიორიტეტული კლიმატ-ტექნოლოგიების დანერგვა, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის ფართოდ ათვისებული. გაეროს სააგენტოს წარმომადგენლებთან ცალკე განხილვებმა ასევე დაადასტურა, რომ ცნობიერების ამაღლებისა და შესაძლებლობების განვითარების აქტივობები გრანტების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი იყო.
- კლიმატის დაფინანსების არქიტექტურაზე წვდომა მოითხოვს სპეციალიზებულ შესაძლებლობებს, ცოდნას და რესურსებს, რომლებიც

შეზღუდულია საქართველოში - ეს აფერხებს დონორთა დაფინანსებაზე წვდომას, GCF-ის ჩათვლით. კლიმატის მწვანე ფონდის მკაცრი ფიდუციური, გარემოსდაცვითი და სოციალური მმართველობის, ასევე გენდერული მოთხოვნების დაკმაყოფილება რთულია ადგილობრივი სუბიექტებისთვის, რაც ბადებს მზაობის (readiness) მხარდაჭერის საჭიროებას. საქართველოში შეზღუდულია როგორც კარგად დასაბუთებული კლიმატის პროექტების იდენტიფიცირების შესაძლებლობები, ასევე კლიმატზე მაღალი ზემოქმედების მქონე პროექტების შემუშავებისა და განხორციელების ადგილობრივი შესაძლებლობები. ეს ქმნის ტექნიკური დახმარების გრანტების საჭიროებას, როგორცაა პროექტის მომზადების მხარდაჭერა, შესაძლებლობების განვითარება და ინვესტიციების შემდგომი ტექნიკური დახმარება, კლიმატის ინსტიტუციური მართვისთვის და ძლიერი მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩოებისთვის.

2.3. საქართველოში ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოყენებული დაფინანსების წყაროები და ფინანსური ინსტრუმენტები

2.3.1. ხელმისაწვდომი დაფინანსების ზოგადი მიმოხილვა

ადგილობრივი ფინანსური სისტემის მონაწილეობა აუცილებელია საქართველოში კლიმატ-ტექნოლოგიებისთვის კერძო სექტორის დაფინანსების გასაზრდელად, ქვეყნების TNA და NDC საჭიროებების უზრუნველყოფის მიზნით. საქართველოში ადგილობრივი საფინანსო სისტემის შესწავლამ გამოავლინა, რომ შიდა ბაზარი დიდწილად საბანკოა – ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტები ფლობენ ფინანსური სექტორის მთლიანი აქტივების 95%-ზე მეტს. ამ ანგარიშის ფარგლებში, განხორციელდა ჩართულობა ადგილობრივ საფინანსო ინსტიტუტებთან (5 წამყვანი ბანკი, „პირველი დონის“ ბანკები), მათგან კლიმატის დაფინანსებაში ჩართვის სურვილის, კლიმატ-ტექნოლოგიების დაფინანსების წყაროების და გამოყენებული ფინანსური ინსტრუმენტების გასარკვევად. მწვანე ფინანსური აქტივების განმარტებები და სქემა განსხვავდება საკრედიტო ხაზისა და დაფინანსების მომწოდებლის მიხედვით, მაგრამ დაინტერესებულ მხარეებთან ჩართულობა ცხადყოფს, რომ მულტილათერალური წყაროებით დაფინანსებული პროგრამების უმეტესობაში CO₂-ის ემისიის შემცირება არის ინდიკატორი, რომელიც გამოითვლება. ძირითადი დასკვნები შეჯამებულია ქვემოთ:

1. საქართველოში ადგილობრივ საფინანსო ინსტიტუტებს მაღალი პოტენციალი აქვთ ჩაერთონ კლიმატ-ტექნოლოგიების დაფინანსებაში და გაზარდონ მეტად საჭირო კერძო სექტორის დაფინანსება, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ისინი ტრადიციულად კერძო სექტორის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენენ საქართველოში.

ტექსტური უჯრა 9: საქართველოს ფინანსური სექტორის ამჟამინდელი სტატუს-კვო

კომერციული ბანკები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საქართველოს ფინანსურ სექტორში, იკავებენ რა ფინანსური სექტორის მთლიანი აქტივების 95%-ს. არასაბანკო დაწესებულებების წილი 3.4%-ია. მასში შედის 38 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, 183 საკრედიტო სააგენტო, 561 გაცვლის პუნქტი და 1 საკრედიტო კავშირი.

საქართველოს საბანკო სექტორი საკმაოდ დიდია; მისი მთლიანი აქტივები 2021 წლის ბოლოსთვის მშპ-ის 71.4%-ს შეადგენდა (სესხები მშპ-ზე). დეპოზიტები საბანკო სექტორის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს, რადგან ისინი მთლიანი ვალდებულებების 71%-ს შეადგენს. ნასესხები სახსრები ასევე წარმოადგენს დაფინანსების მნიშვნელოვან წყაროს, და შეადგენს მთლიანი ვალდებულებების 21%-ს.

ამჟამად საქართველოში 14 ბანკი ფუნქციონირებს, აქედან 13 უცხოური საკუთრებაა. ქვეყანაში საბანკო სექტორი ძალზე კონცენტრირებულია და ორი უმსხვილესი ბანკი (თიბისი ბანკი და საქართველოს ბანკი) ფლობს საბანკო სექტორის მთლიანი აქტივების 70%-ზე მეტს. წამყვანი ხუთი ბანკი („პირველი დონის“), რომელთაგან ყველა გამოიკითხა დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრების დროს, მოცემულია ქვემოთ:

1. სს თიბისი ბანკი

2. სს საქართველოს ბანკი
3. სს ლიბერთი ბანკი
4. სს ბაზის ბანკი
5. სს პროკრედიტ ბანკი

საქართველოში კაპიტალის ბაზარი განუვითარებელია, რაც ზღუდავს ქვეყნის უნარს, მოახდინოს ინვესტირების ბაზის დივერსიფიკაცია და კაპიტალის მოზიდვა. საფონდო ბაზარი მცირეა, ხოლო ობლიგაციების ბაზარზე დიდწილად (68%) დომინირებს საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ (ძირითადად ლარში) გამოშვებული ობლიგაციები. **საბანკო სესხები წარმოადგენს კერძო სექტორის დაკრედიტების ძირითად წყაროს ქვეყნის ფინანსურ სისტემაში, რომელსაც არ გააჩნია კაპიტალის ქმედითი ბაზარი.** იურიდიული პირებისთვის საპროცენტო განაკვეთი 2022 წლის აგვისტოს მდგომარეობით 7.6%-ი იყო (წყარო: სეზ).

„კავკასიის სუფთა ენერგიის ფონდი“ კლიმატ-ტექნოლოგიებზე გათვლილი ერთადერთი კერძო სააქციო ფონდია რეგიონში, მათ შორის საქართველოში. თუმცა, უცნობია, მოიცავდა თუ არა ფონდის საინვესტიციო სტრატეგია კლიმატზე ზემოქმედების კრიტერიუმებს. სხვა ფონდები, რომლებსაც განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიების დაფინანსების გამოცდილება აქვს, არის SEAF-ის მიერ მართული ფონდები (GRDF, CGF) - თუმცა კლიმატზე ზემოქმედება არ იყო საინვესტიციო სტრატეგიის შემადგენელი ნაწილი.

- II. ადგილობრივი ფინანსური სექტორის სუბიექტებს (ძირითადად I დონის ბანკებს) უკვე აქვთ გამოცდილება მწვანე დაფინანსებაში. დაფინანსების ძირითად მომწოდებლებს წარმოადგენენ მულტილათერალური წყაროები, რომლებიც ფინანსებს ძირითადად მიმართავენ განახლებადი ენერგიის, ენერგოეფექტურობისა და რესურს-ეფექტურობის კლიმატ-ტექნოლოგიებზე. საქართველოში უკვე დანერგილი ტექნოლოგიები (როგორცაა ჰესები) ასევე შეიძლება დაფინანსდეს ბანკის საკუთარი წყაროებით. შესაბამისად, ადგილობრივ საფინანსო ინსტიტუტებს შეუძლიათ დაეყრდნონ ამ არსებულ გამოცდილებას და შესაძლებლობებს, რათა გაზარდონ საქართველოში კლიმატ-ტექნოლოგიების დაფინანსება. ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტებისთვის **მწვანე საკრედიტო ხაზის** ძირითადი მომწოდებლები საქართველოში არიან:

მულტილათერალური დაფინანსების წყაროები, რომლებიც გამოიყენება ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტების მიერ საქართველოში კლიმატ-ტექნოლოგიების დასაფინანსებლად	
EBRD	ძირითადი პროგრამა: GEFF - მწვანე ეკონომიკის დაფინანსების პროგრამა⁶⁹ სხვა პროგრამები, მწვანე თანასარგებლით⁷⁰

⁶⁹ EBRD-ის მწვანე ქალაქების პროგრამა მიმართულია მუნიციპალიტეტებზე, შესაბამისად, აქ არ არის მითითებული.

⁷⁰ EBRD-ის წარმომადგენელთან და ადგილობრივ საფინანსო ინსტიტუტებთან ჩართულობამ გამოავლინა, რომ თუმცა EBRD-ის მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის პროგრამა არ არის მკაცრად მწვანე, მაგრამ მის პორტფელში არსებული პროექტების 70% მწვანეა, რადგან პროგრამა ხელს უწყობს კონკურენტუნარიანობას და ევროკავშირის სტანდარტების მიღწევას. EBRD-ის ვაჭრობის ხელშეწყობის პროგრამაც (TFP) ასევე შეიცავს არაპირდაპირ კლიმატურ სარგებელს, იმის გათვალისწინებით, რომ EBRD-ის საინვესტიციო აქტივობები პარიზის შეთანხმებასთან შესაბამისობაშია.

	▪ EBRD-ის ვაჭრობის ხელშეწყობის პროგრამა ▪ მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის პროგრამა დასრულებული პროგრამა ▪ CEEP – კავკასიის ენერგოეფექტურობის პროგრამა, დამტკიცებული 2007 წელს EBRD-ის მიერ.
მწვანე ზრდის ფონდი (GGF)	ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტებისთვის მიწოდებული მწვანე საკრედიტო ხაზები, Finance in Motion GmbH / GGF-ის საოპერაციო მოდელის მიხედვით, არის საკონსულტაციო მომსახურება ტექნიკური დახმარებისთვის, ენერგეტიკის შეფასების სერვისებთან დაკავშირებით. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია „მდგრადი განვითარების ცენტრი - რემისია“ მოქმედებს როგორც მწვანე კონსულტანტი საქართველოს საბანკო სექტორისთვის (საქართველოს ბანკი, თიბისი ბანკი, თიბისი ლიზინგი, ბაზის ბანკი), რათა განახორციელოს გარკვეული რაოდენობის ზემოქმედების შეფასებები, GGF-ის სესხის საშუალებით დასაფინანსებელი პროექტების მიერ პირველადი ენერგიის დაზოგვისა და CO2-ის ემისიის შემცირების დონეების ვერიფიკაციისა და ანგარიშგების მიზნით. ღონისძიების დასაშვებობის დადგენის შემდეგ, ინვესტიცია დაკვალიფიცირდება როგორც GGF-ის ენერგოეფექტურობის არასტანდარტულ ღონისძიება და დაფინანსდება.
GCPF	ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტებისთვის მიწოდებული მწვანე საკრედიტო ხაზები, GCPF-ის (კლიმატის გლობალური საპარტნიორო ფონდი) საოპერაციო მოდელით. პროექტი მიზნად ისახავს საფინანსო ინსტიტუტების მხარდაჭერას მწვანე სესხების შეფასებაში და მათი შიდა შესაძლებლობების ჩამოყალიბება/გაზრდას მწვანე პროდუქტების, ენერგოეფექტურობისა და ნახშირბადის დაზოგვის მიმართულებით. პროგრამის კიდევ ერთი მიზანია ბაზრის ანალიზის ჩატარება და CO2-ის ემისიების გაანგარიშება. სფერო: • საფინანსო ინსტიტუტებისთვის მხარდაჭერის უზრუნველყოფა მწვანე პროდუქტთან დაკავშირებულ ტექნიკურ ასპექტებზე. • ენერგოეფექტურობის საბაზისო კვლევების ჩატარება სტანდარტული ტექნოლოგიებისთვის. • ბანკის სესხების ენერგოაუდიტის ჩატარება.
სხვა წყარო, რომელსაც ერთ-ერთ კრიტერიუმად აქვს მწვანე დასაშვებობა	▪ FMO (მაგ. FMO-მ ადგილობრივ საფინანსო ინსტიტუტზე გასცა სესხი, რომელსაც თან ახლავს ფინანსური ვალდებულება, თანხების 10% გამოიყოს მწვანე დაფინანსების მიმართულებით. დასაშვებობის კრიტერიუმები შეესაბამება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2022 წელს შემოღებულ მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიას (წყარო: დაინტერესებული მხარეების ჩართულობა) ▪ DEG-ს⁷¹ აქვს ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტისთვის საკრედიტო ხაზის მიწოდების გამოცდილება, სადაც თანხების დაახლოებით 30% აფინანსდება მწვანე ინვესტიციებს, რომლებიც შესაბამისობაში იყო საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2022 წელს შემოღებულ მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიასთან.

წყარო: ჩართულობა 5 წამყვან ადგილობრივ ბანკთან

⁷¹ DEG – გერმანიის საინვესტიციო და განვითარების საზოგადოება

კლიმატის დაფინანსების ამ მულტილათერალური წყაროებიდან ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოყენებული ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტებია სესხები და გრანტები:

- I. **სესხები** მობილიზებულია დონორებისგან და მიეწოდება მსესხებლებს **საბაზრო პირობებით** - საპროცენტო განაკვეთზე, ვადაზე ან უზრუნველყოფის მოთხოვნებზე საშელავათო პირობების გარეშე, მისი „მწვანე“ კომპონენტის მიუხედავად. თუმცა, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები უზრუნველყოფენ დამატებით სტიმულებს საბაზრო პირობებთან შედარებით (როგორიცაა საგრანტო წახალისება ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტების მსესხებლებისთვის და ტექნიკური დახმარება). გარდა ამისა, მწვანე საკრედიტო ხაზის მომწოდებლები მხარდაჭერას უწევენ ადგილობრივ საფინანსო ინსტიტუტებს მწვანე სესხების იდენტიფიკაციასა და მონიტორინგში (ისინი უზრუნველყოფენ მწვანე სესხის დასაშვებობის კრიტერიუმებს, ტექნოლოგიების ჩამონათვალს, პროგრამულ უზრუნველყოფას ან მეთოდოლოგიებს ზემოქმედების გამოსათვლელად, ასევე გარე ექსპერტებით ტექნიკურ დახმარებას მწვანე სესხის შეფასების და მონიტორინგის და შეფასების ღონისძიებების მხარდასაჭერად).
- II. **გრანტები** ძირითადად უზრუნველყოფილია მსესხებლებისთვის ფულის დაბრუნების/„ქეშბეკის“ ფინანსური წახალისების სახით და თავად ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტების ტექნიკური დახმარების სახით. „ქეშბეკი“ უზრუნველყოფილი იყო EBRD-ის დაფინანსებული პროგრამების ფარგლებში⁷², სადაც ბანკის მსესხებლებს მწვანე პროექტების წარმატებით დასრულებისა და ვერიფიკაციის შემდეგ დაუბრუნეს საინვესტიციო სტიმულის 10-15%. გარდა ამისა, კრედიტორების თითოეული მწვანე საკრედიტო ხაზი მოიცავდა დამატებით ტექნიკურ დახმარებას, რომლის ფარგლებშიც ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტები უფასოდ სარგებლობდნენ გარე ექსპერტების მომსახურებით, საკრედიტო ხაზის სპეციფიკური მწვანე სესხის შეფასების, ვერიფიკაციის და მონიტორინგის მხარდაჭერაში.
მწვანე საკრედიტო ხაზებში ინტეგრირებული ტექნიკური დახმარების გარდა, ბანკები სარგებლობენ ინდივიდუალური ტექნიკური დახმარებით, ინსტიტუციური შესაძლებლობების გასაძლიერებლად. ამის მაგალითებია ტექნიკურ დახმარება კლიმატის ცვლილების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების ინსტიტუციონალიზაციისთვის, TCFD-თან (კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების

⁷² EBRD CEEP, DCFTA, მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობა (SMEC)

სპეციალური ჯგუფი) შესაბამისობაში და ტექნიკური დახმარება შიდა მწვანე დაკრედიტების პროცესის განხორციელებისთვის.

დონორების მიერ დაფინანსებული გრანტების **ბიზნეს მოდელის** თვალსაზრისით, ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტები არ მართავენ გრანტს, რადგან მათ მართავენ დონორები. გრანტებისთვის, რომლებიც „ქეშბექის“ ფინანსური სტიმულირების სახით მოდიოდა, ბანკები მოქმედებდნენ, როგორც გრანტის თანხის „გადამცემები“ დონორისგან ბანკის მსესხებელზე, სადაც გრანტები დონორის მიერ ირიცხება ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტების ანგარიშზე და მსესხებელზე გაიცემა 2-5 დღის განმავლობაში. შესაბამისად, ბანკების საოპერაციო მოდელის გათვალისწინებით, ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოყენებული ძირითადი ინსტრუმენტია სესხი.

III. **ძირითადი ინვესტორები კლიმატის დაფინანსებაში.** ზემოაღნიშნული შესწავლით ირკვევა, რომ კლიმატის დაფინანსების მულტილათერალური წყაროებიდან მიღებული მწვანე დაფინანსება კონცენტრირებულია სამ მთავარ ინვესტორზე (EBRD, GGF, GCPF) და კლიმატის დაფინანსების გაზრდის მიზნით, საჭიროა საქართველოში დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაცია ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტებისთვის.

IV. **ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები,** რომლებიც გამოიყენება ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტების მიერ კლიმატ-ტექნოლოგიების დაფინანსებისთვის არის სესხები (ცხრილი 16). პირველი დონის ყველა ბანკს აქვთ მწვანე დაკრედიტების პორტფელი; თუმცა, ის მათი მთლიანი საკრედიტო პორტფელის 5%-ზე ნაკლებს შეადგენს (საშუალოდ). ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია I დონის ბანკების ფინანსური ინსტრუმენტები, მათი სექტორული გამოცდილება კლიმატ-ტექნოლოგიებთან დაკავშირებით და ინფორმაცია მწვანე დაკრედიტების პორტფელის შესახებ:

ცხრილი 16. საქართველოში კლიმატის დაფინანსების ადგილობრივი კერძო წყაროები

კლიმატის დაფინანსების ადგილობრივი წყაროები საქართველოში	TNA ტექნოლოგიებთან დაკავშირებული სექტორული გამოცდილება ⁷³	საქართველოში კლიმატ-ტექნოლოგიებისთვის გამოყენებული ფინანსური ინსტრუმენტები	ფინანსური ინსტრუმენტები რომლებიც ხელმისაწვდომია, მაგრამ ჯერ არ არის გამოყენებული საქართველოში კლიმატ-ტექნოლოგიებისთვის	კლიმატ-ტექნოლოგიების დაფინანსების გამოცდილება საქართველოში (კი, არა, არ არის შესაბამისი) ⁷⁴	მწვანე პორტფელის % საანგარიშო პერიოდის ბოლოს დაკრედიტების მთლიან პორტფელთან მიმართებით	მწვანე პორტფელის მთლიანი მოცულობა საანგარიშო პერიოდის ბოლოს (ლარი)
სს თიბისი ბანკი	- ენერგია - ტრანსპორტი - სოფლის მეურნეობა - შენობები	სესხი	გარანტია	კი	3.6% ⁷⁵	598 მილიონი
სს საქართველოს ბანკი	- ენერგია - სხვა, დონორთა მიერ დაფინანსებული პროგრამების მიხედვით	სესხი	გარანტია	კი	3% ⁷⁶	462.9 მლნ
სს ლიბერთი ბანკი	- ენერგია	სესხი	გარანტია	კი	2% ⁷⁷	20.2 მლნ
სს ბაზის ბანკი	- ენერგია	სესხი	გარანტია	კი	3.51%	62.9 მლნ ⁷⁸

⁷³ პრიორიტეტული ტექნოლოგიების მიზნებისთვის შესაბამისი სექტორებია ენერგეტიკა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა/სატყეო მეურნეობა და შენობები.

⁷⁴ ამ ანგარიშის მიზნებისთვის, „გამოცდილება“ (track record) მოიცავს როგორც პირდაპირ ინვესტიციებს, ასევე ტექნიკურ საკონსულტაციო მომსახურებას, საქართველოში კლიმატ-ტექნოლოგიების ათვისებასთან დაკავშირებით. გამოცდილება ფასდება, როგორც ზოგადი გამოცდილება/მოღვაწეობის ისტორია კლიმატ-ტექნოლოგიებში ყველა სექტორში და არა პრიორიტეტული ტექნოლოგიებისთვის, რადგან ასეთი მონაცემების ხილვადობა შეზღუდულია საქართველოში.

⁷⁵ მოიცავს ბანკის განახლებადი ენერგიის პორტფელს 2021 წლისთვის და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ დაფინანსებულ მდგრადი დაფინანსების სესხებს (წყარო: თიბისი ბანკის ESG გამჭვირვების ანგარიში).

⁷⁶ მოიცავს ბანკის განახლებადი ენერგიის პორტფელს (ჰიდრო, მზის პანელები) და სხვა სესხებს, რომლებიც პასუხობენ ბანკის კრედიტორების მწვანე სესხის საინვესტიციო კრიტერიუმებს.

⁷⁷ ლიბერთი ბანკს არ გააჩნია კონკრეტული მწვანე პროდუქტი, წილი დაანგარიშებულია განახლებადი ენერგიის პორტფელზე დაყრდნობით.

⁷⁸ ბაზის ბანკმა წარმოადგინა ინფორმაცია მწვანე პორტფელის შესახებ სხვადასხვა ვალუტაში შემდეგნაირად (10,253,086.13 აშშ დოლარი, 5,657,188.10 ევრო და 18,871,879.62 ლარი). აშშ დოლარისთვის გამოყენებული სავალუტო კურსია 2.7020 (31/12/2022 კურსი), ხოლო ევროსთვის 2.8844.

	- სხვა, დონორთა მიერ დაფინანსებული პროგრამის განსაზღვრების მიხედვით					
სს პროგრედიტ ბანკი	- ენერგია - რესურსების ეფექტურობა - სექტორები, რომლებიც დადებითად ზემოქმედებენ გარემოზე	სესხი	გარანტია	კი	14.66%	109.19 მლნ ⁷⁹

წყარო: სეზ-ში წარდგენილი ESG გამჟღავნების ანგარიშები

მონაცემთა ანალიზი აჩვენებს, რომ სს თიბისი ბანკი და სს საქართველოს ბანკი მწვანე პორტფელის ყველაზე დიდ მოცულობას ფლობენ საბანკო სექტორში. ეს გასაკვირი არ არის, იმის გათვალისწინებით, რომ ეს ორი ბანკი ერთად საქართველოს საბანკო სექტორის აქტივების 70%-ზე მეტს მოიცავს და საკრედიტო ხაზებით გამოყოფილი მთლიანი მულტილათერალური დაფინანსების უმეტესი ნაწილი მათზე მოდის.

ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტების გამოცდილება კლიმატ-ტექნოლოგიებში ძირითადად ენერგეტიკის სექტორს უკავშირდება (მოთხოვნისა და მიწოდების მხარე), სადაც ჰიდროენერგეტიკული ტექნოლოგია ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტების მიერ ყველაზე მეტად დაფინანსებული ტექნოლოგიაა საქართველოში. თუმცა, დაინტერესებული მხარეების ჩართულობამ გამოავლინა, რომ ბანკებს, რომლებიც საკრედიტო ხაზებს ატარებენ ზემოთ აღწერილი მულტილათერალური წყაროებიდან (თიბისი ბანკი, საქართველოს ბანკი) აქვთ გამოცდილება სხვა სექტორებშიც, სადაც არსებობს ენერგოეფექტურობის, რესურს-ეფექტურობის და მდგრადობის პრაქტიკის დანერგვის პოტენციალი.

- V. **ESG გამჟღავნების ანგარიშები.** ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტები ახდენენ გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხების (ESG) შესახებ ანგარიშგებას და გამჟღავნებას, საქართველოს ეროვნული ბანკის „კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსთან“ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. პროექტები, რომლებიც გადიან ESG სკრინინგს პირველი დონის (TIER I) ბანკების პორტფელში 55%-ზე მეტია

⁷⁹ პროგრედიტ ბანკმა მწვანე პორტფელის შესახებ ინფორმაცია წარმოადგინა სხვადასხვა ვალუტაში შემდეგნაირად (71,345,031.71 ლარი, 17,619,403.92 აშშ დოლარი, 20,229,514.28 ევრო), აშშ დოლარისთვის გამოყენებული სავალუტო კურსია 2.7020 (31/12/2022 კურსი), ხოლო ევროსთვის 2.8844.

(წყარო: ESG გამჟღავნების ანგარიშები, სებ). ეს მიუთითებს იმაზე, რომ ადგილობრივ საფინანსო ინსტიტუტებს აქვთ საფუძველი შექმნილი, რომ დააკმაყოფილონ კლიმატის დაფინანსების მულტილათერალური წყაროების, მათ შორის GCF-ის მკაცრი ფიდუციური ESG მოთხოვნები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბანკების მიერ ESMS-ის დანერგვა ძირითადად 2021 წლიდან დაიწყო - შესაბამისად, მათი გამოცდილება კვლავ შეზღუდულია. მონიტორინგისა და შეფასების (M&E) შესაძლებლობების ნაკლებობა კლიმატზე ზემოქმედების მონიტორინგისა და ანგარიშგებისთვის არის მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც მოითხოვს გამოსწორებას და შესაძლებლობების განვითარებას, როგორც ეს აჩვენა დაინტერესებული მხარეების ჩართულობამ (იხ. ბარიერების ანალიზი, თავი 2.3.2).

ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტები	იმ სესხების წილი, რომელიც ESG სკრინინგს გადის ⁸⁰
სს თიბისი ბანკი	100%
სს საქართველოს ბანკი	58.9%
სს ლიბერთი ბანკი	არ/შ
სს ბაზის ბანკი	100%
სს პროკრედიტ ბანკი	26%

VI. საქართველოში ამჟამად არ არსებობს ადგილობრივი სუბიექტი, რომელსაც კლიმატის მულტილათერალური ფონდებიდან UNFCCC-ის მექანიზმის ფარგლებში აქვს დაფინანსება გატარებული. აღსანიშნავია, რომ სს თიბისი ბანკს მიღებული აქვს კლიმატის მწვანე ფონდის აკრედიტაცია, მაგრამ ის ჯერ არ ამოქმედებულა პრაქტიკაში და ჯერ არ გაუტარებია დაფინანსება კლიმატის მწვანე ფონდიდან. ძირითადი შესაძლებლობები და ბარიერები:

შემთხვევის შესწავლა: ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტის მიერ GCF-ის დაფინანსებაზე წვდომა საქართველოში	
GCF-თან თანამშრომლობის შესაძლებლობა	ბარიერები GCF-ის დაფინანსებაზე წვდომისთვის
- თიბისის სტრატეგიის ათვისება მდგრადი დაფინანსების პორტფელის გასაფართოებლად, SDG 13-ის ჩათვლით. - ხელმისაწვდომობა დაფინანსების მდგრად წყაროზე და შესაძლებლობა კლიმატის ხელმისაწვდომი	▪ აკრედიტაციის ხანგრძლივი პროცესი: აკრედიტაციის რთული და ხანგრძლივი პროცესი GCF-ის დაფინანსებაზე წვდომისთვის, განაცხადის კითხვები/მოთხოვნები არ არის მორგებული საფინანსო ინსტიტუტების ბიზნეს მოდელზე,

⁸⁰ წყარო: თითოეული სუბიექტის მიერ სებ-ში წარდგენილი ESG გამჟღავნების ანგარიშები

დაფინანსების გატარებისთვის პირდაპირ მისი წყაროდან და საბოლოო მსესხებლებზე შეღავათიანად მიწოდებისთვის. როგორც თიბისი ბანკმა განმარტა, საქართველოში მწვანე დაფინანსება გაფანტულია და დონორთა დაფინანსების პრიორიტეტები განსხვავებულია. ამას გარდა, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა, რომლებიც თანამშრომლობენ თიბისი ბანკთან, შეიძლება გამოიყენონ შეღავათიანი დაფინანსება, სახსრების ღირებულება სავალო ინსტრუმენტისთვის, რომელსაც თიბისი იღებს, უკვე გაზრდილია, და მოიცავს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საოპერაციო მარჯას. გარდა ამისა, თიბისი ბანკი, როგორც ფინანსური შუამავალი, ამატებს თავის სტანდარტულ საოპერაციო მარჯებს, რაც კიდევ უფრო ზრდის მსესხებლისთვის სახსრების ღირებულებას. ამიტომ, მწვანე სესხები, რომლებიც ამჟამად გაიცემა საქართველოში, საბაზრო ფასშია და საჭიროებს მატერიალურ წახალისებას, როგორიცაა „ქეშბეკი“. GCF-თან თანამშრომლობით, თიბისი ბანკს შეუძლია პირდაპირ მიმართოს შეღავათიანი კლიმატის დაფინანსება და უზრუნველყოს უფრო მაღალი შეღავათიანობა საბოლოო მსესხებლისთვის. ▪ თიბისის საჭიროებებზე უფრო მეტად მორგებული დაფინანსება. პარტნიორი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან დაფინანსება ხდება უფრო ფართო, მრავალქვეყნიანი პროგრამების ფარგლებში, წინასწარ განსაზღვრული საინვესტიციო და ტექნიკური დახმარების დასაშვებობის კრიტერიუმებით. GCF-თან უშუალო თანამშრომლობით, თიბისი ბანკს ექნება მოქნილობის უფრო მაღალი დონე განაკვეთების, ვადების და რანჟირების ადგილობრივი მსესხებლების საჭიროებებზე მორგებისთვის.	„სხვა ენაზე საუბრობს“. აღინიშნა, რომ საშუალოდ [3-6] თვე სჭირდება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან დაფინანსების მოზიდვას, GCF-ის აკრედიტაციას დასჭირდა თითქმის 3 წელი და ასევე დამატებითი რესურსები ფინანსური და გარე შესაძლებლობების თვალსაზრისით, რომლებიც საჭიროა GCF-ის აკრედიტაციის მკაცრი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ▪ GCF-ის ბიზნეს მოდელისთვის უნიკალური, რაც მოითხოვს ეროვნული დანიშნული ორგანოს (სამინისტროს დონის) ჩართულობას და დამტკიცებას თითოეულ ნაბიჯზე, რაც GCF-დან დაფინანსების გატარების პროცესს უფრო ბიუროკრატიულს და ხანგრძლივს ხდის კერძო სექტორის სუბიექტისთვის, რომელიც მიჩვეულია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მოქნილი წვდომის რეჟიმში მუშაობას. ▪ GCF-ისგან კლიმატის დაფინანსებაზე წვდომა მოითხოვს სპეციალიზებულ შესაძლებლობებს, ცოდნას და რესურსებს: განიმარტა, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები, რომლებიც უზრუნველყოფენ მწვანე დაფინანსებას საქართველოში, პასუხისმგებელნი არიან პირველადი შესწავლისა და ინვესტიციის დასამტკიცებლად საჭირო დოკუმენტების მომზადებაზე. გარდა ამისა, პარტნიორი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები მხარდაჭერას უწევენ ბანკს მწვანე სესხების იდენტიფიკაციასა და მონიტორინგში, მათ შორის შესაბამისი ინსტრუმენტებით და გარე ექსპერტებით, ზემოქმედების ვერიფიკაციის მხარდასაჭერად. ამის საპირისპიროდ, GCF სთხოვს თავის აკრედიტებულ სუბიექტს კლიმატის დასაბუთებას (climate rationale), მონიტორინგისა და შეფასების (M&E) ძლიერ ჩარჩოებს, განხორციელებადობის კვლევისა და დაფინანსების შეთავაზების პაკეტს,
--	--

▪ მეტი შესაძლებლობები პროდუქტებისთვის: თიბისი გეგმავს საშუალოვადიან პერსპექტივაში განაახლოს GCF-ის აკრედიტაცია გარანტირებული ინსტრუმენტისთვის.	რაც ზრდის ტრანზაქციის ხარჯებს და საჭიროებს მზადყოფნას და პროექტის მომზადების მხარდაჭერას GCF-ის დაფინანსებაზე წვდომის მისაღებად. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ხელმისაწვდომია GCF-სგან გრანტის სახით, თიბისის გამოცდილება აჩვენებს, რომ ამ გრანტებზე წვდომა დაკავშირებულია რთულ პროცესებთან (მაგ. განსაზღვრა, თუ რომელი ჩარჩოს (მზადყოფნა/Readiness, პროექტის მომზადების საშუალება/PPF) ფარგლებში იქნება შესაძლებელი დაგეგმილი აქტივობების დაფინანსება, ედო-ს დამტკიცება, GCF-ის წარდგენისა და დამტკიცების ვადებთან შესაბამისობა).
--	---

სხვა ადგილობრივ საფინანსო ინსტიტუტებთან ჩართულობამ გამოავლინა, რომ კლიმატის დაფინანსების საერთაშორისო არქიტექტურაზე პირდაპირ წვდომისთვის ადგილობრივ საფინანსო ინსტიტუტებს აქვთ შეზღუდული ცოდნა და შესაძლებლობები. მათი უმეტესობა მიესალმება საქართველოში კლიმატის მწვანე ფონდიდან კლიმატის დაფინანსების ხელმისაწვდომობას და მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ინტერესი GCF-დან დაფინანსების მიღება, ისინი ცუდად იცნობენ GCF-ის ხელმისაწვდომის მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე, თავს უფრო კომფორტულად გრძნობენ ტრადიციულ მულტილათერალურ მომწოდებლებთან ურთიერთობაში, რომლებთანაც წლების გამოცდილება აქვთ დაფინანსების მოზიდვისა და პარტნიორობაში. გარდა ამისა, ასევე შეზღუდულია კლიმატის დაფინანსების მექანიზმების სტრუქტურის შემუშავების ადგილობრივი შესაძლებლობები, ამიტომ ამჟამად ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტებისთვის უფრო ადვილია წვდომა პროგრამული მიდგომის საკრედიტო ხაზებზე, რომლებიც ინვესტორების მიერ წინასწარ არის შემუშავებული. საჭიროა შესაძლებლობების გაძლიერება ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტების მხარდასაჭერად, რათა დანერგონ კლიმატის დაფინანსების ინოვაციური სტრუქტურები და გააფართოონ თავიანთი მწვანე პორტფელი, რომელიც ამჟამად 5%-ზე ნაკლებია.

VII. **შეზღუდული წვდომა ალტერნატიულ წყაროებზე.** ადგილობრივი ფინანსური სექტორის წარმომადგენლები საქართველოში ძირითადად მუშაობენ ინვესტორების შეზღუდულ ჯგუფთან (გმბ-ები, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები და რამდენიმე ზემოქმედების ინვესტორი) და ზოგადად საქართველოში შეზღუდულია წვდომა დაფინანსების ალტერნატიულ წყაროზე (მაგ. საპენსიო ფონდები, აქტივების მენეჯერები, სადაზღვევო კომპანიები). კლიმატის დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობა

კონცენტრირებულია კლიმატის დაფინანსების 3 ძირითად მულტილათერალურ წყაროზე, როგორც ეს ასახულია ზემოთ, ცხრილში [14]. შესაბამისად, საჭიროა ინვესტორების დივერსიფიკაცია ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტების მიერ, საქართველოში კლიმატის დაფინანსების გაფართოების და კლიმატის მწვანე ფონდთან ან კლიმატის დაფინანსების სხვა ბილათერალურ და მულტილათერალურ წყაროებთან თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით, რისთვისაც ერთ-ერთი ვარიანტი შეიძლება იყოს ადგილობრივ საკუთრებაში არსებული **კლიმატის დაფინანსების ინოვაციური მექანიზმები**, რომლებიც გამოცდილია გლობალურ ბაზრებზე.

ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტებისთვის არსებობს ასევე საშუალო და გრძელვადიანი პოტენციური კლიმატის დაფინანსების **მწვანე ობლიგაციების** მეშვეობით მოზიდვაში. ფირმების უმეტესობა საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესს წარმოადგენს და არ ფლობს საკმარის შესაძლებლობებს ობლიგაციების გამოსაშვებად, საკრედიტო რეიტინგის და ასევე მწვანე ობლიგაციების გამოშვებასთან დაკავშირებული ტრანზაქციის ხარჯების გამო. მეორეს მხრივ, ბანკები ტრადიციული მოთამაშეები არიან კაპიტალის ბაზრებზე და, ფლობენ მნიშვნელოვან პოტენციალს, მოიზიდონ კლიმატის დაფინანსება მწვანე ობლიგაციების გამოშვების გზით, რომელთაგან მიღებული შემოსავლითაც შესაძლებელია შემდეგ მცირე პროექტების დაფინანსება. ასეთი გაერთიანების მექანიზმს აქვს პოტენციური მოიზიდოს კლიმატის დაფინანსება მსხვილი მასშტაბით და გააფართოოს ინვესტორთა ბაზა, ხოლო განვითარების მულტილათერალური ბანკების გამოცდილება შეიძლება ფუნდამენტური მნიშვნელობის იყოს საქართველოში მწვანე ობლიგაციების სტრუქტურირებისა და გამოშვების პროცესში.

2.3.2. ძირითადი ბარიერები ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტებისთვის კლიმატის დაფინანსებაში

დღეისთვის, სესხი და გრანტები საქართველოში საერთაშორისო დონორებისგან კლიმატის დაფინანსების გასატარებლად ყველაზე მეტად გამოყენებული ინსტრუმენტებია, სადაც რისკის აცილების ინსტრუმენტები, როგორიცაა კაპიტალი და გარანტიები ნაკლებად არის წარმოდგენილი. შეღავათიანი სესხი და გრანტები საქართველოში ძირითადად უზრუნველყოფილია კლიმატის დაფინანსების ბილათერალური წყაროებიდან და მულტილათერალური კლიმატის ფონდებიდან, ხოლო განვითარების მულტილათერალური ბანკები და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები კერძო სექტორის პროექტებისთვის სესხებს გამოყოფენ საბაზრო პირობებით,

მინიმალური შეღავათიანობის პრინციპით.⁸¹ კერძო სექტორის მონაწილეობა კლიმატ-ტექნოლოგიების დაფინანსებაში შეზღუდულია და არ არის საკმარისი NDC-ის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად; საქართველოსთვის სასარგებლო იქნებოდა ადგილობრივი ფინანსური სექტორის წარმომადგენლების ჩართვა პრიორიტეტული კლიმატ-ტექნოლოგიების დაფინანსებაში.

ადგილობრივ საფინანსო ინსტიტუტებთან ჩართულობამ გამოავლინა, რომ კლიმატის ტექნოლოგიებისთვის დაფინანსების მოპოვება რთულია დამატებითი გაურკვევლობის, ასეთ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული რისკების, და „მომთმენი“ (patient) და იაფი კაპიტალის ნაკლებობის გამო, რაც დასტურდება საერთაშორისო ლიტერატურის მიმოხილვით (UNFCCC, 2015). შესაბამისად, კლიმატ-ტექნოლოგიების ათვისების ხელშეწყობისთვის გრძელვადიანი შეღავათიანი დაფინანსების საჭიროებას ხაზი გაესვა ადგილობრივ საფინანსო ინსტიტუტებთან ჩართულობის ფარგლებში.

საინვესტიციოდ და საბანკოდ მზა არხების ნაკლებობა იწვევს დაფინანსების შეზღუდულად გამოყოფას, რაც მიუთითებს რომ არსებობს პროექტის მომზადების საშუალებების საჭიროება როგორც ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტების, ისე მათი მსესხებლების დონეზე.

საქართველოში ადგილობრივ დონეზე კლიმატის დაფინანსების არქიტექტურის შესახებ ინფორმირებულობისა და ცოდნის ნაკლებობის შედეგად ხდება ადგილობრივი საფინანსო სექტორის კლიმატის დაფინანსებაში ჩართვის შესაძლებლობების გაშვება. მაგალითად, ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტების ჩართულობამ აჩვენა, რომ ისინი საკმარისად არ იცნობენ კლიმატის დაფინანსების არქიტექტურას. არსებობს პოტენციალი, გაზარდოს დაფინანსება დონორებისგან პრიორიტეტული ტექნოლოგიების საჭიროებებისთვის, ადგილობრივი ფინანსური სექტორის დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლებით კლიმატის დაფინანსების არქიტექტურისა და ხელმისაწვდომობის გზების შესახებ - ბილატერალური და მულტილატერალური დონორებისგან დაფინანსების ხელმისაწვდომი ინსტრუმენტების ჩათვლით.

⁸¹ წყარო: დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, [DFI-ის სამუშაო ჯგუფი კერძო სექტორის პროექტების შეღავათიანი შერეული დაფინანსების შესახებ](#).

2.4. კერძო სექტორის დაფინანსება

2.4.1. ხელმისაწვდომი დაფინანსების ზოგადი მიმოხილვა შერჩეული სექტორებისა და ტექნოლოგიების მიხედვით

2.4.1.1. ენერგეტიკის სექტორი

საქართველოს ენერგეტიკის სექტორი, უფრო ზუსტად კი განახლებადი ენერგიის სექტორი, კარგად არის წარმოდგენილი ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრების კერძო დაფინანსების სუბიექტების მრავალფეროვნებით.

მიუხედავად იმისა, რომ განახლებად წყაროებში კერძო დაფინანსების წილის ზუსტად დადგენა ვერ ხდება, დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრება აჩვენებს, რომ მთლიან დაფინანსებაში კერძო სექტორის წილი 20-დან 30%-მდე მერყეობს.

ქვეყანა განსაკუთრებით მიმზიდველია ჰიდროელექტროსადგურების დეველოპერებისთვის, რადგან მისი უხვი ჰიდრო რესურსები ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორებისთვის. მიუხედავად ამისა, არც ჰიდროენერგეტიკის, არც ქარის და მზის ენერგიის წარმოების პოტენციალი სრულად არ არის ათვისებული⁸² სექტორში არსებული მუდმივი შეფერხებების („ბოთლის ყელის ეფექტი“) გამო. ამრიგად, ბაზარს, რომელიც ჯერ კიდევ განვითარების ადრეულ ფაზაშია, არ გააჩნია უპირატესობა კომბინირებული განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიების განვითარებისთვის.⁸³

წინასწარი ანალიზის შედეგად გამოვლინდა განახლებადი ენერგიის რამდენიმე პროექტი, რომლებიც დაფინანსებულია კერძო საინვესტიციო კომპანიების მიერ (იხ. დანართი 5). მაგალითად, „სილქ როუდ ენერჯი“ (Silk Road Energy) არის ქართული საინვესტიციო კომპანია, რომელიც ფლობს, ავითარებს და მართავს ჰესებს საქართველოში. კომპანია არის „სილქ როუდ ჯგუფის“ ნაწილი,⁸⁴ რომელიც ერთ-ერთი წამყვანი კერძო საინვესტიციო ჯგუფია კავკასიაში. გარდა

⁸² საქართველოში ქარის ელექტროენერგიის საშუალო წლიური გამომუშავების პოტენციალი განსაზღვრულია 4 ტვტ-ით და 1,500 მგვტ დადგმული სიმძლავრით. უხეში გათვლით, ამ პოტენციალიდან ამჟამად გამოიყენება სიმძლავრის დაახლოებით 1% და წარმოების 2%. რაც შეეხება მზეს, საქართველოში მზის ენერგიის საშუალო წლიური საწარმოო პოტენციალი განისაზღვრება 520 მეგავატი დადგმული სიმძლავრით, არ არსებობს ფართომასშტაბიანი ე.წ. 'Utility scale' მზის სადგურები, ასე რომ, თუ ჩავთვლით წმინდა აღრიცხვაში ჩართულ შინამეურნეოებს, ამ პოტენციალის მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილია ათვისებული ჯერჯერობით (3%). თუმცა, როგორც აღინიშნა, ვინაიდან საქართველო ძალიან მდიდარია ჰიდრორესურსებით, დაგეგმილი გენერაციის პროექტების ძირითადი ნაწილი ჰესებს უკავშირდება. არსებული კვლევების საფუძველზე, ჰიდროენერგეტიკის პოტენციური ჯამური სიმძლავრე შეფასებულია 15,000 მეგავატად, ხოლო მთლიანი წლიური გამომუშავების პოტენციალი 50 ტერავატ-საათად. ამ პოტენციალისგან ამჟამად გამოიყენება სიმძლავრის მხოლოდ 22% და წარმოების 20%. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: რემისია (2023). კლიმატურ-ტექნოლოგიების საჭიროებების შეფასება. ტექნოლოგიების სამოქმედო გეგმა (TAP).

⁸³ განახლებადი ენერგიის კომბინირებული ტექნოლოგიები გულისხმობს რამდენიმე განახლებადი ენერგიის წყაროს ინტეგრაციას და გამოყენებას სინერგიული გზით ელექტროენერგიის, სითბოს, ქარის ან ენერგიის სხვა ფორმების წარმოებისთვის.

⁸⁴ ჯგუფი წარმატებით აწარმოებს ბიზნეს ოპერაციებს სტუმარ-მასპინძლობის, ტრანსპორტის, ტელეკომუნიკაციების, უძრავი ქონების და ენერგეტიკის სფეროებში. დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://silkroadgroup.net/>

ამისა, ბაზარზე არის რამდენიმე ფინანსური ინსტიტუტი, მათ შორის Wings and Freeman Capital-ი⁸⁵ - ფინანსური კორპორაცია, რომელიც აერთიანებს ფინანსურ რესურსებს მრავალი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტიდან.

წამყვანი ადგილობრივი და საერთაშორისო ინდუსტრიული ჯგუფების შვილობილი კომპანიები, როგორცაა საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია, საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის შვილობილი კომპანია,⁸⁶ ასევე მონაწილეობენ საქართველოში განახლებადი ენერგიის პროექტების დაფინანსებაში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში გავრცელებული პრაქტიკაა, როცა „სპეციალური დანიშნულების მექანიზმები“ (SPV) იქმნება უფრო დიდი კომპანიებისა და კორპორაციების მიერ, განახლებადი ენერგიის კონკრეტული პროექტების ერთობლივად განვითარების მიზნით. მაგალითად, „აჭარისწყალი ჯორჯია“⁸⁷ არის SPV, რომელმაც განავითარა შუახევის ჰიდროელექტროსადგური (შუახევიჰესი) აჭარის რეგიონში და დაფინანსდა ნორვეგიული Clean Energy Invest AS-ისა და ინდური კორპორაცია Tata Power-ის მიერ დაფუძნებული ერთობლივი საწარმოს მეშვეობით.

დანართში 5 ჩამოთვლილია საქართველოს ენერგეტიკულ ბაზარზე გამოვლენილი კერძო დაფინანსების წყაროების (ზედა და ქვედა დონის დაფინანსების სუბიექტები) სხვა მაგალითები, რომლებიც შემდგომში შეიძლება გამოყენებულ იქნას განახლებადი ენერგიის ახალი პროექტების განვითარებისთვის.

გარდა ამისა, 2016 წელს საქართველოში ნეტო აღრიცხვის მექანიზმის დანერგვის შედეგად, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 2019 წელს მაქსიმალური დადგმული სიმძლავრე 100-დან 500 კვტ-მდე გაიზარდა და 2020 წელს ვირტუალური ნეტო აღრიცხვის ინსტრუმენტში გაწევრიანების შესაძლებლობა დაემატა, შინამეურნეობებმა (ოჯახებმა), ფირმებმა და ინდუსტრიებმა აქტიურად დაიწყეს საკუთარი ელექტროენერგიის მოხმარების დაფინანსება სახლებში, სამრეწველო და კომერციულ ადგილებში მიკროელექტროსადგურების (ძირითადად მზის ფოტოვოლტური) დაყენებით.

2.4.1.2. ტრანსპორტის სექტორი

საქართველომ წარმოადგინა მისი ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) დოკუმენტი, რომელშიც ასახულია ქვეყნის განზრახვა 2030 წლისთვის 15%-ით შეამციროს სატბურის გაზების ემისიები ტრანსპორტის სექტორში, საბაზისო სცენარით გათვალისწინებულ პროგნოზთან მიმართებით და

⁸⁵ დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://wfcapital.ge/en/>

⁸⁶ დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://www.gig.ge/index.php>

⁸⁷ დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://agl.com.ge/new/>

ხელი შეუწყოს კლიმატ-მეგობრული ტექნოლოგიების დანერგვას ნარჩენების სექტორში, დაბალემისიანი განვითარების მხარდასაჭერად.

როგორც აღწერილია 2.2.1 ქვეთავში, ADB, EBRD, EIB ჯგუფი, მსოფლიო ბანკი, CEB, EFSD და E5P წარმოადგენენ კლიმატის დაფინანსების მულტილატერალურ წყაროებს, რომელთაც საქართველოს ტრანსპორტის სექტორში კლიმატ-ტექნოლოგიების დაფინანსების გამოცდილება გააჩნიათ. გერმანია, ევროკავშირი და აშშ ასევე არიან ტრანსპორტის სექტორში აქტიური კლიმატის დაფინანსების ბილატერალური წყაროები. ელექტრო მობილობის განვითარების კონტექსტში, მნიშვნელოვანია დონორების და მთავრობის როლი, ტექნოლოგიების დანერგვისთვის საჭირო ფინანსების მოპოვებაში. ტექნოლოგიების სამოქმედო გეგმის (TAP) დოკუმენტში განსაზღვრულია საქართველოში ელექტრო ავტომობილების მარაგის გაზრდასთან დაკავშირებული ეკონომიკური და ფინანსური ბარიერები, და ხაზგასმულია ჩვეულებრივ, შიდაწვისძრავიან მანქანებთან შედარებით, მათთვის მაღალი საწყისი ინვესტიციის საჭიროება. ამ გამოწვევის დასაძლევად, დოკუმენტში შეთავაზებულია დაფინანსების პროგრამების დაწესება და ფინანსური მხარდაჭერის მოძიება დონორებისა და მთავრობისგან, ელექტრო ავტომანქანების ინიციატივების განვითარების ხელშეწყობის მიზნით. ელექტრომობილების გავრცელების მასშტაბის გასაზრდელად, მომზადდა კონცეფცია ფინანსური მხარდაჭერისთვის, რომელიც მოიცავს საგადასახადო შეღავათების გამოყენებას და პოტენციური მყიდველებისთვის დაბალპროცენტიანი, გრძელვადიანი სესხების შეთავაზებას. გარდა ამისა, საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის შეთავაზებულია საჯარო-კერძო თანამშრომლობის ხელშეწყობა.

რაც შეეხება ბიოსაწვავის წარმოებას, ეს არის ახალი სექტორი, რომელსაც საქართველოში 2018 წელს ბიოდიზელის წარმოების დაწყებით ჩაეყარა საფუძველი. აშშ-ს საელჩოს მიერ დაფინანსებული საწყისი ლაბორატორიული კვლევები მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ქვეყანაში ბიოდიზელის წარმოების შესაძლებლობების ჩამოყალიბებაში. ეს არის ახალი ტექნოლოგია საქართველოსთვის, რომელსაც კერძო სექტორი აფინანსებს. 2018 წელს საქართველოში გაიხსნა კერძო საწარმო შპს „ბიოდიზელ ჯორჯია“. კომპანიამ წელიწადში 1,000 ტონა ბიოდიზელის წარმოებას მიაღწია. თუმცა, საჭიროა შემდგომი კვლევები, პროდუქტის სერტიფიცირებისა და ხარისხის უზრუნველყოფისთვის, რაც ქმნის ბარიერებს კერძო სექტორისთვის და ხელს უშლის წარმოების გაფართოებას, მაღალი საწყისი კაპიტალის და საოპერაციო ხარჯების საჭიროების გამო, როგორც ეს განსაზღვრულია TAP-ის დოკუმენტში. ამავე დოკუმენტის მიხედვით, მსხვილმასშტაბიანი ბიოგაზის პროექტები საქართველოში არ განხორციელებულა და ამ ტექნოლოგიის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობა ჯერ შეუსწავლელია. ასეთი კვლევის წარმოება დამატებით ხარჯად აწევა კერძო სექტორს, აძვირებს ბიოგაზის პროექტებს და ნაკლებად მიმზიდველს ხდის მათ ინვესტორებისა და ბიზნესისთვის. ამჟამად საქართველოში არ არსებობენ ინვესტორები თუ ფინანსური ინსტიტუტები, რომლებიც ხელსაყრელ და ხელშემწყობ ინვესტიციებს უზრუნველყოფენ ბიოგაზის წარმოებაში. შეღავათიანი სესხების ან სხვა ფინანსური წახალისების

არარსებობა ართულებს კერძო სექტორს მიერ ინვესტირებას და ბიოგაზის პროექტების განვითარებას, და შესაბამისად ბიოდიზელის ინდუსტრიის გაფართოებას, შეზღუდული ნედლეულის პირობებში.

2.4.1.3. შენობების სექტორი

ევროპულ კანონმდებლობასთან სინქრონიზაციის პროცესის ფარგლებში, საქართველომ აიღო შენობების ენერგეტიკული მახასიათებლების შესახებ ევროდირექტივით (2010/31/EU) განსაზღვრული პასუხისმგებლობა. 2023 წლის ივნისიდან სავალდებულო ხდება თბოიზოლაციის მინიმალური მახასიათებლების უზრუნველყოფა ახალი შენობებისა და მნიშვნელოვან რეკონსტრუქციას დაქვემდებარებული არსებული შენობებისთვის.⁸⁸ ეს რეგულაცია შენობის მფლობელებისა და დეველოპერებისთვის ხაზს უსვამს იმის მნიშვნელობას, რომ შეისწავლონ/მოიძიონ ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც ხელს შეუწყობს ენერგოეფექტური აქტივობების დაფინანსებას.

როგორც წესი, მსხვილ კორპორაციებს მეტი შესაძლებლობა აქვთ, დააფინანსონ ენერგოეფექტური ღონისძიებები თავიანთ შენობებში, რადგან მათ, ხშირ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი რესურსები და გამოცდილება გააჩნიათ საერთაშორისო ბანკებისა და ორგანიზაციებისგან სესხებისა და გრანტების მოსაპოვებლად. მაგალითისთვის, „თეგეტა ჰოლდინგის“ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) ერთ-ერთი მიზანი უკავშირდება გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობას - 2030 წლისთვის ენერგომომხმარების შემცირებას „თეგეტა ჰოლდინგის“ ფილიალებში ენერგიის დაზოგვის სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელების გზით.⁸⁹

რაც შეეხება საცხოვრებელ და მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორებს, მწვანე ეკონომიკის დაფინანსების პროგრამა (GEFF)⁹⁰ მათ ფინანსურ მხარდაჭერას სთავაზობს მონაწილე ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტების მეშვეობით, როგორიცაა „პროგრედიტ ბანკი“, „თიბისი ბანკი“ და „ბაზის ბანკი“. ეს ინსტიტუტები უზრუნველყოფენ საკრედიტო ხაზებს ფიზიკური პირების, საწარმოების, კერძო კომპანიების, ფირმების, ინდივიდუალური მეწარმეებისა და სხვა იურიდიული პირებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან განახორციელონ შესაბამისი ენერგოეფექტური ინვესტიციები.⁹¹ არის რამდენიმე

⁸⁸ მნიშვნელოვანი რეკონსტრუქცია – შენობის გარსის ზედაპირის 25%-ზე მეტის რეკონსტრუქცია; ან შენობის გარსის ან ტექნიკური სისტემების ისეთი განახლება, რომლის ღირებულება აღემატება შენობის ღირებულების (არ მოიცავს იმ მიწის ღირებულებას, რომელზედაც ეს შენობაა განთავსებული) 25%-ს. [საქართველოს კანონი შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ, მუხ. 2.](#)

⁸⁹ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) სააგენტო (2022). კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგია.

⁹⁰ მწვანე ეკონომიკის დაფინანსების პროგრამა (GEFF) არის EBRD-ის პროდუქტი, რომელიც შექმნილია იმისთვის, რომ ბიზნესები უფრო კონკურენტუნარიანი გახადოს, ამავდროულად გარემოზე მათი ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანით. GEFF-ი უზრუნველყოფს ფინანსებს და რჩევებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა მიზნებისთვის, იქნება ეს ინვესტირება „მწვანე“ ტექნოლოგიებში, თუ „მწვანე“ პროექტების დაფინანსება.

⁹¹ <https://ebrdGEFF.com/georgia/en/>

კარგი მაგალითი სამშენებლო სექტორიდან, როგორიცაა „ნამაი ვაკე“ - საცხოვრებელი კომპლექსი, სადაც დამონტაჟდა ენერგოეფექტური მასალები და ტექნოლოგიები. პროექტი დაფინანსდა Baltic Investment Group-ის მიერ, კლიმატის მწვანე ფონდისა და ავსტრიის ფედერალური ფინანსთა სამინისტროს ფინანსებით. გარდა ამისა, შპს „ლისი ფომ“, იმავე დონორების ფინანსური მხარდაჭერით, ინვესტიცია ჩადო ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებში, როგორიცაა კედლებისა და სახურავის თბოიზოლაცია, ენერგოეფექტური კარ-ფანჯრები, გათბობისა და გაგრილების სისტემები, LED განათების სისტემები და ლიფტები მათი საცხოვრებელი კომპლექსისთვის "მწვანე ქალაქი ლისზე".⁹²

რაც შეეხება მცირე და საშუალო ბიზნესს, GEFF-ი წარმატებით აფინანსებს ენერგოეფექტურ ინიციატივებს სხვადასხვა გზით. მაგალითად, ენერგოეფექტური ღონისძიებები დაფინანსდა ზუგდიდში მდებარე შპს ანგელტერის სასტუმროში. კიდევ ერთი მაგალითია Khaled Alrajhi Holding Company, რომელმაც გამოიყენა GEFF-ის საკრედიტო ხაზი თბილისში, მათ სასტუმროში მწვანე ტექნოლოგიების სისტემების დანერგვის მხარდასაჭერად.⁹³

გარდა ამისა, საქართველოში ენერგოეფექტურობის დანერგვას ხელს უწყობენ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), ევროკავშირი (EU) და KfW, რომელიც წარმოადგენს გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამინისტროს. 2022 წელს EBRD-მა გამოყო 40 მილიონი ევროს მოცულობის სესხი, ხოლო ევროკავშირმა გამოყო 13 მილიონი ევროს გრანტი სკოლებში ენერგოეფექტურობის ღონისძიებების განსახორციელებლად.⁹⁴

კლიმატის გლობალური საპარტნიორო ფონდი (GCPF) არის ინოვაციური საჯარო-კერძო პარტნიორობის ფონდი, რომელიც საქართველოში მუშაობს საფინანსო ინსტიტუტების მეშვეობით, როგორიცაა „ბაზის ბანკი“, და აერთიანებს როგორც საჯარო წყაროებიდან, ასევე კერძო ორგანიზაციებიდან და კერძო პირებიდან მოპოვებულ თანხებს, რომლებიც ინვესტირებულია მწვანე ეკონომიკის განვითარებაში. ფონდის ძირითადი ბენეფიციარები არიან მცირე და საშუალო ბიზნესები, თუმცა სამშენებლო და დეველოპერული კომპანიები, და საბინაო პარტნიორობები, ასევე იღებენ სარგებელს მათი პროექტების „გამწვანებიდან“.⁹⁵

2.4.1.4. სოფლის მეურნეობის სექტორი

ენერგეტიკის სექტორი თუ კერძო სექტორისგან იღებს მნიშვნელოვან ჩართულობას, სოფლის მეურნეობის სექტორში არსებობს საკმაოდ ბევრი სახელმწიფო ინიციატივა, რომელიც კონცენტრირებულია სოფლის განვითარების გაძლიერებაზე საქართველოში. სოფლის მეურნეობის სექტორში სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამებს ძირითადად სოფლის განვითარების სააგენტო (სგს) ახორციელებს, როგორც ეს უკვე აღინიშნა 2.1.2 ქვეთავში. სგს-ს მიერ მართული

⁹² <https://ebrdGEFF.com/georgia/en/projects/>

⁹³ იქვე

⁹⁴ <https://www.ebrd.com/news/2022/ebrd-eu-and-kfw-promote-energy-efficiency-in-georgia.html>

⁹⁵ <https://bb.ge/en/business/business-financing/green-loans/gcpf>

„შეღავათიანი აგროკრედიტის“ პროექტი ხელს უწყობს ფინანსურ რესურსებზე წვდომას ძირითად საშუალებებში ინვესტიციებისთვის, სესხის პროცენტის თანადაფინანსებისა და საკრედიტო გარანტიის სქემების მეშვეობით. ამ პროექტის ფარგლებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ შეიძინონ მაღალპროდუქტიული მსხვილფეხა საქონელი როგორც იმპორტით, ასევე ადგილობრივ ბაზარზე. აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში და „ფონდი კრისტალის“ პროგრამის „ახალგაზრდა მეწარმე“ საგრანტო დაფინანსებით, ქარელის მუნიციპალიტეტში ცოტა ხნის წინ ამოქმედდა ახალი მაღალპროდუქტიული მესაქონლეობის ფერმა. გამოკითხულმა დაინტერესებულმა მხარეებმა აღნიშნეს, რომ შეღავათიანი აგროკრედიტი შეიძლება იყოს იაფი დაფინანსების წყარო, სოფლის მეურნეობის სექტორისთვის TNA პროექტის მიერ შერჩეულ სამივე ტექნოლოგიაში ინვესტიციებისთვის, თუმცა ის არ მოიცავს კაპიტალური დანახარჯების ყველა კომპონენტს, რომელიც საჭიროა პრიორიტეტული ტექნოლოგიებზე გადასასვლელად. როგორც დაინტერესებული მხარეები და დარგის ექსპერტები განმარტავენ, არსებული სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები არ იძლევა საკმარის ფინანსურ სტიმულს ფერმერებისთვის, მათთვის სრულიად ახალი პრაქტიკის დასაწერად და ახალ ტექნოლოგიებზე გადასასვლელად.

გარდა ზემოაღნიშნული მხარდაჭერის პროგრამებისა, ქართველი ფერმერებისთვის ასევე ხელმისაწვდომია მცირე გრანტები პროექტის „ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში“ (SQIL) ფარგლებში, რომელიც 2019 წლიდან ხორციელდება „საქართველოს ფერმერთა ასოციაციის“ მიერ Land O’Lakes-თან პარტნიორობით. გარდა ამისა, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) ფინანსური მხარდაჭერით, „საქართველოს ფერმერთა ასოციაცია“ ახორციელებს „მერძეეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის“ (DiMMA) პროგრამას, რომელიც მოიცავს გრანტების კომპონენტს (30,000 ლარის ოდენობით) მცირე და საშუალო საწარმოების მხარდასაჭერად საქართველოში მსხვილფეხა პირუტყვის მოშენების განვითარებისთვის. თუმცა, ასოციაციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში არსებული ასეთი მცირე გრანტები არ არის საკმარისი კაპიტალის ინტენსიური ინვესტიციებისთვის, რაც ფერმერებს ახალი ტექნოლოგიების დანერგვისთვის სჭირდებათ.

2.4.2. შერჩეულ სექტორებში/ტექნოლოგიებში ინვესტირების ბარიერები

კერძო სექტორის ინვესტიციების ნაკლებობა არის ერთ-ერთი ბარიერი, რომელიც ხელს უშლის საქართველოში კლიმატის ცვლილების ღონისძიებების დაფინანსებას, როგორც ეს აღნიშნულია NDC-ის დაფინანსების სტრატეგიასა და 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმაში. ამ უკანასკნელის მიხედვით, საქართველოში კლიმატთან დაკავშირებულ პროექტებში ინვესტიციების ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა კერძო სექტორში დაბალფასიანი, გრძელვადიანი კაპიტალის შეზღუდული ხელმისაწვდომობა. როგორც ამას ასევე ეთანხმებიან გამოკითხული დაინტერესებული მხარეები, ქვეყანაში კლიმატის ცვლილების

პროექტებისთვის კერძო დაფინანსების მექანიზმები ხშირად მოითხოვს მაღალ საწყის კაპიტალურ ხარჯებს, შეიცავს უკუგების ხანგრძლივ პერიოდს და სახელმწიფო სტიმულებზე არსებით დამოკიდებულებას, რაც ზღუდავს კლიმატის ცვლილების ინვესტიციების პოტენციალს. NDC-ის დაფინანსების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დოკუმენტში ასევე ხაზგასმულია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი კომერციული ბანკი საქართველოში იძლევა დაბალპროცენტულ სესხებს, ასეთი სესხების მინიმალური ზღვარი მნიშვნელოვნად აჭარბებს მცირე და საშუალო ბიზნესის კლიმატის ინიციატივების შესაძლებლობებს. აღნიშნული ფაქტორი, ბანკების მხრიდან გირაოს მაღალ მოთხოვნასთან ერთად, კიდევ უფრო აფერხებს ქართული საწარმოებისთვის სესხების ხელმისაწვდომობას.

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (სებ) შემოიღო მდგრადი დაფინანსების ტაქსონომია და სესხების კლასიფიცირებისა და ანგარიშგების წესი, მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის მიხედვით. წესის თანახმად, 2023 წლიდან კომერციულმა ბანკებმა უნდა წარადგინონ მწვანე სესხების ყოველთვიური ანგარიშგება, დამტკიცებული კლასიფიკაციის სისტემის გამოყენებით. ტაქსონომიის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს მდგრადი დაფინანსების ბაზრის ზრდას საქართველოში და ასევე გააუმჯობესოს მიკრო და მცირე საწარმოების ხელმისაწვდომობა საკრედიტო სერვისებზე.

გარდა საბანკო დაკრედიტებისა, საქართველოს კერძო სექტორისთვის ხელმისაწვდომია დაფინანსების სხვადასხვა მექანიზმები, თუმცა მათი მნიშვნელოვანი ნაწილი არასაკმარისადაა ათვისებული (OECD, 2018). OECD-ს ჩამოთვლილი აქვს საქართველოში კერძო დაფინანსების პოტენციურად ხელმისაწვდომი მექანიზმები, რომლებიც ჯერ არ არის გამოყენებული, მათ შორის კორპორაციული ობლიგაციები კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ინსტიტუტებისგან, ასევე ინსტიტუციური ინვესტორების, ადგილობრივი და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და არაფინანსური კორპორაციებისგან; პროექტის ობლიგაციები ყველა ამ ინსტიტუტიდან (გარდა მიკროსაფინანსო ინსტიტუტებისა); პირდაპირი დაკრედიტება მიკროსაფინანსო ინსტიტუტებისა და ინსტიტუციური ინვესტორებისგან; მეზანიზის (mezzanine) დაფინანსება და გარანტიები/დაზღვევა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან; პირდაპირი ინვესტიციები მიკროსაფინანსო ინსტიტუტებიდან; დამწყები დაფინანსება (fund seedling) საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან, ასევე ადგილობრივი კომერციული ბანკებიდან და მიკროსაფინანსო ინსტიტუტებიდან, სეკურიტიზაცია და გაერთიანება/აგრეგაცია ინსტიტუციური ინვესტორებისგან, ასევე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და არაფინანსური კორპორაციებისგან.⁹⁶ ამ ინსტრუმენტების არასაკმარისი ათვისება უკავშირდება კერძო სექტორის შეზღუდულ შესაძლებლობებს ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტების ეფექტიანად ათვისებაში, ასევე მნიშვნელოვან ფულად და

⁹⁶ OECD (2018). საქართველოში კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებებისათვის დაფინანსების მობილიზება, მწვანე დაფინანსება და ინვესტიციები, OECD-ის გამომცემლობა, პარიზი

მარეგულირებელ ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია ამ გზებით ინვესტიციების მოპოვებასთან.

შემდგომი ქვეთავები აღწერს შერჩეულ სექტორებში ინვესტირებასთან დაკავშირებულ ბარიერებსა და შესაძლებლობებს, სადაც გათვალისწინებულია სამაგიდო მიმოხილვის მიგნებები და ძირითადი დაინტერესებული მხარეებისგან კონსულტაციებისა და გასაუბრების დროს მოსმენილი მოსაზრებები.

2.4.2.1. ენერგეტიკის სექტორი

არსებობს რამდენიმე გამოწვევა, რომელიც აფერხებს განახლებადი ენერგიის პროექტებში ინვესტიციებს, და შესაბამისად, განაპირობებს ქვეყნის გენერაციის პოტენციალის არასაკმარის გამოყენებას. სამაგიდო კვლევის, ლიტერატურის ანალიზისა და დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრების საფუძველზე, გამოვლინდა შემდეგი (ჯგუფების) გამოწვევები:

ფინანსური ბარიერები

როგორც წინა თავში აღინიშნა, არსებობს ადგილობრივი კომერციული საფინანსო ინსტიტუტებიდან იაფი დაფინანსების დეფიციტი. სრულად ფუნქციონირებადი ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის არარსებობა კიდევ უფრო ამძაფრებს ფინანსური ხელმისაწვდომობის საკითხს.

გარდა ამისა, როგორც აღინიშნა, მწვანე ფონდების ფინანსური რესურსები ჯერ არ არის სრულად ათვისებული, რადგან ქვეყანას ამ მხრივ გამოცდილება ჯერ კიდევ აკლია.⁹⁷

და ბოლოს, მიმდინარე ეკონომიკური კრიზისის შედეგად წარმოქმნილმა ინფლაციამ უარყოფითად იმოქმედა სამშენებლო მასალების ფასებზე და მნიშვნელოვნად გააძვირა პროექტები, რაც, სავარაუდოდ, ინვესტორებს აიძულებს კიდევ უფრო მაღალი ფასის გარანტიები მოითხოვონ მომავალი ფასთა სხვაობის ხელშეკრულებებისთვის (CfD).

კერძო სექტორის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ რადგან ენერგეტიკის სექტორი შედარებით უფრო ინტენსიურ კაპიტალს მოიცავს, არსებობს შიდა ფინანსური რესურსების მკვეთრი დეფიციტი და სექტორებში პროექტების უმეტესობა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზეა დამოკიდებული.

⁹⁷ 2022 წლის ოქტომბერში, „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციებმა“ (GRPO) გამოუშვა 80 მილიონი აშშ დოლარის მწვანე ობლიგაციები საქართველოში განახლებადი ენერგიის პროექტების საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად. დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: www.georgiacapital.ge

ინსტიტუციური და რეგულაციური ბარიერები

პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ინვესტორებისთვის. საჯარო-კერძო პარტნიორობის (PPP) უწყების როლი ჯერ კიდევ გაურკვეველია და მიიჩნევა, რომ პროექტის შემუშავების ახალი ჩარჩო კიდევ უფრო ზრდის ბიუროკრატიულ საფეხურებს.

გარდა ამისა, გაურკვეველობა ელექტროენერგიის ბაზრის საბოლოო გახსნასთან დაკავშირებით. ფაქტი, რომ ეს რამდენჯერმე გადაიდო, არასახარბიელოდ აისახება სექტორის საინვესტიციო კლიმატზე. ასევე, კვლავ არსებობს გაურკვეველობა დისბალანსის გადასახადთან (imbalance charge) დაკავშირებით; ჯერ კიდევ დასადგენია, რა გამონაკლისები იქნება დაშვებული არასტაბილური წარმოების სადგურებზე და არასრული ჰიდროლოგიური მონაცემების მქონე სადგურებზე სწორი პროგნოზირებისთვის.

მიუხედავად ამისა, ინვესტორები კვლავ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ელექტროენერგიის ახალი ბაზრის გახსნას, რადგან იმედოვნებენ, რომ ეს საშუალებას მისცემს დაადგინონ მათ მიერ წარმოებული ელექტროენერგიის რეალური ღირებულება. თუმცა ამ ბაზრის გახსნა მაინც გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული. გამოკითხულმა დაინტერესებულმა მხარეებმა განმარტეს, რომ თამაშის წესები ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე ჩამოყალიბებული. ამჟამინდელი ფასები ძლიერ რეგულირებულია და არსებობს ლეგიტიმური შიში იმისა, რომ ფასების მანიპულირება მომავალშიც მოხდება.⁹⁸ კერძო სექტორის წარმომადგენლები ხაზს უსვამენ, რომ საერთაშორისო ბაზრებთან სინქრონიზებული ბაზრის არარსებობა ხელს შეუშლის საქართველოში ელექტროენერგიის თავისუფალი და კონკურენტუნარიანი ბაზრის გახსნას.

მიუხედავად იმისა, რომ კერძო სექტორი დადებითად აფასებს ფასთა სხვაობის ხელშეკრულების (CfD) ახალი წამახალისებელი სქემის შემოღებას, შეთავაზებული გარანტირებული ფასის მაჩვენებელი კვლავ ბუნდოვანია.

ტექნიკური ბარიერები

მართალია, საქართველოში ჰესები უზრუნველყოფენ სისტემის მდგრადობას, მაგრამ მათ მშენებლობას დიდი დრო სჭირდება. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს გააჩნია ცვალებადი გენერაციის წყაროების (ქარის და მზის) პოტენციალი, თუ მათი ინტეგრირება მოხდება გადაჭარბებული მოცულობით,⁹⁹ შესაძლოა საფრთხე შეექმნას ელექტროენერგეტიკული სისტემის მუშაობისა და ბაზრის მდგრადობას.

⁹⁸ იმპორტიორებისგან ფასის დემპინგის რისკები, სუბსიდირებული სადგურების საფრთხეები (სუბსიდირებულ გაზზე მომუშავე თბოელექტროსადგურები, ენგურ-ვარდნილის ჰესები), მემორანდუმებით სპეკულირება, ექსპორტის გაურკვეველი წესები და სოციალური ტარიფების საკითხები.

⁹⁹ საქართველოს ელექტრო ქსელებს გარკვეული შეზღუდვები აქვთ არასტაბილური გენერაციის წყაროების ინტეგრირების თვალსაზრისით. ამრიგად, თუ ინტეგრირებული წყაროები აღემატება წინასწარ განსაზღვრულ

ამავდროულად, ელექტროენერგიის გადაცემის სისტემასთან დაკავშირება ახალი ინვესტირებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. განახლებადი ენერგიის პროექტებს პრობლემები ექმნებათ ქსელში ელექტროენერგიის მიწოდებაში. კერძოდ, პროექტებმა უნდა განახორციელონ მნიშვნელოვანი დამატებითი ინვესტიცია ქსელთან დასაკავშირებლად.¹⁰⁰ მიუხედავად სემეკის მიერ „ქსელის წესების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების ცვლილებისა, რომლითაც 2 მგვტ-მდე დადგმული სიმძლავრის სადგურების ქსელთან მიერთების ღირებულება განისაზღვრება 60,000 ლარით, ხოლო 2 მგვტ-დან 15-მდე დადგმული სიმძლავრის სადგურებისთვის 300,000 ლარით, სექტორის დაინტერესებული მხარეები კვლავ არასამართლიანად მიიჩნევენ მიერთების საფასურს.¹⁰¹

აღსანიშნავია, რომ განახლებადი ენერგიის წყაროების სათანადო ათვისება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ ქვეყანა ამავდროულად დაიწყებს ელექტროენერგიის ექსპორტისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მშენებლობას. დღესდღეობით, თურქეთის საექსპორტო ხაზი მუშაობს კვოტებით და არაკონკურენტულ მდგომარეობაში აყენებს არასტაბილური გენერაციის მქონე განახლებადი ენერგიის წყაროებს.¹⁰² ამიტომ, არსებული ტრანსსასაზღვრო გადამცემი ხაზები უნდა გაძლიერდეს, რათა იმუშაოს მთელი სიმძლავრით. გენერაციის ახალი წყაროების მშენებლობის შემთხვევაში, კრიტიკული იქნება დამატებითი ტრანსსასაზღვრო ხაზების მშენებლობა და არსებული ქსელის გაძლიერება.

ბაზართან, უნარებთან და ინფორმირებულობასთან დაკავშირებული ბარიერები

აღსანიშნავია, რომ გარემოსდამცველ აქტივისტებსა და ორგანიზაციებს შორის არსებობს სკეპტიციზმი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ხარისხთან დაკავშირებით. გარდა ამისა, საზოგადოების აზრით პროექტების დაგეგმვა და განხორციელება არასაკმარისად გამჭვირვალედ და ინკლუზიურად ხდება, რაც, თავის მხრივ, იწვევს პროტესტს და მოსახლეობის ნდობის ნაკლებობას.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში, მოსახლეობის ინფორმირებულობის დაბალი დონეა ერთადერთი პრობლემა. განახლებადი ენერგიის მრავალი პროექტი ამჟამად შეჩერებულია სწორედ სოციალური პროტესტის გამო. ზოგიერთ შემთხვევაში, მაცხოვრებლებს უბრალოდ ურჩევნიათ

ნორმებს, ქსელმა შეიძლება განიცადოს სიხშირის ცვლილება, გადატვირთვა და გათიშვაც კი. დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://www.gse.com.ge/sw/static/file/TYNDP_GE-2022-2032_ENG.pdf

¹⁰⁰ ხელმისაწვდომია:

<https://webapi.parliament.ge/storage/files/shares/tematurimokvleva/dargobrivi/ganaxlebad/mosazrebebi/ganaxleb-daskvna.pdf>

¹⁰¹ <https://energynews.ge/news/elektroenergia/15-mgvt-mde-simdzlavris-sadgurebistvis-qseltan-miertebis-fasebi-unda-gadaikhdos>

¹⁰² არასტაბილური განახლებადი ენერგიის წყაროებს, როგორცაა ქარის ელექტროსადგურები, არ შეუძლიათ თავიანთი გამომუშავების დაგეგმვა ექსპორტისთვის, მარეგულირებელი ჰესებისგან განსხვავებით. ამრიგად, ისინი ვერ სარგებლობენ იგივე საექსპორტო შესაძლებლობებით, როგორც ჰიდროელექტროსადგურები, რომლებიც, როგორც წესი, იმარჯვებენ საექსპორტო აუქციონებში.

თავიდან აიცილონ ენერგოპროექტების განხორციელება მათ სიახლოვეს, რადგან ისინი, როგორც წესი, არასწორად არიან ინფორმირებულები ენერგეტიკული პროექტების განვითარებასთან დაკავშირებული პოტენციური საფრთხეების შესახებ.

და ბოლოს, სექტორს აკლია ენერგეტიკის პროფესიონალები და შესაძლებლობები მაღალი ხარისხის კვლევების ჩასატარებლად, რაც, საბოლოო ჯამში, არის ქვაკუთხედი ხარისხიანი პოლიტიკის კვლევისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული საჯარო პოლიტიკის შემუშავებისთვის.

როგორც დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებამ და სამაგიდო კვლევამ აჩვენა, სექტორში რჩება გამოწვევები, რომლებიც განახლებადი ენერგიის პროექტებს ბევრად აძვირებს და საჭიროებს დამატებით ზომებს განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიებში კერძო ფინანსების ბერკეტის გასააქტიურებლად. გარდა ამისა, კერძო სექტორის წარმომადგენლები თანხმდებიან, რომ PPA და CfD ხელშეკრულებების წახალისების მექანიზმები ერთადერთი ინსტრუმენტებია, რომლებიც ნებისმიერი საშუალო და მსხვილი პროექტის განხორციელებას შესაძლებელს გახდის. ისინი აღნიშნულ მექანიზმებს საქართველოს ენერგო ბაზარზე ინვესტიციების მოზიდვის აუცილებელ წინაპირობად თვლიან.

აღსანიშნავია, რომ კერძო სექტორის წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს მთავრობის მონაწილეობისა და მხარდაჭერის მნიშვნელობას მშენებლობის ყველა ეტაპზე, განსაკუთრებით ადგილობრივ თემებთან კომუნიკაციის დროს. ვინაიდან დიდი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა საბოლოო ჯამში ელექტროენერგეტიკული სისტემის საიმედოობის ხერხემალს წარმოადგენს, მთავრობა პასუხისმგებელია გამპროტესტებლესა და ინვესტორებს შორის ეფექტური მოდერაციის უზრუნველყოფაზე. კერძო სექტორის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ამ პრობლემის აღმოფხვრამ შეიძლება არსებითად შეამციროს კერძო ინვესტორების საინვესტიციო ხარჯები.

გარდა ამისა, დეველოპერები განმარტავენ, რომ ელექტროენერგიის სრულყოფილად ფუნქციონირებად ლიბერალიზებულ ბაზარს, პრინციპში, შეუძლია უზრუნველყოს მომგებიანობა ინვესტორებისთვის, რადგან ელექტროენერგიის ფასები ზრდის ტენდენციებით ხასიათდება. მიუხედავად ამისა, კერძო სექტორი ვერ შეძლებს თავისი ინვესტიციებიდან დიდი მარჟის უზრუნველყოფას, თუ მთავრობა გააგრძელებს ბაზრის ზოგიერთი ნაწილის სუბსიდირებას და არ დაადგენს გამჭვირვალე და სამართლიან საბაზრო წესებს.

მნიშვნელოვანია, რომ ასევე მკაფიოდ განისაზღვროს დისბალანსის გადასახადის წესები, რათა ის ინვესტორები არ დარჩნენ მიღმა, რომლებიც ექვემდებარებიან ირაციონალურად მაღალ დისბალანსის გადასახადებს.

კერძო სექტორის წარმომადგენლები განმარტავენ, რომ ელექტროენერგიის ქსელის საიმედოობაზე პასუხისმგებლობა სახელმწიფომ უნდა აიღოს. კერძოდ, ისინი საუბრობენ მთავრობის მიერ პრაქტიკული მხარდაჭერის უზრუნველყოფაზე

დიდი მარეგულირებელი ჰესების განვითარებისა და არსებული ელექტრო ქსელების შემნახველი სიმძლავრის გაძლიერებისთვის, რამაც, საბოლოო ჯამში, შეიძლება არსებითად აღმოფხვრას სისტემის არასტაბილურობის პრობლემა და შეამციროს ინვესტორების ხარჯები. კერძო სექტორის წარმომადგენლები ვარაუდობენ, რომ კომბინირებული ტექნოლოგიები შეიძლება არასაჭირო და ზედმეტად ძვირი იყოს ამ ადრეულ ეტაპზე. ისინი განმარტავენ, რომ არც ერთი კერძო ინვესტორი დამოუკიდებლად არ ჩადებს ფინანსურ რესურსებს აღნიშნულ ტექნოლოგიებში. ამდენად, თუ სახელმწიფო არ დანერგავს ამ ტექნოლოგიების დამატებით მხარდამჭერ სქემებს, ისინი უახლოეს მომავალში ვერ განხორციელდება.

თუმცა, კერძო სექტორი მიიჩნევს, რომ მწვანე სერტიფიკატები და ემისიის სერტიფიკატების სავაჭრო სქემები შეიძლება მიმზიდველი ვარიანტი იყოს კერძო ინვესტორებისთვის, დამატებითი ფინანსური წყაროების მობილიზებისთვის. აღნიშნულის განხორციელებისთვის საჭიროა საქართველომ ითანამშრომლოს სანდო ევროპელ პარტნიორებთან, რომლებიც ასევე შეძლებენ სარგებლის მიღებას ამ სქემებით.

ვინაიდან წარსული პოლიტიკა არაეფექტური იყო განახლებადი ენერგიის პროექტების განვითარების დასაჩქარებლად, ზოგიერთი დეველოპერის მიერ განვითარების ბანკების თავდებობაც კი იყო შემოთავაზებული, კერძო ინვესტორებისთვის ქვეყნის სიტუაციასთან დაკავშირებული რისკების შესამცირებლად.

ამავდროულად, სასურველია შემუშავდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების მაღალი ხარისხის, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მეთოდოლოგია, ჩართულობისა და გამჭვირვალობის პრინციპების სრულად გათვალისწინებით. ეს, თავის მხრივ, გაზრდის გარემოსდაცვითი ორგანიზაციებისა და მოსახლეობის ნდობას.

ასევე მნიშვნელოვანია ენერგეტიკის სექტორში პროფესიონალთა შესაძლებლობების გაძლიერება და, შესაბამისად, მათთვის მაღალი ხარისხის სპეციალური ტრენინგის პროგრამების შექმნა. აუცილებელია ქვეყანამ გადმოიღოს საერთაშორისო გამოცდილება განახლებადი ენერგიის სექტორში და ძვირადღირებული უცხოური საექსპერტო და ადამიანური კაპიტალი ჩაანაცვლოს ადგილობრივით.

და ბოლოს, საჭიროა კერძო ინვესტორების შესაძლებლობების გაძლიერება, რათა მათ ისწავლონ როგორ მოამზადონ თავიანთი განახლებადი ენერგიის პროექტები მწვანე დაფინანსებისთვის. ასეთი გამოცდილება ასევე ხელს შეუწყობს მეტი მწვანე დაფინანსების მოზიდვას პროექტის განვითარების უფრო გვიანდელ ეტაპებზე; მაგალითად, ამან შეიძლება ისინი უკეთ მოამზადოს მწვანე ობლიგაციების გამოშვებისთვის საკუთარი საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად.

2.4.2.2. ტრანსპორტის სექტორი

ტექნოლოგიების სამოქმედო გეგმის (TAP) დოკუმენტში იდენტიფიცირებულია ტრანსპორტის სექტორში შერჩეულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ძირითადი დაბრკოლებები, რომლებიც აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური ბარიერები

ამ სექტორში ძირითად გამოწვევებს ფინანსური ბარიერები და მაღალი საწყისი საინვესტიციო ხარჯები ქმნის. მაგალითად, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის განვითარება მნიშვნელოვან შეფერხებებს აწყდებს, ძირითადად, დიდი საწყისი საინვესტიციო ხარჯების გამო. შესაბამისად, ეფექტური და ხელმისაწვდომი საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემების განსავითარებლად საჭიროა სათანადო დაფინანსება.

დაინტერესებულმა მხარეებმა ასევე ხაზი გაუსვეს ხარჯების საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ ელექტრომობილები ზოგადად უფრო ეკონომიურია გრძელვადიან პერსპექტივაში, შესყიდვის ფასი ბარიერად რჩება მრავალი მომხმარებლისთვის. ამიტომ, არსებითი მნიშვნელობა ექნება ფინანსური წახალისების მექანიზმების დანერგვას, როგორცაა მწვანე საბანკო პროდუქტები და სესხებს შორის საპროცენტო განაკვეთის არსებითი სხვაობის უზრუნველყოფას. დაინტერესებულმა მხარეებმა ასევე აღნიშნეს, რომ დილერებს უნდა მიენიჭოთ გრძელვადიან სესხებზე წვდომა, ელექტრო მანქანების შეძენის ხელშესაწყობად. და ბოლოს, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სადაზღვევო სექტორის აქტიური ჩართულობა ელექტრო ავტომობილების მფლობელებისთვის ღირებული შეღავათებისა და მხარდაჭერის გასაწევად.

ინსტიტუციური და რეგულაციური ბარიერები

ბიოდიზელის წარმოებასთან დაკავშირებით, საქართველოს აქვს გარკვეული პროგრესი; თუმცა, კვლავ რჩება მნიშვნელოვანი დაბრკოლებები, მათ შორის ნედლეულზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, ამ მასალების იმპორტის ბარიერები, ასევე საგადასახადო საკითხები, როგორც ეს 2.3.1 ქვეთავშია განხილული ზემოთ.¹⁰³

რაც შეეხება ელექტრო ტრანსპორტის ათვისების გაზრდის ხელშეწყობას, გადამწყვეტად მიიჩნევა მთავრობის ჩართულობა, განსაკუთრებით ქსელთან მიერთების ხელშეწყობაში. როგორც კერძო სექტორის დაინტერესებულმა მხარეებმა აღნიშნეს, ასევე მნიშვნელოვანია სამშენებლო სექტორში რეგულაციების დაწესება, რომლებიც სავალდებულოს გახდის ავტოსადგომებზე დასამუხტი სადგურების დამონტაჟებას.

ტექნიკური ბარიერები

¹⁰³ რემისია (2023). კლიმატ-ტექნოლოგიების საჭიროებების შეფასება. ტექნოლოგიების სამოქმედო გეგმა (TAP).

ელექტრომანქანების ათვისების გაზრდის ყველაზე გამოკვეთილ ბარიერად რჩება დასამუხტი ინფრასტრუქტურის შეზღუდული ხელმისაწვდომობა და ელექტრო ავტომობილების გადაადგილების შეზღუდული დიაპაზონი. სექტორის დაინტერესებული მხარეები მიიჩნევენ, რომ საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარება გადამწყვეტია ელექტრომობილების დანერგვის ხელშეწყობისთვის. განსაკუთრებით, აუცილებელია სწრაფი დამტენების არსებობა ავტომაგისტრალზე. თუმცა, დაინტერესებული მხარეები ხაზს უსვამენ, რომ სანდო ენერგომიწოდების ქსელის გარეშე ეს ზომები არაეფექტური იქნება.

ბაზართან, უნარებთან და ინფორმირებულობასთან დაკავშირებული ბარიერები

საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებისთვის ერთ-ერთი არსებითი დაბრკოლებაა საზოგადოების შეზღუდული ინფორმირებულობა მისი სასარგებლო და პრაქტიკული მხარეების შესახებ. ზემოაღნიშნული ღონისძიებების გარდა, მნიშვნელოვანია ელექტრო ტრანსპორტის ტექნოლოგიის უპირატესობების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და კერძო კომპანიებს შეუძლიათ ამაში როლის შესრულება. ელექტრო ავტომობილების ბაზარზე მოთხოვნის გასაზრდელად, ადგილობრივად უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი ხარისხის მომსახურების მომწოდებლები.

2.4.2.3. შენობების სექტორი

შენობების სექტორის პროექტებში ინვესტიციებისთვის არსებობს მრავალი დაბრკოლება, როგორც გამოვლინდა საფუძვლიანი სამაგიდო კვლევისა და დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრების საფუძველზე. გამოვლენილი გამოწვევები შეიძლება დაიყოს რამდენიმე ჯგუფად, ესენია:

ფინანსური ბარიერები

ელექტროენერგიაზე დაბალი ფასი და მნიშვნელოვანი საწყისი საინვესტიციო ხარჯები არის ბარიერები, რომლებიც აფერხებს ინვესტიციებს ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებში.¹⁰⁴ კერძოდ, საცხოვრებელი სექტორის ფიზიკურ პირებს და მცირე და საშუალო ბიზნესებს¹⁰⁵ არ სურთ ასეთი ფინანსური ვალდებულებების დაკისრება, მიუხედავად ბაზარზე შეღავათიანი სესხების არსებობისა.¹⁰⁶ ასევე რაც მთავარია, არ არსებობს ენერგომომსახურების სერტიფიცირებული მომწოდებლები (ESCO), რომლებსაც შეუძლიათ ენერგოეფექტური ღონისძიებების განხორციელება და ენერგიის დაზოგვის გარანტირება.

¹⁰⁴ WEG (2017). ენერგოეფექტურობა შენობებში - ევროდირექტივების ძირითადი მოთხოვნები და საქართველოში არსებული მდგომარეობა

¹⁰⁵ გდსმს (2022). ენერგოეფექტური და განახლებადი ენერგიების ტექნოლოგიების შეღწევადობა ქართულ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში

¹⁰⁶ ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმა (NEEAP) (2019-2020)

რამდენადაც საქართველო არ აწარმოებს ენერგოეფექტურ აღჭურვილობას ადგილობრივად, ინვესტიცია კიდევ უფრო სარისკო ხდება, რადგან მის სარეაბილიტაციო ხარჯებზე აისახება გარე შოკები, გაცვლითი კურსის რყევები, ტრანსპორტირების ხარჯები და იმპორტის გადასახადები. ამიტომ, მხოლოდ იაფი მუშახელი არ არის საკმარისი ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებში ინვესტიციების ხელშეწყობისთვის.¹⁰⁷

გარდა ამისა, ენერგოეფექტური ღონისძიებების სარგებლის შესახებ დაბალი ინფორმირებულობა ასევე მნიშვნელოვან ბარიერებს ქმნის ამ პრაქტიკის დანერგვისთვის საცხოვრებელ და კომერციულ სექტორებში. განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა განხორციელდეს მცირე და საშუალო საწარმოების ცნობიერების ამაღლებისთვის მწვანე ტექნოლოგიების სარგებლიანობისა და ხელმისაწვდომი მწვანე დაფინანსების შესაძლებლობების შესახებ, როგორცაა ადგილობრივი და საერთაშორისო გრანტები, სესხები და მხარდაჭერის სქემები.¹⁰⁸ ასევე, სათანადო მხარდაჭერის პროგრამების არარსებობა და მწვანე დაფინანსებაში ბანკების შეზღუდული გამოცდილება აფერხებს ენერგოეფექტურ ღონისძიებებს. საქართველოში „მწვანე“ ფონდები შეზღუდულია. კომერციული ბანკები ძირითადად საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს ეყრდნობიან ასეთი ფინანსური რესურსების ადმინისტრირებისთვის. გასული ათწლეულის განმავლობაში, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ მართული იყო 400 მილიონი აშშ დოლარი, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი გამოიყო განახლებადი ენერგიის პროექტებზე, მაგრამ ამ ინვესტიციებმა პირველ რიგში დიდ საწარმოებს მოუტანა სარგებელი, ხოლო მცირე და საშუალო ბიზნესს შეზღუდული წვდომა აქვთ აღნიშნულ ფინანსურ რესურსებზე. მცირე სესხებთან დაკავშირებული ტრანზაქციის ხარჯები შედარებით მაღალია, რაც შეიძლება ამცირებდეს ბანკების მოტივაციას მცირე და საშუალო ბიზნესთან აქტიური ჩართვისთვის.¹⁰⁹

ინსტიტუციური და რეგულაციური ბარიერები

ამჟამად არ არსებობს რეგულაციები ძველი მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსებისთვის ენერგოეფექტურობის ზომებთან დაკავშირებით. ასეთი რეგულაციების ნაკლებობა ართულებს მოსახლეობის კოორდინაციას, რათა ერთობლივად მიიღონ გადაწყვეტილებები ენერგოეფექტური ღონისძიებების განხორციელებისთვის. ამ გამოწვევების ფონზე მნიშვნელოვანია მუნიციპალური ხელისუფლებების მიერ პასუხისმგებლობის აღება და ამ შენობებში ენერგოეფექტურობის ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა.

არსებულ რეგულაციასაც კი გარკვეული ხარვეზები აქვს. შენობის მნიშვნელოვანი რეკონსტრუქციის შემთხვევაში, მესაკუთრე ვალდებულია შენობის თბოიზოლაცია უზრუნველყოს. თუმცა, თუ შენობის მესაკუთრე არ აცნობებს მუნიციპალიტეტს რეაბილიტაციის გეგმების შესახებ, ხელისუფლება ვერ გაიგებს

¹⁰⁷ იქვე.

¹⁰⁸ გდსმს (2022). ენერგოეფექტური და განახლებადი ენერგიების ტექნოლოგიების შეღწევადობა ქართულ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში

¹⁰⁹ იქვე

სამუშაოების შესახებ, რაც შეუძლებელს გახდის მუნიციპალიტეტის თბოიზოლაციის მოთხოვნების აღსრულებას. ასევე, ფართის 25%-ის გამოთვლა მარტივია, მაგრამ ინვესტიციის 25%-ის განსაზღვრა მოიცავს ქონების შეფასებას და რეაბილიტაციის ხარჯების შეფასებას. ეს დაკავშირებულია დამატებით რესურსებთან და ფინანსურ ხარჯებთან, რამაც შეიძლება ბარიერი შექმნას ტექნოლოგიის გამოყენებისთვის.

მთავარ ბარიერს წარმოადგენს ენერგოეფექტური რეაბილიტაციის პროცესის კოორდინაცია, რადგან შენობების ფონდში საკუთრება ნაწილდება მუნიციპალიტეტებს, ცენტრალურ ხელისუფლებას და სხვადასხვა დარგობრივ სამინისტროებს შორის.

ტექნიკური ბარიერები

ზემოთ განხილული ბარიერების გარდა, არსებობს შერჩეული ტექნოლოგიებისთვის სპეციფიკური, დამატებითი ტექნიკური ბარიერები. მაგალითად, ტექნოლოგიების დაყენება დაკავშირებულია დამატებით ტექნიკურ გამოწვევებთან - ერთ-ერთი კრიტიკული ფაქტორია შიდა ქსელის საჭიროება, ელექტროენერგიის უწყვეტი მიწოდების უზრუნველსაყოფად. ეს ინფრასტრუქტურა აუცილებელია თბური ტუმბოს ეფექტური მუშაობისთვის. კიდევ ერთი გასათვალისწინებელი ასპექტია თბური ტუმბოს სისტემის დამონტაჟებისთვის საჭირო სივრცე. როგორც წესი, მოწყობილობის განსათავსებლად აუცილებელია საშუალო ან დიდი ადგილი სახურავზე, ფასადზე ან ეზოში. ამან შეიძლება გაართულოს არსებული შენობების მოდერნიზება მსგავსი ტექნოლოგიით, რადგან მისი მონტაჟისთვის შესაფერისი ადგილების პოვნა შეიძლება გაჭირდეს ან სულაც შეუძლებელი იყოს ზოგიერთ შემთხვევაში.

არსებულ შენობებში თბოიზოლაციის ზომების განხორციელებას კონკრეტული გამოწვევები ახლავს. ერთ-ერთი მათგანია, ნებისმიერი პოტენციური სტრუქტურული პრობლემის წინასწარ განსაზღვრა და გადაჭრა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას თბოიზოლაციის ღონისძიებების განხორციელების პროცესში (არსებული შენობების რეაბილიტაციისას ხშირად საჭიროა სტრუქტურული ცვლილებები, რაც მნიშვნელოვნად ზრდის პროცესის ღირებულებას). გარდა ამისა, ისტორიული შენობების შემთხვევაში, წარმოიქმნება დამატებითი წინაღობა თბოიზოლაციის თვალსაზრისით. მათი კულტურული და ისტორიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, ხშირად შეუძლებელია ან ძალიან შეზღუდულია ამ შენობების ფასადზე ცვლილებების შეტანა.

ბაზართან, უნარებთან და ინფორმირებულობასთან დაკავშირებული ბარიერები

ცოდნის ნაკლებობა მოიცავს ისეთ კრიტიკულ საკითხებს, როგორიცაა ენერგიის მართვის თანამედროვე მეთოდოლოგია და შესაბამისი ენერგოეფექტური

ტექნოლოგიები, რომლებიც შეიძლება დაინერგოს საცხოვრებელ სექტორში.¹¹⁰ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგიაც ხაზს უსვამს ამ პრობლემის არსებობას. ცოდნის ნაკლებობის გამო, მცირე და საშუალო საწარმოები გადაჭარბებულად ან არასაკმარისად აფასებენ ინვესტიციებთან დაკავშირებულ რისკებს. ერთის მხრივ, ისინი ადგენენ ზედმეტად მაღალ მომგებიანობის ზღურბლებს ენერგოეფექტურობის ინვესტიციებისთვის, რაც იწვევს იმედგაცრუებას, როდესაც შედეგები არ შეესაბამება მათ მოლოდინს. მეორე მხრივ, ისინი საკმარისად არ აფასებენ ენერგოეფექტურობის ღონისძიებებთან დაკავშირებულ სარგებელს.¹¹¹

გარდა ამისა, დაინტერესებული მხარეების აზრით, ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვა მოკლევადიან პერსპექტივაში შრომის ბაზარზე მაღალკვალიფიციური საინჟინრო პროფესიონალების დეფიციტს წააწყდება. ამჟამად, კვალიფიციური საინჟინრო და სამონტაჟო პერსონალი შეზღუდულია. ამიტომ, არის შემთხვევები, როდესაც დამონტაჟების შემდეგ ეს ტექნოლოგიები ვერ აღწევს რეალურ დაგეგმილ ან საჭირო ენერგეტიკულ მახასიათებლებს.¹¹² საქართველოს კანონი „განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ ტექნოლოგიის მემონტაჟეებს კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატის ქონას ავალდებულებს. აქედან გამომდინარე, საჭირო იქნება ფართომასშტაბიანი სასერტიფიკაციო კურსები კვალიფიციური მემონტაჟეების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

2.4.2.4. სოფლის მეურნეობის სექტორი

საქართველოს ფერმერთა ასოციაციის წარმომადგენლებთან კონსულტაციების საფუძველზე, გამოვლინდა რამდენიმე ფინანსური და სხვა სახის ბარიერი, რომლებიც ძირითადად საერთოა სოფლის მეურნეობის სექტორის სამივე შერჩეული ტექნოლოგიისთვის და დეტალურად არის აღწერილი TAP-ში. პროექტის მიგნებები შეჯამებულია ქვემოთ.

ფინანსური ბარიერები

სპეციფიკური ტექნოლოგიების დანერგვა, როგორცაა მიწის დამუშავების კონსერვაციული მეთოდები და მაღალპროდუქტიული პირუტყვის მოშენება, მოითხოვს მაღალ კაპიტალურ ხარჯებს, რამაც შეიძლება დააბრკოლოს ფერმერები ამ მიმართულებით განვითარებისგან. გარდა ამისა, შეღავათიან ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა ზღუდავს ფერმერების უნარს ინვესტირება განახორციელონ თანამედროვე ტექნოლოგიებსა და პრაქტიკაში. კიდევ ერთი დაბრკოლებაა სახელმწიფო და კერძო ფინანსური მხარდაჭერის პროგრამების არარსებობა ადგილობრივი ფერმერების წასახალისებლად ახალი ტექნოლოგიების,

¹¹⁰ ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმა (NEEAP) (2019–2020)

¹¹¹ იქვე

¹¹² NEEAP. საქართველო: დახმარება ენერგოეფექტურობის პირველი ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებაში (I ფაზა)

განსაკუთრებით მაღალპროდუქტიული მსხვილფეხა პირუტყვის მოშენებისა და მიწის დამუშავების კონსერვაციული მეთოდების დანერგვაში.

ინსტიტუციური და რეგულაციური ბარიერები

არ არსებობს კარგად გაწერილი ნორმატიულ-სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტულ პასუხისმგებლობებს, განსაკუთრებით ისეთ საკითხებში, როგორიცაა პირუტყვის მოშენება. მიწის რეგისტრაცია სრულად არ არის დასრულებული, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გაურკვევლობა მიწის საკუთრებასა და სარგებლობის უფლებებთან დაკავშირებით. ამან თავის მხრივ, შეიძლება შეაფერხოს სოფლის მეურნეობის განვითარება და ინვესტიციები. გარდა ამისა, ფერმერებისთვის არ არის შექმნილი სტიმულები, მათ საქმიანობაში გარემოსადმი მეგობრული პრაქტიკის ჩართვის ხელშესაწყობად. წახალისების არარსებობა აფერხებს მდგრადი სასოფლო-სამეურნეო მეთოდების დანერგვას.

კიდევ ერთი პრობლემაა არაეფექტური ინსტიტუციური მართვა. დარგობრივი ასოციაციები და ფერმერთა გაერთიანებები ვერ ახერხებენ თავიანთი ოპერაციების ეფექტურად მართვას, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორიცაა სასოფლო-სამეურნეო ნარჩენების სასუქად გამოყენება.

ტექნიკური ბარიერები

განუვითარებელი ინფრასტრუქტურა (გზები, დენი, წყალი და ა.შ.) სოფლის მეურნეობის ან აგროტურიზმის განვითარების მიზნით კერძო სექტორზე იჯარით გაცემული ტერიტორიების მიმდებარედ. ერთ-ერთ პრობლემად განსაზღვრულია ახალი ტექნოლოგიების ეფექტურად დანერგვისა და გამოყენებისთვის საჭირო კვალიფიკაციის ნაკლებობა. ამან შეიძლება შეაფერხოს ინოვაციური პრაქტიკის დანერგვა. გარდა ამისა, დამკვიდრებული საუკეთესო პრაქტიკის ნაკლებობა ართულებს ეფექტური სასოფლო-სამეურნეო პროცესების მიღწევას.

ბაზართან, უნარებთან და ინფორმირებულობასთან დაკავშირებული ბარიერები

დაბალია ფერმერების ინფორმირებულობა ახალ სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ხარჯებისა და სარგებლის შესახებ. მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს სოფლის მეურნეობის სექტორში არასწორი პრაქტიკის გარემოზე ზემოქმედების შესახებ ცოდნის ნაკლებობა. გარდა ამისა, არ არსებობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, შესაბამის უნარებისა და ცოდნის ასამაღლებლად, და სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის დეფიციტის აღმოსაფხვრელად.

როგორც გამოკითხულმა დაინტერესებულმა მხარეებმა განმარტეს, იდენტიფიცირებული ბარიერების აღმოფხვრის ღონისძიებები მოიცავს მიწის იჯარით გაცემის პრაქტიკის გაუმჯობესებას და მიწის რეგისტრაციის სისტემური რეფორმის დასრულებას საქართველოში, რაც ფერმერებს საშუალებას მისცემს გამოიყენონ მიწა სესხის უზრუნველსაყოფად. ასევე აღინიშნა, რომ საჭიროა ახალი

სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების დანერგვა ან მხარდაჭერის სქემების ინტეგრირება, როგორცაა მაგალითად „ქეშბექის“ გრანტი, არსებულ პროგრამებში. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, გამოკითხული დაინტერესებული მხარეები საჭიროდ მიიჩნევენ მოთხოვნებში შეტანილი იყოს ფერმერების მხრიდან თანაინვესტირება, პროექტების უფრო ეფექტური განხორციელებისა და მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

3. ფინანსური/ბიზნეს მოდელები შერჩეული კონცეფციისთვის

ბიზნეს მოდელები უზრუნველყოფს ბიზნეს ინვესტიციების დაპროექტების, განხორციელებისა და მართვის ჩარჩოს, რომელიც მოიცავს ისეთ ძირითად ელემენტებს, როგორიცაა დაფინანსება, მომსახურებები და მონიტორინგი (ADB, 2015). ამ ანალიზის მიზნებისთვის, შემოთავაზებული ბიზნეს მოდელები ძირითადად განხილულია გამოსაყენებელი ფინანსური ინსტრუმენტების და პროცესის სხვადასხვა მონაწილეთა კუთხით, რომლებიც პროცესში უნდა ჩაერთონ სხვადასხვა ფუნქციებითა და როლებით.

3.1. ფინანსური ინსტრუმენტების შერჩევის კრიტერიუმები

იმის გათვალისწინებით, რომ დაფინანსების ძირითადი წყარო ამჟამად „კლიმატის მწვანე ფონდია“, ქვემოთ მოყვანილია GCF-სთვის გათვალისწინებული ბიზნეს მოდელის ძირითადი ასპექტები. თავდაპირველი აქცენტირება ფინანსურ სიცოცხლისუნარიანობაზე, გულისხმობს დაფინანსების მკაფიო სტრატეგიის შემუშავებას, რომელიც ასახავს დაფინანსების წყაროებსა და ინსტრუმენტებს, და ფინანსური მმართველობისა და მენეჯმენტის ძლიერი სისტემების ჩამოყალიბებას ამ რესურსების პასუხისმგებლიანი და გამჭვირვალე გამოყენების უზრუნველსაყოფად.

ფინანსური ინსტრუმენტების შერჩევა შეესაბამება კლიმატის მწვანე ფონდის მიერ ამ ინსტრუმენტების მოდელების შერჩევის კრიტერიუმებს, მათ შორის:

- ტრანსფორმაციული გავლენა: ფინანსური ინსტრუმენტების პოტენციალი, მოახდინოს ტრანსფორმაცია მრავალ დონეზე და სხვადასხვა ფორმით.
- ინვესტიციის განხორციელებადობა: ინსტრუმენტების ეფექტურობა ინვესტიციების ხელშეწყობისა და მათი განხორციელებადობისთვის.
- რესურსების ეფექტური გამოყენება: ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ფონდის რესურსების ყველაზე ეფექტურ გამოყენებას, ზემოქმედების მაქსიმალურად გაზრდას და ამაღლოვლად რესურსების გამოყოფის მინიმუმამდე შემცირებას.
- რესურსების ბერკეტის მოზიდვა: ინსტრუმენტების პოტენციალი, სხვა წყაროებიდან რესურსების მოზიდვის, და ფონდის საქმიანობაში თანადაფინანსების ან შენატანების წახალისებისთვის.
- ფინანსური სქემების განმეორებადობა: აქტივობები, რომლებიც შეიძლება განმეორდეს ან გაფართოვდეს იმავე ფინანსური სქემით.
- ზემოქმედება და თანასარგებელი: ფონდის აქტივობების ზემოქმედება და მისი მხარდაჭერის შედეგად მიღებული დამატებითი სარგებელი.
- კაპიტალის ნაკადების გაფართოების პოტენციალი: ფინანსური ინსტრუმენტების პოტენციალი, ხელი შეუწყონ ფართომასშტაბიან ფინანსურ ნაკადებს.

ფინანსური ინსტრუმენტების შერჩევისთვის შემდგომ გამოიყენება თითოეული სამიზნე ტექნოლოგიისთვის ჩატარებული საფუძვლიანი ფინანსური და ეკონომიკური ხარჯ-სარგებლის ანალიზი. გარდა ამისა, ეს ანალიზი ითვალისწინებს არსებულ პოლიტიკის გარემოს, ასევე სპეციფიკურ საჭიროებებსა და გამოწვევებს, რომლებიც იდენტიფიცირებულია ტექნოლოგიის, სექტორსა და ეროვნულ დონეზე, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებისა და სამაგიდო კვლევის საფუძველზე.

ეროვნულ დონეზე მნიშვნელოვანია პრიორიტეტი მიენიჭოს იაფ სესხებზე უშუალო წვდომას, შუამავლებზე დაყრდნობის ნაცვლად. ეს გულისხმობს ადგილობრივი მონაწილეების, მათ შორის კერძო სექტორის, არასამთავრობო ორგანიზაციების, ფონდებისა და სხვა შესაბამისი სუბიექტების აკრედიტაციის პროცესის ხელშეწყობას. აკრედიტაციის გაზრდისა და შესაძლებლობების გაძლიერების შედეგად, ამ ადგილობრივ მონაწილეებს შეეძლებათ ტექნიკურად და ფინანსურად გამართული პროექტების ეფექტურად მომზადება.

ეს აქტივობა არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ „კლიმატის მწვანე ფონდით“, არამედ უნდა გავრცელდეს სხვა ფონდებზეც, როგორიცაა „გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი“, „ადაპტაციის ფონდი“ და პოტენციურ დაინტერესებული სხვა ფონდები. აუცილებელია, ადგილობრივ მონაწილეებს საშუალება მიეცეთ გავიდნენ ამ ფონდებსა და სხვა დონორებზე და წარუდგინონ თავიანთი პროექტები.

აღსანიშნავია, რომ საქართველო ამჟამად განიცდის ადგილობრივი აკრედიტებული ორგანოების ნაკლებობას ზემოხსენებულ ფონდებში. სს თიბისი ბანკი GCF-ის ერთადერთი აკრედიტებული სუბიექტია საქართველოში, რომელიც ავტორიზებულია მხოლოდ სესხებზე. შედეგად, მთელი დაფინანსება ძირითადად დონორების მეშვეობით მოდის, რაც ზღუდავს ქვეყნის შესაძლებლობას, მიიღოს პირდაპირი დაფინანსება და ზრდის მის დამოკიდებულებას გარე წყაროებზე. აკრედიტებული ადგილობრივი სუბიექტების შექმნით, საქართველოს შეუძლია გააძლიეროს პირდაპირი დაფინანსების მიღების უნარი, შეამციროს დამოკიდებულება მესამე მხარის შუამავლებზე და ჰქონდეს მეტი კონტროლი დაფინანსების პროცესზე. ეს მიდგომა საშუალებას მისცემს ქვეყანას ჰქონდეს უფრო აქტიური როლი კლიმატის დაფინანსების სტრატეგიების ჩამოყალიბებაში, რაც ხელს შეუწყობს ეროვნული პრიორიტეტების უპირატეს დაგეგმვასა და განხორციელებას.

სექტორისა და ტექნოლოგიის დონეზე, აშკარა ხდება, თუ რა მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ადგილობრივი შესაძლებლობების დეფიციტი ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში (ენერგეტიკა, შენობები, ტრანსპორტი, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ლანდშაფტები და ინფრასტრუქტურული განვითარება და ა.შ.) ენერგოეფექტური და კლიმატისადმი მედეგი ადაპტაციის ტექნოლოგიების დანერგვისთვის. ამ საკითხის გადასაჭრელად საჭიროა მნიშვნელოვანი გრანტები, რათა ჩამოყალიბდეს განხორციელების ადგილობრივი შესაძლებლობები და სისტემები, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელი იქნება

ხსენებული პოტენციალის განვითარება. გარდა ამისა, ენერგოეფექტური ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვის ხელშესაწყობად საჭიროა შეღავათიანი სესხები, მასშტაბისა და მნიშვნელოვანი საწყისი ინვესტიციის საჭიროების გამო.

ამ ფინანსური სტრატეგიის ძირითადი კონცეპტუალური ხედვაა პრიორიტეტი მიენიჭოს ცოდნის, პროფესიონალური და სერვისის მიწოდების უნარების გაძლიერებას, პროექტების მომზადებისა და განხორციელების ხარისხის ამაღლებას, რაც მიზნად ისახავს მუდმივი ფინანსური სუბსიდიების საჭიროების შემცირებას. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს კლიმატ-ტექნოლოგიების დანერგვასა და გავრცელებაში თვითკმარობისა და გრძელვადიანი სიცოცხლისუნარიანობის მიღწევის მცდელობას.

3.2. პრიორიტეტული ტექნოლოგიების დაფინანსებისთვის შერჩეული კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტების და ბაზრის ძირითადი მოთამაშეების მიმოხილვა

3.2.1. ელექტრო ავტომობილები

ელექტრო ავტომობილები შეირჩა ტრანსპორტის სექტორის ერთ-ერთი სამიზნე ტექნოლოგიად, საქართველოში კერძო საკუთრებაში არსებული მსუბუქი ავტომობილების ემისიების შემცირების მიზნით. პროგრამის ჯამური ღირებულება შეადგენს 127.2 მლნ აშშ დოლარს, და ის მიზნად ისახავს 5,000 მანქანის დამატებას, ინფრასტრუქტურისა და სერვის ცენტრების, ასევე ავტომობილების დილერების დაფინანსებას, ინფორმაციის შეგროვების სისტემის ჩამოყალიბებას და ცნობიერების ამაღლების კამპანიების ჩატარებას.

როგორც განსაზღვრულია ამ ტექნოლოგიისთვის შექმნილ GCF-ის კონცეფციაში, პროექტის მიზანია გადაჭრას არსებული დაბრკოლებები, ტრადიციულ ალტერნატივებთან შედარებით ელექტრო ავტომანქანების ხელმისაწვდომობისა და სანდოობის აღქმის გაზრდის გზით. ის ასევე ორიენტირებულია ცოდნასთან დაკავშირებული ბარიერების შემცირებაზე, ელექტრო ავტომობილების მფლობელობასთან დაკავშირებული ხარჯების, სარგებლის, ტექნიკური ასპექტებისა და სერვისების შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებით. გარდა ამისა, ინიციატივა აქტიურად უჭერს მხარს ელექტრომობილების ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას, რაც მიზნად ისახავს ამ ტექნოლოგიის ფლობასთან დაკავშირებული აღქმული რისკების კიდევ უფრო შემცირებას.

პროექტი შედგება ორი კომპონენტისგან, ესენია: **კომპონენტი 1:** ელექტრო სატრანსპორტო საშუალებებში და მასთან დაკავშირებულ ინფრასტრუქტურაში ინვესტიციებისთვის შექმნილი ხელშემწყობი ფინანსური გარემო; და **კომპონენტი 2:** მონიტორინგისა და აღრიცხვის ჩარჩოს შექმნა, ელექტრო სატრანსპორტო საშუალებების შესახებ ცოდნის გასაზრდელად და ქვეყნის NDC-ის მონიტორინგისა და ანგარიშგების მხარდასაჭერად.

დაგეგმილია, რომ პროექტი განხორციელდება სს თიბისი ბანკის მიერ, რომელიც შეასრულებს ორმაგ როლს, პროექტის აკრედიტებული სუბიექტის და განმახორციელებელი სუბიექტის როლს.

თანხების სტრატეგიული განაწილებით, პროგრამა მიზნად ისახავს ელექტრო ავტომანქანების ათვისების დაჩქარებას, დასამუხტი ინფრასტრუქტურის გაძლიერებას, სათანადო სერვისის მხარდაჭერის უზრუნველყოფას, დილერების წახალისებას და პოტენციური მყიდველების ცნობიერების ამაღლებას, რაც ხელს შეუწყობს ინიციატივის წარმატებულ განხორციელებას.

ელექტრო ავტომობილების ათვისების ხელშესაწყობად, პროგრამისთვის შედგათიანი დაფინანსების საჭიროება დასტურდება ფინანსური ხარჯ-სარგებლის ანალიზით, რომელიც ჩატარდა მანქანის მყიდველის პერსპექტივიდან, დისკონტირებული ფულადი ნაკადების (DCF) შეფასების მეთოდის გამოყენებით. ამ ანალიზის საფუძველზე, განისაზღვრა დაფინანსების შემდეგი სტრატეგია (ცხრილი 17):

ცხრილი 17. ელექტრო ავტომობილების ათვისების დაფინანსების სტრატეგია

ფინანსური ინსტრუმენტი	კლიმატის მწვანე ფონდი	თიბისი ბანკი
სესხი	შეღვათიანი სესხი 100.4 მლნ აშშ დოლარის ოდენობით, 5%-იანი განაკვეთით.	თიბისის თანადაფინანსება 25.8 მლნ აშშ დოლარი
გრანტი	500,000 აშშ დოლარი	თიბისი თანადაფინანსება 500,000 აშშ დოლარი
მწვანე საბანკო პროდუქტები		შემუშავდება თიბისის მიერ, გამოიწვევს იქნება ავტომობილის მყიდველებზე, დილერებზე, ინფრასტრუქტურის განმავითარებლებზე და მომსახურების მიმწოდებლებზე

რაც შეეხება საგრანტო კომპონენტს, მოთხოვნილი თანხა შედარებით მოკრძალებულია და ის მხოლოდ მონაცემთა შეგროვების, ანალიზის და საინფორმაციო კამპანიების წარმოებისთვისაა გათვალისწინებული. ამ გრანტის მიზანია საინფორმაციო კამპანიებთან დაკავშირებული ფინანსური ტვირთის შემსუბუქება, რაც შემდგომ შეამცირებს ელექტრომობილების ღირებულებას მყიდველებისთვის.

ელექტრო ავტომობილების ათვისებისთვის აღწერილი მოდელი შესაბამისობაშია კლიმატის მწვანე ფონდის ფინანსური ინსტრუმენტების შერჩევის კრიტერიუმებთან. პროექტი ცდილობს ტრანსპორტის სექტორის გარდაქმნას

უფრო მდგრადი და დაბალნახშირბადიანი მომავლის მისაღწევად. ამ ტექნოლოგიის დანერგვისთვის ჩატარებული ხარჯ-სარგებლის ანალიზი (CBA), ასახავს დაფინანსების სტრატეგიას რომელმაც **განხორციელებადი** უნდა გახადოს ელექტრო ავტომობილებში და მათთან დაკავშირებულ ინფრასტრუქტურაში ინვესტირება. ის განიხილავს დაფინანსების სხვადასხვა სცენარს, მათ შორისაა სცენარი გარეშე სესხის გარეშე, კომერციული სესხი, რომელიც ფარავს პროექტის საჭიროებების 50%-ს და შეღავათიანი სესხი. როგორც გამოვლინდა, ეს უკანასკნელი ინსტრუმენტი საჭიროა ხელმისაწვდომობის გასაზრდელად და ტექნოლოგიის გამოყენების წასახალისებლად (ცხრილი 17). პროექტი მიზნად ისახავს მაქსიმალურად გაზარდოს GCF-ის რესურსების ეფექტური გამოყენება, თანხების სტრატეგიული განაწილებით, ელექტრომობილების ათვისების დასაჩქარებლად, დასამუხტი ინფრასტრუქტურის მოსაწყობად, სერვისის მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, დილერების წასახალისებლად და ცნობიერების ასამაღლებლად. **რესურსების ბერკეტის მოპოვება** გარანტირებულია. პროექტის მნიშვნელოვანი ნაწილი თანადაფინანსებულია თიბისი ბანკის მიერ. პროექტის ფოკუსირება ელექტრომობილების დანერგვასთან დაკავშირებული ბარიერების შემცირებაზე და ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობაზე, შეიძლება მოდელად იქნას გამოყენებული მსგავსი ინიციატივებისთვის, რაც ადასტურებს **განმეორებადობას**. გარდა ამისა, პროექტი მიზნად ისახავს უზრუნველყოს **თანასარგებელი** როგორიცაა გაძლიერებული საიმედოობა და ცოდნის გავრცელება ელექტრო ავტომანქანებთან დაკავშირებით. პროექტი თავდაპირველად 5,000 მანქანის დანერგვას ისახავს მიზნად, მაგრამ მის ყოვლისმომცველ მიდგომას ინფრასტრუქტურის, სერვისცენტრების და ცნობიერების ამაღლების კამპანიების დაფინანსებით, პოტენციური აქვს **ხელი შეუწყოს კაპიტალის მასშტაბურ ნაკადებს**, ინიციატივის გაფართოების შედეგად.

3.2.2. ბიოსაწვავის წარმოება (ბიოდიზელი, ბიოგაზი)

ბიოსაწვავის წარმოების კონცეფცია ითვალისწინებს ორ აქტივობას: ბიოდიზელის წარმოების ტექნოლოგიის პილოტირებული ვერსიის მასშტაბების გაზრდა და პირუტყვის ნაკელიდან ბიოგაზის წარმოების ტექნოლოგიის პილოტირება. ორივე ეს აქტივობა და ტექნოლოგია ახალია ქვეყნისთვის და მოითხოვს მაღალი რისკის საწყის კაპიტალსა და საოპერაციო ინვესტიციებს, როგორც ქვემოთაა აღწერილი.

პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში ნულოვანი ემისიის ნარჩენების გადამამუშავებელი ჰაბის დაფუძნებას სახელწოდებით „ნარჩენებიდან ენერგიამდე“. ეს ინიციატივა ორიენტირებულია კლიმატგონივრული და ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების დანერგვაზე, სხვადასხვა ნარჩენების ბიოსაწვავად გარდაქმნისთვის და სხვა ღირებული პროდუქტებისა და რესურსების აღდგენისთვის, როგორიცაა ბიტუმი და საბაზო ზეთი.

კონცეფცია, საქართველოში ბიოსაწვავის (ბიოდიზელი და ბიოგაზი) წარმოების გაზრდისთვის, მოიცავს სამ კომპონენტს, ესენია: **კომპონენტი 1.** შპს „ბიოდიზელ ჯორჯია“ დააფუძნა ნარჩენების გადამამუშავებელი „მწვანე ჰაბი“, რათა გაზარდოს ბიოდიზელის წარმოება (საბაზისო 1,000 ტ/წ) 34,000 ტონამდე წელიწადში; **კომპონენტი 2.** ბიოსაწვავის ხარისხის უზრუნველსაყოფად, შეიქმნა და აკრედიტებულია შესაბამისი მაღალი ხარისხის ლაბორატორია, და შეიქმნა გამანაწილებელი/შემგროვებელი ელექტრო სატრანსპორტო საშუალებების პარკი; **კომპონენტი 3.** საქართველოში პილოტირებულია ორგანული ნარჩენებისა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნაკელისგან ბიოგაზის წარმოება.

ამ ტექნოლოგიის დანერგვისთვის ჩატარებული ხარჯ-სარგებლის ანალიზი მიუთითებს შეღავათიანი სესხისა და გრანტის საჭიროებაზე. კერძოდ, საქართველოში ბიოსაწვავის წარმოების დაფინანსებისთვის შემდეგი სტრატეგია განისაზღვრა (ცხრილი 18):

ცხრილი 18. საქართველოში ბიოსაწვავის წარმოების დაფინანსების სტრატეგია

ფინანსური ინსტრუმენტი	კლიმატის მწვანე ფონდი	შპს „ბიოდიზელ ჯორჯია“
სესხი	შეღავათიანი სესხი 6.5 მლნ აშშ დოლარის ოდენობით, 5%-იანი განაკვეთით.	
გრანტი	2 მილიონი აშშ დოლარი	შპს „ბიოდიზელ ჯორჯია“ 1.5 მლნ აშშ დოლარის თანაინვესტიციას განახორციელებს

ამ პროექტის პოტენციურ აკრედიტებულ სუბიექტად, ისევე როგორც აღმასრულებელ სუბიექტად 2018 წელს დაარსებული შპს „ბიოდიზელ ჯორჯია“ განიხილება. აღსანიშნავია, რომ კომპანია მზადაა განაცხადი შეიტანოს პროექტის სპეციფიკურ აკრედიტაციაზე. ამჟამად კომპანია ყოველწლიურად 1,000 ტონა ბიოდიზელს აწარმოებს. მისი გეგმაა 2030 წლისთვის წარმოების გაზრდა 35,000 ტონამდე წელიწადში. გარდა ამისა, კომპანია მიზნად ისახავს პირუტყვის ნაკელიდან და საკვების ნარჩენებიდან ბიოგაზის წარმოების პილოტირებას, მაგრამ ეს დამოკიდებულია განხორციელებადობის კვლევებისთვის მხარდაჭერის მოპოვებაზე.

შეთავაზებაში გათვალისწინებული ფინანსური ინსტრუმენტებისა და განხორციელების სქემების კომბინაცია შეესაბამება GCF-ის ფინანსური ინსტრუმენტების შერჩევის კრიტერიუმებს. კერძოდ, აქ ხაზგასასმელია გამოყენებული ფინანსური ინსტრუმენტების, როგორცაა შეღავათიანი სესხი, გრანტი და კერძო სექტორის თანადაფინანსება, **ტრანსფორმაციული ზემოქმედება.** ეს პირველი შემთხვევაა საქართველოში, როდესაც კერძო სექტორის

წარმომადგენელმა გამოთქვა სურვილი, განაცხადი გააკეთოს პროექტის სპეციფიკურ აკრედიტაციაზე და უშუალოდ მოახდინოს ინვესტიციების მობილიზება საერთაშორისო ფონდიდან კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საქმიანობისთვის. შპს „ბიოდიზელ ჯორჯიას“ წარმატების შემთხვევაში ეს პროცესი ხელს შეუწყობს სქემის განმეორებადობას, რაც ზრდის კერძო სექტორის წვლილს ქვეყნის მიერ პარიზის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში. **რესურსების ბერკეტის მოპოვება** კერძო სექტორიდან, ამ შემთხვევაში, არ არის ძალიან მაღალი (პროექტის მთლიანი ღირებულების 15%), დაგეგმილი აქტივობების მაღალი რისკის გამო, მაგრამ შეიძლება კარგი მაგალითი შეიქმნას კერძო **კაპიტალის ნაკადების** გაზრდისთვის კლიმატის ცვლილებასა და მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული აქტივობებისთვის. **ინვესტიციის განხორციელებადობა და ეფექტურობა** დასტურდება ხარჯ-სარგებლის ანალიზის (CBA) ზემოთ მოყვანილი შედეგებით. აღნიშნული ანალიზი აჩვენებს, რომ GCF-ის მხარდაჭერის გარეშე კონცეფცია არ არის განხორციელებადი და რომ მოთხოვნილი შეღავათები მინიმალურია მიზანშეწონილობის მისაღწევად. სცენარი, რომელიც მოიცავს შეღავათიან სესხს და გრანტს, იძლევა ყველაზე ხელსაყრელ ფინანსურ შედეგებს პროექტისთვის, უფრო მაღალი IRR და დადებითი NPV მაჩვენებლებით საბაზისო სცენართან შედარებით, სადაც კერძო სექტორი საკუთარი კაპიტალის ინვესტირებას ახდენს, შეღავათიანი სესხის ან გრანტის გარეშე, ასევე, ჩვეულებრივი კომერციული სესხის სცენართან შედარებით, 14.85% საპროცენტო განაკვეთით, ლარში.

3.2.3. საჯარო შენობების ენერგოეფექტური რეაბილიტაცია

ენერგოეფექტურობის ღონისძიებები წარმოადგენს საჯარო შენობების ფონდის რეაბილიტაციისთვის გამიზნული საქართველოს ეროვნული პროგრამის განუყოფელ კომპონენტს. პროექტი ორიენტირებულია საჯარო შენობების ენერგოეფექტურ რეაბილიტაციაზე, კერძოდ, საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მდებარე საბავშვო ბაღებისა და სხვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების 392,308 კვ.მ ფართისთვის მთლიანობაში.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობების, მათ შორის საბავშვო ბაღების ენერგოეფექტური რეაბილიტაციისთვის საქართველოს მთავრობამ ჯამში 1.3 მილიარდი ლარი გამოყო. ამ თანხიდან 100 მილიონი ლარი (დაახლოებით 40 მილიონი აშშ დოლარი) უკვე დამტკიცდა და გამოიყო პროგრამის დასაწყებად და მოსამზადებელი სამუშაოების განსახორციელებლად. პროექტი შედგება სამი კომპონენტისგან: **კომპონენტი 1.** გაძლიერებულია ადგილობრივი შესაძლებლობები „შენობების სექტორის ენერგოეფექტურობის შესახებ“ კანონის ეფექტური განხორციელებისთვის. **კომპონენტი 2.** დაარსებულია ენერგომომსახურების კომპანიები, რომლებიც უზრუნველყოფენ ენერგეტიკულ მომსახურებებს მდგრადი და კომერციული გზით; **კომპონენტი 3.** საჯარო შენობების დაახლოებით 400,000 მ² რეაბილიტირებულია ენერგოეფექტური ღონისძიებებით, რაც ითვალისწინებს, რომ თბოიზოლაციით, თბური ტუმბოებით

და ფოტოვოლტური სისტემებით საჯარო შენობების ფონდის განახლების პროცესი ჩამოყალიბებულია.

პროექტის ძირითადი მონაწილეები: 1. **პოტენციური აკრედიტებული სუბიექტები.** არის რამდენიმე პოტენციური აკრედიტებული სუბიექტი, რომელიც განიხილება პროექტის სპეციფიკური აკრედიტაციისთვის. მათ შორისაა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, სსიპ, და ენერგოეფექტურობის ცენტრი - საქართველო (EECG), არასამთავრობო ორგანიზაცია. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალური განვითარების ფონდის შესაძლებლობები შეზღუდულია კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ პროექტებთან ასოცირებული რისკების მართვისთვის. ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად საჭიროა არსებითად გაიზარდოს ფონდის შესაძლებლობები კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პროექტების რისკების მართვაში. ერთ-ერთი შესაძლო მიდგომა შეიძლება იყოს მთავრობის გადაწყვეტილებით კლიმატის მწვანე ფონდიდან მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის საჭირო რესურსების გამოყოფა და ამავდროულად ფონდის შიდა შესაძლებლობების გაძლიერება. კიდევ ერთი ვარიანტია მოლაპარაკებები კლიმატის მწვანე ფონდის მიერ უკვე აკრედიტებულ სხვა საერთაშორისო დონორებთან, როგორიცაა EBRD, KfW, რომლებიც წარმოდგენილები არიან საქართველოს ბაზარზე. თუმცა, ამ მიდგომამ შეიძლება შეაფერხოს ჩვენი ქვეყნის წინსვლა დამოუკიდებელი სუბიექტების ჩამოყალიბებისკენ, რომლებსაც შეეძლებათ დაბალპროცენტიანი ინვესტიციების პირდაპირ მიღება დაბალემისიიანი განვითარების პროექტებისთვის. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ეროვნული ინტერესი შეიძლება ყოველთვის არ ემთხვეოდეს საერთაშორისო დონორების ინტერესებს.

აღმასრულებელი სუბიექტები: პროექტის აღმასრულებელი სუბიექტები იქნებიან ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (ემგს), ფინანსთა სამინისტრო და მუნიციპალური განვითარების ფონდი.

განმახორციელებელ სუბიექტებს შორის არიან ადგილობრივი ენერგომომსახურების კომპანიები, რომლებიც წარმოადგენენ კერძო სექტორს და ენერგოეფექტურობის ცენტრი – საქართველო. აკრედიტებულ სუბიექტსა და აღმასრულებელ სუბიექტებს შორის კონკრეტული გადაწყვეტილებები დამოკიდებული იქნება საბოლოო გადაწყვეტილებაზე, თუ ვინ იკისრებს აკრედიტებული სუბიექტის როლს. თუმცა, ყველა შემთხვევაში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო იქნება მთავარი გადაწყვეტილების მიმღები ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია შენობების ტიპებისა და განხორციელების სხვა ასპექტების განსაზღვრაზე, სათბურის გაზების მაქსიმალური შემცირებისა და სოციალური ზემოქმედების მისაღწევად. ემგს ასევე ზედამხედველობას გაუწევს შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ კანონის სრული დანერგვის პროცესის ინსტიტუციონალიზაციას. ფინანსთა სამინისტრო პასუხისმგებლობას აიღებს ენერგოეფექტური რეაბილიტაციისა და ენერგიის დაზოგვის ინიციატივების წლიური ხარჯების მონიტორინგსა და დაგეგმვაზე. ეს აღმასრულებელი ორგანოები

ითანამშრომლებენ და ერთად იმუშავენ პროექტის მიზნებისა და ამოცანების ეფექტურად და წარმატებით განხორციელების უზრუნველსაყოფად.

როგორც კონცეფციაშია განსაზღვრული, საჯარო შენობების სექტორის მიმართ ქვეყნის ვალდებულებების შესრულებასთან მიახლოების მიზნით, შემოთავაზებულია 20 მილიონი აშშ დოლარის გრანტის მოთხოვნა კლიმატის მწვანე ფონდიდან, ენერგოეფექტური პროექტების ადგილობრივი სამშენებლო შესაძლებლობების გასაზრდელად და ხარისხის უზრუნველყოფის გასაუმჯობესებლად. ამასთან, რეკომენდებულია მიმდინარე პროგრამის სარეაბილიტაციო ნაწილის დაფინანსების გაზრდა 40 მილიონი აშშ დოლარით გრძელვადიანი, 0%-იანი სუვერენული სესხის ინსტრუმენტის მეშვეობით. ეს მიდგომა მოიცავს სამთავრობო პროგრამას, რომელიც ემსახურება დიდი ეროვნული პროგრამის თანადაფინანსებას, უფრო მაღალი ზემოქმედების ინიციატივის შექმნით. საჯარო შენობებში ენერგოეფექტური ღონისძიებების მხარდაჭერის დაფინანსების სტრატეგია შემდეგია (ცხრილი 19):

ცხრილი 19. საქართველოში საჯარო შენობების ენერგოეფექტური რეაბილიტაციის დაფინანსების სტრატეგია

ფინანსური ინსტრუმენტი	კლიმატის მწვანე ფონდი	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / ფინანსთა სამინისტრო
სესხი	40 მლნ აშშ დოლარი გრძელვადიანი 0%-იანი სუვერენული სესხის ინსტრუმენტით.	40 მლნ აშშ დოლარის თანადაფინანსების სესხი ფინანსთა სამინისტროსგან
გრანტი	20 მილიონი აშშ დოლარი	2 მლნ აშშ დოლარის ნატურალური კონტრიბუცია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსგან / ფინანსთა სამინისტროსგან

ამ ტექნოლოგიისთვის ჩატარებული ხარჯ-სარგებლის ანალიზით, წმინდა მიმდინარე ღირებულება უარყოფითი იყო ყველა შეფასებულ სცენარში. 25-წლიანი საანალიზო პერიოდის განმავლობაში, პროექტი ვერ გამოიმუშავებს საკმარის საოპერაციო შემოსავალს მისი კაპიტალური ხარჯების ასანაზღაურებლად. ვალის მომსახურების დაფარვის კოეფიციენტი (DSCR) რომ ერთზე დაბალია, ნიშნავს რომ ფულადი სახსრების ნაკადები არასაკმარისია სავალო ვალდებულებების შესასრულებლად. ეს შედეგი აჩვენებს, რომ ფინანსური თვალსაზრისით, პროექტის განხორციელება არ ითვლება მომგებიანად, შეღავათიანი სესხისა და გრანტის შემთხვევაშიც კი. როგორც კონცეფციაშია ახსნილი, ეს შედეგები, პირველ რიგში, ენერგეტიკული სიღარიბითა და ენერგიის დაბალი ფასითაა განპირობებული.

ამ ფინანსური ინსტრუმენტების (გრანტები და სუვერენული სესხები) კონცეფციაში დაგეგმილი **ტრანსფორმაციული** ბუნება და **ზემოქმედება** გამოიხატება ადგილობრივი შესაძლებლობების გაძლიერებასა და გაფართოებაში, შესაბამისი ზემოქმედების ენერგოეფექტურობის ღონისძიებების განხორციელებისთვის, რისთვისაც უნდა შეიქმნას ენერგომომსახურების კომპანიების სერვისები და ენერგოეფექტური სამშენებლო მასალებისა და ტექნოლოგიების ადგილობრივ ბაზრებზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი ხარისხის პროდუქტი/ტექნოლოგიები. გრანტის კომპონენტი ხელს შეუწყობს არა მხოლოდ GCF-ის სესხის კომპონენტის, არამედ ასევე იმ სახელმწიფო რესურსების **ეფექტურ გამოყენებას**, რომლებიც გამოიყოფა შენობების ენერგოეფექტური რეაბილიტაციისთვის, ენერგოეფექტური მშენებლობისა და რეაბილიტაციის პროცესებში ადგილობრივი შესაძლებლობების გაზრდის გზით, რითაც ზემოქმედება გაცილებით მაღალი იქნება, ვიდრე საბაზისო პირობებში. **ინვესტიციის განხორციელებადობა** (feasibility) ასევე დამოკიდებულია საგრანტო კომპონენტის წარმატებულ განხორციელებაზე. **რესურსის ბერკეტი** მოსალოდნელია კარგად მომზადებული და ძლიერი ენერგომომსახურების კომპანიების მხრიდან პროგრამის შემდგომ ეტაპებზე (ამ საწყის ეტაპზე რეაბილიტაცია ჩაუტარდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობების მხოლოდ მცირე ნაწილს, მაქსიმუმ 10-12%-ს). მომზადებული და კვალიფიციური ენერგომომსახურების კომპანიები ასევე ხელს შეუწყობენ ახალი მშენებლობების ენერგოეფექტურობის პარამეტრების უზრუნველყოფას, რომლებიც სავალდებულო ხდება 2023 წლის 1-ლი ივნისიდან. **განმეორებადობის პოტენციალი** მაღალია, თუ გავითვალისწინებთ ქვეყნის ვალდებულების პარიზის შეთანხმების მიმართ (NDC-ის დოკუმენტით), უზრუნველყოს არსებული საჯარო შენობის 160 მლნ კვ.მ-ის ენერგოეფექტური რეაბილიტაცია 40 წელიწადში, რაც წლიურად 4 მლნ კვ.მ-ს გულისხმობს.

3.2.4. კერძო სექტორის მხარდაჭერა ლანდშაფტების მდგრად მართვასა და მწვანე აგროტურიზმის განვითარებაში

პროგრამა მოიცავს სამ ძირითად კომპონენტს: ბუნებრივი რესურსების ინვენტარიზაციის ჩატარება და მათი დეგრადაციის დონის შეფასება, მდგრადი მართვის გეგმების მომზადება აგროტურიზტული ბიზნესებისთვის, და შეღავათიანი ფინანსური რესურსების შეთავაზება ამ გეგმების განსახორციელებლად და ლანდშაფტის მართვისთვის დაბალემისიანი ტექნოლოგიების დასაწერად. ლანდშაფტის მართვა მოიცავს სხვადასხვა ტექნოლოგიას, მათ შორის სამ სამიზნე სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიას, რომლებიც იდენტიფიცირებულია ტექნოლოგიების სამოქმედო გეგმაში.

პროექტის სპეციფიკური აკრედიტაციისთვის, აკრედიტებულ სუბიექტად განიხილება თიბისი ბანკი ან სოფლის განვითარების სააგენტო (სგს). აღსანიშნავია, რომ სგს-ს აქვს GCF-ის გრანტებზე წვდომის პოტენციური შესაძლებლობა, ხოლო თიბისი ბანკი ფლობს აკრედიტაციას მხოლოდ GCF-ის სესხების მართვისთვის, რაც ზღუდავს მის დაფინანსების ვარიანტებს. ვინაიდან ეს პროექტი მოიცავს

მნიშვნელოვან საგრანტო კომპონენტს, მთავრობამ უნდა განსაზღვროს, თუ როგორ დააკავშიროს თიბისი, გრანტის მართვისთვის ქვეყნის მზადყოფნის პროცესთან. ეს შეიძლება მოიცავდეს თიბისის პარტნიორობას ავტორიზებულ სამთავრობო სტრუქტურასთან, როგორცაა ჰიდრომელიორაციისა და მიწის მართვის დეპარტამენტი, რომელსაც გააჩნია საგრანტო პროგრამების მართვის გამოცდილება, ან სოფლის განვითარების სააგენტო (სგს), რომელსაც გრძელვადიანი გამოცდილება აქვს მთავრობის თანადაფინანსების მექანიზმის ფარგლებში სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარების პროგრამების განხორციელებაში. კიდევ ერთი ვარიანტი, რომელიც შეიძლება ყველაზე სწრაფი იყოს, არის რომ თიბისიმ მიიღოს პროექტის სპეციფიკური აკრედიტაცია. თიბისის უკვე აქვს გამოცდილება ამ სფეროში, მწვანე ზრდის ფონდის (GGF) პროგრამაში, სადაც ფონდი ახორციელებდა საკონსულტაციო მხარდაჭერას მწვანე პროდუქტის სესხებზე. დაფინანსების შესაძლო მოდელი შეიძლება იყოს შედეგებზე დაფუძნებული გადახდები. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ ტიპის დაფინანსება მოითხოვს შემცირებული ემისიების უფრო კომპლექსურ მონიტორინგს მისი ეფექტურობის უზრუნველსაყოფად.

სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს (სგს) ასევე შეუძლია განაცხადის შეტანა პროექტის სპეციფიკურ აკრედიტაციაზე, მისი გრძელვადიანი გამოცდილების გათვალისწინებით სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარების პროგრამების განხორციელებაში, ადგილობრივი საბანკო სექტორის მეშვეობით ფერმერებისთვის შეღავათიანი სესხების გამოყოფის ჩათვლით. აკრედიტებული სუბიექტის სახით ერთ-ერთ ალტერნატივად, ასევე მოიაზრება სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD), რომელიც დასაშვებია როგორც გრანტების, ასევე სესხების მისაღებად, იმ შემთხვევაში, თუ ეს პროგრამა შესაბამისობაში იქნება ერთეულის შიდა გეგმებსა და პოლიტიკასთან.

ნებისმიერ შემთხვევაში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (გდსმს) მოიაზრება აღმასრულებელ სუბიექტად, სამინისტროს ერთ-ერთი ზემოაღნიშნული უწყების მეშვეობით.

ცხრილი 20- ში მოცემულია ლანდშაფტების მართვის პროგრამის დაფინანსების სტრატეგია.

ცხრილი 20. ლანდშაფტების მდგრადი მართვისა და მწვანე აგროტურიზმის განვითარების დაფინანსების სტრატეგია

ფინანსური ინსტრუმენტი	კლიმატის მწვანე ფონდი	აკრედიტებული სუბიექტი
სესხი	40 მლნ აშშ დოლარის გრძელვადიანი სესხი	თიბისი/IFAD/ აკრედიტებული სუბიექტის თანადაფინანსება 10 მლნ აშშ დოლარი
გრანტი	20 მილიონი აშშ დოლარი	საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს 10 მლნ აშშ

		დოლარის ოდენობის ნატურალურ შენატანს
--	--	--

ამ კონცეფციას გააჩნია მაღალი ღირებულება **ტრანსფორმაციული ცვლილებების** თვალსაზრისით ლანდშაფტის მართვის პროცესში და, კერძოდ, კერძო ლანდშაფტებისთვის, რომლებზეც სასოფლო-სამეურნეო ან აგროტურისტული საქმიანობა ხორციელდება. თითქმის უკონტროლო, ხშირ შემთხვევაში, არამდგრადი აქტივობები იქნება რეგულირებული და მხარდაჭერილი, გრძელვადიანი მდგრადი მართვის პროცესების ჩამოყალიბების მიზნით. წარმატებული განხორციელების შემთხვევაში, მოსალოდნელია რომ **ამ ფინანსური სქემების განმეორებადობა** მაღალი იქნება, სასოფლო-სამეურნეო და აგროტურისტული საქმიანობით დაკავებული ლანდშაფტების რაოდენობის სწრაფი ზრდის გამო (წლიურად 5%). **რესურსების ბერკეტის მოზიდვის** მოლოდინი მაღალია და დამოკიდებულია თანადაფინანსების წილზე, რომელიც მოთხოვნილი იქნება კერძო სექტორიდან შეღავათიანი სესხებისა და საკონსულტაციო მომსახურების მისაღებად გრანტების მეშვეობით. თანადაფინანსება, რომელიც იქნება საჭირო, არ შეფასებულა კონცეფციის მომზადების დროს, რადგან აკრედიტებული და აღმასრულებელი სუბიექტები საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი კონცეფციის მომზადების ეტაპზე. ინვესტიციის **განხორციელებადობა** დასტურდება TNA პროექტით, განხილული კერძო სექტორის გამოკითხვის შედეგად, რომელმაც დაადასტურა მაღალი მოთხოვნა როგორც საკონსულტაციო მომსახურებაზე, ასევე შეღავათიან სესხებზე ლანდშაფტების მდგრადი მართვისთვის. პროცესის ძირითადი **თანასარგებელი** უნდა იყოს მცირე ფერმერებში ცოდნისა და მდგრადი პრაქტიკის გავრცელება. მოსალოდნელია, რომ მოხდება მცირემესაკუთრე ფერმერების ხელშეწყობა „კოოპერატივების“ ჩამოყალიბებაში, თუმცა უნდა გაუმჯობესდეს „კოოპერატივების“ მარეგულირებელი გარემო, მათი წევრების სასარგებლოდ.

4. დასკვნითი მნიშვნელობები და რეკომენდაციები

საქართველოში ადგილობრივი აკრედიტებული ორგანოების შეზღუდული რაოდენობა ართულებს პირდაპირ წვდომას დაფინანსებაზე, და ქვეყანას ძირითადად დონორებზე დამოკიდებულს ხდის დაფინანსებისთვის. პირდაპირი დაფინანსების მიღების უნარის გასაზრდელად და დაფინანსების პროცესზე მეტი კონტროლის მოსაპოვებლად, საქართველომ უნდა გაზარდოს ადგილობრივი აკრედიტებული ორგანოების რაოდენობა. ეს ქვეყანას შესაძლებლობას მისცემს, აქტიურად ჩამოაყალიბოს საკუთარი კლიმატის დაფინანსების სტრატეგიები. აღნიშნული მიდგომა არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ კლიმატის მწვანე ფონდით, არამედ გავრცელდეს სხვა ფონდებზეც, რაც ადგილობრივ მონაწილეებს საშუალებას მისცემს, ჰქონდეთ წვდომა სხვადასხვა დონორებსა და ფონდებზე და წარუდგინონ მათ თავიანთი პროექტები.

სექტორისა და ტექნოლოგიის დონეზე, მნიშვნელოვანი გამოწვევაა ადგილობრივი შესაძლებლობების დეფიციტი ენერგოეფექტური ტექნოლოგიების, განახლებადი ენერგიის გამომუშავების, ბიოსაწვავის წარმოების, ლანდშაფტების მდგრადი მართვისთვის და ა.შ. განხორციელებაში. ამ საკითხის გადაჭრა მოითხოვს მნიშვნელოვან გრანტებს, რათა ჩამოყალიბდეს სისტემები, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელი იქნება ამ პოტენციალის განვითარება. ასევე აუცილებელია შეღავათიანი სესხები კლიმატ-მეგობრული ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვის ხელშესაწყობად, მათი მასშტაბისა და საწყისი საინვესტიციო საჭიროებების გამო.

ფინანსური სტრატეგია პრიორიტეტად სახავს ცოდნის გაღრმავებას, მომსახურებისა და პროექტის განხორციელების ხარისხის ამაღლებას, რათა შემცირდეს მუდმივ ფინანსურ სუბსიდიებზე დამოკიდებულება. აქცენტი კეთდება უნარების, ტექნიკური შესაძლებლობებისა და ზოგადად განხორციელების პროცესების გაუმჯობესებაზე, რათა ხელი შეეწყოს კლიმატ-ტექნოლოგიების დანერგვასა და გავრცელებაში თვითკმარობისა და გრძელვადიანი სიცოცხლისუნარიანობის მიღწევას.

ფინანსურ მდგრადობაზე უმთავრესი აქცენტის გაკეთება მოიცავს კარგად დაგეგმილი სტრატეგიის შექმნას, რომელიც განსაზღვრავს დაფინანსების წყაროებსა და ინსტრუმენტებს, და ფინანსური მმართველობისა და მენეჯმენტის ძლიერი სისტემების ჩამოყალიბებას ამ რესურსის პასუხისმგებლიანი და გამჭვირვალე გამოყენების უზრუნველყოფისთვის. ვინაიდან ძირითადი დაფინანსების წყარო ამჟამად კლიმატის მწვანე ფონდიდან მომდინარეობს, შერჩეული ტექნოლოგიების დანერგვისთვის კონკრეტული დაფინანსების სტრატეგიები წარმოდგენილია GCF-ის მნიშვნელოვანი ჩართულობის გათვალისწინებით. ფინანსური ინსტრუმენტების შერჩევისას ჩვენ ვიხელმძღვანელებთ ყოვლისმომცველი ხარჯ-სარგებლის ანალიზით თითოეული სამიზნე ტექნოლოგიისთვის. ასევე, ეს შეფასება ითვალისწინებს ძირითად პოლიტიკის ლანდშაფტს და სპეციფიკურ მოთხოვნებსა და დაბრკოლებებს,

რომლებიც იდენტიფიცირებულია ტექნოლოგიის, სექტორის და ეროვნულ დონეზე, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებისა და სიღრმისეული კვლევის საფუძველზე.

ელექტრო ავტომობილების ბიზნეს მოდელები მოიცავს შეღავათიან სესხს კლიმატის მწვანე ფონდიდან, თიბისი ბანკის თანადაფინანსებით და მოკრძალებულ გრანტს მონაცემთა შეგროვებისა და საინფორმაციო კამპანიებისთვის. სს თიბისი ბანკი იქნება პროექტის როგორც აკრედიტებული, ასევე აღმასრულებელი სუბიექტი. ბიოსაწვავის წარმოების დაფინანსების სტრატეგია მოიცავს შეღავათიან სესხს და გრანტს კლიმატის მწვანე ფონდიდან, შპს „ბიოდირელ ჯორჯიას“ თანაინვესტიციით, რომელიც მოიაზრება პროექტის სპეციფიკური აკრედიტაციისთვის. საჯარო შენობების ენერგოეფექტური რეაბილიტაცია ითვალისწინებს 20 მილიონი აშშ დოლარის გრანტს და 40 მილიონი აშშ დოლარის გრძელვადიან, 0%-იან სუვერენულ სესხს კლიმატის მწვანე ფონდიდან, სამიზნე აღმასრულებელი ორგანოების (ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და ფინანსთა სამინისტრო) თანადაფინანსებით. ამ შემთხვევაში პოტენციური აკრედიტებული სუბიექტებია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი და ენერგოეფექტურობის ცენტრი – საქართველო. და ბოლოს, ლანდშაფტების მდგრადი მართვა და მწვანე აგროტურიზმის განვითარება მოითხოვს გრანტებისა და GCF-ის გრძელვადიანი სესხის ერთობლიობას. გარდა ამისა, პროგრამა საჭიროებს თანადაფინანსებას სამიზნე აკრედიტებული სუბიექტებისგან ან/და პროგრამის აღმასრულებელი სუბიექტებისგან.

ბიბლიოგრაფია

1. აზიის განვითარების ბანკი (2015). ბიზნეს მოდელები განახლებადი ენერგიისა და ენერგოეფექტურობის პოტენციალის რეალიზებისთვის დიდი მეკონგის ქვერეგიონში. აზიის განვითარების ბანკი.
2. კალდველ, მ. და ლარსენ, გ. (2021). კლიმატის მწვანე ფონდზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება: როგორ შეუძლია ფონდს განვითარებადი ქვეყნების ინსტიტუტების უკეთ მხარდაჭერა. ვაშინგტონი, DC., მსოფლიო რესურსების ინსტიტუტი
3. ჩეისი, ვასანთა და სხვები (2020). მცირე კუნძულის განვითარებად ქვეყნებში კლიმატის მწვანე ფონდის ინვესტიციების შესაბამისობისა და ეფექტურობის დამოუკიდებელი შეფასება. შეფასების ანგარიში N8 (ოქტომბერი).
4. ჩეტრი, რ., შაფერ, ლ., და ვოტსონ, ც. (2021) ზარალისა და ზიანის ფინანსების და Global Stocktake-ში მათი ადგილი შესწავლა. სან ფრანცისკო, კალიფორნია: ClimateWorks Foundation და Independent Global Stocktake (iGST).
5. [კლიმატის პოლიტიკის ინიციატივა \(2021\)](#). მიმოხილვა: კლიმატის დაფინანსების გლობალური ლანდშაფტი 2021
6. დემეკას, დ., და ნერლიზ, ა. (2020) განვითარებად ქვეყნებში კაპიტალის შიდა ბაზრების შექმნა: ბაზრის მონაწილეთა შეხედულებები. EMCompass, no.77, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, ვაშინგტონი, DC. © საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია.
7. E Co. (2021) GCF Insight #17: დაინტერესებული მხარეების შეხედულებები კლიმატის მწვანე ფონდის პირდაპირი წვდომის მოდალობის შესახებ, პირდაპირი წვდომის სუბიექტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მოსაზრებები. ლონდონი: E Co.
8. [EU/UNDP \(2022\)](#): NDC-ის საბოლოო ფინანსური სტრატეგია და საინვესტიციო გეგმა. ტექნიკური ანგარიში. საქართველო.
9. [GCF IEU 2021](#): კერძო სექტორისადმი კლიმატის მწვანე ფონდის მიდგომის დამოუკიდებელი შეფასება, საბოლოო ანგარიში - ტომი I
10. [GCF IEU 2022](#): კლიმატის მწვანე ფონდის დამოუკიდებელი შეფასების განყოფილება, პირდაპირი წვდომის დამოუკიდებელი სინთეზი კლიმატის მწვანე ფონდში
11. ლევა ჩ. დ. (2022). კლიმატის შერბილებისა და ადაპტაციის დაფინანსება
12. OECD (2018). საქართველოში კლიმატის ქმედებებისთვის ფინანსების მობილიზება, მწვანე დაფინანსება და ინვესტიციები, OECD Publishing, პარიზი.
13. [OECD \(2022\)](#), განვითარებული ქვეყნების მიერ 2016-2020 წლებში მოწოდებული და მობილიზებული კლიმატის დაფინანსება: შეხედულებები დანაწევრებული ანალიზიდან, კლიმატის დაფინანსება და 100 მილიარდი აშშ დოლარის მიზანი, OECD Publishing, პარიზი.
14. სონგდო, სამხრეთ კორეა: დამოუკიდებელი შეფასების განყოფილება, კლიმატის მწვანე ფონდი. ეუსნერი, ანსგარი და სხვები (2020). კლიმატის მწვანე ფონდის

- აკრედიტაციის ფუნქციის დამოუკიდებელი სინთეზი. შეფასების ანგარიში N6 (ივნისი). სონგდო, სამხრეთ კორეა: დამოუკიდებელი შეფასების განყოფილება, კლიმატის მწვანე ფონდი
15. კლიმატის დაფინანსების გლობალური არქიტექტურა, ჩარლინ უოტსონი, ODI და ლიან შალატეკი, HBS, 2020 <https://climatefundsupdate.org/wp-content/uploads/2020/03/CFF2-2019-ENG-DIGITAL.pdf>
 16. [UNFCC 2015](#): კლიმატ-ტექნოლოგიების დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის გაძლიერება
 17. [UNFCC 2020](#): საქართველოს მეოთხე ეროვნული შეტყობინება კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციისადმი
 18. [OECD \(2022\)](#), განვითარებული ქვეყნების მიერ 2016-2020 წლებში მოწოდებული და მობილიზებული კლიმატის დაფინანსება: შეხედულებები დანაწევრებული ანალიზიდან, კლიმატის დაფინანსება და 100 მილიარდი აშშ დოლარის მიზანი, OECD Publishing, პარიზი.
 19. კალდველ, მ. და ლარსენ, გ. (2021). კლიმატის მწვანე ფონდზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება: როგორ შეუძლია ფონდს განვითარებადი ქვეყნების ინსტიტუტების უკეთ მხარდაჭერა. ვაშინგტონი, DC., მსოფლიო რესურსების ინსტიტუტი.
 20. [UNFCC 2020](#): საქართველოს მეოთხე ეროვნული შეტყობინება კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციისადმი
 21. [GCF IEU 2022](#): კლიმატის მწვანე ფონდის დამოუკიდებელი შეფასების განყოფილება, პირდაპირი წვდომის დამოუკიდებელი სინთეზი კლიმატის მწვანე ფონდში
 22. ჩეტრი, რ., შაფერ, ლ., და ვოტსონ, ჩ. (2021) ზარალისა და ზიანის ფინანსების და Global Stocktake-ში მათი ადგილი შესწავლა. სან ფრანცისკო, კალიფორნია: ClimateWorks Foundation და Independent Global Stocktake (iGST).
 23. [კლიმატის პოლიტიკის ინიციატივა \(2021\)](#). მიმოხილვა: კლიმატის დაფინანსების გლობალური ლანდშაფტი 2021
 24. დემეკას, დ., და ნერლიზ, ა. (2020) განვითარებად ქვეყნებში კაპიტალის შიდა ბაზრების შექმნა: ბაზრის მონაწილეთა შეხედულებები. EMCompass, no.77, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, ვაშინგტონი, DC. © საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია.
 25. E Co. (2021) GCF Insight #17: დაინტერესებული მხარეების შეხედულებები კლიმატის მწვანე ფონდის პირდაპირი წვდომის მოდალობის შესახებ, პირდაპირი წვდომის სუბიექტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მოსაზრებები. ლონდონი: E Co.
 26. კლიმატის დაფინანსების გლობალური არქიტექტურა, ჩარლინ უოტსონი, ODI და ლიან შალატეკი, HBS, 2020 <https://climatefundsupdate.org/wp-content/uploads/2020/03/CFF2-2019-ENG-DIGITAL.pdf>
 27. ჩეისი, ვასანთა და სხვები (2020). მცირე კუნძულის განვითარებად ქვეყნებში კლიმატის მწვანე ფონდის ინვესტიციების შესაბამისობისა და ეფექტურობის დამოუკიდებელი შეფასება. შეფასების ანგარიში N8 (ოქტომბერი).

28. სონგდო, სამხრეთ კორეა: დამოუკიდებელი შეფასების განყოფილება, კლიმატის მწვანე ფონდი. ეუსნერი, ანსგარი და სხვები (2020). კლიმატის მწვანე ფონდის აკრედიტაციის ფუნქციის დამოუკიდებელი სინთეზი. შეფასების ანგარიში N6 (ივნისი). სონგდო, სამხრეთ კორეა: დამოუკიდებელი შეფასების განყოფილება, კლიმატის მწვანე ფონდი
29. [GCF IEU 2021](#): კერძო სექტორისადმი კლიმატის მწვანე ფონდის მიდგომის დამოუკიდებელი შეფასება, საბოლოო ანგარიში - ტომი I
30. საქართველოს NDC-ის დაფინანსების სტრატეგია და საინვესტიციო გეგმა, 2022
31. [საქართველოს მეორე ორწლიური განახლების ანგარიში გაერთიანებული ერების კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისადმი, 2019](#)
32. [GEFF-ი საქართველოში, 2022](#)
33. [GEFF-ის ზემოქმედების ანგარიში EBRD](#)
34. [ევროპის საინვესტიციო ბანკი საქართველოში](#)
35. [გმბ-ების ერთობლივი შეფასების ჩარჩო პარიზის შეთანხმებასთან შესაბამისობისთვის პირდაპირი საინვესტიციო ოპერაციებისთვის](#)
36. [USAID საქართველოს ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამა](#)

დანართები

დანართი 1. ამონარიდი კლიმატის მწვანე ფონდის ინსტრუმენტების მატრიციდან

ინსტრუმენტი/ მოდალობა	განმარტება	დადებითი და უარყოფითი მხარეები
გრანტი	რესურსები, რომლებიც მიმართულია ინვესტიციების დასაფინანსებლად თანხის დაბრუნების მოლოდინის გარეშე.	დადებითი: უზრუნველყოფს ტექნიკურ დახმარებას და შესაძლებლობების გაძლიერებას. პროექტს სძენს სიცოცხლისუნარიანობას. ფარავს ადაპტაციის სრულ ხარჯს, ეხმარება/ავსებს სხვა ინსტრუმენტებს. უარყოფითი: უკუდინების არარსებობა.
შელავათიანი სესხი	რესურსების წინასწარი გადაცემა შეთანხმებით, რომ ფულის დაბრუნება მოხდება საბაზრო პირობებზე უფრო ხელსაყრელი პირობებით, დაბალპროცენტიანი ან უპროცენტო განაკვეთების, დაფარვის უფრო გრძელი და/ან საშეღავათო პერიოდების, ან ამათი ერთობლიობის შეთავაზებით.	დადებითი: გამოიყენება მაშინ, როდესაც საბაზრო დაფინანსება ინვესტიციას სიცოცხლისუნაროს ხდის. ამცირებს რისკს ყველა კრედიტორისთვის, შეუძლია წახალისოს ადგილობრივი ბანკები, შევიდნენ საკრედიტო ბაზარზე ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის მიმართულებით.
გარანტია	ვალდებულებები, რომლებშიც თავდები ვალდებულებას იღებს შეასრულოს მსესხებლის ვალდებულებები კრედიტორის მიმართ მსესხებლის მიერ მისი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, საკომისიოს სანაცვლოდ.	დადებითი: იზიდავს კაპიტალს სესხის მეშვეობით ისეთი პირობებით, რომლებიც უზრუნველყოფენ პროექტის განხორციელებადობას. ამცირებს ან მართავს რისკებს. უარყოფითი: რთულია რისკების რაოდენობრივი გაანგარიშება და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებში დაფინანსების იგივე კვოტაში გადის, რაც სესხი
კაპიტალი (Equity)	კაპიტალის ჩადება პროექტის ან ფირმის საოპერაციო შესაძლებლობების გასაზრდელად, რესურსების ბერკეტის მოპოვების (leverage) მიზნით, რადგან ეს ამცირებს რისკს სხვა ინვესტორებისთვის, გამოიყენება მაშინ, როდესაც წარუმატებლობის ალბათობა მაღალია, მაგრამ წარმატების, და შესაბამისად, კაპიტალის მფლობელისთვის	დადებითი: სტარტაპების ინოვაციის მხარდაჭერა. რესურსების ბერკეტის მობილიზება. უარყოფითი: რთულია რისკების რაოდენობრივი გაანგარიშება და მთლიან კაპიტალში მონაწილეობის დონის ზუსტი განსაზღვრა.

	უკუგების ალბათობა მაინც დადებითია.	
ვალის გაცვლა (Debt swap)	კრედიტორის მიერ სავალო ინსტრუმენტის ნებაყოფლობითი გაცვლა თავის მოვალესთან ნაღდი ფულის, სხვა აქტივის ან ახალი ვალდებულების და დაფარვის განსხვავებული პირობების სანაცვლოდ.	დადებითი: უზრუნველყოფს დამატებით რესურსებს ადაპტაციის ინვესტიციებისთვის, ქვეყნის ვალის დონის შემცირებასთან ერთად. უარყოფითი: ამან შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი სტიმული მსესხებლისთვის, შეასრულოს/დაფაროს თავისი ვალი.
წინასწარი/უზრუნველყოფილი ბაზრის ვალდებულება (Advanced market commitment)	მექანიზმი, რომელიც კმნის სტიმულს კერძო სექტორის ჩართულობისთვის, სიცოცხლისუნარიანი საბაზრო მოთხოვნის შექმნის გზით.	დადებითი: ახდენს ინოვაციის წახალისებას პროდუქტზე მოთხოვნის უზრუნველყოფით და ხელს უწყობს თვითმდგრადი ბაზრის განვითარებას მოთხოვნის შექმნის გზით. იყენებს საჯარო სახსრებს მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს კონკრეტული შედეგი. უარყოფითი: ეს არის შედარებით ინოვაციური მექანიზმი, რომელიც სრულად არ არის შესწავლილი ჯანდაცვის სექტორის გარეთ სხვა სექტორებში.
შესრულებაზე დაფუძნებული გადახდა	გრანტი ან შეღავათიანი სესხი, რომელიც გაიცემა ტრანშებში, წინასწარ განსაზღვრული ამოცანების დადასტურებული შესრულების ან პროექტის ან პროგრამის ფარგლებში ემისიების შემცირების რაოდენობრივი დადასტურების საფუძველზე.	დადებითი: ახდენს პროექტების/პროგრამების წარმატებული განხორციელების წახალისებას. ხელს უწყობს პოლიტიკის რეფორმებს, შესაძლებლობების გაძლიერებას და საინვესტიციო პროექტების განხორციელებას. უარყოფითი: შეიძლება რთული იყოს საბაზისო მდგომარეობის განსაზღვრა, გადახდების განხორციელებისთვის საჭირო შესრულების გასაზომად.
საჯარო-კერძო პარტნიორობა	შეთანხმება სახელმწიფო უწყებასა და კერძო სექტორის სუბიექტს შორის, რომლის მეშვეობითაც ხდება უნარებისა და აქტივების გაზიარება მომსახურების ან ინვესტიციის მიწოდებისას.	დადებითი: უზრუნველყოფს მდგრად გადაწყვეტებს სექტორებს შორის პარტნიორობით. გამოიყენება კომპლექსურ და ისეთ სტრუქტურებში, რომლებიც არ არის სიცოცხლისუნარიანი

		მხოლოდ კერძო დაფინანსების შემთხვევაში.
თანადაფინანსება	რესურსების შერწყმა გმბ-ებთან, ბილატერალურ უწყებებთან, ბაზრის წყაროების ინსტრუმენტებთან დაფინანსების პირობების გასაუმჯობესებლად, რათა ინვესტიცია გახდეს სიცოცხლისუნარიანი.	დადებითი: აძლიერებს დაფინანსების პირობებს, იყენებს რესურსების ბერკეტს
პოლიტიკაზე დაფუძნებული სესხი	არასამიზნე დაფინანსება, რომელიც მიზნად ისახავს დაეხმაროს მსესხებელს მიაღწიოს მდგრად, კლიმატ-მეგობრულ შედეგების პოლიტიკისა და ინსტიტუციური ღონისძიებების პროგრამის მეშვეობით.	დადებითი: ხელს უწყობს პოლიტიკის შემუშავებას და შესაძლებლობების განვითარებას.
ადაპტირებადი საპროგრამო სესხი	გრძელვადიანი განვითარების პროგრამების ეტაპობრივი მხარდაჭერა კონკრეტული სექტორებისთვის გრძელვადიანი პერსპექტივით.	დადებითი: ხელს უწყობს გრძელვადიან სტრატეგიებს
სექტორის საინვესტიციო სესხი	დაფინანსება სექტორის ხარჯების, პოლიტიკისა და შესრულების ქვეყნის პრიორიტეტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად და ინსტიტუციური შესაძლებლობების გასავითარებლად, კონკრეტულ სექტორში ხარჯების ან საინვესტიციო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და მონიტორინგისთვის.	დადებითი: ხელს უწყობს სექტორის ტრანსფორმაციას
ფასდაკლებული გრანტები	პროექტის ინვესტორი სესხს იღებს საბაზრო პირობებით. იმის გათვალისწინებით, რომ სესხის ამორტიზაცია განხორციელდება დაფარვის ვადის ბოლოს, „bullet“ ტიპის გადახდით, ფონდს შეუძლია გასცეს გრანტი „bullet“ გადახდის მიმდინარე ღირებულებით, ჩადოს თანხა ნულოვანი კუპონის ობლიგაციებში ისე, რომ „bullet“ გადახდის თარიღისთვის ასეთი კუპონის ღირებულება გაუტოლდება ამორტიზაციის ოდენობას. ამ გზით, გრანტი რეალურად უტოლდება სესხის ძირითად თანხას.	დადებითი: მაქსიმალურად ზრდის ფონდის რესურსებს.

წყარო: ბიზნეს მოდელის ჩარჩო: ფინანსური ინსტრუმენტები. კლიმატის მწვანე ფონდი (2013), დანართი II.

დანართი 2. ცენტრალური აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში კლიმატის დაფინანსების მომწოდებელი სუბიექტები და ფინანსური ინსტრუმენტები

	I დონის წყარო	II დონის წყარო	ფინანსური ინსტრუმენტი						
			ბალანსის უწყისის დაფინანსება (ვალის ნაწილი)	ბალანსის უწყისის დაფინანსება (კაპიტალის ნაწილი)	გრანტი	იაფი საპროექტო სესხი	პროექტის დონის კაპიტალი	პროექტის დონის საბაზრო განაკვეთის სესხი	უცნობი
2019-2020 წლების ორწლიანი საშუალო	კერძო	კორპორაცია							
		ფონდები							
		შინამეურნეობები/ფიზიკური პირები							
		ინსტიტუციური ინვესტიციები							
	საჯარო	ბილათერალური DFI							
		საექსპორტო საკრედიტო სააგენტო (ECA)							
		მთავრობა							
		მულტილატერალური კლიმატის ფონდები							
		მულტილატერალური DFI							
		ეროვნული DFI							
		სსს							
		სახელმწიფო საფინანსო ინსტიტუტი							

წყარო: კლიმატის პოლიტიკის ინიციატივის (2021) მონაცემებზე დაყრდნობით ავტორების მიერ შემუშავებული ცხრილი.

	1 მილიარდ დოლარზე მეტი
	0-დან 1 მილიარდ დოლარამდე

დანართი 3. “აწარმოე საქართველოში”-სა და სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელებული მხარდაჭერის პროგრამები

		პრივატიზაცია	(თანამონაწილეობრივი) გრანტი	საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება	საკრედიტო გარანტია	შენატანის სუბსიდირება	ტექნიკური დახმარება	მწვანე დაფინანსების შესაძლებლობები
	“აწარმოე საქართველოში”-ს მიერ მხარდაჭერის სქემები		x	x	x		x	
	ბიზნესის განვითარება		x	x	x		x	მწვანე დაფინანსების არაპირდაპირი შესაძლებლობა
	ბიზნეს უნივერსალი		x	x	x			მწვანე დაფინანსების არაპირდაპირი შესაძლებლობა
	მიკრო და მცირე მეწარმეობის საგრანტო პროგრამა		x				x	მწვანე დაფინანსების არაპირდაპირი შესაძლებლობა
	საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმი				x			მწვანე დაფინანსების არაპირდაპირი შესაძლებლობა
	სუბსიდირებული იპოთეკური სესხი			x				უმნიშვნელო გამოყენებადობა მწვანე პროექტებზე
	ტურიზმის განვითარება			x	x			უმნიშვნელო გამოყენებადობა მწვანე პროექტებზე
	გადაიღე საქართველოში		x					უმნიშვნელო გამოყენებადობა მწვანე პროექტებზე
	ინვესტიციების მოზიდვა							პირდაპირი მწვანე ფოკუსი
	ექსპორტის მხარდაჭერა		x				x	მწვანე დაფინანსების არაპირდაპირი შესაძლებლობა

სოფლის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერის სქემები		x	x	x	x	x	x	
მიმდინარე პროგრამები								
	მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-სამოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამა	x						მწვანე დაფინანსების არაპირდაპირი შესაძლებლობა
	მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ერთიანი საწარმოო უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა	x						უმნიშვნელო გამოყენებადობა მწვანე პროექტებზე
	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა					x		უმნიშვნელო გამოყენებადობა მწვანე პროექტებზე
	სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის კენკროვანი კულტურების შესანახი მაცივრების თანადაფინანსების პროგრამა		x					უმნიშვნელო გამოყენებადობა მწვანე პროექტებზე
	სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა		x					უმნიშვნელო გამოყენებადობა მწვანე პროექტებზე

	შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი						მწვანე დაფინანსების არაპირდაპირი შესაძლებლობა
	შეღავათიანი აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებებისთვის			x			მწვანე დაფინანსების არაპირდაპირი შესაძლებლობა
	ერთწლოვანი კულტურების დაფინანსების ქვეკომპონენტი			x			მწვანე დაფინანსების არაპირდაპირი შესაძლებლობა
	მეორადი უზრუნველყოფის კომპონენტი საბრუნავი საშუალებებისთვის				x		მწვანე დაფინანსების არაპირდაპირი შესაძლებლობა
	შეღავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისთვის			x	x		მწვანე დაფინანსების არაპირდაპირი შესაძლებლობა
	შეღავათიანი აგროკრედიტი ახალი მრავალწლოვანი კულტურების გაშენებისთვის		x				უმნიშვნელო გამოყენებადობა მწვანე პროექტებზე
	ქვეკომპონენტი სასურსათო და ენერგოეფექტური მრეწველობის დაფინანსებისთვის			x	x		პირდაპირი მწვანე ფოკუსი
	აგროლიზინგი			x			მწვანე დაფინანსების არაპირდაპირი შესაძლებლობა
	V			x			პირდაპირი მწვანე ფოკუსი
	აგროდაზღვევა		x				უმნიშვნელო გამოყენებადობა მწვანე პროექტებზე

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა		x					უმნიშვნელო პროექტებზე	გამოყენებადობა	მწვანე
ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა		x					უმნიშვნელო პროექტებზე	გამოყენებადობა	მწვანე
მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა		x					უმნიშვნელო პროექტებზე	გამოყენებადობა	მწვანე
დანერგე მომავალი		x					უმნიშვნელო პროექტებზე	გამოყენებადობა	მწვანე
მრავალწლოვანი ბაღების თანადაფინანსების კომპონენტი		x				x	უმნიშვნელო პროექტებზე	გამოყენებადობა	მწვანე
კენკროვანი კულტურების დაფინანსების ქვეკომპონენტი		x					უმნიშვნელო პროექტებზე	გამოყენებადობა	მწვანე
სანერგე მეურნეობების თანადაფინანსების კომპონენტი		x				x	უმნიშვნელო პროექტებზე	გამოყენებადობა	მწვანე
ნერგების კომპონენტი		x					უმნიშვნელო პროექტებზე	გამოყენებადობა	მწვანე
სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების ან/და ჭის/ჭაბურღილის/წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობის თანადაფინანსების კომპონენტი		x					უმნიშვნელო პროექტებზე	გამოყენებადობა	მწვანე

	მერპევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის პროგრამა (DiMMA)		x					მწვანე დაფინანსების არაპირდაპირი შესაძლებლობა
	სახელმწიფო ტექნიკური დახმარების პროგრამა							უმნიშვნელო გამოყენებადობა მწვანე პროექტებზე
შეჩერებული პროგრამები								
	სოფლად ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა – მწვანე გრანტები		x					პირდაპირი მწვანე ფოკუსი
	სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა		x					უმნიშვნელო გამოყენებადობა მწვანე პროექტებზე
	გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსება		x				x	მწვანე დაფინანსების არაპირდაპირი შესაძლებლობა

წყარო: “აწარმოე საქართველოში”; სოფლის განვითარების სააგენტო

“აწარმოე საქართველოში”-სა და სოფლის განვითარების სააგენტოს (სგს) მხარდაჭერის პროგრამების რამდენიმე შერჩეული საილუსტრაციო მაგალითი

“აწარმოე საქართველოში”-ს მხარდაჭერის სქემები

“აწარმოე საქართველოში”-ს სამი ძირითადი პროგრამული მიმართულება აქვს: ბიზნესის განვითარება, ინვესტიციების მოზიდვა და ექსპორტის ხელშეწყობა.

- ბიზნესის განვითარების მიმართულება ამჟამად აერთიანებს ბიზნესის მხარდაჭერის 6 მიმდინარე პროგრამას და იყენებს მხარდაჭერის სხვადასხვა მექანიზმს, მათ შორის თანამონაწილეობრივ გრანტის, საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსების, საკრედიტო გარანტიის და ტექნიკური დახმარების მექანიზმებს. ამ მიმართულების მიმდინარე პროგრამები იძლევა მწვანე დაფინანსების არაპირდაპირ შესაძლებლობას, რადგან შეთავაზებულ მხარდაჭერის სქემებს არ აქვთ მკაფიო „მწვანე აქცენტი“; თუმცა, მათ შესაძლოა პოტენციურად დააფინანსონ მწვანე პროექტები, ამ მიმართულებით პრიორიტეტული დარგების ჩამონათვალის გათვალისწინებით.
- ინვესტიციების მოზიდვის მიმართულება ძირითადად ორიენტირებულია საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე. ამ მიმართულებას აქვს პირდაპირი მწვანე აქცენტი, რადგან მის ფარგლებში მხარდაჭერილი პრიორიტეტული ეკონომიკური მიმართულებები მოიცავს ენერგეტიკის სექტორს, ენერგიაზე მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილების ხელშესაწყობად. როგორც უწყებაში აღნიშნავენ, „არსებობს ბევრი გამოუყენებელი პოტენციალი, ძირითადად ჰიდრორესურსებიდან, ასევე ქარის, მზის, გეოთერმული და ბიომასის წყაროებიდანაც“.¹¹³
- რაც შეეხება ექსპორტის ხელშეწყობის მიმართულებას, ის მიზნად ისახავს ქართული ფირმების საერთაშორისო რეპრეზენტაციის გაზრდას რამდენიმე ინსტრუმენტის მეშვეობით, მათ შორის თანამონაწილეობრივი გრანტებით, რომლებიც გამოიყენება საერთაშორისო გაყიდვების სტიმულირებისთვის და ბენეფიციარი საწარმოების ბრენდინგის და პროდუქციის ლიცენზირების/სერტიფიკაციის თანადაფინანსებისთვის. სხვა პრიორიტეტებთან ერთად, მიმართულება პრიორიტეტს ანიჭებს მათ შორის განათების და სამშენებლო მასალების დარგებს. ექსპორტის ხელშეწყობის განყოფილება შეიცავს არაპირდაპირ შესაძლებლობებს მწვანე დაფინანსებისთვის.

1. ბიზნესის განვითარება

ბიზნესის განვითარების მიმართულების ქვემოთ ჩამოთვლილი პროგრამები იძლევა მწვანე დაფინანსების არაპირდაპირ შესაძლებლობას, როგორც ეს აღწერილია ცხრილში 10.

¹¹³ <https://investingeorgia.org/en/key-sectors/energy>

1.1 ბიზნეს უნივერსალი

პროექტის აღწერა: პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში ბიზნესის განვითარებას შიდა წარმოების დივერსიფიკაციის, ახალი საწარმოების შექმნისა და არსებული საწარმოების გაფართოების/გადაიარაღების მხარდაჭერის გზით. პროგრამას აქვს ორი მიმართულება - სესხი/ლიზინგი და გრანტი.

სესხი/ლიზინგის მიმართულების ფარგლებში უწყება ახორციელებს სესხის პროცენტის სუბსიდირებას სეზ-ის რეფინანსირების განაკვეთს გამოკლებული 5%-ით. ლიზინგის შემთხვევაში სეზ-ის რეფინანსირების განაკვეთს გამოკლებული 3% სუბსიდირდება. „ბიზნეს უნივერსალის“ პროგრამის სესხის/ლიზინგის ფარგლებში, უწყება ასევე ახორციელებს სესხის ძირის არაუმეტეს 60%-ის გარანტირებას, მაქსიმუმ 10 წლის ვადით. მხარდაჭერილი სესხები/ლიზინგის მოცულობა უნდა იყოს 50,000 ლარიდან 10 მლნ ლარამდე. სესხით/ლიზინგით სარგებლობისთვის საქმიანობა უნდა შედიოდეს მოცემული პროგრამის ფარგლებში დამტკიცებულ პრიორიტეტთან ნუსხაში.

გრანტისთვის, შესაძლოა შეირჩეს მხოლოდ „ბიზნეს უნივერსალის“ პროგრამის მოქმედი ბენეფიციარები. თუ სესხის/ლიზინგის მოცულობა შეადგენს 50,000 ლარიდან 1.5 მლნ ლარამდე, ხორციელდება ერთ-ერთ საპილოტე რეგიონში და იმართება პროგრამით გათვალისწინებული პრიორიტეტული ეკონომიკური სფეროს კომპანიის მიერ, ბენეფიციარს შეუძლია მიიღოს სესხის/ლიზინგის 10%. მაგრამ არაუმეტეს 300,000 ლარისა. თუ პროექტი ხორციელდება საპილოტე რეგიონებში და მიეკუთვნება უწყების მიერ მხარდაჭერილი პრიორიტეტული ეკონომიკური საქმიანობების უფრო მოკლე სიას, ბენეფიციარს შეუძლია მიიღოს სესხის/ლიზინგის 20%, მაგრამ არაუმეტეს 300,000 ლარისა. და ბოლოს, თუ ბენეფიციარი პროექტი არ ხორციელდება საპილოტე რეგიონებში, მაგრამ ბიზნესი მიეკუთვნება პროგრამის მიერ მხარდაჭერილ პრიორიტეტულ მიმართულებებს, ბენეფიციარს შეუძლია მიიღოს სესხის/ლიზინგის 15%, მაგრამ არაუმეტეს 500,000 ლარისა, 50,000 ლარსა და 10 მლნ ლარს შორის არსებული სესხის შემთხვევაში.

1.2 მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა

პროექტის აღწერა: მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა, რომელიც 2014 წელს ამოქმედდა, საქართველოს მასშტაბით მიკრო და მცირე საწარმოებს სთავაზობს გრანტებს. პროგრამა შემდეგი ეტაპების გავლით ხორციელდება: (1) განმცხადებლები წარმოადგენენ თავიანთ ბიზნეს იდეებს; (2) შერჩეული კანდიდატები გაივლიან ტრენინგს ბიზნეს გეგმის შემუშავებაში; (3) განმცხადებლები წარადგენენ თავიანთ ბიზნეს გეგმებს; (4) იდენტიფიცირდება პოტენციური ბენეფიციარები და ხდება მათი მონიტორინგი; (5) გაიცემა საგრანტო თანხები (30,000 ლარამდე) და ხდება მათი მონიტორინგი; (6) ბენეფიციარები გაივლიან დამატებით ტრენინგს; (7) პროგრამის განხორციელების დასკვნით ეტაპზე ტარდება მონიტორინგის რამდენიმე ეტაპი. ახალმა ბენეფიციარებმა გრანტს უნდა დაამატონ 20% საკუთარი ინვესტიციის სახით, ან 10% იმ შემთხვევაში, თუ ისინი არიან მაღალმთიანი რეგიონებიდან. მაღალმთიანი

რეგიონების წარმომადგენელი მეწარმეების გარდა, პროგრამა პრიორიტეტს ანიჭებს ქალ განმცხადებლებს და/ან იძულებით გადაადგილებულ პირთა (დევნილთა) ჯგუფების წარმომადგენლებს. პროგრამა ასევე ხაზს უსვამს იმ პროექტების უპირატესობას, რომლებიც (1) ორიენტირებულია ცოდნაზე დაფუძნებული სერვისების განვითარებაზე, (2) განხორციელდება განსახლებისა და ტურისტული სერვისების სექტორებში, (3) განხორციელდება მეტად ინკლუზიურ ეკონომიკურ სექტორებში. ამ ანალიზისთვის საინტერესოა, რომ მიკრო და მცირე გრანტების პროგრამით გათვალისწინებული პრიორიტეტულ ეკონომიკურ მიმართულებებში შედის საკვები პროდუქტების წარმოება, ქიმიკატების წარმოება, ელექტრონული მოწყობილობების წარმოება, სატრანსპორტო მოწყობილობების წარმოება, სამშენებლო მასალების წარმოება, მშენებლობა, არასახიფათო ნარჩენების მართვა, ბიოტექნოლოგიური კვლევა და განვითარება, ტრანსპორტირება და შენახვა და ა.შ.

1.3 საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმი

პროექტის აღწერა: ბიზნესის განვითარების მიმართულების ფარგლებში, „აწარმოე საქართველოში“ ბენეფიციარებს სთავაზობს საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმს კომერციული ბანკების ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ გაცემული სესხებისთვის. როგორც პროგრამაშია ნათქვამი, სქემა უზრუნველყოფს კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხის ძირითადი თანხის 80%-მდე უზრუნველყოფას. სესხის მაქსიმალური მოცულობა შეადგენს 5 მლნ ლარს. კომერციული ბანკის სესხებისთვის მინიმალური მოცულობაა 50,000 ლარი, ხოლო მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სესხებისთვის 20,000 ლარი. სესხის მაქსიმალური საგარანტიო ვადაა 10 წელი. საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმის პრიორიტეტული მიმართულებებია წარმოება და გადამამუშავება, სასტუმროების ინდუსტრია, ელექტროენერგიის გამომუშავება, საგანმანათლებლო საქმიანობა, ტრენინგ-მომსახურება, მომსახურების ექსპორტი და მაღალტექნოლოგიური სამედიცინო ლაბორატორიები. სქემით გათვალისწინებული, ამ ანალიზის მიზნებისთვის საინტერესო პრიორიტეტული ეკონომიკური საქმიანობებია საკვები პროდუქტების წარმოება, ქიმიკატების წარმოება, ელექტრონული მოწყობილობების წარმოება, სატრანსპორტო აღჭურვილობის წარმოება, ბიოტექნოლოგიური კვლევა და განვითარება, ტრანსპორტირება და შენახვა და ა.შ.

2. ინვესტიციების მოზიდვა

„აწარმოე საქართველოში“-ს საინვესტიციო მიმართულების ძირითადი მიზანია საქართველოში ეფექტიანობაზე დაფუძნებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (efficiency-seeking FDI) წილის გაზრდა, რათა მიღწეულ იქნას (1) გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვებში უკეთ ინტეგრაცია, (2) ცოდნისა და ტექნოლოგიების გადაცემის გაზრდა, (3) ადგილობრივი სამუშაო ძალის კვალიფიკაციის გაზრდა, (4) ექსპორტის დივერსიფიკაცია, (5) საქართველოს კონკურენტუნარიანობის გაზრდა. მიზნის მიღწევის უზრუნველსაყოფად უწყებამ

დაგეგმა მთელი რიგი აქტივობები სამივე ზემოთ აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში:

- **ინვესტიციების პრო-აქტიურად მოზიდვის ფარგლებში უწყების მიერ ხდება:** (ა)პრიორიტეტულ სექტორებში სამიზნე კომპანიების იდენტიფიცირება; (ბ) პოტენციურ ინვესტორებთან დაკავშირება და შეხვედრების ორგანიზება, მათ შორის საერთაშორისო ე.წ. როუდ შოუებისა (road shows) და ღონისძიებების სხვადასხვა ფორმატში; (გ) პოტენციური და არსებული ინვესტორების დახმარება ინვესტიციის და რეინვესტიციის განხორციელების პროცესში; (დ) საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობა.
- **საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის პოპულარიზაციის ფარგლებში, უწყების მიერ ხდება:** ა) სექტორული კვლევებისა და საინვესტიციო პროექტების მომზადება; ბ) საინვესტიციო გზამკვლევების შექმნა; გ) საქართველოს ბიზნეს კლიმატის უპირატესობების შესახებ საინვესტიციო კონსულტანტების ინფორმირება; (დ) საინვესტიციო შესაძლებლობების პოპულარიზაცია საერთაშორისო სექტორული რეიტინგების, სტატიებისა და ონლაინ გამოცემების/ანგარიშების მეშვეობით; (ე) ციფრულ პლატფორმებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
- **საინვესტიციო განყოფილების ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების ფარგლებში უწყება:** (ა) შეუსაბამებს თანამშრომელთა რაოდენობას მის სტრატეგიულ მიზნებს (ანუ გაზრდის თანამშრომელთა რაოდენობას 10-მდე); (ბ) ახორციელებს მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის (CRM) პროგრამას; (გ) უზრუნველყოფს მის წვდომას საერთაშორისო მონაცემთა ბაზებზე (მაგ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ბაზრები და ინდიკატორები).

3. ექსპორტის მხარდაჭერა და განვითარება

ამ მიმართულებას აქვს ორი ქვეკომპონენტი: ექსპორტის მხარდაჭერის პროგრამა და ექსპორტის მომსახურების პროგრამა. მიმართულების პრიორიტეტული სექტორებია საკვები; სასმელი; ტანსაცმელი; აქსესუარები; მოდა; ტყავი; განათება; სამშენებლო მასალები; ფარმაცევტიკა; არქიტექტურა და დიზაინი; საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICT); ბიზნეს კონსულტაცია.

სოფლის განვითარების სააგენტოს (სგს) მხარდაჭერის სქემები

სოფლის განვითარების სააგენტოს (სგს) აქვს რამდენიმე მიმდინარე პროგრამა. სააგენტოს მიერ შეთავაზებული მხარდაჭერის სქემების დიდი ნაწილი გამიზნულია სოფლის მეურნეობის კონკრეტულ დარგებზე (მაგ. მერძევეობა, მეფუტკრეობა და ა.შ.) და უზრუნველყოფს ნიშური მხარდაჭერის ინსტრუმენტებს (მაგ. ჩაის პლანტაციების სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსება). თუმცა, არსებობს ასევე უფრო ფართო პროგრამებიც (მაგ. შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი), რომლებიც გამიზნულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობათა უფრო ფართო ჯგუფზე და იყენებს მხარდაჭერის უფრო მრავალფეროვან

ინსტრუმენტების, როგორცაა: პრივატიზაცია, თანამონაწილეობრივი გრანტი, საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება, საკრედიტო გრანტიის მექანიზმი, შენატანის სუბსიდირება და ტექნიკური დახმარება. სააგენტოს პროგრამების უმეტესობას, არაპირდაპირი ან უმნიშვნელო გამოყენებადობა აქვს მწვანე პროექტებისთვის. მიუხედავად ამისა, არის ზოგიერთი პროგრამა, რომელსაც აქვს პირდაპირი „მწვანე აქცენტი“ (მაგ. შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში სურსათისა და ენერგოეფექტური მრეწველობის დაფინანსების ქვეკომპონენტი, მწვანე გრანტების პროგრამა).

სგს-ს ზოგიერთი მიმდინარე პროგრამა:

მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამა

პროექტის აღწერა: პროგრამა ითვალისწინებს დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაფხოში აშენებული, დღიურად 2 ტონა რძის გადამამუშავების სიმძლავრის მქონე რძის გადამამუშავებელი საწარმოს გადაცემას კონკურსის წესით შერჩეული სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივისთვის მთლიანი ღირებულების 25% პროცენტად, რომელსაც კონკურსში გამარჯვებული კოოპერატივი დაფარავს 8 წლის განმავლობაში, წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად. საწარმოო ინფრასტრუქტურის საბაზრო ღირებულება შეადგენს 940 144 ლარს. პროგრამის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიზნად დასახელებულია მესაქონლეობის განვითარების ხელშეწყობა.

მერძვეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის პროგრამა (DiMMA)

პროექტის აღწერა: პროგრამის მიზანია მერძვეობის დარგის მოდერნიზაცია. პროგრამა ითვალისწინებს თანადაფინანსებას მერძვეობის სფეროში; ახალი საქმიანობის დაწყების, ასევე არსებულის გაფართოების/ მოდერნიზაციის/ გადაიარაღების ხელშეწყობას. პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია მერძვეობის მიმართულებით სადაზღვევო პრემიის ან ძირითადი საშუალებების თანადაფინანსება რძის პირველადი წარმოებისთვის, რძის შემგროვებელი პუნქტისთვის, რძის გადამამუშავებელი საწარმოსთვის, საქონლის საკვების პირველადი წარმოებისთვის ვეტერინარიისა და ხელოვნური განაყოფიერებისთვის. მერძვეობის სფეროში თანადაფინანსების სხვადასხვა მიმართულებები განსაზღვრულია სააგენტოს მიერ. ეს პროგრამა შეიცავს არაპირდაპირ შესაძლებლობას მწვანე დაფინანსებისთვის, რადგან, სხვა საშუალებებთან ერთად, ის მხარს უჭერს მზის ელექტროსადგურის მოწყობას რძის პირველადი მწარმოებელი ბენეფიციარებისთვის.

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი

პროექტის აღწერა: შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის პროცესების გაუმჯობესებას იაფ, გრძელვადიან და შეღავათიან ფინანსებზე

ხელმისაწვდომობის შექმნის გზით. პროგრამის მეშვეობით, პირველად სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, გადამუშავებასა და შენახვაში ჩართული ბენეფიციარები იღებენ შეღავათიან აგროკრედიტს ან აგროლიზინგის ძირითადი და საბრუნავი საშუალებებისთვის ამ პროექტში ჩართული ფინანსური ინსტიტუტებისგან. პროექტი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: შეღავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისთვის; შეღავათიანი აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებებისთვის; და შეღავათიანი აგროლიზინგი. ეს პროგრამა უზრუნველყოფს მწვანე დაფინანსების არაპირდაპირ შესაძლებლობას იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის კომპონენტები და ქვეკომპონენტები გარკვეულწილად მოიცავს მწვანე ელემენტებს.

სოფლის განვითარების სააგენტოს შეჩერებული პროგრამები:

სოფლად ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა – მწვანე გრანტები

პროექტის აღწერა: ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით განხორციელებული მწვანე გრანტების კომპონენტი ითვალისწინებს სოფლად არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობას, განსაზღვრულ მუნიციპალიტეტებში. კომპონენტი უზრუნველყოფს თანამონაწილეობრივ გრანტებს მზის ენერგიაზე მომუშავე მარტივი ტიპის წყლის გამაცხელებლებისთვის და მზის ენერგიაზე მომუშავე ჰაერის გამათბობლებისთვის, მზის ენერგიაზე მომუშავე ქარხნულად დამზადებული ვაკუუმური ტიპის წყლის გამაცხელებლებისთვის, შენობის თბოიზოლაციისთვის და სრული თბოიზოლაციისთვის. თანადაფინანსების პირობები შემდეგია:

- მზის ენერგიაზე მომუშავე მარტივი ტიპის წყლის გამაცხელებელი და მზის ენერგიაზე მომუშავე ჰაერის გამათბობელი – გრანტის მაქსიმალური ოდენობა 1000 ლარი, სააგენტოს მონაწილეობა ხარჯის 90%-მდე.
- მზის ენერგიაზე მომუშავე ვაკუუმური ტიპის წყლის გამაცხელებელი – გრანტის მაქსიმალური ოდენობა 3000 ლარი, სააგენტოს მონაწილეობა ხარჯის 80%-მდე.
- თბოიზოლაცია – გრანტის მაქსიმალური ოდენობა 8000 ლარი, სააგენტოს მონაწილეობა ხარჯის 70%-მდე.
- სრული თბოიზოლაცია – გრანტის მაქსიმალური ოდენობა 12 000 ლარი, სააგენტოს მონაწილეობა ხარჯის 60%-მდე.

ამ პროგრამას აქვს პირდაპირი მწვანე აქცენტი, რამდენადაც ის ორიენტირებულია სოფლად ენერგოეფექტური და განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიების ხელშეწყობაზე.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა

პროექტის აღწერა: პროგრამა ითვალისწინებს ბენეფიციარების მხარდაჭერას მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსებით (ნებისმიერი

ტიპის მოსავლის ამღები ტექნიკა, გარდა ყურძნის მოსავლის ამღები ტექნიკისა). თანადაფინანსების მოცულობა მარცვლეულის მოსავლის ასაღებად განკუთვნილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შემთხვევაში შეადგენს ღირებულების არაუმეტეს 30%-ს, მაგრამ არაუმეტეს 150,000 ლარისა; სხვა ნებისმიერი (გარდა ყურძნის მოსავლის ამღებისა) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შემთხვევაში – არაუმეტეს 50%-ს, მაგრამ არაუმეტეს 150,000 ლარისა.

გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსება

პროექტის აღწერა: კომპონენტი მხარს უჭერს გადამამუშავებელ და შემნახველ საწარმოებს თანადაფინანსების/ თანამონაწილეობრივი გრანტების უზრუნველყოფით. ის მოიცავს ორ ქვეკომპონენტს – გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსებას და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსებას. პროგრამა მოიცავს მწვანე დაფინანსების არაპირდაპირ შესაძლებლობას, რადგან გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტი მხარდაჭერას უწევს ენერგოეფექტური ღუმელის საწარმოების დაფუძნებას ან მოდერნიზაციას.

გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსება

პროექტის აღწერა: ქვეკომპონენტი შექმნილია შემდეგი მიზნების მხარდასაჭერად: i. მუნიციპალიტეტებში ახალი გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა ან რეაბილიტაცია; ii. ახალი ენერგო ეფექტური ღუმელების საწარმოს შექმნა ან არსებული ენერგო-ეფექტური ღუმელების საწარმოს მოდერნიზება; iii. გადამამუშავებელი საწარმოების გეოგრაფიული დივერსიფიკაცია; iv. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნის წინაპირობების გაუმჯობესება; v. სანედლეულო ბაზის განვითარება და vi. სოფლის მოსახლეობის შემოსავლების გაზრდა. სააგენტოს მხარდაჭერა მოიცავს ხელმისაწვდომობას - შეღავათიან აგროკრედიტზე/აგროლიზინგის ან თანამონაწილეობრივ გრანტს. ქვეკომპონენტს აქვს აგრეთვე ტექნიკური დახმარების ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს: i. ბენეფიციარების ინფორმირება პროდუქტის მარკეტინგის შესაძლებლობების შესახებ; ii. მათი დახმარება თავიანთი პროდუქციის ბრენდინგისა და შეფუთვის შექმნაში; iii. მენეჯმენტის პერსონალის ტრენინგების ხელშეწყობა; iv. სურსათის უვნებლობის ახალი საერთაშორისო სტანდარტებისა და სისტემების დანერგვა. ქვეკომპონენტი აფინანსებს მხოლოდ სიით განსაზღვრულ გადამამუშავებელ საქმიანობებს. სააგენტოს თანადაფინანსება განისაზღვრება პროექტის ღირებულების მაქსიმუმ 40%-ით, მაგრამ არაუმეტეს 500,000 ლარისა. სპეციალური პირობებია განსაზღვრული მაღალმთიანი დასახლებებისა და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მდებარე საწარმოებისთვის. სპეციალური პირობები გამოიყენება ასევე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის. ყველა მოცემულ შემთხვევაში სააგენტოს თანადაფინანსება განისაზღვრება პროექტის ჯამური ღირებულების მაქსიმუმ 50%-ით, მაგრამ არაუმეტეს 500,000 ლარით. წარდგენილი პროექტების ჯამური ღირებულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 250,000 ლარს. კომპონენტი შეიცავს მწვანე დაფინანსების არაპირდაპირ შესაძლებლობას იმის

გათვალისწინებით, რომ მხარს უჭერს ენერგოეფექტური ღუმელების საწარმოების შექმნას ან მოდერნიზაციას.

შემნახველი საწარმოების თანადაფინანსება

პროექტის აღწერა: ქვეკომპონენტი ითვალისწინებს შემნახველი საწარმოების თანადაფინანსებას შემდეგი მიზნებით: i. პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სტანდარტიზაციის ხელშეწყობა; ii. მრავალწლიანი და ერთწლიანი კულტურებით თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლება; iii. ეფექტური კოოპერაციის ხელშეწყობა; iv. ფერმერებისთვის მიღებული მოსავლის დასაწყობების ხელშეწყობისთვის დამატებითი ინფრასტრუქტურის შექმნა; v. შემნახველი საწარმოებისთვის სერვისის მიმწოდებლად ჩამოყალიბების ხელშეწყობა; vi. შემნახველი ინფრასტრუქტურის სტანდარტიზაციის ხელშეწყობა. ფინანსური მხარდაჭერა მოიცავს ხელმისაწვდომობას შეღავათიან აგროკრედიტზე/აგროლიზინგისა და თანამონაწილეობრივ გრანტზე. თანადაფინანსების წილი განისაზღვრება პროექტის დანახარჯების 40%-ით, მაგრამ არაუმეტეს 500,000 ლარისა. შემნახველი საწარმოების შერჩევის პირობების ჩამონათვალი განსაზღვრულია პროგრამის მიერ.

დანართი 4. ტექსტური უჯრები 3, 4, 7, 8

ტექსტური უჯრა 3. მულტილატერალური არხები UNFCCC-ის ფინანსური მექანიზმის ფარგლებში

ტექსტური უჯრა 3: კლიმატის მულტილატერალური ფონდები UNFCCC-ის ფინანსური მექანიზმის ფარგლებში, რომლებზეც წვდომა განხორციელებულა დღემდე საქართველოში	
კლიმატის მწვანე ფონდი ¹¹⁴	
საინვესტიციო მანდატი	კლიმატის მწვანე ფონდი (GCF) წარმოადგენს როგორც UNFCCC-ის, ასევე პარიზის შეთანხმების ფინანსურ მექანიზმის პირველად ორგანოს. ის უზრუნველყოფს სახელმწიფო და კერძო სექტორის დაფინანსებას განვითარებად ქვეყნებში კლიმატისადმი მდგრადი და დაბალნახშირბადიანი განვითარებისთვის. ფონდი ვალდებულია უზრუნველყოს 50:50 ბალანსი შერბილებისა და ადაპტაციის პროექტებს შორის. GCF-ის დაფინანსებისთვის დასაშვები ქვეყნები არიან გაეროს კლიმატის კონვენციის მხარეები, რომლებიც არ შედიან მის I დანართში; საქართველო უფლებამოსილია გამოიყენოს GCF-ის დაფინანსება.
საინვესტიციო სექტორები	- ენერგიაზე წვდომა და ენერგიის გამომუშავება - დაბალემისიანი ტრანსპორტი - ტყე და მიწათსარგებლობა - შენობები, ქალაქები, ინდუსტრიები და ტექნიკა-მოწყობილობები - ყველაზე მოწყვლადი ადამიანები და თემები - ინფრასტრუქტურა და აშენებული გარემო. - ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, სურსათისა და წყლის უსაფრთხოება - ეკოსისტემები და ეკოსისტემური სერვისები
ბიზნეს მოდელი	კლიმატის მულტილატერალური ფონდი. კლიმატის მწვანე ფონდი დაფინანსებას ახორციელებს მხოლოდ აკრედიტებული სუბიექტების მეშვეობით. ამ კონტექსტში, საქართველოს შეუძლია მიიღოს GCF-ის დაფინანსება როგორც საერთაშორისო აკრედიტებული სუბიექტების, ასევე უშუალოდ პირდაპირი წვდომის სუბიექტების მეშვეობით. პირდაპირი წვდომა გულისხმობს მიმღები ქვეყნების, როგორცაა საქართველო, შესაძლებლობას დაასახელონ კომპეტენტური ქვე-ეროვნული, ეროვნული და რეგიონული განმახორციელებელი სუბიექტები ინსტიტუციური ან პროექტის სპეციფიკური აკრედიტაციისთვის GCF-ის დაფინანსების მისაღებად. პროექტის სპეციფიკური აკრედიტაცია GCF-ის წვდომის ახალი მეთოდია, რომელიც საშუალებას აძლევს ნებისმიერ, მაღალი ზემოქმედების პროექტის მქონე ეროვნულ სუბიექტს, მიიღოს წვდომა GCF-ის დაფინანსებაზე. მიმღები ქვეყნები ასახელებენ პირდაპირი წვდომის სუბიექტებს მათი ეროვნული დანიშნული ორგანოს (ედო) მეშვეობით. საქართველოში ეროვნული დანიშნული ორგანოა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

¹¹⁴ შაბლონის წყარო: Climate4Action LLC, ადაპტირებული TNA-ს კლიმატის ფინანსური სტრატეგიისთვის

საოპერაციო მოდელი	GCF-ი ოპერირებს გრანტის, სესხის, კაპიტალის და გარანტიის ინსტრუმენტებით. აკრედიტებულმა სუბიექტებმა უნდა შეიმუშაონ და წარადგინონ დაფინანსების შეთავაზება, რომელიც დააკმაყოფილებს GCF-ის 6 საინვესტიციო კრიტერიუმს . დაფინანსების შეთავაზება განიხილება სამ დონეზე, სანამ მას GCF-ის საბჭო დაამტკიცებს. დაფინანსების შეთავაზება უნდა მოიცავდეს ხელმოწერილ „თანხმობის წერილს“ (no-objection letter) ედო-სგან. შეთავაზებები მიიღება უწყვეტ რეჟიმში.
GCF-ის დაფინანსებაზე წვდომის შესაძლებლობები	GCF-ი ეროვნულ სუბიექტებს სთავაზობს მზადყოფნის (readiness) და პროექტის მოსამზადებელ მხარდაჭერას მის დაფინანსებაზე წვდომისთვის¹¹⁵. GCF-ის ფიდუციური, გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნები შეიძლება რთული იყოს განვითარებადი ქვეყნებისთვის დამოუკიდებლად განსახორციელებლად და, ამიტომაც, ეროვნული სუბიექტებისთვის გათვალისწინებულია დამატებითი საგრანტო დაფინანსება და ტექნიკური დახმარება, GCF-ის აკრედიტაციის პროცესის გასაველეად ან დაფინანსების მოპოვებისთვის საჭირო დოკუმენტების მოსამზადებლად. მნიშვნელოვანია, რომ აკრედიტებულ სუბიექტებს GCF-ის ფინანსური ინსტრუმენტების მეშვეობით შეუძლიათ შეღავათიანი სესხების, უმცროსი კაპიტალის და გარანტიების გატარება პროექტების რისკების შესამცირებლად და კლიმატის ტექნოლოგიების თანადაფინანსების ბერკეტის უზრუნველსაყოფად.
GCF-ის დაფინანსებაზე წვდომის ბარიერები	GCF-ის დამოუკიდებელი შეფასების განყოფილების თანახმად, პირდაპირი წვდომის სუბიექტები განიცდიან შესაძლებლობების დეფიციტს აკრედიტაციის პროცესის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად (IEU 2020, IEU 2022). გარდა ამისა, იმავე დოკუმენტების დასკვნით, ფონდიდან სახსრების მობილიზებისთვის მთავარი გამოწვევაა GCF-ის დაფინანსების შეთავაზების მომზადების უნარის ნაკლებობა. ამავე შეფასების თანახმად, ინსტრუმენტებით, როგორიცაა მზადყოფნისთვის და მოსამზადებელი აქტივობებისთვის გამოყოფილი რესურსები, ვერ მოხერხდა აკრედიტაციის გზით გაძლიერებული შესაძლებლობების სისტემატურად და ეფექტურად დაახლოება GCF-ის მიერ დაფინანსებული პროექტების მომზადებისა და განხორციელებისთვის საჭირო შესაძლებლობებთან (წყარო: IEU 2022). ამას ასევე მოწმობს საქართველოში GCF-ის პორტფელის მიმოხილვა, სადაც უპირატესობა ენიჭება საერთაშორისო აკრედიტებულ სუბიექტებს, რომლებსაც ბევრად მაღალი შესაძლებლობები აქვთ, მოამზადონ დაფინანსების შეთავაზებები, GCF-ის მოთხოვნების შესაბამისად. ამ TNA-ს მომზადების დროს განხორციელებულმა ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების ჩართულობამ, ასევე დაადასტურა ეს დასკვნები. საქართველოს შეუძლია ისარგებლოს GCF-ის მზადყოფნისა და პროექტების მომზადების გრანტებით, რათა გააძლიეროს ეროვნული შესაძლებლობები GCF-ის დაფინანსებაზე წვდომისთვის. დღემდე საქართველოში მხოლოდ ერთმა ეროვნულმა სუბიექტმა ისარგებლა წინასააკრედიტაციო „მზადყოფნის“ მხარდაჭერით, ხოლო პროექტის მომზადების საშუალებაზე, რომელიც ხელმისაწვდომია აკრედიტებული სუბიექტებისთვის, როგორცაა თიბისი ბანკი, წვდომა ჯერ კიდევ არ მომხდარა. საქართველოსთვის ასევე შეიძლება სასარგებლო იყოს განმახორციელებელი სუბიექტების

¹¹⁵ GCF-ის მმართველობის ინსტრუმენტი ადგენს, რომ GCF-ი უზრუნველყოფს რესურსებს მზადყოფნისა და მოსამზადებელი აქტივობებისა და ტექნიკური დახმარებისთვის, „...ქვეყნებისთვის ფონდზე უშუალო წვდომის შესაძლებლობის შესაქმნელად.

	დივერსიფიკაცია მზადყოფნის გრანტებისთვის, რადგან დღემდე, საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილი GCF მზადყოფნის ერთეულები იყო საერთაშორისო სუბიექტები, რომლებიც კონკრეტულ შემთხვევებში დებდნენ ქვეკონტრაქტებს ადგილობრივ სუბიექტებთან, რაც ცხადყოფს, რომ საქართველოში არსებობს ადგილობრივი შესაძლებლობები მზადყოფნის უზრუნველსაყოფად.
გამოცდილება საქართველოში	საქართველოში მხოლოდ გრანტები და სესხები იყო გაცემული 7 პროექტისთვის საერთაშორისო აკრედიტებული სუბიექტების მეშვეობით, საერთო მოცულობით [104,4 მილიონი აშშ დოლარი. ¹¹⁶ ეს მოიცავს შემდეგს: (1) საჯარო სექტორის დაფინანსება კლიმატის მწვანე ფონდიდან GIZ-ის, UNDP-ისა და EBRD-ის საშუალებით (2) კერძო სექტორის დაფინანსება, რომელიც გამოიყო EBRD-ის მეშვეობით სესხის გაცემის პროგრამისთვის და (3) 7 „მზადყოფნის“ გრანტი. აღსანიშნავია, რომ GCF-ის მიერ საქართველოსთვის დამტკიცებული საინვესტიციო პროექტების 50% წარმოადგენს მრავალქვეყნიან პროგრამებს. მზადყოფნის გრანტები ძირითადად ეროვნულია, თუმცა საერთაშორისო განმახორციელებელი სუბიექტების მეშვეობით ხორციელდება.
ადაპტაციის ფონდი	
საინვესტიციო მანდატი	ადაპტაციის ფონდი აფინანსებს პროექტებსა და პროგრამებს, რომლებიც განვითარებად ქვეყნებში მოწყვლად თემებს ეხმარება კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციაში. დასაშვები ქვეყნები არიან განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც კიოტოს ოქმის მხარეებს წარმოადგენენ. საქართველო უფლებამოსილია გამოიყენოს ადაპტაციის ფონდის დაფინანსება.
საინვესტიციო სექტორები	- სოფლის მეურნეობა - სანაპირო ზონის მართვა - კატასტროფის რისკის შემცირება + კატასტროფის რისკის შემცირება და ადრეული გაფრთხილების სისტემები - ეკოსისტემაზე დაფუძნებული ადაპტაცია - სასურსათო უსაფრთხოება - ტყეები - მრავალსექტორული პროექტები - სოფლის განვითარება - ურბანული განვითარება - წყლის მენეჯმენტი
ბიზნეს მოდელი	კლიმატის მულტილატერალური ფონდი. ადაპტაციის ფონდი მუშაობს გაეროს სააგენტოებისა და განვითარების მულტილატერალური ბანკების (გმბ), როგორც მულტილატერალური განმახორციელებელი სუბიექტების მეშვეობით; თუმცა, მისი საოპერაციო მოდელი უზრუნველყოფს კლიმატის დაფინანსებაზე პირდაპირ წვდომას განვითარებადი ქვეყნებისთვის აკრედიტებული ეროვნული განმახორციელებელი სუბიექტების საშუალებით, რომლებსაც შეუძლიათ შეთანხმებული ფიდუციური, გარემოსდაცვითი, სოციალური და გენდერული სტანდარტების დაკმაყოფილება. ეროვნული განმახორციელებელი სუბიექტი წარდგენილი უნდა იყოს ქვეყნის მთავრობის მიერ აკრედიტაციისთვის განაცხადის შეტანამდე.
საოპერაციო მოდელი	ადაპტაციის ფონდი მუშაობს მხოლოდ საგრანტო ინსტრუმენტებით. დაფინანსებაზე განაცხადის შესატანად, აკრედიტებულმა პირებმა უნდა წარადგინონ შეთავაზება. შეთავაზებები დამოწმებული უნდა იყოს

¹¹⁶ GCF-ის თანახმად, საქართველოსთვის დამტკიცებული ჯამური მიახლოებითი მოცულობა

	ეროვნული დანიშნული ორგანოს მიერ და დამტკიცდეს ფონდის საბჭოს მიერ, <u>ადაპტაციის ფონდის დამტკიცების კრიტერიუმების</u> მიხედვით განხილვის შემდეგ. შეთავაზებების მიღება ხდება წელიწადში სამჯერ.
ადაპტაციის ფონდის დაფინანსებაზე წვდომის შესაძლებლობები	ადაპტაციის ფონდი უზრუნველყოფს „მზადყოფნის“ დაფინანსებას ეროვნული სუბიექტების მხარდასაჭერად, რათა ეფექტურად წარმართონ აკრედიტაციის პროცესი და გააძლიერონ თავიანთი შესაძლებლობები კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის პროექტებისა და პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში. მზადყოფნის გრანტის მოდელი მოიცავს მზადყოფნის პაკეტის გრანტს, პროექტის შემუშავების გრანტებს, ტექნიკური დახმარების გრანტებს და პროექტის გაფართოების გრანტებს. თუმცა, ამ დრომდე საქართველოს არ მიუღია მზადყოფნის გრანტი. ადგილობრივ ეროვნულ სუბიექტებს შეუძლიათ გამოიყენონ ეს შესაძლებლობები.
ადაპტაციის ფონდის დაფინანსებაზე წვდომის ბარიერები	ადგილობრივი სუბიექტებისთვის, GCF-ის მსგავსად, ადაპტაციის ფონდის სახსრებზე წვდომა გამოწვევებს უკავშირდება. დღეისათვის საქართველოში ამ ფონდიდან ყველა თანხა საერთაშორისო ორგანიზაციების (IFAD და UNDP) საშუალებით არის გატარებული.
გამოცდილება საქართველოში	ადაპტაციის ფონდის მიერ საქართველოში მხოლოდ 2 პროექტი დაფინანსდა საგრანტო ინსტრუმენტით, 9.96 მილიონი აშშ დოლარის საერთო ღირებულებით. (წყარო: კლიმატის ფონდები).

გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი	
საინვესტიციო მანდატი	1991 წელს დაარსებული გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი (GEF) ერთ-ერთი ყველაზე ძველი მულტილატერალური კლიმატის ფონდია UNFCCC-ის ფინანსური მექანიზმის ფარგლებში და ხანგრძლივი გამოცდილება აქვს კლიმატის დაფინანსებაში. ის ასევე ასრულებს ბიომრავალფეროვნებისა და გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციების ფინანსური მექანიზმის როლს. GEF-ი მხარდაჭერას უწევს განვითარებად ქვეყნებს მსოფლიოში ყველაზე მწვავე გარემოსდაცვითი საკითხების გადასაჭრელად მუშაობაში. შენიშვნა: GEF-ი ადმინისტრირებას უწევს სპეციალურ კლიმატის ფონდებს, რომელთაგანაც საქართველოსთვის რელევანტურია SCFF-ი: კლიმატის ცვლილების სპეციალური ფონდი (SCCF), რომელიც მხარს უჭერს კლიმატის ცვლილების ადაპტაციას და ტექნოლოგიების გადაცემას UNFCCC-ის წევრ ყველა განვითარებად ქვეყანაში. მხარდაჭერა ვრცელდება როგორც გრძელვადიან, ასევე მოკლევადიან ადაპტაციის აქტივობებზე შემდეგი მიმართულებებით: წყლის რესურსების მართვა, მიწის მართვა, სოფლის მეურნეობა, ჯანმრთელობა, ინფრასტრუქტურის განვითარება, მოწყვლადი ეკოსისტემები, მთის ეკოსისტემების ჩათვლით, და სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვა.
საინვესტიციო სექტორები	- ბიომრავალფეროვნების კარგვა - ქიმიკატები და ნარჩენები - კლიმატის ცვლილება - საერთაშორისო წყლები - მიწის დეგრადაცია - სასურსათო უსაფრთხოება - მდგრადი ქალაქები - ტყის მდგრადი მართვა

ბიზნეს მოდელი	კლიმატის მულტილატერალური ფონდი. GEF-ი მუშაობს პარტნიორ სააგენტოებთან, რომლებიც შუამავლობენ GEF-ის გრანტებს. ესენია გაეროს სააგენტოები, როგორიცაა გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა (UNEP), გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO), გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია (UNIDO) და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD); განვითარების მულტილატერალური ბანკები, მათ შორის მსოფლიო ბანკის ჯგუფი (WBG), აფრიკის განვითარების ბანკი (AfDB), აზიის განვითარების ბანკი (ADB), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) და ინტერამერიკული განვითარების ბანკი (IDB). ეს პარტნიორი სააგენტოები სთავაზობენ პროექტებს GEF-ს და ასევე ზედამხედველობენ პროექტის განხორციელებას ადგილზე.
საოპერაციო მოდელი	GEF-ი მუშაობს მხოლოდ საგრანტო ინსტრუმენტებით. ის სახსრებს ძირითადად პარტნიორი გაეროს სააგენტოებისა და განვითარების მულტილატერალური ბანკების მეშვეობით გასცემს. ფონდის საოპერაციო მოდელის გათვალისწინებით, GEF-ის დაფინანსება საქართველოში ძირითადად საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით ხორციელდება. თუმცა, 2010 წლიდან GEF-ი ასევე მუშაობს პირდაპირი წვდომის მოდელით გაეროს სააგენტოების გარეშე, მხოლოდ ორი ტიპის აქტივობებისთვის: ა) ეროვნული პორტფელის შემუშავების დოკუმენტის მომზადება; ბ) ანგარიშების მომზადება იმ კონვენციებისთვის, რომელთა ფარგლებშიც ქვეყანას ეკისრება სხვადასხვა გარემოსდაცვითი ვალდებულება.
GEF-ის დაფინანსებაზე წვდომის შესაძლებლობები	GEF-ის მიერ მხარდაჭერილი პროექტები საკმაოდ წარმატებული იყო კლიმატთან დაკავშირებული პროექტებისთვის კერძო სექტორის თანადაფინანსების მოზიდვაში, რაც მთლიანი დაფინანსების საშუალოდ 36.6%-ს შეადგენს. საქართველოში GEF-ის პროექტები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საერთაშორისო სუბიექტების მეშვეობით. არსებობს შეზღუდული შესაძლებლობა GEF-ის კლიმატ-ტექნოლოგიებზე გათვლილი დაფინანსების უზრუნველსაყოფად რომელიმე განმახორციელებელ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, მაგრამ არა პირდაპირი წვდომით. გაეროს სააგენტოების მიერ განსაზღვრული პრიორიტეტები ყოველთვის არ ემთხვევა ქვეყნების უშუალო საჭიროებებს.
GEF-ის დაფინანსებაზე წვდომის ბარიერები	მიუხედავად მისი წარმატებისა - არსებობს რამდენიმე შიდა ბარიერი, მათ შორის გახანგრძლივებული პროცესები დრო და შიდა განაწილების პოლიტიკა, რომლებიც ხელს უშლის კერძო სექტორთან უფრო ეფექტურ ჩართულობას (წყარო: WRI, 2019).
გამოცდილება საქართველოში	ჯამში „ეროვნულად“ კლასიფიცირებული 32 პროექტი დაფინანსდა საქართველოში, 42 მილიონი აშშ დოლარის საგრანტო კაპიტალით, კიდევ 29 იყო რეგიონული პროგრამა, სადაც საქართველო ერთ-ერთი ბენეფიციარი იყო, ხოლო 2 იყო CBIT Trust Fund-დან და კლიმატის ცვლილების სპეციალური ფონდიდან (წყარო: GEF საქართველო).

ტექსტური უჯრა 4. კლიმატის დაფინანსების მულტილატერალური წყაროები UNFCCC-ის მექანიზმის მიღმა

ტექსტური ყუთი 4: განვითარების მულტილატერალური ბანკები, რომლებიც ახდენენ საქართველოში კლიმატ-ტექნოლოგიების დაფინანსების მობილიზებას	
EBRD	
საინვესტიციო მანდატი	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) მხარს უჭერს მწვანე ეკონომიკის გარდამავალ მიდგომას, რომელიც ორიენტირებულია ენერგოეფექტურობასა და რესურსების ეფექტურობაზე, წრიულ ეკონომიკაზე, განახლებაზე ენერგიასა და კლიმატის ცვლილების მიმართ მდგრადობაზე. EBRD-ი ინვესტიციებს ახორციელებს ქვეყნების ეკონომიკაში, მათ შორის ცენტრალურ აზიაში, ცენტრალურ ევროპაში და ბალტიისპირეთის ქვეყნებში, კვიპროსსა და საბერძნეთში, აღმოსავლეთ ევროპასა და კავკასიაში, რუსეთში, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, სამხრეთ და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში და თურქეთში.
საინვესტიციო სექტორები	- აგრობიზნესი - ენერგოეფექტურობა - ფინანსური ინსტიტუტები - წარმოება - მუნიციპალური და გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურა - ბუნებრივი რესურსები - ენერგია - ქონება (შენობების ჩათვლით) და ტურიზმი - ტელეკომუნიკაცია, საინფორმაციო ტექნოლოგიები და მედია - ტრანსპორტი
ბიზნეს მოდელი	მულტილატერალური ფინანსური ინსტიტუტი
საოპერაციო მოდელი	EBRD-ი მუშაობს სესხის, გარანტიისა და კაპიტალის ინსტრუმენტებით. ის ასევე ახორციელებს გრანტებს დონორი ორგანიზაციებისგან (მათ შორის მულტილატერალური კლიმატის ფონდებიდან) არაფინანსური გამოწვევების აღმოსაფხვრელად, როგორიცაა პოლიტიკა, შესაძლებლობები და ცოდნის/ცნობიერების ამაღლება. გეგმავს რა გახდეს უმრავლესობის წილით მწვანე ბანკი 2025 წლისთვის, EBRD-ის ყველა საქმიანობა შეესაბამება პარიზის შეთანხმებას და შესაბამისად მის მიერ დაფინანსებული ყველა აქტივობა შემოწმდება პარიზის შეთანხმებასთან შესაბამისობის თვალსაზრისით, პარიზის შეთანხმების ერთობლივი გმბ პრინციპების შესაბამისად. EBRD-ის სახსრებზე წვდომა ხდება პროექტის კონცეფციის წარდგენის გზით. პროექტის კონცეფციები და მთლიანი სტრუქტურა განხილული იქნება EBRD-ის მენეჯმენტის მიერ, შემოთავაზებული დაფინანსების სტრუქტურისა და ვალდებულებების ჩათვლით, რის შემდეგაც ხდება მანდატის წერილის ხელმოწერა, რომელიც მოიცავს პროექტის გეგმას, განვითარების ხარჯებს და პასუხისმგებლობებს. შემდეგ ტარდება საბოლოო მიმოხილვა კონკრეტულ დეტალების გარშემო, საბჭოს მიერ დამტკიცებამდე, რის შემდეგაც კლიენტი ხელს აწერს შეთანხმებას EBRD-თან და პროექტი ხდება იურიდიულად სავალდებულო.
გამოცდილება საქართველოში	EBRD-ი საქართველოში ინვესტიციებს 1996 წლიდან ახორციელებს. EBRD ამჟამად ადმინისტრირებას უწევს ქვემოთ ჩამოთვლილ მრავალქვეყნიან პროგრამებს, რომლებიც ასევე მოიცავს საქართველოს. ამ პროგრამების ბიზნეს მოდელები საინტერესოა, რადგან ისინი სარგებლობენ შეღავათიანი

	სესხებითა და საგრანტო ინსტრუმენტებით საჯარო და კერძო სექტორის დონორებისგან, რათა შეამცირონ რისკები სამიზნე სექტორებში კერძო სექტორის მონაწილეობისთვის. ასევე აღსანიშნავია, რომ მწვანე ქალაქების პროგრამა და GEFF-ი თანადაფინანსებულია კლიმატის მწვანე ფონდის მიერ. ▪ მწვანე ქალაქების პროგრამა ▪ კლიმატის ცვლილების ფინანსებისა და ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრის (FINTECC) პროგრამა ▪ მწვანე ეკონომიკის დაფინანსების პროგრამები (GEFFs) ზემოაღნიშნული პროგრამები იყენებს შერეული ფინანსების სტრუქტურას და მოიცავს ტექნიკური დახმარების პაკეტს, რომელიც ასევე მხარს უჭერს ზემოქმედების განხორციელებას და ვერიფიკაციას. EBRD-ის წარმომადგენელ დაინტერესებულ მხარესთან ჩართულობამ გამოავლინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მისი მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის პროგრამა არ არის მკაცრად მწვანე, პორტფელში არსებული პროექტების 70% მწვანეა, რადგან პროგრამა ხელს უწყობს კონკურენტუნარიანობას და ევროკავშირის სტანდარტებთან მიახლოებას. აღსანიშნავია, რომ ეს პროგრამაც იყენებს შერეული ფინანსების სტრუქტურას (EBRD-ის სესხები, ევროკავშირის გრანტები). EBRD-ის ვაჭრობის ხელშეწყობის პროგრამას (TFP) ასევე გააჩნია კლიმატთან დაკავშირებული არაპირდაპირი სარგებელი, თუ გავითვალისწინებთ EBRD-ის საინვესტიციო აქტივობების პარიზის შეთანხმებასთან შესაბამისობას. ის იყენებს გარანტიის ინსტრუმენტებს და იძლევა ღირებულ მაგალითს იმისა, რომ გარანტია (სათანადო სტრუქტურის შემთხვევაში) შეიძლება დადებითად იქნას ათვისებული ადგილობრივ ფინანსურ სისტემაში. ამ პროგრამული მიდგომებისგან განცალკევებით, EBRD-ი უზრუნველყოფს კლიმატ-ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ დაფინანსებას სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, შენობების/ენერგოეფექტურობის და განახლებადი ენერგიის სექტორებში. ეს მოიცავს საჯარო შენობების ენერგოეფექტურობის პროექტებს, რომლებიც განხორციელდა აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობის და გარემოს დაცვის საპარტნიორო ფონდთან (E5P) თანამშრომლობით (წყარო: EBRD პროექტების მონაცემები, საქართველოს NDC-ის ფინანსური მობილიზაციის სტრატეგია).
EIB	
საინვესტიციო მანდატი	EIB-ის ძირითადი მიზნები არსებული „გარე დაკრედიტების მანდატის“ (ELM) ფარგლებში არის სოციალური და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის განვითარება, კერძო სექტორის, განსაკუთრებით მცირე ბიზნესის განვითარების მხარდაჭერა და კლიმატის ცვლილების შერბილება და ადაპტაცია. EIB-ი ესწრაფვის პარიზის შეთანხმებასთან შესაბამისობას და პოზიციონირებს, როგორც წამყვანი კლიმატის ბანკი. ის აპირებს ეტაპობრივად გაზარდოს კლიმატის ქმედებებისა და გარემოსდაცვითი მდგრადობისთვის გათვალისწინებული დაფინანსების წილი, რომელმაც 2025 წლისთვის უნდა გადააჭარბოს მისი ოპერაციების 50%-ს.
საინვესტიციო სექტორები	EIB-ი, როგორც გლობალური მულტილათერალური ფინანსური ინსტიტუტი, არ სპეციალიზდება ცალკეულ სექტორებზე. მისი ძირითადი პრიორიტეტული სფეროებია

	- კლიმატი და გარემოს მდგრადობა, - ინოვაცია, ციფრული და ადამიანური კაპიტალი, - მდგრადი ენერგია და ბუნებრივი რესურსები - მდგრადი ქალაქები და რეგიონები - მცირე და საშუალო საწარმოები - რეგიონული განვითარება და დაახლოება
ბიზნეს მოდელი	განვითარების მულტილატერალური ბანკი
საოპერაციო მოდელი	EIB-ის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტებია სესხები, კაპიტალი და გარანტიები. ის უზრუნველყოფს საკონსულტაციო მომსახურებას, როგორცაა იმ პროექტების მომზადების, სტრუქტურირებისა და განხორციელების მხარდაჭერა, რომლებიც შემდეგ ფინანსდება ევროპის საინვესტიციო ბანკის ან სხვა ფინანსური წყაროების მიერ. EIB-ი მუშაობს სხვადასხვა მანდატებით, მათ შორისაა შერეული ფინანსების (blending) და ნდობის ფონდის (trust fund) მანდატები, რომლებიც საშუალებას აძლევს EIB-ს თავი მოუყაროს სახსრებს სხვადასხვა დონორებისგან და უზრუნველყოს გრანტები და სუბსიდიები.¹¹⁷ ის აფინანსებს სხვადასხვა სუბიექტებს, მათ შორის საფინანსო ინსტიტუტებს და კაპიტალის ბაზრის მოთამაშეებს.
გამოცდილება საქართველოში	EIB-მა საქართველოსთვის 2007-2022 წლებში უზრუნველყო დაბალნახშირბადიანი და კლიმატის ცვლილებისადმი მდგრადი განვითარების მხარდაჭერა 85 მილიონი ევროს ოდენობით, ძირითადად ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის პროექტებისთვის, სავალო და საგრანტო ინსტრუმენტების გამოყენებით (წყარო: EIB). ის ასევე უზრუნველყოფს კაპიტალს და მეზანიზის (mezzanine) დაფინანსებას ირიბად, EIB-ის მიერ ინიცირებული კლიმატის დაფინანსების ფონდების მეშვეობით, როგორცაა GEEREF-ი და მწვანე ზრდის ფონდი (GGF). მაგალითად, GEEREF-მა განახორციელა 13 მილიონი ევროს ადრეული სააქციო კაპიტალის ინვესტიცია კავკასიის სუფთა ენერგიის ფონდში (CCEF). GGF-ის პორტფელი - დაახლოებით 56 მილიონი ევროა, და მოიცავს ჰიდროენერგეტიკის, ქარის ენერგიის პროექტების დაფინანსებას, ასევე საკრედიტო ხაზებს ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტებისთვის. გარდა ამისა, EIB-ი ტექნიკურ დახმარებას უწევს საფინანსო ინსტიტუტებს, როგორცაა საქართველოს ბანკი და თიბისი ბანკი, TCFD-ის მიხედვით კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების დანერგვაში და, შესაბამისად, კლიმატის მმართველობისა და რისკების მართვის გაუმჯობესებაში. (წყარო: EIB)
ADB	
საინვესტიციო მანდატი	ADB-ი ესწრაფვის აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონში კეთილდღეობის, ინკლუზიურობის, მედეგობისა და მდგრადობის მიღწევას, და ძალისხმევას განხორციელებას უკიდურესი სიღარიბის აღმოსაფხვრელად. ADB-მა აიღო

¹¹⁷ ის მუშაობს სხვადასხვა მანდატით, მათ შორისაა შერეული მანდატები (ევროკავშირის გარეთ და ევროკავშირის შიგნით) EIB-ის საკუთარი რესურსების განსათავსებლად მესამე მხარის ფონდებთან, ხშირად გრანტებთან ერთად. მაგალითები მოიცავს რეგიონულ საინვესტიციო მექანიზმებს. გარდა ამისა, ნდობის ფონდები (მხოლოდ EIB-ის ან გაზიარებული მექანიზმში) არის მანდატი, რომელიც საშუალებას აძლევს EIB-ს თავი მოუყაროს სახსრებს სხვადასხვა დონორებისგან და გრანტები ხელმისაწვდომი გახადოს ან პირდაპირ კლიენტებისთვის (ჩვეულებრივ, EIB-ის საკუთარ რესურსებთან შერეული) ან სხვა დასაშვები საფინანსო ინსტიტუტებისთვის.

	პარიზის შეთანხმებასთან შესაბამისობაში მოსვლის ვალდებულება და აპირებს მიაღწიოს თავისი სუვერენული ოპერაციების სრულ შესაბამისობას პარიზის შეთანხმებასთან 2023 წლის პირველი ნახევრის ბოლოსთვის და არასუვერენული ოპერაციების შესაბამისობას 2025 წლისთვის.
საინვესტიციო სექტორები	- ენერგია (მაგ., ელექტროენერგია, წარმოება გადაცემა და განაწილება, განახლებადი ენერგია); - ტრანსპორტი (მაგ. გზები, პორტები, რკინიგზა, აეროპორტები); - ტელეკომუნიკაციები. - წყალი (მაგ. წყალმომარაგება და ნარჩენების მართვა); და - ურბანული ინფრასტრუქტურა.
ბიზნეს მოდელი	განვითარების მულტილატერალური ბანკი
საოპერაციო მოდელი	ADB-ი უზრუნველყოფს სუვერენული და არასუვერენული პროექტების დაფინანსებას. დაფინანსების უმეტესი ნაწილი კი სუვერენულ ოპერაციებზე მოდის. ADB-ის მანდატი ასევე მოიცავს ფინანსური სექტორებისა და კაპიტალის ბაზრების განვითარების მხარდაჭერას, რათა ხელი შეუწყოს უცხოური და შიდა კაპიტალის მობილიზებას ეკონომიკის პროდუქტიულ სექტორებში, და შესაბამისად, აქვს ბანკების და კაპიტალის ბაზრის სუბიექტების დაფინანსების გლობალური გამოცდილება. გარდა ამისა, მას შექმნილი აქვს კლიმატის დაფინანსების სხვადასხვა მექანიზმები და ფონდები, რომლებიც განკუთვნილია აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონისთვის. ADB-ი უზრუნველყოფს სესხებს, ტექნიკურ დახმარებას, გრანტებს და კაპიტალის ინვესტიციებს სოციალური და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისთვის. ტექნიკური დახმარების მიღება შესაძლებელია პროექტის მოსამზადებელი მხარდაჭერის, პოლიტიკასთან დაკავშირებული კონსულტაციის, შესაძლებლობების გაძლიერებისა და კვლევისა და განვითარების მიმართულებით. ADB-ი საინვესტიციო პროექტების შეთავაზებებს მხოლოდ წევრი ქვეყნების პროექტებისთვის იღებს.
გამოცდილება საქართველოში	ADB-ი საქართველოში ახორციელებდა სუვერენულ და არასუვერენულ დაფინანსებას. კლიმატის პროექტებისთვის, ყველაზე ფართოდ გამოყენებული ფინანსური ინსტრუმენტი იყო სესხი და საგრანტო დაფინანსება ტექნიკური დახმარების აქტივობებით. ADB-ს აქვს საქართველოში კერძო სექტორის სუბიექტების დაფინანსების გამოცდილება, ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის სექტორებში კლიმატზე ზემოქმედების მქონე პროექტებში თანხების მობილიზებისთვის. ახლო წარსულში, ის ასევე მხარს უჭერდა კერძო სექტორის წარმომადგენლებს საქართველოში კლიმატის დაფინანსების მობილიზებაში ისეთი ინოვაციური პროდუქტების მეშვეობით, როგორიცაა მწვანე ობლიგაციები ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სექტორებში (კორპორაციული ობლიგაციები). ზოგიერთი ბოლოდროინდელი პრიორიტეტულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული პროექტებია: ▪ თეგეტას მწვანე ობლიგაციების პროექტი ▪ კლიმატგონივრული ირიგაციის სექტორის განვითარების პროექტი ▪ ენერგიის დაგროვებისა და მწვანე წყალბადის სექტორის განვითარების პროგრამის მომზადება
მსოფლიო ბანკის ჯგუფი (ფოკუსი: IFC)	
საინვესტიციო მანდატი	მსოფლიო ბანკის ჯგუფის მისია ორიენტირებულია ორი ძირითადი მიზნის მდგრადად მიღწევაზე: (1) უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრა, გლობალურად

	იმ ადამიანთა წილის შემცირებით, რომლებიც ცხოვრობენ დღეში 1.9 აშშ დოლარზე ნაკლები თანხით და (2) საერთო კეთილდღეობის ხელშეწყობა მოსახლეობის ყველაზე ღარიბი 40 პროცენტის შემოსავლების გაზრდით. WBG-მა სამიზნედ დაისახა, რომ 2021-25 წლებში მისი დაფინანსების საშუალოდ 35% იყო კლიმატის დაფინანსება. მსოფლიო ბანკის - IBRD და IDA - კლიმატის დაფინანსების 50% მიმართული იქნება ადაპტაციისა და მედეგობის მხარდასაჭერად.
საინვესტიციო სექტორები	<u>სხვადასხვა სექტორები</u>: სოფლის მეურნეობა, განათლება, ენერგეტიკა და წიაღისეულის მოპოვება, ფინანსური სექტორი, ჯანდაცვა, მრეწველობა, ინფორმაცია და კომუნიკაცია, საჯარო ადმინისტრაცია, სოციალური დაცვა, ტრანსპორტი, წყალი და ნარჩენები,
ბიზნეს მოდელი	განვითარების მულტილატერალური ბანკი მსოფლიო ბანკის ჯგუფი შედგება 5 ინსტიტუტისგან, რომლებიც იზიარებენ სიღარიბის შემცირებას, საერთო კეთილდღეობის გაზრდას და მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნებს: - რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD) სესხებს გასცემს საშუალოშემოსავლიანი და კრედიტუნარიანი დაბალშემოსავლიანი ქვეყნების მთავრობებზე. - საერთაშორისო განვითარების ასოციაცია (IDA) უაღრესად შეღავათიანი პირობებით უწევს დაფინანსებას უღარიბესი ქვეყნების მთავრობებს. - საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) უზრუნველყოფს სესხებს, გარანტიებს, კაპიტალს და საკონსულტაციო და პროექტების განვითარების მომსახურებას და ახდენს დამატებითი კაპიტალის მობილიზებას სხვა წყაროებიდან, განვითარებად ქვეყნებში კერძო სექტორის ინვესტიციების სტიმულირებისთვის. - მულტილატერალური ინვესტიციების საგარანტიო სააგენტო (MIGA) უზრუნველყოფს პოლიტიკური რისკების დაზღვევას და კრედიტების გაზრდას ინვესტორებისა და კრედიტორებისთვის, განვითარებად ეკონომიკებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობის მიზნით. - საინვესტიციო დავების გადაწყვეტის საერთაშორისო ცენტრი (ICSID) უზრუნველყოფს საერთაშორისო მექანიზმებს საინვესტიციო დავების მოგვარებისა და არბიტრაჟისთვის.
საოპერაციო მოდელი	მსოფლიო ბანკი ფუნქციონირებს 5 ინსტიტუტთან და სხვადასხვა ფინანსურ ინსტრუმენტთან ერთად, როგორც ეს ზემოთაა აღწერილი. მსოფლიო ბანკის ჯგუფი მუშაობს სხვადასხვა მანდატებით, მათ შორისაა შერეული და ნდობის ფონდების მანდატები, რომელთა საშუალებითაც მსოფლიო ბანკს სახსრების მობილიზებას ახდენს სხვადასხვა დონორებისგან და უზრუნველყოფს შეღავათიან სესხებს, გრანტებს და კრედიტის გაზრდის ინსტრუმენტებს. ის ასევე ახორციელებს კლიმატის დაფინანსების ინიციატივებს რეგიონულ ან გლობალურ დონეზე (მაგ. მსოფლიო ბანკის კლიმატის ცვლილების ფონდის მართვის განყოფილება ზედამხედველობს კლიმატის დაფინანსების ინიციატივებს, რომლებიც ახორციელებენ ინოვაციურ და მასშტაბურ კლიმატის ქმედებებს, და ადმინისტრირებას უწევს 5 მილიარდ აშშ დოლარზე მეტ კაპიტალს ამ ინიციატივებისთვის). განაცხადის პროცესი განსხვავდება მსოფლიო ბანკის ჯგუფის ინსტიტუტების მიხედვით; IFC-სთვის არ არსებობს სტანდარტული განაცხადის ფორმა. კომპანიას ან მეწარმეს რომელიც ცდილობს ახალი საწარმოს შექმნას ან

	არსებულის გაფართოებას, შეუძლია პირდაპირ მიმართოს IFC-ს და წარადგინოს საინვესტიციო შეთავაზება .
გამოცდილება საქართველოში	მსოფლიო ბანკის ჯგუფის მიერ მოწოდებული კლიმატის დაფინანსების უმეტესი ნაწილი იყო შეღავათიანი სესხები და საგრანტო დაფინანსება IBRD-ისა და IDA-ს მეშვეობით, ასევე გარანტიები MIGA-ს მეშვეობით. მსოფლიო ბანკის ჯგუფის კერძო სექტორის მიმართულება - IFC აქტიურად აფინანსებს განახლებადი ენერგიისა და ტრანსპორტის ტექნოლოგიებს საქართველოში, ძირითადად საბაზრო პირობებით შემოთავაზებული სასესხო ინსტრუმენტით, მაგრამ ცალკეული პროექტის საჭიროებებზე და ფულადი ნაკადებზე მორგებული სესხით. სესხის ვადა 7-15 წლამდე მერყეობს. IFC-ის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ასევე გამოიყენება შერევა (blending) - IFC-ს აქვს კლიმატის საფინანსო ფონდი, რომელიც სხვადასხვა ფინანსური რესურსების შერევის საშუალებას იძლევა და მსესხებლებს უკეთეს პირობებს სთავაზობს (მაგ., კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების შემცირება). IFC-მ ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში კლიმატის დაფინანსებისა და კაპიტალის ბაზრის განვითარების ხელშეწყობაში, კორპორაციულ მწვანე ობლიგაციებში ინვესტიციების გზით (წყარო: IFC-ის პრეს-რელიზი). IFC-ის გუნდი უზრუნველყოფს ESG საკითხებთან დაკავშირებულ კონსულტაციას, ადგილობრივი შესაძლებლობების დეფიციტის აღმოსაფხვრელად, თუმცა, ის ამჟამად არ სთავაზობს კონსულტაციას კლიმატის დაფინანსების საკითხებზე. ადგილობრივ საფინანსო ინსტიტუტებთან საკრედიტო ხაზების კუთხით, IFC-მ უზრუნველყო საკრედიტო ხაზები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, რაც მოიცავდა ქალებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაძლიერების მოთხოვნას (მთლიანი საკრედიტო ხაზიდან 25%-ში ინტეგრირებული იყო გენდერული საკითხი). ახლა ის გეგმავს 25% მწვანე ფინანსების დამატებას.

ტექსტური უჯრა 7. გაეროს სააგენტოები

ტექსტური უჯრა 7: გაეროს სააგენტოები, როგორც საკვანძო სუბიექტები საქართველოს კლიმატის დაფინანსების არქიტექტურაში	
IFAD	
საინვესტიციო მანდატი	IFAD-ი მხარს უჭერს ინოვაციურ პროექტებს, რომლებიც გამიზნულია უკიდურესად ღარიბ და სასურსათო უსაფრთხოებას მოკლებულ ადამიანებზე სოფლად.
საინვესტიციო სექტორები	სოფლის მეურნეობა
ბიზნეს მოდელი	გაეროს სააგენტო, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი
საოპერაციო მოდელი	IFAD-ი მოქმედებს შეღავათიანი სესხებისა და გრანტის ინსტრუმენტით. შეღავათიანი სესხები ეძლევათ წევრ ქვეყნებს. გრანტებით მხარდაჭერილია კვლევები, ინოვაციები, ინსტიტუციური ცვლილებები და სიღარიბის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ტექნოლოგიები. ეს გრანტები მჭიდროდაა დაკავშირებული IFAD-ის ქვეყნის პროგრამებთან და ადგილობრივ მიმღებთა საჭიროებებთან. გრანტების მიზანია:

	• სიღარიბის შემცირების ინოვაციური მიდგომების და ტექნოლოგიების ხელშეწყობა, რომლებსაც გააჩნიათ გაფართოების პოტენციალი • პარტნიორების ინსტიტუციური და პოლიტიკის შესაძლებლობების გაძლიერება. • ადვოკატირების და პოლიტიკაში ჩართულობის გაძლიერება. • ცოდნის გენერირება და გაზიარება განვითარებაზე ზემოქმედებისთვის.
გამოცდილება საქართველოში	IFAD-ს ამჟამად ერთი მოქმედი პროექტი აქვს საქართველოში. პროექტის დასახელება: "მერძევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის პროექტი". მიზანი: მცირემწარმე მერძევეების საარსებო საშუალებებისა და მედეგობის გაზრდა. განმახორციელებელი სუბიექტი: პროექტს ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. პროგრამის ხანგრძლივობა: 6 წელი დონორი და თანადაფინანსება: 46.90 მილიონ აშშ დოლარიანი პროგრამა. დაფინანსება IFAD-ისგან (სესხი), ადაპტაციის ფონდი (გრანტი) და საქართველოს მთავრობა (გადასახადების და ვალდებულებებისგან გათავისუფლება და საშუალებების მიწოდება). IFAD-ის პროგრამა, სავარაუდოდ, მოიპოვებს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ბენეფიციარების თანადაფინანსების ბერკეტს¹¹⁸.
FAO	
მისია	FAO მხარდაჭერას უწევს მთავრობებს და პარტნიორებს, სწორი პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავებაში შიმშილის დასაძლევად, სასურსათო უსაფრთხოების ხელშესაწყობად და მდგრადი სოფლის მეურნეობის მხარდასაჭერად მილიონობით ადამიანისთვის მთელს მსოფლიოში.
სექტორები	სოფლის მეურნეობა
ბიზნეს მოდელი	გაეროს სააგენტო, რომელიც მუშაობს მულტილატერალური ჩარჩოს ფარგლებში.
საოპერაციო მოდელი	FAO მუშაობს საგრანტო ინსტრუმენტით.

¹¹⁸ პროექტის მიზანია მცირე მწარმე მერძევეების საარსებო საშუალებებისა და მედეგობის გაზრდა. ის იყენებს პროგრამულ მიდგომას, რომელიც შედგება სასესხო და საგრანტო კომპონენტისგან და ფინანსური და არაფინანსური ბარიერების გადალახვაზე მუშაობს. ეს არის 6 წლიანი პროგრამა, რომლის საწყისი ღირებულება იყო 46.90 მილიონი ევრო. პროგრამის ბიუჯეტი კაპიტალიზებულია შერეული მიდგომით, და თანადაფინანსებით: IFAD-ის სესხი 16.000 მილიონი ევრო; ადაპტაციის ფონდის (AF) გრანტი 3.700 მილიონი ევრო კლიმატის ცვლილების ადაპტაციის აქტივობების დასაფინანსებლად; საქართველოს მთავრობა 3.340 მილიონი ევრო, გადასახადებისა და ვალდებულებებისგან გათავისუფლებისა და საშუალებების მიწოდების სახით; არასამთავრობო ორგანიზაციების თანადაფინანსება 2.137 მილიონი ევრო; ხოლო ბენეფიციარებმა უნდა უზრუნველყონ 9.964 მილიონ ევრო, როგორც ფულადი შენატანი მერძევეობის ღირებულებათა ჯაჭვის (DVC) მექანიზმის ფარგლებში უზრუნველყოფილ საწყის კაპიტალში.

გამოცდილება საქართველოში	FAO-ს დახმარება ორგანიზებულია FAO-ს 2021-2025 წლების ქვეყნის პროგრამების ჩარჩოს (CPF) შესაბამისად და გამომდინარეობს გაეროს მდგრადი განვითარების თანამშრომლობის ხელშეკრულებიდან (UNSDCF). საქართველოსთან. საქართველოში FAO მუშაობს საგრანტო ინსტრუმენტით. FAO-ს პროექტები საქართველოში (მიმდინარე): - პროექტის სახელწოდება: საქართველოს მიწის დეგრადაციის ნეიტრალიზაციის მიზნების მიღწევა დეგრადირებული საძოვრების აღდგენისა და მდგრადი მართვის გზით (MSP) - მიზანი: საქართველოს მიწის დეგრადაციის ნეიტრალიზაციის მიზნების მიღწევა დეგრადირებული საძოვრების აღდგენისა და მდგრადი მართვის გზით. - განხორციელების ვადა: 3 წელი - გრანტის თანხა: 1,776,484 აშშ დოლარი - დონორი: გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი CPF-ის ფარგლებში FAO-ს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა წვლილის შეტანა კლიმატგონივრული და გენდერულად პასუხისმგებლიანი ტექნოლოგიური გადაწყვეტების, ინიციატივებისა და პროექტების განხორციელებაში, კლიმატის ცვლილების ადაპტაციისა და შერბილების უზრუნველსაყოფად აგროსასურსათო სექტორის დაინტერესებულ მხარეებს შორის. FAO-ს ადგილზე მიღებული გამოცდილება (მაგ. ENPARD პროგრამა) მიუთითებს, რომ თანაინვესტირების ელემენტებზე დაფუძნებული საგრანტო დაფინანსებით შესაძლებელია გაუმჯობესდეს ბენეფიციართა ხელმისაწვდომობა ფინანსებზე. FAO-ს ჰყავს ერთგული გუნდი საქართველოში, რომელიც მხარს უჭერს ადგილობრივი ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარებას, ბაზრის ცნობიერების ამაღლებას და ინსტრუმენტების შემუშავებას.
-------------------------------------	---

წყარო: IFAD-ის, UNDP-ისა და FAO-ს ვებ-გვერდები + ჩართულობა

ტექსტური უჯრა 8. კლიმატის დაფინანსება საერთაშორისო კერძო სექტორიდან

ტექსტური უჯრა 8: საერთაშორისო კერძო სექტორის დაფინანსების წყაროები საქართველოში	
მწვანე ზრდის ფონდი (GGF)	
საინვესტიციო მანდატი	GGF-ი მიზნად ისახავს კლიმატის ცვლილების შერბილებას და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას, ისეთ ღონისძიებებში ინვესტირებით, რომლებიც ამცირებენ ენერგიის მოხმარებას, რესურსების გამოყენებას და CO2-ის ემისიებს.
საინვესტიციო სექტორები	ენერგეტიკა (ენერგოეფექტურობა, განახლებადი ენერგია) და რესურსების ეფექტურობის ინვესტიციები (მაგ. წყლის ეფექტურობა).
ბიზნეს მოდელი	ფონდი, შერეული ფინანსების სტრუქტურა, საჯარო-კერძო პარტნიორობა, რომელიც იყენებს საჯარო ინსტიტუტების მიერ მოწოდებული სარისკო კაპიტალის ბერკეტს, დამატებით კერძო კაპიტალთან ერთად, რათა მნიშვნელოვნად გაზარდოს ინვესტიციების მოცულობა იმ რეგიონებსა და სექტორებში, რომლებიც ჩვეულებრივ არ იზიდავენ ასეთ ნაკადებს. GGF-ის მრჩეველია Finance in Motion ¹¹⁹ , გლობალური ზემოქმედების აქტივების

¹¹⁹ აღსანიშნავია ისიც, რომ Finance in Motion ასევე მართავს EFSE-ის ზემოქმედების ფონდს (მსგავსი საჯარო-კერძო პარტნიორობის მოდელის საფუძველზე), რომელიც ადგილობრივ საფინანსო ინსტიტუტებს აწვდის

	მენეჯერი, რომელიც ორიენტირებულია კონკრეტულად მდგრად განვითარებაზე დაბალი და საშუალო შემოსავლის ქვეყნებში. GGF-ის ინიციატორები არიან ევროპის საინვესტიციო ბანკი და გერმანიის KfW განვითარების ბანკი. ფონდი დამატებით მხარდაჭერილია ევროკომისიის, გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და კერძო ინვესტორებისგან შემდგარი მრავალფეროვანი ჯგუფის შენატანებით. GGF-ი დაფინანსებას ახორციელებს ბიზნესისა და ოჯახებისთვის, ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტებისა და პირდაპირი ინვესტიციების მეშვეობით შესაბამის პროექტებსა და კომპანიებში (წყარო: GGF)
საოპერაციო მოდელი	GGF-ი მუშაობს 19 ბაზარზე სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, მათ შორის თურქეთში, ევროპის აღმოსავლეთ სამეზობლო რეგიონში, ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში. შესაბამისად, ეს რეგიონული მექანიზმია. GGF-ის საჯარო ინფორმაციის მიმოხილვის მიხედვით, ფონდი ფუნქციონირებს ვალით, კაპიტალით, და ტექნიკური დახმარებით სექტორების სპეციფიკური ფინანსური და არაფინანსური გამოწვევების გადასაღებად (მაგ. შესაძლებლობები, ინფორმირებულობა/ცოდნა).
გამოცდილება საქართველოში	ფონდის პორტფელი საქართველოში, ამჟამად დაახლოებით 56 მილიონი ევროს ოდენობით, მოიცავს ჰიდროენერგეტიკისა და ქარის ენერგიის პროექტებს, ასევე საკრედიტო ხაზებს ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტებისთვის. Finance in Motion-ის წარმომადგენელთან ჩართულობამ გამოავლინა, რომ Finance in Motion მართავს GGF-სა და EFSE-ს. GGF-ი უზრუნველყოფს სამი სახის პროდუქტს: 3. სესხი (უფროსი, დაქვემდებარებული) ადგილობრივ საფინანსო ინსტიტუტებზე. 4. პროექტის დაფინანსება/პირდაპირი სესხები 5. ტექნიკური დახმარება პარტნიორი ბანკებისთვის ტექნიკური დახმარება ძირითადად აფინანსებს შესაძლებლობების განვითარებას, მათ შორის კონსულტაციის საფასურს კლიმატზე ზემოქმედების ვერიფიკაციისა და ანგარიშგებისთვის. გარდა ამისა, GGF-ი იყენებდა ტექნიკური დახმარების მექანიზმს პოლიტიკის საკონსულტაციო მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. ხდებოდა თანამშრომლობა ცენტრალურ ბანკთან ადგილობრივი მწვანე დაფინანსების ტაქსონომიის დახვეწის მიზნით, ქვეყნის ბანკებთან სამუშაოდ სტანდარტიზებული სისტემის შესაქმნელად. ეს ადგილობრივ საფინანსო ინსტიტუტებს საშუალებას აძლევს რაოდენობრივად განსაზღვრონ თავიანთი მწვანე ინვესტიციები მათ ბაზარზე ადაპტირებული სტანდარტების საფუძველზე. GGF-ს აქვს წვდომის მოქნილი მოდელი. ფონდს 10 წელზე მეტი საინვესტიციო გამოცდილება აქვს საქართველოში, რაც განაპირობებს სწრაფ პროცესებს, ადგილობრივი მოთამაშეებისა და ბაზრის ცოდნის გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია, რომ GGF-ს ჰყავს თავდადებული გუნდი (შიდა პერსონალი, გარე მრჩეველთა ფონდი), რომელსაც ადგილზე შეუძლია მსესხებლების დახმარება, შესაძლებლობების განვითარებასა და განხორციელებაში, მხარდაჭერის გაწევა მწვანე ფინანსური

მდგრად დაფინანსებას მეწარმეებისა და ოჯახებისთვის. EFSE-იც არის საქართველოში წარმოდგენილი, თუმცა, რადგან ის არ არის ორიენტირებული მხოლოდ მწვანე დაფინანსებასა და კლიმატზე ზემოქმედებაზე.

	ინსტრუმენტების შემუშავებაში და ორგანიზაციული დახმარებისა და ტექნიკური რჩევების მიწოდება. ადგილობრივი სუბიექტების აღქმით ეს მათთვის ღირებული დამატებითი შეთავაზებაა.
კლიმატის გლობალური საპარტნიორო ფონდი	
საინვესტიციო მანდატი	კლიმატის გლობალური საპარტნიორო ფონდი (GCPF) არის ინოვაციური საჯარო-კერძო პარტნიორობა, რომელიც მიზნად ისახავს წვლილის შეტანას კლიმატის ცვლილების შერბილებაში, სათბურის გაზების ემისიების შემცირების გზით.
საინვესტიციო სექტორები	განახლებადი ენერგია და ენერგოეფექტურობა
ბიზნეს მოდელი	კლიმატის გლობალური საპარტნიორო ფონდი (GCFP) შექმნილია როგორც საჯარო-კერძო პარტნიორობა, რომელიც იზიდავს კერძო ინვესტიციებს საჯარო სუბიექტების მიერ პირველი ზარალის გარანტიების მეშვეობით და თანამშრომლობს ადგილობრივ პარტნიორ ინსტიტუტებთან ადგილზე ენერგეტიკული ინვესტიციების განსახორციელებლად. კლიმატის გლობალური საპარტნიორო ფონდი არის ლუქსემბურგის კანონმდებლობას დაქვემდებარებული საინვესტიციო კომპანია. იგი დაარსდა გერმანიის გარემოს დაცვის, ბუნების დაცვისა და ბირთვული უსაფრთხოების ფედერალური სამინისტროს (BMU), KfW Entwicklungsbank-ისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) მიერ 2009 წელს, როგორც საჯარო-კერძო პარტნიორობა. უმცროს კაპიტალს უზრუნველყოფენ BMU, გაერთიანებული სამეფოს ბიზნესის, ენერგეტიკისა და სამრეწველო სტრატეგიის დეპარტამენტი (BEIS), დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (Danida). სხვა კერძო და საჯარო ინვესტორებს შორისაა ASN Bank, Ärzteversorgung Westfalen-Lippe, FMO, OeEB, Sparkasse Bremen, ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB) და Heilsarmee. GCF-ი დაფინანსებას ახორციელებს ბიზნესებისა და ოჯახებისთვის, ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებისა და პირდაპირი ინვესტიციების მეშვეობით შესაბამის პროექტებსა და კომპანიებში.
საოპერაციო მოდელი	GCPF-ი არის გლობალური ფონდი, რომელიც ინვესტირებას ახდენს OECD-ის არაწევრ ეკონომიკაში. GCF-ის საჯარო ინფორმაციის მიმოხილვის მიხედვით, ფონდი ფუნქციონირებს სასესხო ინსტრუმენტებით და ტექნიკური დახმარებით, რათა უზრუნველყოს ნოუ-ჰაუ და პროექტების მხარდაჭერა პარტნიორი ინსტიტუტებისთვის, მათი მწვანე დაკრედიტების პორტფელის შემუშავებისა და პროექტების განხორციელების ხელშესაწყობად. ფონდი ახორციელებს დაფინანსებას იმ სფეროებში, რომლებიც არ საჭიროებენ სუბსიდიებს მათი პოტენციალის გამოსავლენად, მაგრამ არასაკმარისად ყურადღებას იღებენ კერძო კაპიტალის მომწოდებლებისგან. ამ მიზნით, ფონდი იძლევა სესხებს საბაზრო პირობებით, თუმცა მოქმედებს უფასო მომსახურებით. GCPF-ი უზრუნველყოფს რესურსებს იმ სფეროებისთვის, რომლებსაც ამჟამად განიცდიან შესაბამისი დაფინანსების ნაკლებობას. ამით ფონდი ქმნის ემისიების დამატებით შემცირებას, რომელიც სხვაგვარად არ განხორციელდებოდა. ფონდი იმართება ResponsAbility-ის მიერ. GCPF-ის წარმომადგენლის თქმით, ფონდს აქვს მოქნილი საოპერაციო მოდელი, რაც აისახება მის სწრაფ საინვესტიციო და ინვესტიციის

	შემდგომი მონიტორინგის პროცესებში. მაგალითად, ინვესტიციის წინასწარ შესწავლას (due diligence) სჭირდება სულ რაღაც 2-3 დღე, ხოლო ვადის ფურცლის (term-sheet) მომზადება და კომერციული მიღების მოლაპარაკებას რამდენიმე კვირაზე ნაკლები სჭირდება. ამას ხელს უწყობს ადგილობრივ ბაზარზე ყოფნა, საქართველოში ადგილობრივ ბაზრის მოთამაშეებთან მუშაობის გრძელვადიანი გამოცდილება და ბაზრის ცოდნა.
გამოცდილება საქართველოში	საქართველოში GCPF-ი ახორციელებს მწვანე დაფინანსებას ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტების მეშვეობით, რომლებიც, შემდეგ, სესხებს გასცემენ განახლებადი ენერგიისა და ენერგოეფექტურობის პროექტებისთვის. GCPF-ის ტექნიკური დახმარების მექანიზმი ხელს უწყობს GCPF-ის ინვესტიციებს იმით, რომ ქართულ ბანკებს საშუალებას აძლევს მიიღონ სპეციალიზებული ექსპერტული დახმარება მწვანე დაკრედიტების შესაძლებლობების გასავითარებლად, E&S მმართველობის დასაწერად ან გასაუმჯობესებლად და საჭირო ზემოქმედების ინსტრუმენტების შესაქმნელად (მაგ. საბაზისო კვლევები დასაშვებობის შეფასების განსახორციელებლად, ენერგოაუდიტი ინვესტიციის შემდგომი მონიტორინგისთვის.). აღსანიშნავია, რომ 2020 წლის ივლისიდან GCPF-ი წარმოდგენილია თბილისში ადგილობრივი შიდა ენერგეტიკის სპეციალისტის მიერ, რომელსაც ესმის ადგილობრივი სუფთა ენერგიის კონტექსტი და შეუძლია ბანკებთან მუშაობა მათი მწვანე დაფინანსების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით.
GEEREF	
საინვესტიციო მანდატი	GEEREF-ის ინვესტიციები მიზნად ისახავს თანაბარი სარგებლის მოტანას სამი მიმართულებით: ▪ ადამიანები: GEEREF-ი ისწრაფვის უზრუნველყოს მდგრად ენერგიაზე წვდომა და გაზარდოს ენერგოეფექტურობა განვითარებად ქვეყნებში და გარდამავალ ეკონომიკებში. ▪ პლანეტა: GEEREF-ი ისწრაფვის ებრძოდეს კლიმატის ცვლილებას და წვლილი შეიტანოს გარემოს მდგრადობაში; და ▪ მოგება: GEEREF-ი ისწრაფვის მიაღწიოს მყარ ფინანსურ უკუგებას.
საინვესტიციო სექტორები	განახლებადი ენერგია და ენერგოეფექტურობა
ბიზნეს მოდელი	GEEREF იყენებს შერეული ფინანსების სტრუქტურას, კერძო სექტორის ინვესტიციების მოსაზიდად ფონდებსა და პროექტებში, საჯარო სექტორის საწყისი შენატანების ბერკეტის გამოყენებით: ▪ GEEREF-ი დაფუძნდა ევროკომისიის მიერ 2006 წელს(1) და ამოქმედდა 2008 წელს ევროკავშირის(2), გერმანიისა და ნორვეგიის დაფინანსებით, საერთო ჯამში 112 მილიონი ევროს ოდენობით. ▪ GEEREF-მა წარმატებით მოახდინა ფინანსების მოზიდვა კერძო სექტორის ინვესტიციებისგან 2015 წლის მაისში, რის შედეგადაც მის განკარგულებაში მთლიანობაში 222 მილიონ ევრომდე თანხებს მოუყარა თავი. GEEREF-ის საოპერაციო მოდელი მოიცავს ინვესტირებას კერძო საინვესტიციო ფონდებში, რომლებიც, თავის მხრივ, ინვესტირებას ახდენენ კერძო სექტორის პროექტებში, რითაც კიდევ უფრო ძლიერდება GEEREF-ის ინვესტიციების ბერკეტის ეფექტი. დაანგარიშებულია, რომ 222 მილიონი ევროს თანხების მართვის ფარგლებში, 10 მილიარდ ევროზე მეტი შეიძლება მობილიზდეს იმ ფონდების მეშვეობით, რომლებშიც

	GEEREF-ი მონაწილეობს და საბოლოო პროექტებში, რომლებშიც ეს ფონდები ახდენენ ინვესტირებას.
საოპერაციო მოდელი	GEEREF-ი მუშაობს როგორც „ფონდების ფონდი“, რომლის მრჩეველია ევროპის საინვესტიციო ბანკის ჯგუფი. GEEREF-ი ინვესტირებას ახორციელებს კერძო საინვესტიციო ფონდებში, რომლებიც ორიენტირებულია განახლებადი ენერგიისა და ენერგოეფექტურობის პროექტებზე განვითარებად ბაზრებში. ის ინვესტირებას ახორციელებს საბაზრო პირობებით, მაგრამ სთავაზობს კატალიზურ და დამატებით დაფინანსებას ფონდის ახალბედა მენეჯერებს.
გამოცდილება საქართველოში	GEEREF-ი ადგილობრივად არ არის წარმოდგენილი საქართველოში. GEEREF next-მა ადრეული ეტაპის კაპიტალის ინვესტიცია განახორციელა საქართველოში კერძო ინვესტიციის ფონდში: კავკასიის სუფთა ენერგიის ფონდი (CCEF).

დანართი 5. საქართველოში განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიების კერძო დაფინანსების წყაროები

დაფინანსების წყარო I დონე (დაფინანსების ზედა დონის ერთეული)		დაფინანსების წყარო II დონე (დაფინანსების ქვედა დონის ერთეული)	
ინსტიტუციური ინვესტორები	„სილქ როუდ ჯგუფი“ (Silk Road Group)	ინსტიტუციური ინვესტორები	„სილქ ენერჯი ჯგუფი“ (Silk Energy Group)
	„ისტ გეიტ ჯგუფი“ (East Gate Group)		„ისტ გეიტ ენერჯი“ (East Gate Energy)
			„ენკი“ (Enki)
			„ფშაველა“
	„საქართველოს კაპიტალი“ (Georgia Capital)		„საქართველოს განახლებადი ენერგიის კომპანია“ (Georgian Renewable Power Company)
	FCC Aqualia „საქართველოს კაპიტალი“		Georgian Global Utilities
	„იბერია კაპიტალი“ (Iberia Capital)	სპეციალური დანიშნულების მექანიზმები	„ინფინიტი ენერჯი“ (Infinite Energy)
			„მომავლის ენერგია“ (Future Energy)
			„ნახიდური ჰესი“ (Nakhiduri HPP)
	Lok Home Irrevocable Trust TEPCO RENEWABLE POWER SINGAPORE PTE. შპს „ენერგია“ (Energia)		„დარიალი ენერჯი“ (Dariali Energy)
კომერციული საფინანსო ინსტიტუტები	აშშ-ის საერთაშორისო განვითარების საფინანსო კორპორაცია (DFC) DEG KfW BANKENGRUPPE საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები	საფინანსო კორპორაცია	„ვინგს ენდ ფრიმან კაპიტალი“ (Wings and Freeman Capital)

ფონდები	"ცერბერუს ფრონტიერი" (Cerberus Frontier)	საინვესტიციო კომპანია	"კავკასიის სუფთა ენერგიის ჰოლდინგი" (Caucasus Clean Energy Holding)
	შეზღუდული პარტნიორების მენეჯმენტის კომპანია (Limited Partners Management Company)	კერძო კაპიტალი	„საქართველოს თანაინვესტირების ფონდი“ (Georgian Co-Investment Fund)
კორპორაციები	„საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ (Georgian Industrial Group)	კორპორაციები	„საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“ (Georgian International Energy Corporation)
	„ენერგო-პრო ჯგუფი“ (Energo-Pro Group)		EP-საქართველოს თაობა
	K-Water „საქართველოს თანაინვესტირების ფონდი“	სპეციალური დანიშნულების მექანიზმი	„ნენსკრა ჰიდრო“ (Nenskra Hydro)
	Anadolu Kafkasya Energy Investments Inc.	კომპანიები	„ჯორჯია-ურბან ენერჯი“ (Georgia-Urban Enerji)
			„ენერგო-არაგვი“ (Energo-Aragvi)
			„დეკა“ (Deka)
			„გრინ ენერჯი“ (Green Energy)
			"ართანა ლოპოტა" (Artana Lopota)
			„ენერჯი სოლუშენს“ (Energy Solutions)
			„მაქსანია“ (Maksania)
			„ყაზბეგი“ (Kazbegi)
			„აჭარ ენერჯი“ (Achar Energy)
ერთობლივი საწარმოები	„კლინ ენერჯი ინვესტი“ (Clean Energy Invest AS) „ტატა ფაუერი“ (Tata Power)	სპეციალური დანიშნულების მექანიზმი	„აქარისწყალი ჯორჯია“ (Adjaristsqali Georgia)

	Meptagon Green : REPDC GREEN PTE Meptagon	კომპანია	„ემ ჯი რენიუებლზი“ (MG Renewables)
ინდუსტრიები / ფირმები / შინამეურნეობები	ნეტო აღრიცხვის მარეგულირებელი მექანიზმი	მიკრო გენერატორები	თვითმომხმარებ ლები

წყარო: ავტორის მიმოხილვა სამაგიდო კვლევის საფუძველზე